


უზგული-სვანეთის საქართველოს ეპროჯის სათავე



ნაპო (გიორგი) ხაჩიაშვილი

**უზგული – სვანეთის
საქართველოს
ეპროპის
სათავა**

ნავო (ბიორბი) კაკრიაშვილი



გამომცემლობა „ანიპრესალი“
თბილისი 2010



**„სოფლის წიგნი ამისთანა
ჯერ არ თქმულა არვისგანა“**

წიგნი მრავალფეროვანია: ისტორია-ეთნოგრაფია, ფილოლოგია-განათლება, რელიგია-დღესასწაულ-რიტუალები, ფოლკლორი-შიორ-სიმღერები, ლექსიკოლოგია-გენეალოგია, საარქივო საეკლესიო მეტრიკული ჩანაწერები, ფოტო ილუსტრაციები და სხვ. აქვეა მეცნიერ-მკვლევართა ჩანაწერ-ნარკვევების გათანამედროვეობა, გამოყენების მიზნით. მოცემულია წლების განმავლობაში ავტორის ჩანაწერები, პირადი შემოქმედება, თუ კვლევა-დაკვირვებანი.

ნაშრომში საქართველოს ერთი განსაკუთრებული მთის სოფლიდან – უშგულიდან დანახული ქვეყანა ჩანს. ეს წიგნი კარგ სამსახურს გაუწევს ადგილობრივ მკვიდრთ თუ სვანეთის ისტორიით დაინტერესებულ მკვლევართ ბევრი რამის გახსენება-აღდგენაში, რაც ჟამთა სიავემ მოსპო.

წიგნი დიდი ინტერესით იკითხება, ამ რიგის ნაშრომების მნიშვნელობა ფასდაუდებელია ქართველი ხალხის ისტორიის შესწავლის საქმეში.

10.49

რედაქტორი პროფ. **ნოდარ გულბინი**

რეცენზენტები: პროფ. **პარლუ კლანდაძე**
პროფ. **სერგო მელიქიძე**

ყდის დიზაინერი **ირაკლი უშვერიძე**

წიგნი დაიბეჭდა ავტორის ხარჯით

© ნ. ჯაყრიშვილი, 2010

გამომცემლობა „**UNIVERSAL**“, 2010

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის ბაზ. 19. ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-978-0

ნავო (გიორგი) დავითის ქა კაკრიაშვილი

უშგული-სვანეთის, საქართველოს, ევროპის სათავე

ტურისტო ნახე უშგული!

მოგზაურო, თუ ტურისტო!
ერთი წამით შეჩერდი!
მოასწარი მიდი ნახე
შენ უშგულის ხედები.
სანამ დროა, თორემ ჰერი...
ზღაპარით გაქრება.
– ზემოთ შხარას მყინვარია,
ქვემოთ გიჟი ენგური.
აქეთ წმინდა მარიაში,
იქით ციხე თამარის.
შუა ჩამჯდარი კოშკები,
მუზა მხატვარ-პოეტთა,
ითხოვს შეელას სიძველენი
ბიზნესმენ-რესტავრატორთა.
სად გამქრალა სიძველენი
ხელისუფალთ ქართველთა?!

უშგული

სვანეთის, საქართველოს, ევროპის თავი, არქიტექტურული მუზეუმი ღია ცისქვეშ.
(ამჟამად თითქმის უპატრონო)

სვანეთი

ჩრდილოეთიდან საქართველოს კედელი, შხარა, უშბა, თეთნულდი, ენგური,
ცხენისწყალი, წყარო-სვიმები, საყდარ-კოშკები, სოფლები.
(ამჟამად, ნახევრად დაცლილი)

საქართველო

ქვეყანა ძველი, ღვთისნილხვდომილი, დაკარგული ტერიტორია, ბიზნესი, ზიზნები.
რუსეთთან ჭიდილი, ნატოს ლოდინი. ბრძოლა, ლალატი, მაინც-იმედი.
(ამჟამად, უმწეო, დიქტატი, ქაოსი)

ევროპა

დასავლეთის ცივილიზაცია, გაჭირვებისას თავშესაფარი, ვითომ იმედი.
(ამჟამად რუსეთით დაშინებული)

მსოფლიო

იმპერიებისა და რწმენათა ჭიდილი, ამერიკა – იმედი, აზია – მეზობლები, აფრიკა – მეგობრები

Napo Kakriashvili

Ushguli – Svaneti highland region in Georgia.

It is a source of Europe

The travellers will see Ushguli – Svaneti

The travellers stop one minute,
Arrive in time to see views of Ushguli
or otherwise it will be able to disappear.
Here is a top shkhara and the river Enguri.
Here is the church “La Maria” and the
castle of Queen Tamar. It seems that in
moment you will be able to touch the sky.
The old museum and old towers call you
to help them! Soon they will be able to demolish.
It is a romantic sigh indeed.
Were are you? – Businessman!



უშგული-სვანეთის, საქართველოს, ევროპის სთავი

„ღვრბათ მობრავნს მიშგვი სიმართლე – იტყოდა ფიცით უშგულელი (ღმერთს ებაროს ჩემი სიმართლე), ღერთა ყერ ღვარა – ღმერთის ანგელოზს გეფიცები“



ლიმზირ

ფუსდ ღვერბეთ დეცემ! წყლიან ისგვი ყახე,
 ისგვი ყურ ლაანო დეცემ ი გიმი წეესვა.
 ნომანშდხა ნიშგვე ქუნე ლაცვრა

ლეზებე-ლეთრე,
 ლახსაარეინ ნიშგვე მოღვადან ი მოკეთ მაარე,
 ნოშაფუშდა ლაქადდ, ქათქაბინ მავინ,
 უშგვლარს ლაანო ჳამშა ი ნაშვდური.
 უშგვლა იშგვიდ საყდარ!
 ლანპატივ ნიშგვე ნავხალი ი ცოდ.
 ლაანო აშე ბუასდ ლადენაჯვდი,
 ეჩე ბუასდ ქრისდვე ტაბავდუ ნიგად,
 წყლიან ფუსდ, ქრისდღე ღვრბეთ ი ლამარია!

ლოცვა

უფალო ღმერთო ცათა! წმინდა სახელი შენი!
 შენი წყალობა მოგვეც ცისა და მიწის შუა,
 არ მოგვაკლო ჩვენი საარსებო წყარო.
 დაიფარე ჩვენი მონაგარი და მოკეთე.
 ნუ გაუშვებ მაცდურ გზაზე, ააცილე მავნე.
 უშგულელებს მოგვეცი ძალა და ჯანმრთელობა.
 შენდობა ყავ მნარედ ცოდვილთა,
 მოგვეცი ამ სანუთროს სიმართლე და
 დღეგრძელობა.

მას საუკუნოსა გვაკურთხე უკუნითი-უკუნისამდე!
 მწყალობელო უფალო-ქრისტე ღმერთო და
 წმ. მარიამო!

წიგნის გამოცემა ესაა მკითხველისათვის ინტელექტუალური სიამოვნების მინიჭება. სიამოვნება შეიძლება იყოს ერთჯერადი ან ხანგრძლივი. ეს საინტერესო და მრავალფეროვანი წიგნი კი ხანგრძლივი სიამოვნებისათვისაა შექმნილი. ამქვეყნად ყველაფერს თავისი ისტორია აქვს. ისტორიას კი კონკრეტული პიროვნებები ქმნიან. ისტორიული მოვლენების ახსნა ხდება როგორც ფაქტებით, ინფორმაციით, ისე ლოგიკით და ინტუიციით.

მისალმება-გამოსალმება. სვანეთში დადა-ბაბადან – სალმით ხედებოდნენ მოყვასს, სალამი ღვთისაა ოდიტგან, „ხოჩა ლადელ“ ყველას! საქართველოს მთათა სიმაღლიდან – უშგული მიესალმება ქვეყანას. ხარივით ვლავი შორიდან – ძველი უშგული ესალმება ქვეყანას.



ძვირფასო მკითხველო! ეს წიგნი არ არის ჩვეულებრივი სოფლის ისტორია. ~~ქვემოთაა~~ არის ზღვის დონიდან უმაღლესი დასახლება ევროპაში (2200-2500 მ.). აქედან გამოდინარს ინტერესოა როგორც ბუნებრივი ლანდშაფტი, ისე ადამიანთა და ცხოველ-ფრინველთა სამყარო (ფლორა და ფაუნა). უშგული საქართველოს უკიდურესი ფორტპოსტია ცენტრალურ კავკასიონზე, უშუალო მეზობელი ჩრდილო კავკასიის მუსულმანურ და ქრისტიანულ ქვეყნებისა საუკუნეების განმავლობაში (ერთი დღის სავალი ცხენით). უშგული, უბატონო თავისუფალი სვანეთის თეთრი ქუდი და მთავარი გმირი. ამის და სხვათა გამო უშგულის წარსული, მისი გეო-პოლიტიკური მნიშვნელობა, რელიგიური, საერო, საყოფაცხოვრებო წეს-ჩვეულებები, რიტუალები, არქიტექტურული სახე, საყდრების მხატვრობა, ნარნერები, ხელნაწერები და 3000 სახეობამდე შემონახული – ხატ-ჯვარი, სარიტუალო-საყოფაცხოვრებო ნივთი ფასდაუდებელი განძია მომავალი საქართველოსათვის.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ამ წიგნში მოაზროვნე მკითხველი ბევრ საინტერესო მასალას გაეცნობა. სამწუხაროა, რომ ყოველივე ეს დღეის მდგომარეობით თითქმის უპატრონოდ ნადგურდება (ბევრი შენობა ამ ბოლო წლებში დაინგრა 1987-2008 წ.წ.).

აქ ისტორიაა გმირი სოფლისა,
რაინდობისა, ვაჟკაცობისა.
ეს მატეანა ტრაგედიისა:
ბრძოლის ჟამის და შიმშილობისა.

„წარსული ახლანდელს განსაზღვრავს,
ახლანდელი კი – მომავალს!“
(შეგონება)

„კაცობრიობის ისტორია უმეტესად ესაა აღწერა – ბუნებრივი კატასტროფების, ჟამიანობის, ქვეყანათა შორის ომების, სიძულვილის. გარე სამყაროდან დანახული ადამიანთა ყოფა ზოგჯერ არ ჰგავს გონიერ არსებათა სამყოფს. ხელისუფლებას ხშირად უღმერთონი ფლობდნენ“.



ლირსეული პიროვნება, დიდებული ნებოვანი კაცი. პედაგოგი, დიპლომატი, მეცნიერი და პოეტი. კეთილი ორგანიზატორი, უზნებობასთან მეზობლი, რაინდი, ინტელიგენტი, თაობების აღმზრდელი. სანაქებო თამადა და საარაკო საქმეთ მქმნელი.

კაკრიაშვილი ნაპო (გიორგი) დავითის ძე
დაბადების ადგილი – უშგული – ზემო სვანეთი. 1945 წ. 14 მაისი
განათლება – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი – ფილოლოგი, საკანდიდატო გამოცდები.

პრომითი საქმიანობა – უშგულის საშ. სკოლის პედაგოგი, დირექტორი (1969-76 წ.წ.), განათლების სამინისტროს მასწავლებელთა ატესტაციის მეთოდისტი, კოლეჯის დირექტორი, პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის ლექტორი, კათედრის გამგე (1993-2002 წ.წ.). განათლების სამინისტროს საშუალო განათლების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი; საგაზეთო სტატიების, წიგნების ავტორი.

ცხოვრების მიზანი: ლირსეული პიროვნების იდეალიზაცია.

ზოჩა ლადელი
მკითხველო!

„გარემოებით გალაღებულო,
თუ ცხოვრებისგან დაბრძენებულო.
ვახსოვდეს რომ ხარ ადამიანი
და კიდევ ბევრი უნდა ისწავლო!“

ყოველ ნორმალურ პიროვნებას სამშობლოს წინაშე აკისრია მოვალეობა და აქვს გარკვეული უფლებები. პიროვნების მიერ მოვალეობა სრულდება მონოდებისა და შესაძლებლობის ფარგლებში. ამ წიგნის დაწერით და შედგენით ვიხდი მოკრძალებულ ვალს, რომელიც ცოტა დაგვიანებულა, მაგრამ როგორც ამბობენ „სჯობს გვიან ვიდრე არასდროს“.

დროთა განმავლობაში მოაზროვნე-შემოქმედ პიროვნებაში გროვდება ცოდნის რაღაც მარაგი, ვნერ რათა ვალი მოვიხადო და განვითვიროთ დაგროვილი აზრებისაგან. ვიყენებ ხელმისაწვდომ ისტორიულ წერილობით წყაროებს, მეცნიერ-მკვლევართა ნაშრომებს, ზეპირსიტყვიერ ნაამბობს, ვალაგებ ისე, როგორც ჩემს გონებას გადაუშუშავებია, ალუდგენია პირვანდელი სახე და როგორც მიუჩნევია ჭეშმარიტად:

„შენ რომ გეგონა მთლად არც ისეა,
სხვას რომ ეგონა არც ისე.
ჭეშმარიტება ღმერთის სახეა,
ჩვენ რომ გეგონია მთლად არც ისეა.“
(მე ასე მგონია, ჭეშმარიტება ღმერთმა უწყის)

წარსულის ყოველგვარი ღირებულება ხელოვნების რომელი დარგიც არ უნდა იყოს ხალხის მიერ შექმნილი ფიზიკური სახის ძეგლებში და სულიერ საუნჯეშია შენახული, იქნე-

ბა ის ხალხური ტრადიციები, ზეპირსიტყვიერება, მუსიკა, ხუროთმოძღვრება, ფერწერა თუ სხვა. და მის მეშვეობით გადადის პოეტ-მწერალთა შემოქმედებაში.

უშგულის ხევი – თავისუფალი სვანეთისა და ერთიანი საქართველოს თეთრი ქუდი ქველაქის ტიპის სოფელი, ციხე-სიმაგრე ჩრდილოეთის საზღვარზე. გაჭირვების უამს ქართველ-მეფე-დიდებულთა და ქართული სინმინდების სავანე-თავშესაფარი.

აქედან, 2200 მეტრის სიმაღლიდან გადაჰყურებს და მფარველობს საქართველოს „ლამარია“; უფალი-მაცხოვარი, წმ. „ჯგრაგი“ და წმ. „ბარბაე“. აქედანვე ევროპაში ყველაზე მაღალი დასახლებიდან 2500 მეტრიდან იცავს ქვეყანას წმ. თამარ მეფის ციხე-სიმაგრეები: „ლენკვერ“, „სუფარ“, „ჯიპვი მუყვამ“.

უშგული ხუროთმოძღვრების ცოცხალი მუზეუმი ღია ცის ქვეშ. ბუნების სილამაზის, ადამიანთა ღირსების, რაინდული შემართებისა და მანდილოსანთა კდემამოსილების სიმბოლო. აქ ხომ სხვა სამყაროა, ყველაფერს სიძველის ფერ-სუნი ახდის. აქ შხარის კლდე-უხვანებში ნავარდობს მონადირის ქალ-ღვთაება „დალი“, მიუძღვის ჯიხვთა არვეს, სჯის ნადირობის წესების დამრღვევთ. ადამიანებს უტოვებს ამოსახსნელად ლეგენდებსა და თქმულებებს. აქ ნისლიან უდაბურ ტყეებსა და ხევეებში დაძვრება აესული დევიც.

უშგული მდიდარია: მყინვარ-მწვერვალებით, მდინარე-ნაკადულებით, ჩანჩქერ-მორელებით, წყარო-საგემებით, საყდარ-ხატობებით, ზღაპრებითა და ლეგენდებით.

უშგულში უძველესი დროის მონაცემები, წარმართულიც კი, დანაშრეების სახით არის დარჩენილი რელიგიურსა და ყოფით ტრადიციებში, წეს-ჩვეულებებში, ფოლკლორში, მითებში, ზღაპრებსა თუ თქმულება-გადმოცემებში. ზეპირსიტყვიერი ეპოსი რეალურ ამბებს ინახავს მეტ-ნაკლები სიზუსტით.

ერთი სიტყვით: უშგული ესაა ღვთიანი გმირული წარსული, სამწუხაროდ, სავალალო ახლანდელი რეალობა, ბუნდოვანი მომავალი ... და მაინც ღვთის წყალობის იმედი...!!!

ღმერთმა ქნას, უშგული აღდგეს თავისი შენობა-ნაგებობით და გაივსოს სოფელი წიგნის წამკითხველით (ლელრთიანიდ), მაგრამ თუ კი უშგული განწირულია გასაქრობად, რისი საშიშროებაც, სამწუხაროდ, არის, მაშინ ამ წიგნით მაინც უკვდავი იქნება მისი სახელი.

მკითხველს!

მკითხველო, ამ წიგნს ხელში აიღებ
წაიკითხავ და ბევრსაც გაიგებ,
მეც მომიგონებ, მოგენატრები,
და თუ არ მიცნობ მოგელანდები.
– მე თავად გავხედი თამადა
წინაპართ დროთა დარადა!
მე გავაცოცხლე წარსული
ისტორიკოსთა დარადა.
წაიკითხე და გაიგებ
რა გეკისრება ვალადა!

**1. სვანეთის მოკლე ისტორიული მიმოხილვა, სვანთა
(სანიგთა) სამეფო-სამთავრო-საერისთაო**

უმკვლეს ისტორიისა და დღევანდელობის განხილვა მთლიანად სვანეთის გარეშე ისეა, როგორც სვანეთისა მთლიანი საქართველოს გარეშე. როგორც ისტორიიდან ვიცით ქართველთა წარმოშობის ფესვები ღრმა წარსულში იკარგება. დაზუსტებით არავინ იცის ვის ენათესავებიან ისინი-შუმერებს, ხეთებს, ეტრუსკებს, ბასკებს, თუ სხვას. მისი სახელწოდებაც დროთა განმავლობაში იცვლებოდა სხვადასხვა რეგიონების დანიშაურების ფონზეც (იბერია, დიაოხი, ტაო-კლარჯეთი, კოლხა, აფხაზეთი, ქართლ-კახეთი, ამერნი, იმერნი) და სამეფოც ამ დანიშაურებულთა სახელს ატარებდა ხოლმე. ასევე იცვლებოდა სვანთა წინაპრების, სვანეთის ტერიტორიული განთავსება და სახელწოდებაც: აბასხი, სონა, შონი, შუანა, წანარ, შოან(სტრ), სანიგ, ებზე, (ყარაჩ. ბაღყ.) მოსხი, მოსინიკი, მისიმიანი, შანარ//ჭანარ, ლაშენა//ლაზანა, ჰენიოხი თუ სხვა.

სანამ სვანთა წინაპრების ტერიტორიულ გადაადგილებას განვიხილავდეთ მანამ უნდა აღინიშნოს ენათა ნათესაობის შესახებ. როგორც ცნობილია, ამა თუ იმ ხალხის წარმოშობის დასადგენად ყველაზე სანდო მასალაა ენა. ენათმეცნიერები ენებს შორის შედარების საფუძველზე ადვილად ადგენენ ნათესაობასა და კავშირებს (გრამატიკული წყობა, კლასიკატეგორია, ლექსიკა, ბგერათა შენაწივრობა). ამის მიხედვით შედგენილია მოსოფლიო მონათესავე ენათა ოჯახები, ქართული არც ერთ ოჯახს არ ენათესავება, ის ცალკე ქმნის ეგრეთ ნოდებულ იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს, რომელშიც შედის ოთხი ჯგუფი: ქართველური (ზან//ჭან-ლაზ//სვან), აფხაზურ-ადიღურის, დაღესტანური, ჩეჩნურ-ინგუშური ენები. როგორც ქართველი მწიგნობარი იოვანე ზოსიმე X საუკუნეში წერდა: «ყოველივე საიდუმლო მას ენასა შინა დამახულ არს.» აქედან გამომდინარე ჩვენთვის ამ შემთხვევაში საინტერესოა სვანური ენა, როგორც ქართული ფუძე ენისაგან დროთა განმავლობაში გამოყოფილი და სვანურ ენის უმკვლური კილოცაი.

ქართული ფუძე ენისაგან სვანური ენის გამოყოფას მეცნიერთა მანილი ვარაუდობს ძვ. წ. აღრიცხვის X საუკუნეში, ხოლო ცოტა მოგვიანებით VIII საუკუნეში ჭანურ-ლაზურ-მეგრულის, რაც უმართებულო უნდა იყოს. რადგან ეწინააღმდეგება სამხრეთიდან ხალხთა გადაადგილების დროს, ამასთან ცნობილია, რომ ენა არ იყოფა ერთბაშად, თუნდაც ტერიტორიულად გაიხილჩოს, მისი დაყოფა ხდება თანდათანობით-კილოკავებად, კილო//დიალექტებად, შემდეგ ცალკე ენებად, ზოგი სამწერლოდ, ზოგი უმწერლობად. ასეთი თანდათანობითი გზა აქვს ვაგლილი ქართული ფუძე ენის განშტოებდნენ-ჭანურ-ლაზურ-მეგრულ-სვანურ ენა-დიალექტების, ამის დამადასტურებელია - გრამატიკული წყობა, ლექსიკური მარაგი, ზეპირსიტყვიერი ფოლკლორი და სხვა. მაგრამ ეს პროცესი არ არის იმ დონემდე მისული, რომ სამწერლო-სალიტერატურო ენები შექმნილიყო. შეიძლება ითქვას ეს თითქმის დიალექტების დონეზეა. ზოგი ენათმეცნიერი ხელოვნურად აბუნდოვნებს და ქმნის რაღაც ფანტაზიებს, ამაში განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს რუსებმა დამპყრობლური პოლიტიკით შეპყრობილმა პოლკოვნიკ-მეცნიერებმა, მათ აწყობდათ - გათიშე და იბატონეს პოლიტიკა. ამ მიზნით სვანურ, მეგრული ენების სახელმძღვანელოების შედგენაც კი სცადეს.

მეცნიერთა მოსაზრებით კავკასიელები და მათ შორის ქართველთა წინაპრები დღევანდელ ტერიტორიაზე მოსული არიან სამხრეთიდან. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით ძვ. წ. აღრიცხვის XI საუკუნიდან მოყოლებული მუსკები, ტაბალები, კასკები, რომლებიც მესხთა, იბერთა და კოლხთა წინაპარი ქართული ტომები იყვნენ უკვე პოლიტიკურ ასპარეზზე ჩანან და ხშირად ძლევამოსილ ბრძოლას აწარმოებდნენ ასურელების წინააღმდეგ. IX საუკუნეში მათ ასურელები იპყრობენ. ამას დაერთო VII საუკუნეში მცირე აზიაში კიმერიელთა შემოსევა, რამაც დაამხო და ბოლო მოუღო დამპყრობსაც და დაპყრობილსაც. ამ დროიდან მოყოლებული მუსკების, ტაბალების, კასკების სახელი მცირე აზიაში ქრება და ქართველთა წინაპრების ასპარეზი ამიერ კავკასიით, შავი ზღვის სამხრეთ აღმოსავლეთი სანაპიროთი განისაზღვრება. ასეთივე ვარაუდია გამოთქმული შუმერების, ხეთებისა და ქალდეველების შესახებ.

ზოგიერთ მეცნიერ-მკვლევართა აზრით თუ მტკიცებულებებით იბერ-კოლხთა ქვეყანა შავი ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე და აღმოსავლეთით კასპიის ზღვამდე ძვ. წ. აღრიცხვის XV საუკუნეშიც არსებობდა.

ჩვენი აზრით, ქართველთა წინაპრები სხვადასხვა დროს ფართოდ მოსდებიან ხმელთაშუა ზღვისპირეთის წინა აზიის, კავკასიის ტერიტორიებს და აუთენსიკობით დაუსახლებელი ადგილები, რის შედეგადაც მომხდარა წინაზე – ენის და დამწერლობის (შუმერულის თუ აკადმის ქართულის) დაძვლა (დიფერენციაცია), ხოლო შემდგომ კავკასიაში ზოგი მათგანის ისევ გავრთიანება (ინტეგრაცია) – იბერია-კოლხეთი-სვანეთი = საქართველოს სახით.

მეცნიერთა აზრით, სამხრეთიდან წამოსული სვან-ზან-ლაზთა წინაპრები (მოშენები) ძვ. წ. აღრიცხვით VII-VI სს. დღევანდელი სომხეთის ტერიტორიაზე არაქსის ხეობაში აღბანელთა მეზობლად დასახლებულან, ხოლო მეორე ნაწილი მტკვრის ხეობისაკენ წამოსულა (ქართულთა).

სამხრეთში სხვადასხვა დამპყრობთა შერევის შედეგად წარმოშობილ სომხურ ტომებს, თესალიურ შაიკთა და არმენიკებს, რომლებმაც ჩრდილოეთისაკენ წამოიწიეს დღევანდელ სომხეთის ტერიტორიაზე დახვედრით ხალხი მუსხებად წოდებული. მოხდა ამ ხალხის განდევნა, ზოგის მათში შერევა. ამ ადგილებიდან განდევნილი და შერეული კვალს ტოვებენ გეოგრაფიულ სახელებში, ტოპონიმებში და გვარ-სახელების წარმოშობაში. რაც ზოგ შემატინანე-ისტორიკოსს ძველსაც და ახალსაც აბნევს და სვანურ-ზანური კვალი სომხურ ენად ეჩვენებათ. ამიტომ წერდა ნ. მარი – სვანურში უნდა ვეძიოთ ყველაზე უპირველესად სომხეთის ლეონსული წარმოშობის ახსნა. XI საუკუნის ისტორიკოსი ლეონტი მროველი მეცდომით ამბობს „იყო ენა სომხური საქართველოსა შინა“ და ხაზართა, სპარსთა, თურქთა, ებრაელთა ენების შერევისაგან წარმოიშვა ენა ქართული“-ო. ამ მცდარ აზრს ვახუმტი ბატონიშვილიც იმეორებს (XVII ს.). რეალობა შემდეგშია – არაქსის ხეობიდან განდევნილი სვან-ზანთა წინაპრები IV საუკუნეში დაშვიდრებულან შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროებზე და იქიდან III-III საუკუნეებში (ძვ. წ.) სვანთა წინაპრები სკვითების შემოსევის შემდეგ დასახლებულან – ენგურის, კოდორის (დალის) ცხენისწყლის ხეობებში, ლეონტი მროველი ამბობს, რომ ფარნავაზმა (პირველმა ქართველმა მეფემ) მისცა ქუჯის ქვეყანა „ეგრისის წყალსა და რიონს შუა, ზღვითგან მთადმდე, რომელსა შინა არს ეგრისი და სვანეთი“-ო (ცხოვრება მეფეთა, 128, გვ. 20). ე. ი. ენგურის სათავეებში ძვ. წ. აღრიცხვით II-I სს-ში სვანები პირველ ქართველ მეფეს ფარნავაზს ექვემდებარებოდნენ.

ბერძენი ისტორიკოსი სტრაბონი წერდა – სვანები ძლიერმოხილი ხალხია და ვგონებ, ქვეყნად ყველაზე უფრო მამაცანი და შუუპოვარი არიან. ყველა მეზობელ ხალხს განაგებენ, მყავთ ბასილევსი და 300 კაცისაგან შემდგარი საბჭო და ამბობენ, კერებენ ლაშქარს 200 000 კაცის რაოდენობით, მთელი ხალხი მეომარია (ს. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957, გვ. 126).

I საუკუნეში, ქრისტეს აღდგომის შემდეგ მოციქულები ანდრია, სიმონ კანანელი, მატათა და მონაშენები აღწევენ სვანეთს – რომელსაც დიდი ქალბატონი მართავდა, რომელიც იღებს მატათას და სხვა მონაშენებს.

II საუკუნეში ბერძენი მემატინის ფლაბიოს არიანეს ცნობით – შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე იყო ჯერ ლაზთა სამეფო, ჩრდილოეთით აფშილების, უფრო ჩრდილოეთით აფხაზთა, ამაზე უფრო ზევით სანიგების სამეფო მდებარეობდა. სანიგთა მეფე ყოფილა სპადაგი, ლაზთა-მალასი, აფშილთა-იულონი, აფხაზთა რისმაგი. ყველანი რომის კეისრისაგან ინიშნებოდნენ (ივ. ჯავახიშვილი. ტ. I. გვ. 213).

I-III საუკუნეებში ბერძენ მემატინათა ცნობები სვანთა სიძლიერეზე და 200 000 მეომრის გამოყვანაზე ჭეშმარიტებასთან ახლოს ჩანს, რადგან სამეფოს საზღვრები ფართე ყოფილა, როგორც სამხრეთით და ჩრდილო-დასავლეთით, ისე აღმოსავლეთით. ამასვე ადასტურებს ლეონტი მროველის ცნობაც-ჩრდილოეთით ეგრისს სვანეთი ეკრა „დიდოეთითგან ვიდრე ეგრისადმდე... არს სვანეთი“-ო (ცხოვრება მეფეთა, 133, გვ. 23). როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს თამარ მეფის დროს დიდონი ფხოველთა მეზობლები ყოფილან, როგორც ჩანს, დასავლეთის მხრივ რანაირად შეიძლება სვანეთი პირდაპირ დიდთა მოსაზღვრე ყოფილიყო? – ლეონტი მროველის ცნობა რომელიც ძველი საისტორიო წყაროსაგან უნდა იყოს ამოღებული და ქართველ ტომთა მოსახლეობის ვგონებ ძველისძველ მდგომარეობას გვისურათებს. სვანებს უეჭველია ახლანდელზე მეტი მიწა-წყალი უნდა სჭეროდათ და მრავალი სხვა საბუთებიც სვანეთსა და კახეთს ერთმანეთს უახლოებს და მოსახლეობის ამ ვითარებას გვიხატავს ლეონტი მროველის ეს ძვირფასი ცნობა, მაგრამ რა საზღვრები ჰქონდა სვანეთს VIII-XII სს-ში სამწუხაროდ არ ჩანს (ივ. ჯავახიშვილი. ტ. II. გვ. 50-51).

ძვ. წ. III საუკუნეში სკვითები შემოსიენ დასავლეთ საქართველოს და ანადგურებენ ყველას და ყველაფერს. შემდგომ რომაელები და ბიზანტიის იმპერია (VI-VII სს.). ბიზანტიელი მემა-

ტიანეები აღწერენ ბიზანტიის იმპერიისა და სპარსეთის ბრძოლას ლაზიკისათვის V-VI სს-ში და სვანებსაც ახსენებენ – სოანები მათი სიტყვით დიოსკურიის მახლობლად ცხოვრობდნენ და კავკასიის ზემო მხარეს იკავებდნენ, ეს ძლიერი და მომხარი ხალხია, ჰყავთ თავისი მეფე და ჯარს შეეძლოთ 200 000-მდე მომხარი გამოეყვანათ. ისინი ისრებს სანამლაგით ლებადენენ, მათ ჰქონდათ ოქროს მოსაპოვებელი მდინარეები. ოქროს ცხერისა და სხვა ცხოველების ტყავებით აგროვებდნენ, სვანეთის უფროსი კოლხეთის უფროსიც იყო. სვანები მიემხრნენ სპარსელებს ბიზანტიელების წინააღმდეგ.

555 წელს ბიზანტიელებმა სპარსეთის დამარცხების შემდეგ მისიმიელთა დასასჯელად გაილაშქრეს – მათი მხედრობა დაბანაკდა აფშილებისა და მისიმიელთა ქვეყნის საზღვრებზე მდებარე ციხე ნებულდამი (ნიბელიოს), ბიზანტიელებმა მისიმიელთა ქვეყანა გაანადგურეს, ვინც ცოცხალი გადარჩა გაიხიზნა.

563 წელს ბიზანტია და სპარსეთი დაზავდნენ, ლაზიკა ბიზანტიას დარჩა, საცილობელი სვანეთი ვახდა. სვანეთი ამ დროს ლაზიკის სამეფოში შედიოდა, თუმცა თეოდოსი კეისრისა და ურანეს დროიდან სვანეთის მთავარს ლაზიკის მეფე ნიშნავდა. 614 წელს ბიზანტიის კეისარი ჰერელექ შემოიჭრა საქართველოსა და სომხეთში, მოელაპარაკა ხაზარებს ჯიბლუ ხაკანის მეთაურობით და საქართველოც დაიკავა.

ამ საუკუნეების ბრძოლებმა, როგორც ჩანს, სვანეთზე სერიოზული გავლენა იქონია, რის გამოც მეფობა გაუქმებულია და ფუნქციონირებს – მთავარი, შემდეგ – ერისთავთ-ერისთავი ან ერისთავი.

გიორგი II-ის დროს და თამარის დროსაც საქართველოში შემდეგი საერისთავოები იყო: სვანთა ერისთავთ-ერისთავი, რაჭის ერისთავი, ცხუმის, ოდიშის, ქართლის, კახეთის, შერეთის და სამცხის (ისტ. აზმ. 692, გვ. 410-411).

როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს – დიდ ქვეყნებში სათავეში იდგა ერისთავთ-ერისთავი და მცირეში ერისთავი, ასევე საგამგეო ერთეულ „ხევის“ უფროსად „ხევისუფალი“ ითვლებოდა (ივ. ჯავახ. ტ. VI. გვ. 185). სვანეთის ერისთავებად დასახელებულნი არიან: ივანე, კახაბერ, ზეიად, ბარამ, ვარდან, ჯინჯიხ, მეშქენ, მარუშიან. X საუკუნეში იოვანე მარუშიძე საქართველოს გაერთიანებისაკენ მოუწოდებს დავით კურაპალატს, ურჩევს უსინათლო თეოდოსის მეფობიდან გადაყენებას და ბაგრატ II-ის გამეფებას, რომელიც ქართველთა მეფის გურგენ III-ის შვილი იყო და დედით აფხაზეთის მეფის შვილი.

თამარის მამის გიორგი III-ის დროს სვანები მონაწილეობდნენ შანშე დადიანის ჯარში და აიღეს სომხეთის ქალაქი ანისი.

გიორგი III რომ გარდაიცვალა, შემყრელთა, დიდებულთა შვიდთავე ამის სამეფოსათა თამარს მოახსენეს და სათხოვეს საქართველოს სახელმწიფო ტახტი დაეპყრო. ისიც მორჩილებდა პირველსავე ბრძანებად დიდებულთა შვიდთავე სამეფოსა“ და სამეფო ტახტზე დაბრძანდა (ცხ. მეფ. გვ. 223). საქართველოში შვიდი ბედნიერი რიცხვი იყო. თამარისათვის ხმლის გადაცემის უფლება სამ დიდგვაროვან აზნაურთა საგვარეულოს მოხელე-წევრების ხელში ყოფილა: მათგანი ბარამ ვარდანძე სვანთა ერისთავად იყო, კახაბერ ვარდანისძეს მეჭურჭლეთ-უხუცესის თანამდებობა ჰქონდა, სალირიძეთაგან – ანტონი ქუთათელი მთავარეპისკოპოსი იყო, აშუნელისძეს კიდევ ცხუმის ერისთავობა ეპყრა (ისტ. აზმ. 621-2, გვ. 410).

აი როგორი იყო სამეფო სახლი თამარ მეფის დროს: „- შვიდასავე სამეფოსა დიდებულთა ბრძანა და მტკიცებად ჭყონდიდლად, მწიგნობართ-უხუცესლად და ეპიზორად გაზრდილივე მამისა მათისა მეფეთ მეფის ანტონი გლონისთავაძე, კაცი ბრძენი და გონიერი, პატრონისათვის სვიანი, ერთგული და შემცნებელი საურაეთა და განაჩინა ამირსპარსალარად სარგის მხარგრძელი, კაცი გვარაინი და აღზრდილი ლაშქრობისა შინა და უბოძა ლორე სათავადო სომხთისა შინა და განაჩინა და უბოძა ჭიბერს მანდატურთ-უხუცესობა და უბოძა არგანი ოქროსა ხელთა მისთა და შთააცვეს საფარმანი ტანას მათსა და დასვეს ხელებითა ოქრო-მყედლითა, რომელიც მარჯვენი მისისა და რომელიც მარცხენით. და კვლავად უბოძა მეჭურჭლეთ-უხუცესობა დიდსა და გვარაინსა კაცსა კახაბერსა ვარდანის-ძესა. და მსახურთ-უხუცესობა ვარდან დადიანსა. და ჩუხჩარეხილობა მარუშიანსა, ძესა ჩუხჩარეხისისა და უბოძა ამილახვრობა გამრეკელსა თორელსა (ისტ. აზმ. 632. გვ. 410).

თამარ მეფეს აჰყავს პირველი ვეზირის და ჭყონდიდელის ხარისხში სვანი გელოვანი, რომელიც გარეჯში ბერად იყო.



სევანთა ერისთავთ-ერისთავის მეჭურჭლეთ-უხუცესის და პროტოსტატორის იოვანე ვარ-
დანისძის მიმართა ნმ. გიორგისადმი: „ამით ხატითა მიგვენდო შენ ქველმან და მკნემან“ (ი. თა-
ყაიშვილი, 1937, გვ. 83).

ცნობილია, რომ XI საუკუნიდან XIV საუკუნამდე ერისთავთ-ერისთავები და ერისთავები იყ-
ვნენ ვარდანიძეები, ხოლო მათ შემდეგ XV საუკუნემდე გელოვანები.

დავით აღმაშენებლის მამის გიორგი II-ის დროს (1073 წ.) სევანეთის ერისთავი ვარდანი გა-
დაუდგა მეფეს და დაარბიეს საეგრო. მეფემ მათ შესაჩერებლად ასკალანი მისცა.

როგორც ცნობილია, თამარ მეფის წინააღმდეგ აჯანყებაში ვარდანი დადიანმა პატრონმა
ორბეთისა და კაენისა, ლიხთ იქით ნიკოფსიამდის უცილობელი მქონებელი (ივ. ჯავახ. ტ. II, 443).
ამ საქმისათვის მიიძხრო, ყოველი სევანეთი, აფხაზეთი, საეგრო, გურია, სამოქალაქო, რაჭა, თაქ-
ვერი, არგვეთი. თამარმა დაამარცხა აჯანყებულები, აჯანყებულთა უმეტესობამ მოინანია და
მათ შორის სევანეთმაც და დატყვევებული გიორგი რუსი მოპკვარეს თამარს – „გარდამოვიდეს
სევანი დიდებულნი და მოკვეენი და გარდმოიტანეს რუსი მეფე-ყოფილი“ (ისტ. აზმ. 55ბ, გვ.
443). ამასთან დაკავშირებით ამ წიგნში არის ლეგენდა 100 წლის წინ ჩანერილი იმის შესახებ თუ
როგორ შეიპყრეს უმჯობესებმა ჩრდილო კავკასიაში მიმავალი გიორგი რუსი და მოუყვანეს თა-
მარს. თამარმა შეინყალა და გაუშვა. აჯანყებულთაგან თამარმა შეინყალა ზაქარია ვარდანიძე
და უბოძა ვაგი ქურდ ვაჭართა განძამდის მრავლითა საკუთართა და მრავლითა სანახევრითა
ქალაქებითა, ციხეებითა და სოფლებითა (ისტ. აზმ. 655. გვ. 44).

სომეხი ისტორიკოსის განძაკეცის ცნობით – მონღოლთა შემოსევის დროს რუსუდანი თა-
ვისი შვილით (დავით ნარინი) თავს აფარებს სევანეთში. სადაც მასთან მიდიან მოსალაპარაკებ-
ლად მონღოლთა მოციქულები. მონღოლები თავზედობისათვის სუფრაზე თითო კაცის მიჩენით,
დათქმულ ნიშანზე მახვილის დარტყმით ამოუხოცავეთ. რუსუდანი მონღოლებთან არ გამოცხა-
დებულა და თავი მოუწამლავს. მონღოლებში რუსუდანის შვილს ნარინი (უმცროსი) უწოდეს,
ლასას შვილს ულუ (უფროსი) და ორივე გაამეფეს. შემდგომში ნარინი დასავლეთში – სევანეთში,
ულუ აღმოსავლეთში თბილისში ქართველთა (ცხ. სომხ. თარგმანი თბ. 1953. გვ. 67).

რუსუდანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით სხვადასხვა ცნობებია, ი. ჯავახიშვილის
ცნობით თბილისში გარდაიცვალა, სომეხი ისტორიკოსის ცნობით – სევანეთში. სევანთა მეფედ
ჰყავს მოხსენებული დავით ნარინი სტეფანოს ორბელიანსაც. თუ კი ეს უმჯობესი გარდაიცვალა
სავარაუდოა თამარზე არსებული გადმოცემა უმჯობესი ლამარითა დაკრძალვის შესახებ – რუ-
სუდანზე იყოს.

დ. ბაქრაძისა და ე. თაყაიშვილის აზრით ლეხეურის ძველი ტაძრის წარწერაში მოხსენებუ-
ლი მარუშიან ვარდანიძე იყო თამარ მეფის დროს (ე. თაყ. არქ. ექსკ. გვ. 18). მარუშიანის შემოწი-
რულად მიაჩნიათ ხატი უმჯობესის „ლამარია“-ში წარწერით: წმიდაო მაცხოვარო გო მებ ექმენ მარ-
უშიანსა და ძესა მისა“ (ხახანაშვილი, სევანეთის ხელნაწერები და სახარებები გვ. 361). ასევე მა-
რუშიანის შემოწიწილია ხატი, რომელიც ნაკიფარის წმ. გიორგის ეკლესიაში ინახება წარწე-
რით: „წმ-ო გიორგი იფარისა ჩემგან მარუშის მიერ სალოცავად და სახსრად სულისა დღესა გან-
კითხვისასა ჩემითა ოქროთა და ვერცხლითა ხელითა ომან ოქროსმჭედლისათა“ (ე. სილოგავა II.
გვ. 44). „მოიხატა წმ. ეკლესია მუხავეთის კელითა, ზვიადისა სევანთა ერისთავისა, მამასახლი-
სობასა პაიშისა“.

დ. ბაქრაძის აზრით გურიელები და დადიანები ვარდანიძეების გვარეულობიდან უნდა მომ-
დინარეობდნენ (დ. ბაქრაძე, არქ. მოგზ. აჭარ. გვ. 264). ასევე, ვარდანიძეების ნაშვირად მოაჩნია
აფხაზი ემხარები კ. გამსახურდიას (მთვარის მოტაცება).

როგორც ცნობილია, XIV საუკუნეში ვარდანიძე მეფე ბაგრატ V-ის წინააღმდეგ გამოვიდა
და ქუთაისი აიღო. ამის შემდეგ მეფემ ილაშქრა სევანეთში, ვარდანიძე გადააყენა და გურიის
ერისთავად გაამწესა, ხოლო სევანეთის ერისთავად დაუნიშნავს გელოვანი (ვახუშტი საქ. გეოგ.
გვ. 326). ე. ი. გელოვანები სევანეთის ერისთავები ხდებიან XIV საუკუნის დამლევეს. გელოვანებს
ეკუთვნოდა ანტონ ჭყონდიდელი, რომელიც თამარ მეფის დროს ცხოვრობდა. ლატალის საზო-
გადოებაში არის მყოფი „გელი“. მიუბოძა სასისხლო სივყის სევანის ერისთავს აბესალომ გელუანს
(1463-1478. სევან. საბ. 170). XV საუკუნეში მომხდარა გელოვანების განდევნა ბალსქვემო სევანე-
თის 4 საზოგადოებიდან და იქ რუჩეგიანები//რიჩეგიანები გაბატონებულან. ეგ. გაბლიანის
ტყმით, გელოვანების შესახებ ყოფილა თქმულება – თითქოს ერთ-ერთ მეფემ სრულად გაანყვე-
ტინა ისინი, შემთხვევით მახარობლიძეებთან მყოფი ჩვილი ბავშვი გადარჩენილა, რომელიც ყი-



ფიანებს გაუზრდიათ და შემდგომ იქიდან ისევ გამრავლებულან. შემდგომში რუჩეგიანებს ანადგურებენ დადეშქელიანები და გაბატონებულან ბალსქვემო სვანეთის ოთხ საზოგადოებაში.

ამ პერიოდს ემთხვევა ერთი საყურადღებო ცნობა:

„წმ. მთავარანგელოზო, იყავ შუამავალი და მფარველი დადიანის, გურიელის, სვანეთის ერისთავის. მანდატურთ უხუცესის შამან-დავლეს, დაფარავს ღმერთი (ცხუმარი). ეს წარწერა 1858 წ. ამოუკითხავს დ. ბაქრაძეს. მასზე ადრე ყურადღება მიუქცევია მ. ბროსეს. ეს იყო შამან-დავლე I-ის მეფობა სვანეთში. 1470-1474 წწ. დაკრძალულია ხობის მონასტერში.“

ჩვენი აზრით, ამ შამან-დავლეს გამეფება და გელოვანების განადგურება ემთხვევა ერთმანეთს. შამან-დავლე მეორე წარწერაში ილორის ჯვარზე ასახელებს თავის-თავს მხოლოდ დადიან გურიელად და არა სვანეთის ერისთავად და მანდატურთ უხუცესად.

ამავე პერიოდში ხდება ზემო სვანეთის ბალსქვემო ნაწილში დადეშქელიანების (დადეშქელოვანების) ისევე გაბატონება. შესაძლოა ამასვე უკავშირდებოდეს მოგვიანებით ვამეხ III, ლევან II-ის შვილის მოკვლა სვანეთში 1660-1661 წწ. (დ. ბაქრაძე. სვანეთი. გვ. 73).

გადმოცემით დადეშქელიანის გვარი სვანეთის უკანასკნელი ერისთავის დადამ გელოვანის სახელისა და გვარის შეერთებით შესდგაო (გაბლიანი, ძვ. და ახ. სვანეთი, გვ. 63). ზემოთ მოყვანილი თქმულება-გადმოცემა სარწმუნოა, როგორც ჩანს, გელოვანებმა ისევ დაიბრუნეს ძალაუფლება ბალსქვემო სვანეთში, ხოლო მოგვიანებით ქვემო სვანეთშიც. XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, ვახუშტი ბატონიშვილის დროს გელოვანები სვანეთის 11 საზოგადოებაში ჯერ კიდევ ეკავათ ხელისუფლება, შემდგომ მოხდა მათი განდევნა ცხენისწყლის ხეობაში – ქვემო სვანეთში სადაც, როგორც მემატინე აღნიშნავს დღემდე იმყოფებიანო. გელოვანებთან დაკავშირებით ევ. გაბლიანი აღნიშნავს – კალას საზოგადოებაში სოფ. ლალხორში არის ქვეტიკრის ორსართულიანი მაღალი სახლი კოშკით, რომელსაც გელოვანების სახლ-კოშკს ეძახიან. ამ ადგილას მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო თავს იყრიდა ზემო და ქვემო სვანეთის დამაკავშირებელი გზები. მე-19 საუკუნეშიც სვანეთის პოლიტიკური საკითხების გარჩევა კალას წმ. კვირიკეს მონასტერში დაფიცებით მთავრდებოდა. ყოველივე ამის გათვალისწინებით შესაძლებელია გელოვანს აქ სიმაგრე აეშენებინა. ევ. გაბლიანს მოყვანილი აქვს თქმულება გელოვანისა და იფარაში მცხოვრებ ქალ-დულმაზზე. დულმაზისათვის გელოვანს ცხრა ვაჟიშვილი დაუხოვავს, შემდგომ ქვემო სვანეთიდან გამოუგზავნია კარისკაცი სახელად თევი დულმაზის ნასაყვანად და დასასჯელად, ამ ქალს კარისკაცი დაუთვრია. ლატიფარის ქედზე მძინარესათვის თავი ნაუცლია ნაჯახით. როგორც ევ. გაბლიანი წერს ეს ამბავი დანერული აღმოჩნდა ერთ პატარა ფიცარზე, რომელიც ინახებოდა კალის წმ. კვირიკეს მონასტერში. წარწერა ნაუკითხავს მღვდელ ფარეიშვილს ამნაირად:

„დულმაზ ლუფეთე, კადა ლმერე, თევი ლუთოლე ლგრალ ლუსკორე“

(დულმაზი ავი, ნაჯახი გალესილი, თევი თავგაჩეხილი, კვერცხები გამწკრივებული). აღსანიშნავია, რომ სულა გელოვანი დასახელებულია უშგულში დაცულ ვერცხლის აზარფემაზე (1605-1639 წ.წ.).

(როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, სვანეთში XI საუკუნეში საეკლესიო წარწერებზე მოიხსენიებიან ერისთავები: ვარდან და ჯინჯხი (ლაბეჭინის ლეთისმშობლის ეკლესიის ჭედური ხატის წარწერა). ამით ვარაუდობენ, რომ სვანეთში შეიძლება ყოფილიყო ორი საერისთავო. ჩვენი აზრით, სვანეთი რამდენიმე საერისთავოსაგან შედგებოდა მაშინ, როცა ჰყავთ ერისთავთ-ერისთავი, სახელწოდებიდან ლოკიკურად გამომდინარეობს ეს.

მეორე ვარაუდით, გაერთიანებული საერისთავოს, ერისთავთ-ერისთავის რეზიდენციას უშგული და უშგულში მდებარე „თამარის ციხე სიმაგრეები“ წარმოადგენდა. ამის საბუთად სახელდება უშგულის ეკლესიაში დღემდე შემონახული საერისთავო ასიგნიები (არგანი). 1910 წელს ე. თაყაიშვილს მუყემერის მაცხოვარში აღმოუჩენია ვერცხლის სკიპტრა-ლახტი და სახელური შემკობილი თავით, ბურთით და ცხოველთა სახეებით (№17368), მისი აზრით ეს ნივთები იყო ემბლემა ერისთავთა.

დოკუმენტური წყაროები იმის შესახებ, რომ სვანეთი ერთ ადმინისტრაციულ ცენტრს შეადგენდა ჯერჯერობით ჩვენამდე არ არის მოღწეული. უშგულის ციხე-სიმაგრეები, რომ საერთო სახელმწიფო „ობიექტები“ იყო ეს ცხადია. იგი ერთ-ერთ ფორპოსტს წარმოადგენდა დასავლეთ საქართველოს მთიანეთში და მას საერთო სახელმწიფო ფუნქციები და დანიშნულება ჰქონია. „ხევ ბედნიერს“ ეძახდნენ ბოლო საუკუნეებში:

- უშგულიდან - თვეთანამდე,
- უშგულიდან - მურის ხიდამდე,
- უშგულა ბუასდ - უშგულის ძალა.

ხოლო უფრო ადრე (X-XVIII სს.) სვანური ნაწერი ხელშეკრულებები თუ სხვა მტკიცებულებანი უკავშირდება უშგულს:

- „დავწერეთ... ჰეემან ერთობილმან უშგულსა და ლალეერს შუა“
- „გიბოძეთ დანერლილი... ჩვენ ჰეემან ერთობილმან ლალეერსა და უშგულს შუა“
- „სვანეთის ხუცეცი შეგიყარა - ზემო უშკულს. ქვემო ლალეერს“
- „დავწერეთ... სრულიად სვანეთისა ჰევისა ვუშკულსა და ლალეერს შუა სამაგრობელი“
- „ლალეერს შემოღმართ და უშკულს ჩამოღმართ“.

მაშინ, როცა თავისუფალი სვანეთის დასავლეთი საზღვარი ბალი ყოფილა, აღმოსავლეთის საზღვრის დასაწყისად ზოგჯერ უშგულის ნაცვლად გვხვდება „ატკვერ“. (უშგულის აღმოსავლეთით ტერიტორია ცხენისწყლის ხეობამდე):

- „დაუნერეთ საგმობელი ჰეემან ატკვერსა და ბელას შვამა“
- „ბელას ზემოცა და ატკვერს ქვემოთცა“
- „დაგრჩომოდეს ბალს ზემოთაცა და ატკვერს ქვემოთაც“
- რამდენიმე ადგილას ნახსენებია სოფელი „ცენა“ (ცაან//ცანა):
- „მოგვიჰსენებია... ცენას იქით... სრულად მთიულეთის თემი“

ადრე ქართულ საბუთებში გვხვდება ტერმინი „ერთობილი საქართველო“ სვანურ ნაწერებში და წარწერებში ეს ტერმინი ხშირია, გამოიყენება, როგორც ერთობილი საქართველო, ისე ერთობილი სვანი//სანნი მაგ:

„მეფენი ბაგრატიონნი და დადიანი და დიდებულნი და ერთობილი საქართველო და ერთობილი სანნი (ლატალის ლაილას წარწერა).“

უშგულის სტრატეგიულ მნიშვნელობას ადასტურებს ოთხი უღელტეხილის თავშეყრა. სვანთა ერისთავთ-ერისთავების ვარდანიძეებისათვის, რომლებიც მეფის მანდატურთუხუცესები იყვნენ, სწორედ უშგულის სიხე-სიმაგრეები ჩანს შესაფერის სარეზიდენციო ადგილად. თუმცა არ იყო აუცილებელი მათი უშგულში მუდმივად ყოფნა და იქიდან სვანეთის მართვა.

უშგულის მდებარეობა საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარზე, სადაც თავს იყრდა მრავალი გადასასვლელი, სრულიად ბუნებრივად ხდის მოსაზრებას, რომ როგორც „თამარის ციხე-სიმაგრე“, ისე არასვანური ტიპის კოშკი აშენებულია საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ, რომელმაც შესაძლებელია მართლაც საჭიროდ ჩათვალა ამ ციხეებში თუშური გარნიზონის ჩაყენება (რ. ხარაძე, აღ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, 1964, გვ. 35).

უშგულის ძველ სახლებს (ციხე-სიმაგრეების გარდა) როგორც წესი, თავისი კოშკი გააჩნდა. ამასთან უშგულს გააჩნდა საერთო სათავდაცვო ნაგებობა, რომელიც ბალსზემთ სვანეთის არც ერთ სხვა ხევს არ ჰქონდა, ამ ნაგებობას ეწოდება აბუას მურყვამ. უშგულის მურყვამთა უმრავლესობას გამოყოფილი ჰქონდა ადგილი - დიღვე, - რომელიც ბალსზემო სვანეთის დანარჩენ კუთხეებში სახლის ქვედა სართულის ქვეშ იყო მოთავსებული.

უშგული გვაძლევს ციხე-სიმაგრის (ციხე-სახლის) სვანეთისათვის ყველაზე დასრულებულ და ტიპურ ფორმას. უშგულის ციხე-სახლის სამხართულიანობა, ციკლოპური წყობა, მისი გაბარიტები და საცხოვრებელი, სამურწნეო და თავდაცვითი ფუნქციების სრული შერწყმა მთური სახლის განვითარებულ ფორმას წარმოადგენს. არა მარტო სვანეთის, არამედ საერთოდ მთური სახლების ტიპოლოგიურ კლასიფიკაციაში უშგულის ციხე-სახლს ძირითადი როლის ადგილი უნდა მიენიჭოს.

უშგულში ფიქსირებულია ორი სხვადასხვა ტიპის კოშკები. ერთი სვანური მურყვამის ძირითადი ნიშნებით ხასიათდება, მეორე ტიპის კოშკი განსხვავდება პირველისაგან, როგორც წყობით, ისე სიმაღლით, მოყვანილობით და განსაკუთრებით, გადახურვის სისტემით და მაშინკულებს ფორმით. მეორე რიგის კოშკები ამ უკანასკნელი ნიშანთვისებებით აღმოსავლეთ კავკასიის მთიანეთში განსაკუთრებით, თუმცა, ხეესურეთში, ინგუშეთში ცნობილ კოშკებს უახლოვდება (რ. ხარაძე, აღ. რობაქიძე სვანეთის სოფ. ძვ. 1964. გვ. 36).

ასე რომ უშგულში საერისთაოს არსებობის ყველა პირობა არსებობდა, ამასთან, X-XII საუკუნეებში წარწერა ვრავიტიებში გარდა ერისთავებისა ნახსენები არიან მამასახლისები და ქორეპისკოპოსები (უშგულის „ლამარაის“ წარწერა და იფარის ხელისფლების, მათი სკიპტრა (ე.



თავადაშვილი 1910-1937 პარიზი გვ. 152). მთავარანგელოზის წარწერა ორივეგან მიქაელის წახე-
ნები XII ს). ცხადია, მამასახლისი საერო პირი იქნებოდა, ხოლო ქორეპისკოპოსი – სასულიერო.

მამასახლისის, როგორც თემის მმართველის, როგორც საერო, ისე სასულიერო ხელისუფა-
ლის არსებობის ყველაზე ძველი დოკუმენტური დადასტურებაა უშგულის „ლამარიის“ გარემუ-
მოსავლების დასავლეთ კედელზე მოთავსებული წარწერა „გიორგი მამასახლისისა“, რომელიც
XI საუკუნით თარიღდება. ზემო სვანეთში მამასახლისობა სხვა წერილობით ძეგლებშიც დას-
ტურდება (სვანეთი II 1979, ვ. სილოგავა, გვ. 121).

უშგულის ხეცს უკონდა თავისი სახალხო საკრებულო, საყრილობო ადგილი, რომელსაც
„ლაღხორ//სვიფ//სუფარ“ ეწოდებოდა. ამ ყრილობას მახვში მართავდა. მახვში (ყრილობა) დია-
ლოგის საშუალებით გადაწყვეტილების მიღების საუკეთესო საშუალება იყო. მმართველობის
ასეთი ფორმა ბევრი კულტურისათვის იყო დამახასიათებელი. ამერიკაში რევოლუციის წინ
ტარდებოდა „ქალაქის შეკრება“, სადაც იხილებოდა პრობლემები, იმართებოდა დიალოგი ალ-
ტერნატიულ საკითხებზე და იღებდნენ გადაწყვეტილებებს.

XV საუკუნის მეორე ნახევრიდან ფაქტიურად ზემო სვანეთი დამოუკიდებელი იყო. ქვემო
სვანეთი იმერეთის სამეფოს ემორჩილებოდა და შემდეგ ლეჩხუმთან ერთად სადადიანო შემად-
გენლობაში შესულა, ზემო სვანეთი 300 წლის განმავლობაში თითქმის დამოუკიდებლად ყოფი-
ლა (დ. ბაქრაძე „სვანეთი“ გვ. 32).

სვანეთში მამაცეცის (მამაცაშვილი) და ჯორჯაძის ბოქაულობის დროს მდივანბეგის სახე-
ლით მონათლული მახვშიები თანდათანობით კარგავენ თავის მნიშვნელობას და 1860 წლიდან
მათი ძალაუფლება გადადის მთავრობის მიერ დანიშნულ მამასახლისის ხელში (ე. ვაბლიანი, თა-
ვისუფალი სვანეთი, თბ. 1927, გვ. 86).

უშგულში სოფლის (უბნის) მმართველობის ერთგვარი ფორმა იყო „ლანყავ“. „ლანყავ“-ში
წყვდებოდა სოფლის შიგნით აღმინისტრირებისა და მეურნეობის სხვადასხვა საქმეები: ხენა-
თესვა, მწყემსობა და სხვა. უშგულში „ლანყავ“-ის ადგილები იყო: მუყემერ (ჰაგრა, ნესგვინ), ჩა-
ფაშ (ჩვიბრი), ჩვიბიანი (ნესგვინ), ჟიბიანი (ნესგვინ). „ლანყავი“ უბნების მიხედვით ეწყობოდა და
ტარდებოდა სოფლის გზა-ჯვარედინებზე, ზოგჯერ რომელიმე სახლის კედლის გასწვრივ ქვებ-
ზე. ეს ყრილობა ყოველდღიურად იხილავდა სოფლის თითოეული წევრის მოქმედებას, აფასებ-
და და აძლევდა სათანადო რჩევა-დარიგებას. სოფლის პირის გამტეხთ აფრთხილებდა და სჯიდა
კიდევ, სასჯელი (პიბარ) გადასახადი იყო, რაც სოფელსვე ხმარდებოდა. ამასთან დამნაშავე პა-
ტიმას ითხოვდა. ლანყავი მთავრდებოდა სიმღერა, ცეკვა-თამაშით.

სვანეთში ტერიტორიულ-მეზობლური გაერთიანებების შესახებ საინტერესოა ცნობილ
მკვლევარ რუსუდან ხარაძის ნარკვევი წერილები. ის აღნიშნავს, რომ ერთობილი სვანეთის ხე-
ში შემავალი სოფლები ერთიანდებოდნენ ხევის კრებით შემდგარი საბჭოთი. საერთო უფლებებ-
ზე დამყარებული კავშირის მიუხედავად, სოფლებს შორის განხეთქილება მაინც იჩენდა თავს,
რაც ეთნოგრაფიულ მასალებთან ერთად წერილობითი საბუთებითაც ვლინდება, ასეთია კალა-
უშგულის შორის დადებული ერთგულებისა და ურთიერთ დახმარების ხელშეკრულება. ხშირად
რამდენიმე სოფელი, ხეივანიანდებოდა და საჭიროების შემთხვევაში შეერთებული ძალით იბ-
რძოდა, ასეთია უშგულის, სეტისა და ლატალის ხელშეკრულება ურთიერთ დახმარების შესახებ.

ყოფილა უფრო მსხვილი გაერთიანებანი ე. წ. უღვირი ლასკარ, რომელიც გაერთიანებუ-
ლი ყოფილა შემდეგი სოფლები//ხეებები: მულახ-მუჟალი, წვირში, იფარი, კალა, უშგული. ამ გა-
ერთიანებას თავისი მახვში უყოლია. სოფელთა შორის ერთგულებისა და ერთობის ფიცი უკონდა
ერთ მიღებული, რაც უმთავრესად გაერთიანებულ ლამქრობას გულისხმობდა. უღვირ ლასკარში
ყველაზე მძლავრ ხევად მულახი ყოფილა მიჩნეული. სხვა სოფლები მოვალენი ყოფილან მის-
თვის „ლთნე“ შეესრულებინათ, ანუ მას პურ-მარილით უნდა დახვედროდნენ. მულახისთვის
„ლთნეს“ გადახდა დაკისრებული უკონიათ: მუჟალს, წვირმის, იფარს, ჰადიშს, კალას, გამონა-
კლის მხოლოდ უშგული წარმოადგენდა, რომელიც საერთოდ განსაკუთრებული დამოკიდებუ-
ლებით სარგებლობდა და ძლიერი სოფლის//ხევის სახელს ატარებდა.

ამრიგად დგინდებოდა სოფლებს შორის ტერიტორიული ერთიანობა (ლასკარ//ლაღ-
ხორ, ლაქრან//სიკვობ) და სოფლის შიგნით ლანყავ, ამ გაერთიანებათა საშუალებით ხორციელ-
დებოდა სახალხო მმართველობის რთული სისტემა. ქვემო სვანეთშიც ლასკარი იცოდნენ გან-
სხვავებული ფუნქციებით, საერთო სახეო გაერთიანების ფორმა იყო ლაღხორ (რ. ხარაძე, მსე,
XII-XIII. 1963. გვ. 387).



უმგულის-აბუსადის სხვა თემებისაგან გამოცალკავება და კარჩაკეტილობა გამონწყვეტილი იყო მის გარშემო არსებული ფეოდალური ურთიერთობისა და „ვარგების“ (თავადი) გრძელყოფის ტივისაგან თავის დასაცავად (რ. ხარაძე, აღ. რიბ. სვ. სოფ. გვ. 18).

გერონტი გასვიანის აზრით სვანეთში რამდენიმე საქორეისკოპოსო შეიძლება ყოფილიყო. ბალსზემო (ცაგერი), ბალსქვემო (ცაიში), ფხოტრერში, ქვემო სვანეთში, „ძულვარიში“ „ქალაქოლო“ აქ უნდა ყოფილიყო სახელოსნო, საეაქრო ცენტრი. ასეთი ცენტრები მსხვილ ეკლესიამონასტრებს ახასიათებდა (გ. გასვიანი, ნარკვევები შუა საუკუნეების სვანეთის ისტ. გვ. 76).

ძულვარიშ-ქალაქოლი თარიღდება ეკლესიის საშუალებით XIV საუკუნით, ამასთან ძულვარიში უმგულისა და ლაშხეთის საზღვარზე იყო, მას შესაკრებ ადგილსაც ეძახდნენ (ლანზოორა).

თამარ დედოფლის სახე უმგულში

უმგულელების გადმოცემით, უმგული თამარ დედოფლის საყვარელი ადგილი ყოფილა. როგორც ეთნოგრაფი ბ. ნიჭარაძე აღნიშნავს – დრო რომელსაც უმგულელები და საერთოდ სვანები თამარობას ეძახიან ყოფილა ბედნიერი ეპოქა. ეკონომიური კეთილდღეობით, ზნეობით, აღმშენებლობით.

თამარის ეპოქას მიაწერენ შესანიშნავი ეკლესიების მშენებლობას.: უმგულის დედა ღვთისა, კალას წმ. კვირიკისა და ივლიტეს ეკლესია-მონასტერი, წმ. გიორგი იფარისა და მესტიისა, მთავარანგელოზი მუჟალისა და წინასწარ მეტყველ იონას (იენაშ) ეკლესია ლატალიში – ყველა ეს ეკლესია ხალხის თქმით თამარ დედოფლისაგან არიან აშენებულნი და შემკულნი ხატ-ჯვრებით და სხვა სამკაულებით.

თამარ მეფეს დედა-ბურღუხანი სვანი-უმგულელი ქალი ჰყავდა. სვანეთში გარდაიცვალა და კოშკში (დასაფლავეს-ო (ნიკო ბერძენიშვილი, ხელნაწერები 1260), სახელი ბერდუხ უმგულში მე-19 საუკუნეშიც ხშირია.

გადმოცემებით თამარი ხშირად დადიოდა სვანეთში. უმგულელები დღესაც დაბეჯითებით უჩვენებენ თავიანთ საზოგადოებაში თამარ დედოფლის საზაფხულო და საზამთრო რეზიდენციებს, რომელთაგან საზამთრო რეზიდენცია გაშენებულია შუა საზოგადოებაში აღმართულ გორაზე. ამ გორის სიგრძე-სიგანე 100 მეტრი იქნება. ირგვლივ შემოზღუდული ყოფილა ქვის გალავნით (ახლა დანგრეულია) გალავანში ჩაშენებული ყოფილა ოთხი კოშკი (ამჟამად ერთია) და ერთი პატარა დღეს გაუქმებული ეკლესია. საზაფხულო რეზიდენციას კი ნამდვილი სტრატეგიული და პოეტური ადგილი უჭირავს. იგი გაშენებულია უმგულის სამხრეთით „ლენკვერის“ მთაზე, რომელსაც სიმაღლე ერთ ვერსზე მეტი ექნება. საზოგადოებას ეს მთა ისე დაჰყურებს, როგორც ცხვირი ტურქებს და ყოველი უბრალო ბილიკიც, რომელიც სხვა სოფლიდან უმგულში შემოდის, ცხადად ჩანს, ასე რომ დღისით უმგულში იდუმალ შემოსვლა შეუძლებელია, თუ კაცი ამ მთიდან დარაჯად სდგას საუცხოო პოეტური სურათი წარმოუდგება კაცის თვალს ამ მთის წვერიდან. ბ. ნიჭარაძის თქმით – უმგულის ეკლესიაში ხალხს უჩვენებენ თამარის ტანისამოსს. ხუთი წლის წინათ ჩვენ ვნახეთ აქ ზანდუკში შენახული ერთი წყვილი ქალის ტანისამოსი, რომელთაგან უკეთ შენახული იყვნენ ყანაოზის პერანგი და წითელი ხავერდის ქათიბი, დანარჩენი სულ დაჩრდილული იყო და დღეს ალბათ ყველა ჩრჩილის მსხვერპლი გახდებოდა. კალაში წმ. კვირიკეს და ივლიტეს ეკლესიაში უჩვენებენ თამარის ნანჩავებს და ქოშებს. თავისუფალ სვანეთში შემორჩენილია ხალხური სიმღერა თამარ დედოფალზე. სიმღერა უფრო ზუსტად შენახული აღმოჩნდა უმგულის საზოგადოებაში. ფერხულში მღერიან მას და ისეთი ახლართულ-ჩახლართული ფეხის ხმარება უნდა, რომ მარტო უმგულელებმა იციან ეს ფერხული (ბ. ნიჭარაძე). ბ. ნიჭარაძეზე უფრო ადრე დ. ბაქრაძე წერს – თამარის ადგილსამყოფელი მინისქვეშეთშია უმგულის ღვთისმშობლის მონასტერი საყდრის ქვეშ, სადაც ზის დიდ ქვევრში და ხელში სანთელი უკავია, გახსნა მისი არ შეიძლება, და თუ კი ეს ოდესმე მოხდა სვანეთს დიდი უბედურება ელოდება (დ. ბაქრაძე, მოგზაურობა „სვანეთი“. გვ. 32).

XVIII საუკუნეში (1745 წ.) მემატიანე ვახუშტი ბატონიშვილი ამბობს: „სვანეთს შიგან არიან კაცნი დიდგვაროვანნი, ახოვანნი, დიდ-მძლედ მუშაკნი, მათათა სიმაგრეთა და ციხეთა შიგან მაგარნი, სიკუდილისა არა მომხსენენი“.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სვანეთის საზღვრები ძველად უფრო ფართე ყოფილა ვიდრე დღეს. ამის ერთ-ერთ დამადასტურებლად მიაჩნიათ გეოგრაფიულ ადგილთა სახელწოდებანი



(ტოპონიმები). ასეთი ტოპონიმები მრავლადაა დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე (ცხუჭი, ცაგერი, ლაკადა, მერხეული, დალი, და სხვ.).

მეკლევარ ლაეროვის აზრით, მდინარე ყუბანის სათავეში სვანები დასახლებულნი **XIV-XV** საუკუნეებში, ხოლო ბახსანის ხეობაში 1640-1743 წლებში, მაგრამ ეს მხარე XVIII საუკუნის ბოლოს მიუტოვებიათ ყაზარდოელთა შემოსევის გამო. ბახსანის, თერგის და ყუბანის ხეობებში ამჟამადც არის სვანური ტიპის სხვადასხვა შენობა-ნაგებობათა ნანგრევების ნაშთები (ა. რობაქიძე, დასახლების ფორ. ბალყ. IX, 1960, გვ. 105).

გასულ საუკუნეებში საქართველოს (სვანეთის) ჰეგემონია კავკასიის ქედს რომ სცილდებოდა ამის დამადასტურებელია ტოპონიმები (ცანა, უშგულანი და სხვ) და თქმულება-გადმოცემები. ამას მატერიალური კულტურის ძეგლებიც ადასტურებენ. ლეგენდები კი მრავალმხრივ საყურადღებოა სინამდვილის აღდგენის თვალსაზრისით.

სვანური გეოგრაფიული სახელები გვხვდება ბარის სხვა რაიონებშიც და განსაკუთრებით აღმოსავლეთით მთის რაიონებში (ცაგერი, ჩხუტელი და სხვ. რაჭაში: ბუბა, განები, ყვაპები, გორბოლო, ჭალა, გუბუნები, თიშა, ლაგვანთა, ლაშხირი, ლეკნარი, მეედანი, მუშვანი, ნასაყდრი, ნახორვალი, რეხი, სალტიფარი, ფარი, საუსხია, უღელა, ჩვემო, ხვარა, ღები და სხვა).

და ბოლოს, სვანეთის ხილვამ ბევრი უცხოელი მოიყვანა აღტაცებაში: „სვანური კომპეხი თავის დროისათვის ისეთივე სასწაული იყო, როგორც მეოცე საუკუნისათვის კოსმოსში გასვლა (გაზ. პრავდა, 03.08.09. კ. სიმონოვი). სვანური ენა საქართველოს ენობრივი მუზეუმაი.

ტიციან ტაბიძის ცნობით ვლადიმერ სოლოვიოვმა სიკედილის წინ მოისურვა მისთვის ემღერათ „ლილე“. მსოფლიო მუსიკალურ ფოლკლორში არ მოიძებნება უფრო დიდი პიშინი მზისადმი. სვანეთის მთებს უნდა წარმოეშვა ეს სიმღერა (აკაკი განერელია).

1922 წელს ქვემო სვანეთში – სასაშში ჩატარდა ბოლშევიკური რუსეთის მთავრობის კომისისა და ზემოსვანეთის დელეგატთა სხდომა. უშგულიდან ესწრებოდა ლევან ნიჭარაძე (ბოლშევიკი) და ბიძინა ბესარიონის ძე ნიჭარაძე (მენშევიკი). იყო უთანხმოებანი და ბრძოლები.

ბოლო ბრძოლა მოხდა ლატფარის უღელტეხილზე. ბოლშევიკებმა ქუთაისიდან გამოგზავნილი ავიაცია გამოიყენეს. რითაც გატყვეს მონინალმდეგეები. ლატფარიდან უშგულს ზარბაზნები დაუშინეს, მოხვდა კოშკსა და სვანურ სახლებს. 1924 წელს რუსეთმა საბჭოთა ნყობა დაამყარა უშგულში და სხვა სოფლებშიც.

1902-1905 წლებში მესტიამი მასწავლებლად უშუშავია ნიკო ჩიმაკაძეს, ის დაინტერესებულნი ყოფილა სვანეთის ისტორია-ეთნოგრაფიის საკითხებით. მას საინტერესო წერილები აქვს თავისუფალ სვანეთზე. მასვე ჩაუწერია თქმულება-გადმოცემანი – მათ შორის „თამარ დედოფლის ქმარყოფილის „გიორგი რუსის“ დატყვევება უშგულელების მიერ და თბილისში თამარ მეფესთან ჩაყვანა, აგრეთვე ლეგენდა დევის ნაშენის შესახებ.

ნ. ჩიმაკაძე აღნიშნავს, თავისუფალ სვანეთში ქართულად ლაპარაკისა ქართულ ზმნას ბოლოში „ხ“-ს უმატებენ, მაგალითად: „მე წავალ ცაგერს და ვიყიდხ ღვინოს რას უნდა ნიშნავდეს ეს მე ბევრი ვიშრომე ამის გამოსაკლევად, მაგრამ სანადელს ვერ მივაღწიე. დიდად საყურადღებო იქნება თუ ჩვენი ლინგვისტები ამას ყურადღებას მიაქცივენო, მით უმეტეს რომ სვანური ენა უფრო საინტერესოა მეგრულ ენაზე ქართველებისათვის, რადგან უფრო უახლოვდება ძველ ქართულ ენას და თითქმის ქართულის ძირი სვანურ ენაში უფრო ადვილი საპოვნელია.

ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით ლინგვისტი ივანე ნიჭარაძე ნ. ჩიმაკაძის წერილში დასმულ საკითხს მაშინათვე შემდეგნაირად განმარტავს: – სვანურ ენაში მესამე პირის დაბოლოება მრავლობითი რიცხვისა არის „ხ“, რომელიც უდრის ქართულის „ნ“-ს და ამ სვანურ დაბოლოებას უმატებენ ქართული ლაპარაკის დროს ქართულ სიტყვებს, მაგალითად, „წავიდახ“ – წავიდნენ, „იმათ სთქვახ“ – იმათ სთქვეს. მრავლობითი რიცხვის მესამე პირის ანალოგიით ასევე „ხ“ იხმარება მხოლოდ რიცხვის მესამე პირის დაბოლოებაშიც. ხოლო სხვა პირების დაბოლოებაში ეს „ხ“ არ იხმარება და თუ ამას ზოგიერთნი ხმარობენ, ეს ქართული ენის უცოდინარობას ნიშნავს სვანების აზრით (ი. ნიჭარაძე).

სვანური ენის გრამატიკის საკითხებთან დაკავშირებით მოკლე მიმოხილვა აქვს გაკეთებული ეთნოგრაფ ბესარიონ ნიჭარაძეს (თავისუფალი სვანი). მიუხედავად იმისა, რომ მაშინ 100 წლის წინ (1911-1913 წწ) სვანური ნაკლებად იყო შესწავლილი ბ. ნიჭარაძის დაკვირვებები და მიგნებები საინტერესოა. აქედან გამომდინარე საჭიროდ მივიჩნიე მისი აქ მოყვანა:



სვანურის ენის ხმების გამოსახატავად საჭიროა ეხლანდელს ქართულს ანბანს მივსატოვოთ რბილი „ა“, მაგარი „ა“, ნახევარ ხმოვანი „გ“, რომელიც ანტონ კათალიკოზმა უკვე შემოიღო თავის გრამატიკაში, დე მოკლე „ა“. ამით მაგიერ სხვა ასოების ხმარება სვანურში სრულიად სცვლის სიტყვის მნიშვნელობას, რასაც ქვემოთ მოყვანილ მაგალითებიდან ცხადათ დავინახავთ.

ზემოთ ჩამოთვლილი ასოები სვანურის ყოველ სიტყვის ნაწილში გვხვდება.

რბილი ა:

მალატ – სიყვარული, სახ. არსებითი. ამჟირე – დამისეველა.

მალატ – მიყვარს, პირველი პირი. ამნიჰე – დამპატიჟა.

მაკაფ – ხამება, ნდომა. ამნიჰე – დამიპატიჟა.

მაკაფ მხამს, მნადს. სკამ – უარი.

ამდაგრა – მომკდომია. სკამ – სკამი.

ამდაგრა – მომიკლავს. ამბარ – დამბანა.

ამჟირე – დამასეველა. ამბარ – მომაკლდა.

ხმა (ასო) „გ“

ეს ხმა ხანდისხან ერთსა და იმავე სიტყვაში ორჯერ და სამჯერ გვხვდება. მაგალ. სხვადასხვა ადგილას:

ბზრგჯნ – ბრავა-ბრუგი. ისყი – იკეთებს.

მენგხ – საჭიროება. ჯემ – დგამს.

გნსი – ჩქარი. იგემ – იდგამს.

გსყი – აკეთებს. ლალქემედ – მიუშაბოთ (ეხლა).

ლალქიმედ – მიუშაბებთ (შემდეგ). ლიფხაალდე – გაბნევა.

ალბზრედ¹ – მოვაკლოთ. ლფხაალდე – გაბნეული.

ალბორედ – მოვაკლებთ. უსკჯდა – უტყენელი.

ლიბეელე – გაბერვა. მიკლი – მიკლია.

ლგბეელე – გაბერილი. მკკლი – კოჭლი.

ლიფეთე – გაანჩხლება. მიი – წამილებს რამეს.

ლფეთე – ანჩხლი. მგი – წამლები.

ხმა კ ყოველ სიტყვის ნაწილში გვხვდება. იგი იმდენად მაგარია ჩვეულებრივ ასო ხარზე, რამდენადაც ეს უკანასკნელი ასო ხანზე თანამედროვე მწერლობაში. მაგ ხმების ერთი-მეორის ნაცვლად ხმარება სვანურში სიტყვის მნიშვნელობას სცვლის. მაგალ.:

კან – ხარი. ლიხნი – მიშვება.

ხან – ხანი, დრო. ლიჯგალ – ვედრება, ხეენა.

ლიყნი – ხენა. ლიხგალ – გადაკიდება, გაჯავრება.

ხმა ი აუცილებელია სვანურში; თუ იგი თავის ადგილას არ არის ნახმარი, მნიშვნელობა სიტყვისა იცვლება. მაგალ.:

ხვიორი – ვიქნები.

ხვიარი – ვინერები.

ხვაი – მიმაქვს.

ხვაი – ბევრი და სხვ.

სვანურში სიტყვა ბოლოვდება ხმოვან ან უხმო ასოთი. როცა სიტყვა ხმოვნით თავდება და მისი მომდევნო სიტყვაც ხმოვნითვე იწყება, მაშინ პირველი ხმოვანი ჰქრება, იკარგება, მაგალ.:

¹ ალბზრედ რომ დავსწეროთ გამოვა „დავაბნეულეთ“.

1. მ' ესღერი შვანთე (ნაცვლად მი ესღერი).
2. ამჟ' ანსახ ლერთემ (ნაცვლად ამჟი ანსახ).
3. მ' ოკან (ნაცვლად მი ოკან).
4. მ' ახელაშ (ნაცვლად მი ახელაშ).
5. მ' ოთღირ (მი ოთღირ).
6. ს' ახგსყ (სი ახგსყ).
7. ს' ათხა (სი ათხა).
8. ს' ოთმაზირ (სი ოთმაზირ).
9. ს' ათგსყ (სი ათგსყ).

მ' ამეჩო მარ' ოცურ, სრული ფორმა იქნება მი ამეჩო მარე ოცურ. მე აქ კაცი დაეტოვე³. ამ მაგალითში გამოშვებულია ნაცვალსახელის დაბოლოება „ი“ და კაცის – მარე – დაბოლოება „ე“. აქ სევანურს ენაში იგივე კანონია, რაც ბერძნულში ესრეთ ნოდებული „ელიზიო“.

სევანურში ზოგიერთ სიტყვებში ისმის ყრუ ენი „ჟ“, რომელიც უდრის ფრანგულ ს; იგი იხ-მარება მაგალ. სიტყვებში:

ლემ – ლომი,

ლერ – ლორი და სხვ.

სევანურში გრამატიკული სქესი არ არის, ბრუნვები კი არის:

ბრუნვები. სახელობითი 1.

სახელობითი 2.

ნათესაობითი

მიცემითი

მოქმედებითი

მიცემით ბრუნვად უნდა ჩაითვალოს დაბოლოებანი „დ“, „თე“ და „მუყე“. მაგალ.: აჩად ქუთამდ, ნავიდა ქუთაისად⁴, – ქუთააშთე – ქუთაისისკე. – ქუთააშმუყე – ქუთაისამდე, (შიგ არ შესულა ქუთაისში):

ნოდებით ბრუნვას, თუ არ აზრით, ფორმით ვერ განასხვავებ სახელობით ბრუნვისგან მოქმედებით ბრუნვაც თითქო დღემდე ვერ გამაგრებულა თავის ფორმაში, ისე რყევაშია.

ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოება არის „მ^ა“, „ა“, „შ“, „იშ“, „ეშ“, და „ნ“. ეს უკანასკნელი მაშინ იხმარება, როცა თანდებული „ქა“, ესე იგი გარდა, გვხვდება. მაგალითები:

უმგულ – უმგელაშ – უმგულის

მარე – მარემიშ – კაცის

მათე – მათეშ – მათესი

მანო – მანეშ – სახელია

ოსურუნქა – ოსურის გარდა

მიცემითი ბრუნვის ჩვეულებრივი დაბოლოება არის ს, თუმცა სხვა ასოებიც გვხვდება მაგალითად:

ჰაროს – ხის ჭურჭელს.

მარა – (ს) – კაცს.

მათეს – მათეს.

თეს – თვალს.

ფაუს – ფოხს.

მეორე სახელობითი ბრუნვის დაბოლოებანი არიან „მ“ და „დ“. მაგალითად:

მარემ – კაცმა.

დომდულდ – მთეარემ.

² 1) მე მივდივარ სევანეთში; 2) ასე გააჩინა ღმერთმა; 3) მე მოვხანი; 4) მე დაეთესე; 5) მე დავსწერე; 6) შენ გააკეთე; 7) შენ წაიღე; 8) შენ დალოცე; 9) შენ გაარიგე.

³ ერე(ირემდ, სე მემდ. ოცი, ოც და ათი.

⁴ ძველ მწერლობაში ხმარობდნენ: კაპერნაუმად, იერუსალიმად, ქუთაისად და სხვ.

⁵ მადშიდა, დიდა, ნაწიფა, ეს დაბოლოება როცა სახელ. ბრუნვას რბილი ა აქვს: დოქაშ, მაქაშმც.

მოქმედებითი ბრუნვა ბოლოვდება შვ ან შ, მაგალითად:

კანშვ – ხართ.

მერჩილშვ – ცელით.

ჩაწშვ – ცხენით.

შივშ – ხელით.

ჭვშვშ – ფეხით.

რიცხვი. რიცხვი სვანურში სამია:

მხოლოდითი, ორობითი და მრავლობითი.

ორობითი რიცხვი ბოლოვდება ასო ა-ნზე, მაგალითად:

ლახება – ძმები (ორი).

ლაედილა – დები (ორი).

ლაჩჟა – სიძეები (ორი).

ამ რიცხვის სიტყვები იბრუნვიან მხოლოდით რიცხვში.

სვანური ენა მრავლობით რიცხვში იღებს დაბოლოებას: ლ, რ, ს, შ და ე. ეს უკანასკნელი სამი დაბოლოება არც ერთს ავტორს, რომელთაც სვანურზე რაიმე უნერიათ, არა აქვთ ნახსენები.

მაგალითები: მარაალ – კაცები.

დაშნაალ – დაშნები.

ლახებაალ – ძმები.

ლაედულაალ – დები.

მეგმარ – ხეები.

ლაფრარ – წიგნები.

ლვაჟარ – ვაჟები.

ზურალარ – ქალები.

ა. მეჭმა – მთიბავნი. მგლღლა – მწყემსები.

მგთა – მკელნი. მეჯგვა – მეჯოგეები.

მგაჩნა – მხვნელნი. მეთხვარა – მონადირენი.

მგქჩა – შუშის მჭრელნი. მგზქა – შუშის მომტანი.

მგლცა – წყლის მზიდველნი. მგბგრვა – მებარგენი.

მუქქეთააშა.

მგრჭა –

მგზნა –

მგზენა –

ვინც წასულიყვენენ ქუთაისს, რაჭას, სამეგრელოს და ხონს სავაჭროთ, ან რამეო.

უ. ლეფკალუ – მანდილოსნები.

მასსგაარუ – მოძულენი.

მალტაარუ – მოყვარულნი.

ლედგარე – მკვდრები.

ლუქჩუ – დაჭრილნი.

მაბზაარუ – მაძღვრები.

მაიდარუ – მშვივრები.

მაფნაარუ – მწყურვალეები.

ე. (ფიბეში) რუჩეგიანარე⁶ – ზემოთ რუჩეგიანები.

ლუყმალე – დამხრჩვალნი.

(უშგულის მახე) ლვაჟარე – ახალგაზრდა ვაჟკაცნი.

სვანურში არის განდიდებითი და კნინობითი სახელები. მაგალ.:

⁶ დაბოლოება ე გვხვდება ხალხურ სიმღერებში.

განდიდებითი:

ნადურ – დიდი დევი.

ნაკურა – დიდი ხარი.

ნაფურა – დიდი ფური.

ნალეშურა – დიდი ჯიხვი.

მურყემა – დიდი კოშკი.

კინობითი:

მაროლ – კაცუნია.

დაშდულდ – დათუნია.

რატულდ – პატარა ყურდგელი.

ციცულდ – ციცუნია.

ნელოოდ – ვირიკელა.

ნაცვალსახელი:

პიროვნებითი მი – მე. ნა – ჩვენ.

სი – შენ. სგა – თქვენ.

ეჯი, აჯა⁷ – იგი, ის. ეჯიარ – ისინი.

კუთვნილებითი: მიშგვი – ჩემი. ნიშგვე – ჩვენი.

ისგვი – შენი. ისგვე – თქვენი.

ეჩიშ – მისი. ეჯიარეშ – იმათი.

კითხვითი: აარ – ვინ?

მა – რა?

განუსაზღვრელი: ერვალე – რომელიღაც.

ხედავალე –

თვისებითი სახელი:

თვისებით სახელს აქვს შედარებითი და აღმატებითი ხარისხები. შედარებითი ხარისხისათვის საჭიროა თავში მიემატოს თვისებით სახელს მარცვალი „ხო“, აღმატებით ხარისხისათვის „მა“. მაგალითად:

თვეთნე – თეთრი.

ხოთთენა – უფრო თეთრი.

მათთენე – უფეთერესი.

კვლთსი – მაღალი.

ხოკლათხა – უმაღლესი.

მაკლათხე – უუმაღლესი, ძლიერ მაღალი.

მუსტვინ – მწარე.

ხომსტუნა – უმწარესი.

მამსტუნე – უუმწარესი.

აღმატებითი ხარისხი ანერილობითაც კეთდება, მაგალითად:

ჩინ ხოშა თვეთნე – ყველაზე უფრო თეთრი; ხოშა წერნი – უფრო წითელი; გუნ, ლაიდ,

ჰადურდ წერნი – ძალიან, ერთობ წითელი; ჩინმაჩვენე – ყველაზე უკეთესი.

ბრუნვეებში თვისებითი სახელი ეთანხმება სახელ არსებითს.

რიცხვითი სახელი:

სვანური თვლა ათამდე ქართულს უდრის, შემდეგ კი განსხვავებულია. მაგ.:

ემდეშხვი – ათ-ერთი 11.

ემდიორი – ათ-ორი 12.

ემდუსგვა – ათ-ექვსი 16.

⁷ გურული: ეგი, აგი.

ერვემდ – ორიათი 20.

ერვემდ ი ოხვიმდ – ორი ათი და ხუთი 25.

სემემდ – სამი ათი 30.

იმგვიდემდ – შვიდი ათი 70.

ჩხარაჲმდ ი ჩხარა – ცხრა ათი და ცხრა 99.

ამირ – ასი 100.

სამეგრელოსთან დაახლოებულ სვანეთში ოცამდე ისრე სთელიან, როგორც ზემოთ არის ნაჩვენები, ხოლო შემდეგ კი ცვლილება არის და უახლოვდება ქართულ-მეგრულ თვლას. მაგალითად:

ერვემდ ი ემდ – ოცი და ათი

ერვემდ ი ემდვოხვიმდ – ოცი და თხუთმეტი.

ურინ ერვემდ – ორჯერ ოცი 40.

სემ ერვემდ ი ემდ იმგვიდ – სამჯერ ოცი და ათ-შვიდი 77.

ოშთხვინ – ერვემდ ი ემდ – ოთხჯერ ოცი და ათი 90.

რიგითი რიცხვითი სახელი იხმარება ათამდე, მერმე აღარა.

მაგალითად: მერმე – მეორე.

მესმე – მესამე.

მეეშთხვე – მეოთხე.

მეირე – მერვე.

მეჩხრე – მეცხრე.

მეიშდე – მათე.

ზმნა.

სვანურში სახელებზე ძნელი გამოსარკვევია ზმნა. მისი ზედმიწევნით შესწავლა და გამოქვეყნება, დარწმუნებული ვარ, ცვლილებებს შეიტანს ქართულს გრამატიკაში. აქ მარტო მის უმცირეს კანონებს ვეხები.

სვანურშია განსაზღვრებითი, ნატვრითი, განუსაზღვრელი, სათუო, ბრძანებითი და დაწყებითი კილო; ექვსი დრო: ანმყო, სამი წარსული და ორი მომავალი. დაწყებით კილოში სწანს ერთ გზისი და მრავალ გზისი სახე. შემწეობით ზმნას აქვს დრო და კილო.

მაგალ. ლირე – განუსაზღვრელი.

praes.

1) ხვი – ვარ (есть).

2) სი – ხარ.

3) ლი – არის.

1) ხვიდ, ლიდ – ვართ.

2) ხიდ – ხართ.

3) ლიხ – არიან.

Imperf

1) ხვას – ვიყავი ხვასდ, ლასდ – ვიყავით.

2) ხას – იყავი ხასდ – იყავით.

3) ლას – იყო. ლასხ – იყვნენ.

fut. I.

1) ხვიირი – ვიქნები. ხვიირიდ, ლვიირიდ – ვიქნებით.

2) ხვიირი – იქნები. ხვიირიდ – იქნებით.

3) იირი – იქნები. იირიხ – იქნებიან.

Imperat.

ხას – იყავ. ხასდ – იყავით.

ლესეს – იყოს. ლესეხ – იყონ.

სათუო კილო

- 1) ხვიროლ – ვიქნებოდი. ხვიროლდ, ლიროლდ.
- 2) ხვიროლ – ვიქნებოდი ხვიროლ
- 3) იროლ – იქნებოდა. იროლხ.

ნატურითი კილოსათვის საჭიროა მიემატოს ნანილაკი ვ ან უვ ყოველ ზევით მოყვანილ დროთა პირებს.

ლირდე

ზმნა ლირდე – ყოფა, არსებობა.

pres

ხვარი – ვარ. ხვარიდ, ლარიდ.

ხარი ხარ. ხარიდ ხართ.

არი – არის. არიხ – არიან.

Imperf

1) ხვარდას – ვიყავი. ხვარდად, ლარდად.

2) ხარდას – იყავ. ხარდად.

3) არდა იყო. არდახ.

plusquamperf

1) მიჩდაან ყოფილვარ. გვიჩდაან(ნი).

2) ჯიჩდაან ყოფილხარ. ჯიჩდაანხ.

3) ხიჩდაან ყოფილა. ხიჩდაანხ.

perf

1) ლვმარდ ხვი – ვყოფილვარ.

2) ლვმარდ ხი – ყოფილხარ.

3) ლვმარდ ლი – ყოფილა ის.

fut I.

1) ხვირდი – ვიქნები. ხვირდიდ, (ლირდიდ)

2) ხირდი – იქნები. ხირდიდ.

3) ირდი – იქნება. ირდიხ.

Imperat

ხარდ(ას). ხარდად – იყავით.

არდეს – იყოს. არდესხ – იყონ.

მიმოსვლა ზმნისა ლიქმე, ლიქმალღი.

1) ხვაქმე – ვთიბავ. ხვაქმედ (ლაქმედ).

2) ხაქმე – სთიბავ. ხაქმედ.

3) აქმე – სთიბავს. აქმეს.

Imperf

1) ხვაქმას – ვთიბავდი. ხვაქმად.

2) ხაქმას – სთიბავდი. ხაქმად.

3) აქმა – სთიბავდა. აქმახ.

plusquamperfect

- 1) მიჭმან – მითიბავს. გვიჭმან.
- 2) ჯიჭმან – გითიბავს. ჯიჭმანხ.
- 3) ხოჭმან – უთიბავს. ხოჭმანხ.

fut. I.

- 1) ხვაჭმუნი. ხვაჭმუნიდ, ხაჭმუნიდ.
- 2) ხაჭმუნი. ხაჭმუნიდ.
- 3) აჭმუნი. აჭმუნის.

fut. II.

- 1) ოთქემი – მოვთიბავ. ოთქემიდ, აღქემიდ.
- 2) ათქემი – მოთიბავ. ათქემიდ
- 3) ადქემი – მოთიბავს. ადქემის.

ბრძანებითი

- ათქემ – მოთიბე. ათქამედ.
ადქამას. ადქამახ.

ნატვრითი.

praes.

- 1) ხვაჭმე ვ – ნეტავ ვთიბავდე.

Imperf.

- 1) ხვაჭმას უვ – ნეტავ მეთიბა.

plusquamperf.

1. მიჭმან უვ – ნეტავ მეთიბა.

ful. II.

- ოთქემ უვ – ნეტავ დავთიბო.

praes. ლიჭმალი.

- 1) ხვაჭმაალი – ვთიბავ ბევრჯერ. ხვაჭმაალიდ, ლაჭ.
- 2) ხაჭმაალი – სთიბავ – ხაჭმაალიდ.
- 3) აჭმაალი – სთიბავს – აჭმაალის.

Imperf.

- 1) ხვაჭმაალდას – ვთიბავდი ბევრჯერ. ხვაჭმაალდად.
- 2) ხაჭმაალდას – სთიბავდი. ხაჭმაალდად.
- 3) აჭმაალდა – სთიბავდა. აჭმაალდახ.

plusquamperfect.

- 1) მიჭმაალა(ან) მითიბავს. ნაჭმაალან, გვიჭმაალან.
- 2) ჯიჭმაალა(ან) გითიბავს. ჯიჭმაალან.
- 3) ხოჭმაალა(ან) – უთიბავს. ხოჭმაალანხ.

perl.

- 1) ოთქამაალ – დავთიბე. ოთქამალუედ, აღქამალედ.
- 2) ათქამაალ – დათიბე. ათქამალედ.
- 3) ადქამალე – დათიბა. ადქამალეხ.

ful. I.

1) ოთქამაალი. ოთქამალდ.

2) ათქამაალი. ათქამალიდ.

3) ადქამაალი. ადქამაალის.

შენიშვნა. სვანური ზმნები შეიძლება კაცმა გაჰყოს ოთხ წყებად.

1 წყება. ამ წყებას ეკუთვნიან ზმნანი, რომელთა მიმოხრის დროს მხოლ. რიცხვის მესამე პირში ჩნდება ხმა „z“, მაგ.: ღსყი⁸, ჯორე⁹, ჯრში¹⁰.

2 წყება. ამ წყებაში მიმოხრის დროს ორივე რიცხვში რჩება ის ხმა, რომელიც დგას განმაპიროვნებელ ხმის შემდეგ მხოლ. რიცხვის პირველ პირში. მაგალ.: ხვამდბა, ხვათრე. ხვიზბი და სხვანი.

3 წყება. სრულიად არ იხრებიან მხოლოდობით რიცხვში, მაგალითად: ფიტე, ხოსგდი, ფიშე, შუნაფე, შუული, ტუული, კანკიე და სხვანი.

4 წყება. მეორე და მესამე პირს მხოლოდობით რიცხვში ერთი და იგივე დაბოლოება აქვს. მაგ.: სი ღჯრი, ეჯა ღჯრი.

სვანურში არიან ისეთი ზმნები, რომელთა მნიშვნელობა ქართულად პირდაპირ არ გადაითარგმნება. მაგ.: მაარ ქართულად ითარგმნება სხვადასხვანაირად: უნდა, ყოფილა, შეიძლება; უფრო კი მის შინაარსს გამოხატავს რუსული „наилежить“. მაგალ.: მი მაარ ქორ ლეგემ – მე უნდა სახლი ავაშენო. მი დემ მაარ ლასად – მე ვერ მყოფენის საზრდო. ათხონას შეანს ხოლამდ ხარ – ამ დროს სვანეთს გლახათ, ცუდათ აქვს (საქმე).

ზმნის ზედა.

ეს სიტყვის ნაწილი ყველაზე უფრო ახლო დარჩენილია ქართულთან დაბოლოების მიხედვით, მაგალ.: თვეთნად, მემზად¹¹, უდგარად – უკვდავთ, წგრნიდ – წითლად და სხვ.

კავშირი.

კავშირად იხმარებიან ი და დე, რომელნიც უდრიან ქართულ „და“-ს და ც-ს, ამას გარდა „დე“ უდრის კიდევ ქართულს არც-ს მაგალ., რაჭი ლაჩხუმ ალცუელიხ, რაჭა და ლეჩხუმი ნაჩხუბებულან. დე ლჯვარ ხვი, დე ლჯდგარ – არც ცოცხალი ვარ და არც მკვდარი.

დასასრულ აღვნიშნავ განსხვავებას ქართულისა და სვანურის გრამატიკის კანონებში, რომელიც შევამჩნიე ჩემი გამოკვლევის დროს.

1) ქართულში არ იხმარებიან რბილი ჰ, ზ, მაგარი ქ.

2) შემწნობით ზმნას უფრო ვრცლად შეუნახავს თავისი ფორმები სვანურში, ვინემ ქართულში.

3) სვანურში ცხადად სჩანს pl. puamperfect. და ორი დრო მომავალში, ქართულში კი არა.

4) სვანურში ნატვრითი კილოს თავისი მაჩვენებელი ნაწილაკი აქვს „უე“¹², როგორც ბერძნულში „av“, ქართულში კი არა.

5) სვანურში არის ესრედ წოდებული „ელიზიო“.

6) სვანურში არის რუსული „испричатие“-ს მსგავსი ფორმა, ქართულში კი არა, მაგალ.: ლაყვრუმ ხეაცგენი, лезжа разсказывано, ლასგვრუმ ხეაიერი – сидя пишу, ლაზხუმ ხეიცნაალ – идя смнioso.

7) სვანურში არის ისეთი ზმნის მიმოხრის ფორმა, რომელიც ქართულში არ გვხვდება და არც პირდაპირ გადაითარგმნება, მაგალითად: მამბერ – არა მსურს, მეცოდები, რომ მოგაკლო. მამზუნე – მსურს გაქამო, მაზალანე – მსურს სიარული. თუმცა სიტყვა მსურს სვანურად არის მაკუ.

⁸ ღსყი – აკეთებს.

⁹ ჯორე – სვამს.

¹⁰ ჯრში – აგებს.

¹¹ მემზად – შავად

¹² ლიქმინე – ხვეტა.



8) პირველი პირი ნაცვალ სახელთ მრავლობითი რიცხვისა სვანურში ორნაირია: ზვიანიდ, ლაირიდ, ეს ქართულში არ არის.

9) სვანურ განუსაზღვრელ კილოში სჩანს მრავალგზითი და ერთგზითი სახე ზმნისა, ლიქმინი¹³, ლიქმინიელი¹⁴, ლიტერ¹⁵, ეს ქართულში არ არის.

10) სვანურ ზმნაში გამოიხატება ცოტა მოქმედებაც და ამისათვის აქვს საკუთარი ფორმა, მაგალითად ზვამშილი – ვმუშაობ ცოტათი, ზვათალი – ცოტათი ვმკი, ზვაქმაალდას – ცოტათი ვთიბავდი, ზვაფცხაალნი – ცოტათი დაფვარცხე და სხვ.

11) უარყოფითი უ სიტყვის ბოლოშიც გვხვდება

2. სვანეთი, უშგული უცხოელ და ქართველ მოგზაურთა თვალთახედვით

მას შემდეგ რაც რუსეთის იმპერიამ საქართველოში მეფობა გააუქმა და დაიპყრო ქვეყანა, ის ცდილობდა სვანეთის შემოერთებასაც, ამისათვის მათთვის ჩვეულ ხრიკებს მიმართავდნენ. ისინი თავადების მოსყიდვითა და შუამავლობით ახერხებენ ამას, ასე მაგ. როგორც ბ. ნიფარაძე წერს – 1852 წელს რაჭიდან გრიგოლ წერეთელმა უშგულში გამოგზავნა ღების მღვდელი სპილინდო ფავაშელიშვილი და ერთი რაჭველი აზნაური რუსეთის ქვეშევრდომობის მისაღებად. თუ ისინი უვარს იტყოდნენ, სხვა სოფლებში ენახათ ვინმე. უშგულში სპილინდო იცნობდა გეგი რატიანს და მასთან მივიდნენ. სოფელმა ეს რომ გაიგო გეგი რატიანს სახლში მიუარდნენ სტუმრებიანად დაატყვევეს ორი ხარი ნაართვეს და დაკლეს. შემდეგ სპილინდოს როგორც მღვდელს აპატიეს და მათ ათავისუფლებენ იმ პირობით, რომ სასწრაფოდ დაეტოვებინათ უშგული. მაგრამ ისინი მაინც გაიპარნენ მულახში და მათ გეგიც შეუერთდა და მოუხერხებიათ მულახსა და სხვა სოფლებში რამდენიმე კაცის შეგროვება რაჭა-ქუთაის-ბორჯომში ვორონცოვთან მიუყვანიათ სვანეთის სახელით, სადაც მათთვის სასურველები და დაპირებები მიუციათ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სვანეთისა და სვანების შესახებ ჩვენამდე მოღწეულია ბერძენი მემატიაანების სტრაბონის (I ს.) და ფლავიუს არიანეს (II ს.) გამოხატუებები, ცნობები. ცოტა მოგვიანებით ქართველი მემატიაანის ვახუშტი ბატონიშვილის ცნობები (XVIII ს.).

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ (1801 წ.) სვანეთში სხვადასხვა დროს მრავალმა უცხოელმა და ქართველმა მკვლევარმა იმოგზაურა.

1840 წელს ლობანოვ-როსტოვსკის აღწერით თავისუფალ სვანეთში ცხოვრობდა 683 ოჯახი, მათ შორის: უშგულში – 103, კალაში – 49, ნეირმი-იელში – 60, ივარში – 66, მულახში – 90, მესტიაში – 86, ლენჯერში – 80, ლატალში – 110 (раз. „Кавказ“, 1852, №16).

მე-19 საუკუნის პირველი ნახევრისა და შემდგომი პერიოდის პრესა სხვადასხვა სახის წერილებს აქვეყნებდა ჟურნალ-გაზეთებში. გაზეთი „Кавказ“-ი (1846-1918 წწ) აქვეყნებს 1846 წელს შახოვსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს წერილს „სვანეთი“, სადაც ლაპარაკია, რომ ფარნავაზის შვილი საურმაგი ძვ. წ. III საუკუნეში თავისი ამალით გაქცეულა ჯერ ოსეთში სოფ. ძურ-ძუკეთში, შემდეგ ენგურის სათავეებში და უწოდებიათ სავანედ. ამ დროსვე ფარნავაზი თავის სიძეს ქუჯის ანესებს სვანეთისა და ეგრისის ერისთავად. ამავეს ადასტურებს მეორე წერილი ლობანოვ-როსტოვსკისა „სვანეთი“ – სვანეთი თავშესაფარიდან „სავანედან“ მოდისო.

1853 წელს ზემო სვანეთში უმოგზაურია რუსეთის იმპერიის პოლკოვნიკს ბარტოლომეის ცხრა დღის განმავლობაში შემოუვლია თავისუფალი სვანეთი, აღუწერია ეკლესიები და გამოთქმული აქვს თავისი შთაბეჭდილებები. ბარტოლომეი უშგულშიც ასულა, უშგულელებს ის სოფლისთვის საშიშ პიროვნებად მიუჩნევიათ და ეკლესიებში არ შეუშვიათ, მიუხედავად იმისა, რომ ის იმპერიის ოფიციალური წარმომადგენელი იყო. საზოგადოებასთან საუბრით ის წერს: უშგულელები მიყვებოდნენ რომ ისინი თამარ მეფის დროს რაჭიდან ჩაასახლეს, ისინი მტკიცედ იცავენ დიდი მეფის ხსოვნას და დარწმუნებული არიან რომ ის დაკრძალულია უშგულის ერთ-ერთ ეკლესიაში. ბარტოლომეი უშგულელებს გარეგნობით და ჩაცმულობით ამსგავსებს იმერლებს, ისინი ლაპარაკობენ ქართულად. მისი აზრით, ის ეკლესიებში იმიტომ არ შეუშვეს რომ თამარის

¹³ ლიქმინიელი – ბევრჯერ ხვეტა.

¹⁴ ლიტერე – ანთება.

¹⁵ bevjer _ bevjer anteba.



საფლავი არ მოენახა. ბოლოს აღნიშნავს რომ ჟიბიანიდან 20-მდე კაცმა გამაცილა – ქვემო წყარო-
ნეთში გადასასვლელ ქედამდე (Бартоломей Поездка в Сванию, ჰოიგო 1855).

1862 წელს ქართველი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე სამეგრელოდან ასულა სვანეთში
თითქმის ყველა სოფელი შემოუღლია და აღუწერია. 1864 წელს გამოქვეყნდა მისი ნარკვევი
„სვანეთი“ რუსულ ენაზე. ის ისტორიულად მიმოიხილავს სვანეთს და ამტკიცებს, რომ სვანები
წარმოშობილი არიან ქართული ძირისაგან, ამ აზრს იზიარებდნენ მე-17 საუკუნეში იერუსალე-
მის პატრიარქი დოსითეოსი, ფრანგი მოგზაური შარდენი, მე-18 საუკუნეში ენათმეცნიერი-გი-
ულდენშტელტი, შემდეგ კლავროთი, დიბუა, დე-მონპერე. დიმიტრი ბაქრაძე მხარს უჭერს ამ
მოსაზრებას და ამბობს, რომ სახელწოდება სონი-ცონი ქართული ჭანი-სვან წარმოსდგება (იგი-
ვე ლაზ-მეგრელები). სვანები ზანევი არიან, იგივე მეგრელები, ენაც ერთია, ეს იგრძნობა ადამი-
ანთა სახელებში, ეკლესიებზე, ფრესკებზე, ხეებზე წარწერებში.

დ. ბაქრაძეს აღწერილი აქვს ყველა სოფელი, ეკლესიები და სოფლებში მცხოვრებთა რაო-
დენობა და გვარები, მათ შორის უმგულის მცხოვრებთა გვარები. მისი აღწერით უმგულის სა-
ზოგადოება შედგება 4 სოფლისაგან: 1. ჟიბიანი – 10 ოჯახი – ბემიძე, რატიანი. 2. ჩუბიანი – 8
ოჯახი – ჩარკვიანი, ასათიანი. 3. ჩაუბი 21 ოჯახი – ნიუარაძე, დაეითულიანი. 4. მურყმელი – 28
ოჯახი – ნიუარაძე, ჭელიძე, ლვანლიანი, იმელიანი.

როგორც ჩანს დ. ბაქრაძის აღწერაში შეცდომებია დაშვებული: ჟიბიანში გამოტოვებუ-
ლია – ხაჭვანი, მუყმერში – კაკრიაშვილი და ჩარქსელიანი. რაც შეეხება იმელიანს ასეთი გვარი
სვანეთში საერთოდ არაა დაფიქსირებული, როგორც ეტყობა აქაც შეცდომაა, ასევე ნიუარაძეე-
ბის მუყმერში მოხსენიებაც შეცდომაა. მას მილიანად უმგულში 67 ოჯახი და 6 ეკლესია აღუწე-
რია. სინამდვილეში უმგულში მაშინაც 7 ეკლესია იყო (М. Бакрадзе, « свантия » ჰოიგო 1864 გვ.
118).

მიუბრუნდეთ ისევ სვანეთის სახელწოდებას, მკვლევარ ი. მამაცაშვილის აზრით „შვან“
ნიშნავს „შუა“-ს, ხოლო გამრეკელოვის ცანნი-სუანნიდან მომდინარეობსო, მისი აზრით ზეცას-
თან სიახლოვეს ნიშნავს. მისივე აზრით პარალელებია ეგვიპტესთან, სადაც სასაზღვრო ციხე-
სიმაგრეს ანუ კომკებს – სუან ერქვა. სტრაბონის მოშველიებით ასევე უცხოეთთან კავშირში გა-
ნიხილავს სვანეთს განიც.

ამრიგად, გავთვ „კავკაზ“-ის ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილებში გამოთქმულია
შემდეგი თვალსაზრისი – სვანებია არიან ქართველთა მოდგმის ხალხი, განსახლებულან დღე-
ევანდელ ტერიტორიაზე ძვ. წ. 253 წელს, სვანთა ენა ქართველურია, რომ სვანეთი წარმომდგა-
რია ან სვანეთიდან, ან შუანი-დან, ან სასანიდან და უცხოური სუანი-დან.

შახოვსკი და ნემიროვიჩი-დანჩენკო სვანებს ასე ახასიათებენ: სვანები ბუნებით დაჯილდო-
ებულნი არიან მძლავრი აღნაგობით, მაღალი ტანით, კარგი გონებრივი შესაძლებლობით, აზ-
როვნებენ საღად, სიტყვა უჭრით, არიან სტუმართმოყვარენი, პატიოსანნი, ამაყნი, სიტყვისა და
ფიცის ერთგულნი, ამასთან შურისმაძიებელნი, გულჩათხრობილნი, ცრუმორწმუნენი. სვანს შე-
უძლია დღე-ღამეში 70 ვერსის გავლა ტვირთით ღრმა თოვლში, სამიწელ უფსკრულებს გადავლ-
ელება, შეუძლია ლუკმა არ ჩაიდოს პირში 2-3 დღის განმავლობაში და შეუძლია ერთ დაჯდომაზე
სამი დღის უღუფაც მიიღოს.

ლობანოვ-როსტოვსკის დაკვირვებით სვანები წვერს არ იბარსავენ, აქვთ გრძელი თმა
მრგვალად შემოჭრილი, არიან საუკეთესო მონადირენი და მსროლენი.

მაისუროვის (მაისურაძე) თვალთახედვით სვანები არიან მალეები, ბრგენი, ტანადნი, სიმ-
სუქნი მათში სიმახინჯედ ითვლება. ქალებს აქვთ ცისფერი თვალები, ქერა თმა, წაბლისფერიც,
ცხვირი გრძელი, კეხის გარეშე.

დ. ბაქრაძის თვალთახედვით – სათავადო სვანეთში შავგრემანი ხალხია, შედარებით რბი-
ლი ხასიათის, ზემო სვანეთში თეთრი ხალხია, უფრო მკაცრნი.

შახოვსკის და ნემიროვიჩი-დანჩენკოს თქმით მამაკაცებს აცვიათ მაუდის ნაცრისფერი ან
შავი ჩოხა ქაშრით შემოსალტული, ნელზე არტყიათ ხანჯალი, სანჯივე და ქალამანი, მხარზე ნა-
ბადი მარცხენა ხელს უფარავს. ზამთრის ქუდი შალის თეთრი ან შავი ფერის, ზაფხულის – იმე-
რულ ფავანაკს ჰვავს პატარაა. ქალებს აცვიათ თეთრი კაბა, წითელი ქუდი, ფეხზე ქალამანი,
თავშალი. სვანებში იარაღი ძვირად ფასობს 50-60 ხარი ლირს.



1873 წელს სვანეთში უმოგზაურია ვ. სრედინსკის, როინის ხეობიდან ის გამგზავრებულია ლენტეხსა და ჩოლურში, შემდეგ ლატფარის ზეკარით კალაში, კალადან უშგულში. **სსუტდნნამი**
 ყვამის მყინვარზე და ამავე გზით დაბრუნებულია როინის ხეობაში.

1876 წელს სვანეთში უმოგზაურია ა. სტოიანოვის. უშგულში მას ახლდა მაჰომედ დედეარო-ანი. ის აღნიშნავს, რომ უშგულის ეკლესიების მღვდელი იყო კ. ძიმიტარიშვილი. ის დაბმირდა, რომ ზოგიერთი ეკლესიის გასაღები აქვს და დამათვალერებინებდა, ხოლო დანარჩენებზე სა-ჭირო იყო სოფლის ხალხის თანხმობა. გ. ძიმიტარიშვილთან მას გაუცნია სამი ახალგაზრდა უშგულელი ნიჟარაძეები, რომლებიც სწავლობდნენ ქუთაისის სასულიერო სემინარიაში. ერთ-ერთის ძმა იყო ჟიბიანის მამასახლისი ნინი ნიჟარაძე (ბესარიონის ძმა) რომელიც კარგი სახე-ლით სარგებლობდა – ფეიქრობდი რომ ის დაგვეხმარებოდა.

ა. სტოიანოვი აღნიშნავს, რომ მოგზაურთა აზრით უშგულელები განსხვავდებიან სხვა სვა-ნებისაგან. ისინი თავისთავს თვლიან რაჭიდან, ქართლიდან ჩასახლებულად. ზამთარში აქ ყო-ველმხრიდან მოდის ზევეფი და ანგრევის სახლებს და ეკლესიებსაც, აქ მოჰყავთ მხოლოდ ქერი, რომელსაც ლენავენ ყინულზე. ლომისთვის კი მიდიან ლაშქეთში. მათ მღვდლებს უკეთიათ ცვი-ლის ჯვრები, რომელნიც სვანეთში სხვაგან არაა. უშგებენ წერს. თმას არ იკვეცავენ, ძალიან უყვართ არყის სმა. შემთხვევა მიეცემათ თუ არა სვაშენ ხშირია ფილტვებით დაავადებ, ანუ-ხებთ არყისგან კუჭები.

ა. სტოიანოვი აღნიშნავს, როცა მუყემრის მაცხოვარში შევედით ახლო მცხოვრებმა ხალ-ხმა ატეხა ყვირილი, მღვდელმა არ მიაცვია ყურადღება. როცა შიგნით მღვდელმა საჩვენებლად აიღო ერთი ნარწერიანი ხატი ამ დროს საყდარში შემოიჭრა 60 წელს გადაცილებული კაცი, რო-მელიც მიეჭრა მღვდელს და ნაართვა ხატი. მაჰამედი რომელიც კუთხეში იდგა დაეჯახა მოხუ-ცებულს და გამოიყვანა ეკლესიიდან. ცოტა ხნის შემდეგ ის მოხუცი ისევ შემოვარდა ათიოდე კაცთან ერთად და ატყდა დავიდარაბა. მივარდნენ მაჰამედ დედეაროანს და კინალამ გახლიჩეს შუაზე. ამ კრიტიკულ მომენტში დაეიწყე უაზრო ყვირილი და სასწრაფოკეთილი ვიყავი. ჩემს გარშემო იყო მრისხანე თაღლები და პილთა ღრჭენა, ხელები ხანჯლებზე ჰქონდათ ნავლებუ-ლი. მოხუცებული განრისხებული მიიწვედა მაჰამედ დედეაროანთან. როცა ცოტათი მიწყნარდა მღვდლვარება, დაეიწყეთ ხატების დათვალერება. მოხუცებული მივიდა ხატთან და ხმაძალა დაწყველა ისინი ვინც ეკლესიაში შეგვიყვანა. როცა გამოვედით ეკლესიიდან გზაში ჩემს თან-მხლებთან ერთად ვარჩევდით თუ რა იყო იმის მიზეზი რომ ასე ცუდად შეგვხვდნენ. აღმოჩნდა, რომ ეს მოხუცი, რომელიც ეკლესიაში შემოვიდოდ და იყო მუყემრის მღვდლის გუა ჩარქსელისანის ძმა, რომელიც ყოფილა ცნობილი მონადირე. მღვდელ კ. ძიმიტარიშვილს შეცდომად მოუვიდა, რომ ხალხს არ შეუთანხმა ნინასნარ ჩვენი ეკლესიაში შესვლა, როგორც ჩანს გ. ძიმიტარიშვილ-მა თვითონაც არ იცოდა სად უნდა შევეყვანეთ. გალიზიანება იმას მოჰყვა, რომ მღვდელმა ჩამო-იღო შალიანის ხატი, რომლის ხელის ხლების უფლება არაყის არ ჰქონდა. მუყემრის მღვდლის გარდა. მაჰამედის ქცევაც თურმე ჩემი დაცვით ყოფილა განპირობებული. ჩვენ დავასკვნით, რომ მუყემრელებთან ჯიბრით ლაპარაკი არ შეიძლებოდა. თვით თენგიზ დადემქელიანიც, რო-ცა მიდის ამ ხალხთან ლაპარაკობს წყნარად, მოფერებით და პატივისცემით.

ა. სტოიანოვი წერს, რომ ჟიბიანიში საღამო შედგა სიმღერების ჩასაწერად. მოვიდა გეგი ბეშიძე, ეს იყო სვანური ტიპაჟი. ჩავინერეთ სიმღერა: თამარ მეფეზე, ფუთა დადემქელიანზე, წმ. ბარბარეზე. მეორე დღეს გეგი ბეშიძისა და ნინი ნიჟარაძის დახმარებით ნება დამრთეს ღვთისმშობლის ეკლესიაში შესვლისა. ხალხის დიდი ჯგუფით დავიძარით ეკლესიისაკენ. წინ გველოდა კიდევ ერთი დაბრკოლება – თავს დაგვესხა ეკლესიის მცველი ოჯახი. მხოლოდ შესა-ნირაი ფულის გაღების შემდეგ შეგვიშვეს შიგნით. ეკლესიის ეზოში იყო სასაფლაო სადაც ასი წლია არაყის ასაფლავებენ. ეკლესიაში ვნახეთ ვერცხლის თასი, რომელზეც ეწერა გიორგი ყი-ფიანი, და ქამარი ძვირფასი ქვებით მოჭდილი, ვერცხლის თასი ოტია ბანკარაშვილისაგან შე-ნირული და თასი სიხნი იფარიანისა. იყო ძალიან ბევრი თასები და აზარფეშები ნარწერის გარე-შე. ლეგენდის მიხედვით ეს ეკლესია აშენებულია თამარ მეფის მიერ და ისიც აქ არის დაკრძალუ-ლი. და აქვე ნახებოდა მისი საფურეები და თამც კი, თუმცა ჩვენთვის არ უჩვენებიათ. ადრე ოსებს უცდიათ მოპარვა, მაგრამ დაუჭერიათ და ამოუნყვებიათ ექსელე. ბინაზე რომ დავბრუნდით უსიამოვნება დაგვხვდა. სახლის წინ იდგა რამდენიმე მურყმელევი ერთი მათგანი ბექა (კაკრი-აშვილი), რომელმაც გუშინდელ ჩვენს თვითნებობაზე დაგვიწყო ლაპარაკი. თავი ვერ შეიკავა ჩემმა ახალგაზრდა ამხანაგმა და მოუხედავად ჩემი თხოვნისა, მივიდა ბექასთან, წყნარი საუბრი-დან გადადიოდნენ თანდათან უხეშობაზე. მოკამათებმა ხელი წაიღეს ხანჯლებზე. მაჰამედი



მიხვდა უცებ რა მინდოდა მე. მან ხელი სტაცა ბეჟას და გაიყვანა გვერდზე, მეც ხელი ვტაცე ჩემს ახალგაზრდა დამცველს (ალბათ ბესარიონი) რომელიც ტიროდა გალიზიანებზე. მას ქუეხერხულეობდა მამის სტუმრებს, რომ ასე მოექცნენ. როცა გასრულდა ყველაფერი და უმცუესი ლიდან წასვლა დაეპირეთ, დავინახეთ ხალხი, რომელიც მიდიოდნენ დასაფლავებაზე და ჩვენც გვთხოვეს დარჩენა. დასაფლავების შემდეგ ძველ კოშკთან გაიმართა ქელები. შეთერნენ და დაიყო ჩხუბი, შევეცადეთ ამ რთული მდგომარეობიდან ჩუმად გავპარულიყავით.

1890 წელს უშგულში უმოგზაურია ტეპცოვს (ქუთაისის სემინარიის მასწავლებელი), მას აღწერია უშგულის მოსახლეობა, აღწერის მონაცემები ასეთია:

უშგულში ცხოვრობს – 75 ოჯახი, 526 სული.

შტატის ეკლესია – 1

ნისქვილი – 13

დაქორწინებული – 117

ქვრივი – 28

გაუთხოვარი – 28

მღვდელი – 1

მინათმოქმედი – 173

შრომის უუნარო – 8

გოგონა – 69

ბიჭი – 101

უცოლო – 50

60-წელზე ზევით – 18

80-წელზე ზევით – 16

შრომის უნარიანი – 175

გასაწვევი ასაკის – 7

1892-1893 წლებში სვანეთში მოგზაურობდა ი. აკინფიევი. მისი მოგზაურობა იწყება არდონიდან, შემდეგ ფასანაური არაგვის გავლით ოსეთში, აქედან რიონის ხეობის გაყოლებით, ქვემო და ზემო სვანეთში. მის ნაშრომში ფლორისა და მცენარეულის შესწავლის გარდა მოცემულია ადამიანის ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულებანი.

სვანეთში მოგზაურობდნენ იტალიელი მკვლევარები – სომიერი და ლევიერი.

1911-1912 წწ. სვანეთში იმოგზაურა აკადემიკოსმა ნიკო მარმა. მარი ლატაფარით გადმოსულა კალაში, იქიდან უშგულში, სადაც უმუშავია 16 დღის განმავლობაში. 8 სექტემბერს დაუთვალეირებია უშგულის „ლამარია“. ჩაჭაში უნახავს დასაკლავად შეთქმული ხარი, დიდებული რქებით. ის აღნიშნავს, რომ უშგულელები უქმობენ პარასკეობით, კვირას და შაბათს. 14 სექტემბერს მას უშგულში მონადირე ჯიხვის ნანადირევით გამასპინძლებია და მამასახლისთან ერთად კალაში გაუცილებია. მისი აღნიშვნით უშგულში მღვდელს ეძახიან „ჰალსვან“-ს, ხოლო ლაშხეთში „მულზონ“-ს.

სვანეთში მოგზაურობდა ა.შელკოვნიკოვი. ბეჩოდან უშგულის გავლით გადასულა ქვემო სვანეთში, შემდეგ ორბელით – ქუთაისში. 1913 წელს გამოუცია მოგზაურობის შთაბეჭდილებები.

დ.სოსნოვსკის 1915 წელს შეუსწავლია სვანეთი ბოტანიკურ-გეოგრაფიულად. 1924 წელს სვანეთის ბუნების შესწავლაში მონაწილეობას იღებს ნიკო კეცხოველი, გამოიცა მისი ნიგნი „თოვლიანი მთები“.

თავი II. 1. უშგულის ზოგადი დასასიათება (ხოჩა გზავრობ)

უშგული

უშგული ვარ უბატონო,
გვირგვინი ვარ სვანეთისა,
არ ვახარე უგვარტომო,
დამცველი ვარ ქრისტეს ჯვრისა.
გორგასლიან დავითიან
დროშით ვდგავარ შხარაზედა.
ბაგრატიონ თამარიან
კომკებით ვარ საზღვარზედა.
სამხრეთით მყავს საქართველო,
მთლად ევროპა-დასავლეთით.
ხატ-ჯვარი მაქვს საოცნებო,
მომექეცი თურადლებით!
უშგული ვარ უბატონო –
არ დამტოვოთ უპატრონო!!!

ერთ რკალში მოუყრიათ თავი ცენტრალური კავკასიონის დიდებულ მწვერვლებს. მათ თავში დგას უკარებელი შხარა (5201), მარცხნივ რაღაც 10 კილომეტრზე მოკრძალებული პატარძალივით გარინდულა ქათქათა თეთნულდი (4853 მ), ცოტა მოშორებით 25 კილომეტრზე ქმობილებივით აღმართულან მრისხანე შხელდა (4322 მ) და პირქუში უშბა (4695 მ) – ერთმანეთისგან 3 კილომეტრით დაშორებულნი. მარცხნივ შხარას გვერდს უშმვენებენ – ცურუნგალა და აილამა (4544 მ.), რუსთაველი (4960 მ.), ხოლო უფრო მოშორებით სტეფანწმინდა (5000 მ.). ცენტრალური კავკასიონის მწვერვალთა ამ ანსამბლს ჩრდილოეთიდან შემოჰყურებს მეზობელი, ბუნების საოცარი ქმნილება ვერავი იალბუზი (5633 მ.).

ვისაც ბუნების აღქმის უნარი აქვს მისთვის განუმეორებელია ამ სანახაობის სიდადე, მით უმეტეს საოცრად ჩანს ის თვითმფრინავიდან და ალპინისტთათვის მწვერვალებიდან. სწორედ ამ მწვერვალთა საოცარი ზღაპრული სილამაზე ატყევეებს და მაგნიტივით იზიდავს ალპინისტებს. ზაფხულობით დროდადრო მწვერვალთა გასწვრივ პორიზონტზე გამოჩნდება ადამიანის სილუეტი, რომელიც დროსთან ერთად ფერმკრთალდება. მარადიულია მხოლოდ მთა, სიმაღლე, რომელსაც დრო ვერაფერს აკლებს. როგორც ცხოვრების აზრი იმაშია, რომ შეიცნო დრო-ჟამი რას ითხოვს, ასევე ალპინისტთა მიერ მწვერვლების დაპყრობის აზრიც იმაშია, რომ შეიცნონ სიმაღლის განცდა.

ამ ნივთის ნამკითხველი წარმოიდგენს რა მშვენიერი და ტევადი აზრი აქვს სიტყვას – ყველაზე მაღალი სოფელი უშგული, ყველაზე მაღალი მწვერვალი შხარა. ბავშვი სიმაღლეში რომ იზრდება სასიხარულოა, კარგ კაცზე ამბობენ – მაღალი სულის კაციოა, როცა ქვეყნის საქმე კარგად მიდის აღმავლობის გზაზე ვართო, ყველაზე დიდ მიღწევებს მწვერვალს, პიკს ვეძახით და სხვ.

ადამიანი რაც უფრო მაღლიდან უშხერს სიერცეს მით უფრო შორს და ფართოდ იხედება, მით უფრო პატარებად ეჩვენება დაბლა მყოფნი, როგორც უსულო ისე სულიერი არსებანი, მით უფრო ამაყია, უფრო ახლოს გრძნობს თავს ღმერთთან. სიმაღლეზე ადამიანი ისეა, როგორც სიზმარში გადადის სხვა სამყაროში, სხვა განზომილებაში, შემდეგ უბრუნდება ფიზიკურ სხეულს.

როგორც ცნობილია, დედამიწის ტერიტორიის 28% მთებს უკავია და ცხოვრობს მოსახლეობის 12%. საქართველოს ტერიტორიის სამი მეოთხედი მთებია. სვანეთის ტერიტორია 4841 კვ კილომეტრია, საქართველოს ფართობის 7%-მდე. ზემო სვანეთის, ენგურის ხეობა 3320 კვ. ქვემო სვანეთის, ცხენის წყლის ხეობა 1521 კვ. კმ. „მთა-მთას მოსდევს თითქოს მცველად“. როდის



და როგორ შეიქმნენ ეს მთები, ვაკეები და ზღვები ღმერთმა უწყის. რა იქნებოდა მთები უადამიანოდ. ამ სიმალლეზე წინაპართ იმ დროისთვის ყველაზე მაღალი შენობები, აუღებელი მთები, მაგრები, კოშკები – „მუყვამ“ აუშენებიათ, რომლებმაც საუკუნეებს გაუძლეს და ნაწილი დღესაც ამაყად დგას. ისინი ეპოქის უკვდავი მემკვიდრეებია, ამ კოშკებში ლოცულობდნენ უმგულელნი, უყვარდათ ერთმანეთი, მღეროდნენ, შეხზაროდნენ ერთმანეთს და ღმერთს, იბრძოდნენ შემოსეული მტრისა და უსამართლობის წინააღმდეგ, ემალებოდნენ ჟამიანობას, ცივ ზამთარს და სხვ.

რამდენად შესაძლებელი იყო უმგულში იმ დროს ასე და დასახლება? მოვიყვანოთ შედარება: სიმალლეზე, მწვერვალზე ასეა არის გარემოსთან და საკუთარ თავთან ჭიდილი, ადამიანური შესაძლებლობების გაგება, იქ ასეა სადაც სხვები ვერ ადიან ე. ი. სწრაფვა პირველობისკენ, ინტერესი ფეხდაუდგმელზე ფეხის დადგმისა. ამ ასეა სხვადასხვა გზით ცდილობდნენ: რთული და მარტივი – ასე მაგალითად უშაზე მარტივი მისახვევ-მისახვევებით ასეა ადვილია, მაგრამ იმ ვადმობრილი კედლით ასეა რომლითაც ხერგაინის ჯგუფი ავიდა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. ადამიანთა ერთ ნაწილს სიმალლის შიში აქვს, მეორეს – პირიქით.

ალბათ შეუძლებელია იმის სრულად აღწერა, რასაც მთამსვლელი ან შესაბამისად თანამდებობის პირი (პრეზიდენტი) განიცდის სიმალლიდან ყურებისას. სიმალლეზე ასეა ადამიანს სხვანაირად აყალიბებს, ხასიათს უცვლის: ადამიანს თავი ბუმბერაზადაც მიაჩნია და არარაობადაც. მთის სიმალლეზე ადამიანი უყურებ შენ თავს, შენს მეტი სიცოცხლე იქ არ ჩანს, სხვა სამყაროში ხარ, სუნთქვა გიჭირს, იქ, სადაც შენი ადგილი თითქოს არაა, უსასრულო ცის სიერეს უყურებ, თვალში ვერ სწვდება პორიზონტს, მხოლოდ წარმოდგენებით, მოჩვენებებით, ლანდებით აზროვნებ და შენს თავს არწმუნებ, რომ განკაცებული ქრისტე ხარ, ღმერთის გაჩენილი ხარ. ამ დროს ადამიანი უფალს ემსგავსება და მზესავით ბრწყინავს, ისე როგორც დიდი შრომის შემდეგ, მიღწეული მიზნისას თანამდებობაზე ყოფნის დროს ცოტა სხვანაირადაა – ადამიანს მასზე დაბლა მყოფნი პატარები და უგუნურები ეჩვენება. – ფიქრობს, რომ ამ სიმალლიდან ყველაფრის უფლება აქვს, ყველაფერი შეუძლია, თავბრუ ეხვევა, ორიენტაციას კარგავს და დაბლა ჩამოსვლა ცოცხალი თავით არ უნდა. ამ დროს შეიძლება ათასგვარი ადამიანური სისულელე ჩაიხედინოს და კატასტროფა მოუტანოს ქვეყანას და კაცობრიობას. ამიტომ არის საშიში ერთმმართველობა.

მწვერვალთან დაშვებისას პიროვნებას მიღწეულით საოცარი სიამოვნება, სიამაყე ეუფლება. რაც უფრო დაბლა ეშვები ხედი იცვლება, პორიზონტი ვიწროვდება, დიდი თუ პატარა მწვერვალი, ქედი, თხემი, ქიმი, ნაკადული, ჩანჩქერი. თითოეული, ყოფა-ცხოვრებაში შენს ირგვლივ მყოფ პიროვნებას გაგონებს, მათ ამსგავსებ: ზოგი ამაყი, ამაპრტავანი, ქედმაღალი, გაძვივრა, ზეიადი, გორიზი, ვერავი, უკარება; ზოგიც – თავმდაბალი, რაინდი, სათნო, გულკეთილი გიზიდავს, გეძახის, გეპატივება, მოლს გადაგიშლის, ჩაგისუტებს, განშორება გიჭირს.

როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, მთები ადამიანის უძველესი საბინადრო გარემოა. სამი მილიონი წლის წინ ადამიანის წინაპრებს უკვე ათვისებული ჰქონიათ ეთიოპიის მთები, აფრიკის მაღალი მთის კლიმატჯაროს მისადგომები. ერთი მილიონი წლის წინააღმდეგ ნაკვალევია საქართველოში ჯვარახეთის ზეგანზე. ნახევარი მილიონი წლის წინათ ადამიანი ნადირობდა აპენინებსა და მთელ კავკასიაში. თანამედროვე ადამიანის (ჰომო საპიენსი) უძველესი სამყოფელი მიკვლეულია ბევრ მთიან ადგილას. თანამედროვე ადამიანის წინაპრის ყოფის კვალი 22-ე ათასწლეულში ნანახია მექსიკასა და აშშ-ში 2200 მეტრზე ზღვის დონიდან, ხმელთაშუა ზღვის, ინდოჩინეთის, ტიბეტის, აბისინიის, პერუს ძირძველი ცივილიზაციის აკვნებში.

მთები ადამიანს აძლევდა ბუნებრივ თავშესაფარს – მღვიმეებს, გამოქვაბულებისა და ნაპრალების სახით. მეცნიერთა აზრით მთის ორგანიზმებში ულტრაიისფერი სხივების გავლენით ვაკელებით სწრაფად მიმდინარეობს ე.წ. მუტაგენეზის პროცესი, რომელიც განაპირობებს სახეობათა წარმოშობის გაძლიერებულ პროცესს და მცენარეთა და ცხოველთა დიდ სახეობრივ მრავალფეროვნებას პიბრიდიზაციის გზით. ცნობილია, რომ ხმელთაშუა ზღვის, წინა აზიის, ინდოჩინეთის, ტიბეტის, მექსიკის, აბისინიის, პერუს ცივილიზაციის საწყისი მთიანი რეგიონები იყო.

ამჟამად მსოფლიოში ზღვის დონიდან 1000 მეტრზე მაღლა ცხოვრობს 330 მილიონი, 1000 მეტრიდან 2000 მეტრამდე 250 მილიონამდე, 3000 მეტრზე მაღლა 30 მილიონი, 3000-დან 5000 მეტრამდე 10 მილიონი (ანდეები, ტიბეტი, პამირი, ეთიოპია) ადამიანი.



ეროპაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ამიერკავკასიის და კერძოდ, საქართველოს მთიანეთს. საქართველოს მთებში იზადებოან – ენგური (2840 მ), რიონი (2495 მ), ლანჩხუთი (2780), არაგვი (2830 მ), ალაზანი (2641 მ), ისინი შესაბამისად ქმნიან დასავლეთ საქართველოს ჩარისა და ციტრუსების დოვლათს, ქართლ-კახეთის ზვრებისა და ხეხილის ბაღების სიუხვეს. ადამიანის ჯანმრთელობის უებარი ადგილებია – მჭავე წყლები, მინერალური წყაროები, ტყე, ჰაერი, ბუნების პეიზაჟი.

მთის ხალხი თავისებური ცივილიზაციის, კულტურის შემქმნელია, მთის ზვიადი, მკაცრი, ლამაზი ბუნება ადამიანის ნიჭს, ზნეობასა და შემოქმედებით უნარს იძვითად თუ შერწყმია სადმე ისე ჰარმონიულად, როგორც საქართველოს მთიანეთში და უნინარესად სვანეთში, უმგულში.

მსოფლიო მთების იშვიათობათა საგანძურში სვანეთი და განსაკუთრებით უშგული ერთ-ერთი მარგალიტია. ამასთან დაკავშირებით ბევრი გამონათქვამები აქეთ უცხოელ მეცნიერ-მკვლევარებს. უშგულის ყოველი მტკაველი ისტორიაა, ყოველი კუნჭული წარსულზე ლაპარაკობს: კობტა, თეთრად მოქათათე საყდრები, იქ დაცული ძველი ხელნაწერებითა და იკონოგრაფიის შედეგებით – წმინდა ხატ-ჯვრებით, იქვე ამაყად მდგარი ციხე-კოშკებითა და მაჩუბებით, კალოებით და მაჩუბით, სამჭედლოებითა და წისქვილებით. უშგულში დგას შხარასავით ამაყი და სპეტაკი მთელი ტყე შავი და თეთრი კოშკებისა – გარდასულ დროთა უტყვი მებატიანენი. დრო ყველაფერს აჩანაგებს, უძლებს მხოლოდ ეგვიპტური პირამიდები. იგივე შეიძლება ითქვას სვანურ კოშკებზე, ვინ მოთვლის რამდენ ბუნებრივ და ადამიანურ სიავეს გაუძღვლი ამ გოლიათებმა, და მაინც ამაყად დგანან უშგულელი კაცივით რაინდულნი და გაუტყვხელი, თავისუფლებისა და დემოკრატიის მოყვარულნი და დაე მუდამ იდგნენ და გამარჯვებებით შეეგებონ მომავალ საუკუნეებს პატრონებთან ერთად ეს ფენომენები.

უშგულელს სამყაროც თავისებურად აქვს აღქმული, ისინი მხარეებს, ბუნების ოთხ მიმართულებას შემდეგნაირად არჩევენ:

მიჟლაკად (მზის აღმოსავალი) – აღმოსავლეთი

მიჟლაგარ (მზის დასავალი) – დასავლეთი

ლამუჟ (სამზეო) – სამხრეთი

ლამშგედ (საჩრდილო) – ჩრდილოეთი

სამყაროს კი ასე ყოფდნენ – ბუასდ (სამყარო):

ამებუასტ – ამქვეყნიური

ენებუასტ – იმქვეყნიური

ჟიბებუასტ – ზესკნელი

ჩუბებუასტ – ქვესკნელი

დეც ი გიმ – ცა და მიწა

მიჟ ი დომდულ – მზე და მთვარე

სოფელ-ქვეყანა – მსოფლიო

ჰავა – ჰაერი

ძულვა – ზღვა

რივენ – წყალი-მდინარე ადიდებული

ჰაავდარ//მუხი – ავდარი

დარ – კარგი ამინდი

მააფხე – მოწმენდილი ცა

მარე – ღრუბელი

უჩხა – წვიმა

შდუვა – თოვს

ტყვეფ – ადგილი, მხარე

გიმ//ვერ – მიწა, უკავშირებენ პროტოხეთურ wor-ს (ქვეყანა)

ჰაგაამ – ეზო-გარემო

მუს – თოვლი

ჰოლ – მყინვარი

ბიქე – ქარი

ამტყვასგ – ვარსკვლავი

ქლავ – ნიავი
 ჭალა – მდინარე
 ტვიბრა – ღელე//ნაკადული
 სარაგ – წყარო
 მორელ//ზინულ – მინერალური წყალი
 სგიმ – მთავე წყალი
 თანალ – მთა
 ითინ – მწვერვალი
 ზაგარ – ზეკარი, ქედი
 უღვა – ქედი უღელი
 კარეტ – გადასასვლელი მთაზე
 ცხიკ – ტყე
 ნიც – წყალი
 კოჯ//უხვან – კლდე//ქარაფი
 ნაკ – ვაკე
 ლახვ – საქონლის საბალახო მთა

დრევ – დრო
 ივალადელ – მარად, მუდამ ჟამს
 ივა ადამუნლო – ევა ადამიდან
 ლეეთ ი ლადელ//ფაან – დღე-ღამე
 რჰი – ნათელი
 ბური – ბნელი
 ლადელ – დღე
 ლეეთ – ღამე
 ლირჰაალ – გამთენია
 ძინარ – დილა
 ისგლადელ – შუა დღე
 ნაბოზ – საღამო
 ისგლეეთ – შუა ღამე
 მასკება – შუა ღამე (სასწორის თანავარსკვლავედი)
 ლაათ – გუშინ
 ლაათა ხუნკეიშ – გუშინ ნინ
 მუხარ – ხვალ
 დოოსგ – ადრე
 გვიან – გვიან
 ნაგზი – კვირა
 დომდიშ – ორშაბათი (მთვარისა)
 თახაშ – სამშაბათი (მარსისა)
 ჯმაშ – ოთხშაბათი (მერკურისა)
 ცააშ – ხუთშაბათი (იუპიტერისა)
 ეობიშ – პარასკევი (ვენერასი)
 საფტინ – შაბათი (სატურნისა)
 მიშლადელ – კვირადღე
 მიიშ – კვირა
 თევ – თვე
 ქვახ – იანვარი
 თებურვალ – თებერვალი
 მარტ – მარტი
 აპრილ – აპრილი
 ვარდობ – მაისი, ვარდობის თვე
 ივანობ – ივნისი, ივნობის თვე

ლიგურკე – ივლისი, კვირიკობის თვე
მარიაშობ – აგვისტო, მარიაშობის თვე
მკახ//ენკენობ – სექტემბერი, ენკენის თვე
ღვინობ – ოქტომბერი, ღვინობის თვე
სასიმ – ნოემბერი, გიორგობის თვე
ბარბლამ – დეკემბერი ქრისტეშობის თვე
ზა – წელი
ლუფხვ – გაზაფხული
ზაულადელი – ზაფხული
მუჟღერი – შემოდგომა
ღინთვ – ზამთარი

ყველაფერი რაც ღვთისნიერ ქვეყანაში ჩნდება იქნება ეს ადამიანი, მდინარე, მთა, ქალაქი თუ სოფელი დაბადებისთანავე, სახელით მოინათლებოდა ხოლმე. საქართველოს და ევროპის ყველაზე მაღალ დასახლებულ გეოგრაფიულ ადგილზე ოდესღაც დაიბადა, დაარსდა თუ დაეფუძნა სოფელი – უშგული.

ჩვენამდე მოღწეული ისტორიულ დოკუმენტებში მოყოლებული XIII საუკუნიდან სოფლის სახელად გვხვდება: უშქული, უშკული, ვუშქულ უშგული. ასეთი დოკუმენტია XIII საუკუნეში, შედგენილი მოსახსენებლები რომელსაც ზოგი უწოდებს „მატიანე სუანეთის კრებისა-ი“-ს (პ. ინგოროყვა), ხოლო ზოგი „სვანეთის სულთა მატეანეს“ (ე. თაყაიშვილი). ეს მოსახსენებლები ტყავის გრავირილზეა დანერილი ნუსხა-ხუცურით. მატეანეშია სოფლების ან ხევების სახელები, სადაც საეკლესიო კრებები გაუმართავთ და მათი გვარ-სახელები ვისაც სული შეუეფერებია ღვთისათვის.

მატიანეში შესულია მოსახსენებლები სვანეთის შემდეგი ხევების მცხოვრებლებისა: ლალვერი, კიჩილდაში, ლახამლი, ლეშტერი, მაი, ლჰა, ეცერი, კალამი, ცხმარი, ებუდი, დოლი, ბეჩუ, ლატალი, ლენჯერი, სეტია, მულაბი, ნურემი, ზეგენა, კალა, უშქული, უდემდი, ჩემი, უსგური. სულ დასახლებულია 23 ხევი. აქედან უშგული დასახლებულია მე-20 სოფლად. უშქულის შემდეგ დასახლებული სოფლები – უდემდი, ჩემი, უსგურ თუ რეალურია მაშინ უნდა ვიგულისხმეთ უშგმარ, უდემდი//ლადამდე (ვანა) და ჩემო (რაჭის გზაზე). ამ ადგილებში ნამდვილად არის ნა-სოფლარები, თანაც ამ სამი სოფლის მცხოვრებთა გვარებიც ფიქსირებულია (კვაბანი, ნათობიანი, კვირკველიანი, მანასელიანი) ამ სოფლების არსებობა დადასტურებულია XIV-XVI საუკუნეებშიც. ამასთან აღსანიშნავია, რომ უდემდი სოფელი ყოფილა ლახამლის პირდაპირ მთის იქით. საყურადღებოა, რომ სეტის ზემო სოფლების (მულაბი, ნურემი, ზეგენა, კალა, უშქული) მოსახლეთა გვარები აღნიშნულ მატეანეში არ არის დასახლებული. როგორც მკვლევარებს მიაჩნიათ, ამ სოფლებს ან არ ჰყავდათ ამ დროს მღვდელმსახური, ან რაღაც შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

„სვანეთის სულთა მატეანეში“ უშგული მრავალჯერ არის ნახსენები: უშგული, უშკული, უშქული: „დავწერეთ... ჭევმან ერთობილმან უშგულსა და ლალავერსა შუა“, „გიბოძეთ დანერილი... ჩვენ ჭევმან ერთობილმან ლალავერსა და უშკულს შუა“, „ეს წიგნი დავწერეთ ყოვლად ნმი-თა უშკულისა... ერთგულებისა ზედა“, „თუ ჩვენი მოციქულნი უშქულით ოდესაც მოვიდეს, თითო წანალები არ შემოგვაქციოს“, „დაუწერეთ... უშქულს შუამან, მას ვამს ოდეს აპუთა კაცთა... ეკლესიათა ოდებდა დაიწყეს“, „ვინცა უშქულს ამა კრებისა მოეგება, ყოველთა შეუნდონ“, შემომინირავს კათხა უშკულის დედა მღვთისათვის“, „გავაერთეთ ჩვენი საქმე კალამ, უშგულმა და ჭალდემმა“, „ესე წიგნი დავწერეთ უშკული, მესტია, ლატალი ერთმანეთისა ერთგულობისა ზედა“, „უშგულისა... სრულიად სვანეთისა ჭევისა ვუშქულსა და ლალავერს შვა სამაგრობელი“.

ზოგ საბუთში უშგულის ნაცვლად ნახმარია გეოგრაფიული ადგილი „ატკვერი“: დავწერეთ სამგომი... ჭევმან ატკვერს და ბელას შვამან“. „ჭვეი ბალს ზემოცა და ატკვერს ქვემოთაც“.

ბ. წიფარაძის აზრით უშგულის სახელწოდება სვანურში არსებული სიტყვაა „უშგულ“-ი, სვანურად ნიშნავს „უკუღმას“ ანუ უკუღმართს, სვანები წყველისას ასე ამბობენ – უშგულ ადგილთა ადგი. ე. ი. უკუღმართ ადგილას წადიო. ის ასე ახასიათებს უშგულელებს: უშგულელი საზოგადოდ ამაყი და ავ-გულია: მოთმენა იცის, მოთმინებიდან გამოყვანილი-კი არც სხვას ჰზო-



გავს და არც თავის თავს. ტყუილად-კი არ დარქმევია ამ საზოგადოებას „უშგულ“-ი, რომელიც ქართულად უკუღმას, უკუღმართს ჰნიშნავს-ო.

ნ. მარის გეოგრაფიული სახელი „უშგულ“ – სამხრეთიდან შემოტანილად მიაჩნია. ის წერს: უშგულის სახელი მომდინარეობს ქოროხის ხეობის სათავეში არსებული სოფ. ოშკისაგან ანუ უშკისაგან (მოგზაურობა სვანეთში რუსულად გვ. 31-33). ნ. მარი ამ შემთხვევაში ამოსავალ წერტილად მიიჩნევს იმას, რომ ძველად ხშირი იყო ხალხთა გადაადგილება, რასაც მოჰყვებოდა ტომონიშის გადაადგილებაც, მით უმეტეს სვანების და საერთოდ ქართველების პირვანდელი საცხოვრებელ ადგილებად სამხრეთი არის მიჩნეული (მცირე აზია).

აკადემიკოს ნიკო მარის მოსაზრება უსაფუძვლო არ ჩანს. ცნობილია, რომ ოშკს უწოდებდნენ უშკსაც მაგ. „ხელმეორედ ითარგმნა ესე საკითხავი ნეტარისა გრიგორი უშკელისა მიერ... (ეგრემ მცირე XI-ს). თვით სვანურშიც გვხვდება ო-ს უ-თი შეცვლა მაგ ოსეთი-უსეთი, ასევე ოშკი-უშკი. აგრეთვე, სვანურშივე გვაქვს კინოზობის მანარმოებელი – ულდ. მაგ. ლახე-ლახულდ, ქორ-ქორულდ, ასე შეიძლება ანარმოვს – უშკ-უშკულოდ. ამასთან, საყურადღებოა, რომ უშგულის საზოგადოების სოფ. ზესხოში არის ადგილი ქოროხიც, რაც ამატებს ნ. მარის მოსაზრებას.

გამოთქმულია ვარაუდი, რომ უშკულ მომდინარეობდეს ძველი ქართული სიტყვიდან „უსკურა“ რაც ღრმა ჯამს ერქვა (საბა, ნ. ჩუბინაშვილი.) ან მეგრულ-ჭანური „უშქური“ – ვაშლი, ხოლო „უშქურა“ – სამიში, უკუღმართი.

ჩვენი ვარაუდი, თუ ნ. მარის მოსაზრებას გამოვიცხავთ დასაშვებად მიმაჩნია უშკულის მომდინარეობა „შუკ“ (გზა) სიტყვიდან. „უშუკულ“-უგზოს პქვია სვანურად და საერთოდ შუკა ძველი ქართული სიტყვა – ორღობეს გზას ნიშნავს, და ასეთი მართლაც იყო უშგული უგზო და მიუდგომელი. არის სოფელი „ლუშუკ“-იც ნ(საგზაო). როგორც ცნობილია უ – ხმოვანი საერთოდ ქართულში და მათ შორის სვანურშიც უარყოფითობის მანარმოებელი თავსართია. ასე მაგ. „უშგმარ“ (უკანა მხარე), „უჟაალ“ (სვანეთის ქედი), უშგალ (უსხვენიო)//უსახურაო), უშგულ (უკულმა), ურწყულეთი, უცხანდერი (ლქჩხ.).

ყარააზა-ბალყარეთის სოფელ ყუბანის სათავეში მდებარეობს დასახლება „უშგულანი“, მკვლევარი ლ. ლავროვი ამ სახელს უშგულთან აიგივებს. მკვლევარ თ. მიბჭუანის აზრით „ანი“ დაბოლოება ქართველური ენებისათვის დამახასიათებელია, მაგ. ქართვანი, იდლიანი, ლახანი, ჩვიბიანი, ყიბიანი, ცანი და სხვ. (თ. მიბჭუანი, მეგობრობის სათავეებთან 1986. გვ. 76).

აღსანიშნავია აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ერთმანეთის მახლობელ ორი ქალაქის სახელწოდებანი: უშნუი, ურშია (სამყაროს საკვირველებათა ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი, 1978 წ. რევაზ კიკნაძის გამოცემა).

უშგულის აღწერა 1888 წელს გაზეთ ივერიაში გამოქვეყნა ცნობილმა ეთნოგრაფმა, პედაგოგმა და მღვდელ-მოღვაწემ უშგულელმა ბესარიონ ნიქარაძემ. სადაც დაწერილებით არის აღნიშნული მაშინდელი უშგულის მდგომარეობა (გაზ. 1888. № 35, 43, 44, 49, 68, 69).

როგორც აღინიშნა, უშგული ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს ევროპაში 2200-2500 მ. მწვერვალი შხარა კავკასიონის მთავრ წყალგამყოფ ქედზე მდებარეობს და სიმაღლით (5201 მ.) აქ ის პირველ ადგილზეა, მას ზუთი მწვერვალი აქვს. სახელწოდება შხარა სვანურია და თეთერ ზოლს „შხარა“ (გახლქნილი) ანუ ნიკორას ნიშნავს.

შხარიდნ გამოედინება ენგური ის ზემო სვანეთის ცენტრალური არტერიაა, მისი სათავის სიმაღლე ზღვის დონიდან 2840 მეტრია, ხოლო შავი ზღვის შესართო 450 მ, სიგრძე 221 კმ. ენგური ანუ ეგრ-ულ-ი ე. ი. ეგრისული, ეგრის წყალი, ეგრისი ერქვა დასაძლეთ საქართველოს (სამეგრელოს). უშგულის ტერიტორიიდან – ყორულდში გამოდის ცხენის წყალი (ვაანის წყალი) 2695 მეტრის სიმაღლიდან, მისი სიგრძეა 183 კმ. მიედინება ქვემო სვანეთის ხეობაში, შემდგომ ლეჩხუმ-იმერეთის გავლით შვე ზღვაში.

საქართველოს უსასაუკუნეების არქიტექტურის მრავალფეროვან ძეგლთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია მაღალმთიანი ადგილების საცხოვრებელ სახლებსა და სათავედაც-ვო ნაგებობებს. განსაკუთრებით საინტერესოა სვანეთის არქიტექტურა. სვანური სოფელი ქვის მთლიან არქიტექტურულ ანსამბლს წარმოადგენს. სადაც სახლები, მაღალი კოშკები და სხვა ნაგებობანი შერწყმულია გარემოსთან. სვანური არქიტექტურის სხვადასხვა ფორმები დღეს ყველაზე უფრო უშგულშია შემორჩენილი, ამიტომ უშგული განსაკუთრებულია.



უშგული ჩრდილოეთიდან შემოზღუდულია შხარას მთის დათოვლილი მწვერვალებით. სევის დასახლება მდინარის გასწვრივია განლაგებული. სოფლის თავში 2200 მეტრზე „აღმწიფადს“ კომპიანი კომპლექსია განლაგებული, ქვემოთ უშგულის ოთხი უბანი – სოფელია „აღმწიფადს“ ფიზიანი, ჩვიბიანი, ჩააჟაშ და მუყემერ. სახელწოდება ფიზიანი ზედა უბანს ნიშნავს, ჩვიბიანი – ქვედას, უცნობია თუ რატომ ჰქვია, „ჩააჟაშ“, ჩააჟ-სვანურად ცხენს ჰქვია, თუ აქედანაა სახელი ნანარმოები მაშინ საცხენეს ნიშნავს, ხოლო მეოთხე უბანი „მუყემერ“ კომპიანს ნიშნავს ძველად ყველაზე დიდი რაოდენობით კომპეტი მუყემერში ყოფილა.

უშგულის სოფლებიდან განსაკუთრებით საინტერესოა ჩააჟაში, რომელიც მდინარე ქვიშირის ენგურთან შეერთების ადგილთანაა განთავსებული. სოფლის თავდაცვისუნარიანობას აძლიერებდნენ ჩააჟაშის ქვემო ციხე და ზემო ციხე-სიმაგრე, რომელიც 2500 მეტრზეა ზღვის დონიდან და გადაჰყურებს მთელს ენგურის ხეობასა და სვანეთის ქედს. ზემო ციხე-სიმაგრეს, რომელიც ლენკვერის ქედზეა, ცხენისწყლის სათავეებიდან გამომავალი გზები უნდა დაეცვა, ქვემო ციხე კი სოფელს ჩრდილოეთიდან კეტავს და თითქმის მიუვალს ხდის, ვინაიდან ყველა სხვა მხრიდან სოფელი მდინარეებითაა შემოფარგლული.

ჩააჟაშის კომპლექსის შემადგენლობაში ორსართულიანი სახლები, სამსართულიანი სახლ-კომპეტი, დამხმარე ნაგებობანი, კალო, მაჩი, ნისქეილი, მთელი ეს მიწის ნაკვეთი ქვის ღობითაა (კვილა) შემოსაზღვრული.

აი რას წერს 1904 წელს გაზეთი „ცნობის ფურცელი“ – როგორც კი შეხვალთ სოფელში, დაათვალიერებთ სახლებს, გზებს, იტყვიან, ეს ხალხი საომრად ყოფილა მომზადებული მუდამ და მუდამ მტერს ელისო. როგორც ხალხური გადმოცემები ამბობს: მას შემდეგ რაც თამარ მეფე გარდაიცვალა, რომელიც ხშირად მოდიოდა უშგულში თავის რეზიდენციაში, სვანეთში ცხოვრება აირია: გაქრა ერთობა, თავადებმა იწყეს ბრძოლა ურთიერთ შორის და აგრეთვე იმერეთის მეფის წინააღმდეგ. სვანეთში შემოვიდნენ სხვადასხვა პირნი და მოინდომეს მფლობელობა („ცნობის ფურცელი“ 1904 წ. №268).

**თუ საქართველო ნამდვილად გიყვარს, სვანეთში უნდა ნახვიდე და იქიდან ამოგვიდგე უღელში!
(ილია ჭავჭავაძე – ბესარიონ ნიჟარაძეს).**

სვანეთის გამყოფ ქედზე ლატფარის მთიდან ჩანს ენგურის ხეობის სათავე კავკასიონის მარად ყინულოვანი მუყფე-შხარა და მის ძირში ისმის წყარო-სვიმ-ნაკადულთა ჩხრიალი, არნიე-ორბთა ყივილი. გადმოგყურებთ ზვიადი საჯიხვეები (ლათხვარიარ). აქ ყველაფერი იდუმალი და ბუმბერაზულია. და აქვე ენგურის გავეკებაზე მოსჩანს ადამის ძეთა შრომისა და ხელოვნების უკვდავი ქმნილებანი უფლის სავანე თეთრი საყდრები პირქუში და თეთრი კომპეტი, მაჩუბები, მაჩენი კალოებთან და ნისქეილები ენგურის ჩაყოლებაზე და შენაკადებზე. ყოველივე ეს ოთხ ნაწილადაა დაყოფილი – მუყემერ, ჩააჟაშ, ჩვიბიანი და მთლიანობაში – უშგულია. უშგული სვანეთის თავი, უშგული საქართველოს და მთელი ევროპის ქუდი, უმაღლესი დასახლებული სოფელი ევროპაში (2200-2500 მ.).

უშგული ეს გახლავთ ლომთა თავისუფალ ხეობად ნოდებული ამაყი და მკაცრი სვანეთის თავი – ცენტრი. აქ უძველესი საუკუნეებიდან ფრიალდება თავისუფლების დროშა (ბაირალი). ფარნავაზიან – გორგასლიანი, დავითიან – თამარიანი.

ბევრი ქართველი აქვს გამოვლილი უშგულს ხილული და უხილავი, ჩვენთვის ცნობილი და უცნობი. შინაგანი ღელვანი და გარეშე მტერთა შემოტევანი, ყაბარდო – ბალყარეთთან, ყარაჩაი – ჩერქეზეთთან, თუ სხვასთან.

საქართველო ეს არის რაინდთა მრგვალი მაგიდა 30 საუკუნეზე მეტია ამ მაგიდას უსხედან (ქართები, ზან-ლაზები, სვანები) იმერელები, ქართლელნი, ხევსურები, მოხვეენი, თუშნი, მთიულნი, გუდამაყრელნი, ფშაველნი, ჯავახნი, მესხნი, გურულნი, რაჭველნი, ლეჩხუმელნი, აჭარელნი, მეგრულნი, სვანნი, აფხაზნი. სამი საუკუნეა ამ მაგიდისკენ მოისწრაფვიან ჩვენი სისხლბორცული ძმები და ჩვენი მიწა-წყალი იმერხველნი, ლაზნი, ინგილონი, ფერეიდნელნი. რადგან ეს საქმე უფლისეულია განხორციელდება.

ქართული ენა ეს არის საერთო, ზოგადდროვნული, დიალექტურ-კილოკავური ფორმების შემცველი და ასეთი ლექსიკონიც შეიქმნება ალბათ.

უჭირდა უშგულელ კაცს ბუნების მკაცრ კლიმატთან ბრძოლა, მაგრამ მაინც საუკუნედას საუკუნემდე ქმნიდა და აშენებდა, ებრძოდა გარეშე მტერს ჩრდილოეთით და სამხრეთით. აგვარებდა შინაურ გართულებებს, რომელიც სამწუხაროდ არცთუ იშვიათად ხდებოდა. აწესებდნენ საყდრებთან მცხოვრებთა უფლებამოვალულებს, ურთიერთშორისი ქცევის ნორმებს, ნადირობის წესებს – ყოველივე ამას უძღვნიდნენ სიმღერა-ფერხულებს, ინარჩუნებდნენ ძველს და ამატებდნენ ახალს.

2. უშგულის ადრინდელი და ახლანდელი სახე

შენობა-ნაგებობათა თავისებურება გარეთა და შიდა ფასადი

უშგულის ადრინდელი სახე, შენობა-ნაგებობათა შიდა და გარე ფასადი საკმაოდ განსხვავდება დღევანდელისაგან.

ბესარიონ ნიჟარაძის აღწერით 1888 წელს უშგულში 61 მეკომურია, ასი ქვიტიკრის სახლი რომელთაგან 39 უკაცურია. 59 კობტა, მალალი, ნვრილი და შელესილ-შეფეთქილი კოშკი, 63 ნამჯის შესანახავი შენობა „მაჩ“, 15 ნისქეილი და 7 ეკლესია. სულ 244 ქვითკირის შენობა. შენობები ერთი მეორეზე ახლოს დგანან და ბრტყელი ქვით არიან გადახურული (კა), საშენ მასალად გამოყენებულია ასპიდი, გრანიტი, ბუნებრივი შიფერი და იშვიათად რიყის ქვა. ხის მასალა ცუნადან (ცხენისწყლის ხეობა) მოაქვსთ. ხის მასალიდან მოსწონთ ნაძვი, გამოყენებულია ფიჭვი და ეკლის ხეც (ცაგ). ეკლის ხის დირე ახლაც შემორჩენილია მაქსიმე კაკრიაშვილის სვანურ სახლში.

სახლები ოთხ კუთხიანია ორ-სამ სართულიანი. გვერდზე მიდგმული 7-8 სართულიანი კოშკით. სახლს მიდგმული აქვს გუბანი (სასტუმრო). წინ სახლს ტალანი აქვს და ორი ერთიანი კარია ჩამოკიდებული კარგ მანძილზე დაშორებული, რაც სიცივისაგანაც იცავს და ქურდ-მტრისგანაც. შიგნით სახლი გაყოფილია გვალთი, სადაც საქონელია დაბმული და კერია – ყველფით და სპანით, სადაც ადამიანი ცხოვრობს და ლამეს ათევს. კერიასთან კიდია ნააჭა (ჯაჭვი) და სხვენზე დიდი ფიქალი ქვაა (კა) გადებული (2-3 კვ.მ.) რომელიც ცეცხლისაგან იცავს მეორე სართულს. ძირს დგას ოთხფეხა რკინის კერია. კერიის უკან არის ბოჯარ, გვერდით ხით გამოყოფილია კუთხეში „მარანი“ (სამზარეულო), სადაც იყო ქორამეზირ (სახლის ანგელოზის ნიში). დასაჯდომად არის საკარცხული, ღრგიმ, ბანდარ, კვილ, ფიქ-ტაბაგ, იატაკზე დაგებულია ბრტყელი ქვები (კა). მაჩუბიდან – დარბაზში ასასვლელად არის ლობი, დარბაზიდან კვამლის გასასვლელად საკვამ. გვერდებზე აქვს ვინრო სარკმლები. შიგნით კედლებზე მაჩუბში და დარბაზშიც გაკეთებულია კავები (წამ. ფუცხ), სადაც ჩამოკიდებულია იარაღი: ხანჯალი, კაყიანი თოფი და სხვ.

ბ. ნიჟარაძის აღწერით მაშინ უშგულში ჰყავდათ 165 საულე ხარი, 209 მენველი ძროხა, 52 ცხენი. შეძლებულ ოჯახს ჰყავდა 10-12 ძროხა, ამდენივე ხარი, 2-3 ცხენი, 30 თხა-ცხვარი და 15-20 ღორი.

XIV საუკუნეში უშგულიდან რაჭა(ლები) ლეჩხუმისა და მალყარის(ყაბარდო) მიმართულე-ბით ყოფილა სამარხილე-საურმე გზა. 1906 წელს ამ გზით უმოგზაურია რუს მკვლევარს მ. შოსტაკს.

ძველად უშგულის შემადგენლობაში შედიოდა ცხენისწყლის ხეობაში მდებარე სოფლები: უეშმარ, ცანან, ზასხვ. როგორც ბ. ნიჟარაძე აღწერს XIV საუკუნეში ცანან და ზესხო დიდი სოფლები ყოფილა ეკლესიებითა და სათავდაცვო-საყოფაცხოვრებო ნაგებობებით. ცანანში ყოფილა მთავარანგელოზის ეკლესია, რომლის ნანგრევებიც დღესაც დარჩენილია. ჩვენამდე მოაღწია XIV საუკუნის ნარწერამ ჯვარზე რომელიც უშგულის „ლამარია“-ში შემონახა „ქ. წმინდაო მთავარანგელოზო, შეინყალებე მამყნებელი შენი სოფელი ესე ცენა“...

უეშმარის ხეობაშიც დარჩენილია 5 ნასახლარი, როგორც ბ. ნიჟარაძე წერს ცენა – ლეშმ-გმარის ხეობიდან გადმოსახლებულან – თამარშა – ივეჩიანი ლატალში სოფ. ლეშუქში, გაბიშა-ჩართოლანი მესტიამი, სუმაიშა-ჩარკვიანი (უწინდელი ჩუბრუკიანი) უშგულში და მამინოშა-ჯონხოთელი ლაშხეთში.



ზესხოში (ბრიგენის ველი) 18 ნასახლარია, გადმოცემის მიხედვით ეს სოფლები განადგურებულია XV-XVII საუკუნეებში. როგორც ცნობილია XVI-XVIII საუკუნეები ბნელი ხანაა ქვეყნისთვის თველოს ისტორიაში.

1882 წელს ცანაში არავინ ცხოვრობდა, ჩასახლდნენ უშგულიდან ბექა ნიჭარაძე (ავგულმამარშანმა) და გიერგ რატიანი (შალვაშა), როგორც ამ ამბის მხილველი ბ. ნიჭარაძე წერს მათ უწმინდათ ძველ ნანგრევები (სახლები გადამწვარი ყოფილა) და იმის შემდეგ ცანაში სოფელი აღდგა (1910 წელს ცანაში ცხოვრობს 6 კომლი, რომლებიც უშგულის საზოგადოებაზე არიან მიწერილი) არა მარტო ძველ საზღვრებში, არამედ გადააჭარბა კიდევც, ეს გაგრძელდა 1987 წლამდე (სტიქიამდე) დღეის მდგომარეობით ცანაში საგანგაშო მდგომარეობაა, მხოლოდ ერთი ოჯახი ცხოვრობს მუდმივად (შემა კაკრიაშვილი) და ისიც ტოვებს აქაურობას.

აღვნიშნავთ, რომ ცნა და ზესხო საბჭოურ პერიოდში ლენტეხის რაიონს გადაეცა და იხსენიება ქვემო სვანეთის შემადგენლობაში, ზესხოში ამჟამად მოქმედებს ალპიური ბანაკი, 10-15 წლის წინ ამ ტიპის ბანაკი იყო ყორულდაში, მაგრამ 1990-იან წლებში გაძარცვული და დანგრეული იქნა მთელი რიგი შენობა ნაგებობები და აღჭურვილობა, აქვე დაინგრა და თითქმის ნაიშნა და რაროშანის წარმოება და მისი შენობა-ნაგებობანი, რომლებიც ერთხანს ახლო-მახლო სოფლების მოშა ხელის დასაქმების ერთ-ერთი ადგილი იყო (1936-1982 წწ.). ამჟამად ამ ადგილებს პატრონობს გოგი კაკრიაშვილი, რომელსაც შეუნარჩუნებია ერთი კაპიტალური სახლი. ზაფხულობით საქონელს ბაბაღახებს და ამიანებს მიტოვებულ ნამოსახლარებს. ბარაკალა მას, ღმერთმა ხელი მოუშართოს.

ზემით მოკლედ გავაანალიზეთ უშგულის სახე ძველად. ახლა გადავხედოთ როგორია ის დღეის მდგომარეობით. უშგული დღეს ოთხი უბნისაგან (სოფლისაგან) შედგება: მუყემურ, ჩაფაშ, ჩვიბიანი, ჟიბიანი. უშგულში არის 7 საყდარი (ეკლესია)

ა) მუყემურის ასი ანგელოზის მაცხოვარი, სამრეკო კოშკით. მოხატულია მეორედ XI საუკუნეში, ახსოვთ კედლებზე და ქვრზე ასი ანგელოზის მოხატულობა (სვანურად აშირ ყერ მაცხვარა) (ქართველებს ძველად ჰქონიათ 100 საეპისკოპოსო, შეიძლება სახელწოდება აქედანაა (ი. ტაბაღლა 1986 გვ. 173. ს.ე.ა.წ.). მე-20 საუკუნის 40-იან წლების შემდეგ საბჭოურ პერიოდში განადგურდა გუმბათის მოხატულობა, შემორჩენილია კედლებზე ფრესკები მათ შორის, თამარ მეფის და მისი მამის გიორგი III-ისა (მრეელი - კაკრიაშვილი, ღვაწლიანი, ჩარქსელიანი).

ბ) წმ. შაბარგის ბაზილიკა, ადრინდელი შენობა დანგრეულია ზვავის მიერ (მრეელი - ქელიძე, ჩარქსელიანი). ბაზილიკა მოხატული არაა. ამჟამად შვინი ნაშენი დიდი ქვაბი (ცხუად, ლლენ), რომელსაც რელიგიურ რიტუალებზე ხორცის მოსახარშავად იყენებენ. შემონარულია დავითულიანების მიერ შემოსახეწრად მუყემურისა, რომ გახიზენის შემდეგ ჩაფაშის სოფელში დაემვათ ისინი და ეს შეუსრულეს კიდევც.

გ) ჩაფაშის მაცხოვრის საყდარი გალავნით, მოხატულია XI-XII სს. და დღესაც დარჩენილია. გარე კედელი მოხატულია საერო ფრესკებით. ამირან-დარეჯანიანი, რომელიც ამ ბოლო 30-წლის განმავლობაში თითქმის გაქრობამდგა მისული (მრეელი - ნიჭარაძეები და 1970 წლამდე დავითულიანები).

დ) ჩვიბიანის ფუს, ბაზილიკა გალავნით, მოხატული არაა, იციან 3-7 აგვისტოს თიბვის დანყების დღეობა „ახანახა“ „ლოუსხვარა“. (მრეელი - ჩარქვიანი, 1965 წლამდე ასათიანი).

ე) ჟიბიანის უფლისა და წმ. გიორგის (ჯგრაგ) ბაზილიკები, მოხატული არაა (მრეელი - ხაჭვანი, რატიანი). უფლის ბაზილიკის ირგვლივ შემორჩენილია არყის ხეები, რომელთა ასაკი 100 წელზე მეტია.

ჟიბიანის სოფლიდან ცოტა მოშორებით მდებარეობს უშგულის ლამარია (წმ. მარიაში). სამონასტრო კომპლექსი - კოშკით, ორი მარჯობით, საყდრითა და ქვის გალავნით. საყდარი მოხატულია XI-XII საუკუნეებში, არის შიდა და გარე კედლებზე წარწერები, რომელიც დღესაც იკითხება. საყდრის გარე ეზოშია მოძალადე თავადებისა და უშგულის ზნეობრივ-მორალური კოდექსების დამრღვევა განსახველი ქვის სკამი საკარცხული (აქ დაუსჯიათ - ქაეშუბი, დევთეგერ, მურზაყულაოვი, რატიანი და სხვ.). აღმართია არის მთლიანი უშგულის სამრელო და სამარადისო განსასვენებელი (ჩაფაში, ჩვიბიანი, ჟიბიანი). აქ განისვენებს საყდრის გალავნის შიგნით ცნობილი ეთნოგრაფი მღვდელ-მოღვაწე ბესარიონ ნიჭარაძე.

უშგულის შვიდივე ეკლესიის რელიგიური და საერო განძი ფასდაუდებელი ეროვნული და საკაცობრიო ღირებულების მქონე ექსპონატებით განთავსებულია მუზეუმის ტიპის ძველ სახლ-კოშკში, ჩაფაშში, რომელსაც ჰყავს მეთვალყურენი და სახელმწიფო დაცვა.



გარდა სოფლის განაშენიანებისა და საყდრებისა სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე არის გადმოცემით თამარ მეფის დროინდელი ციხე-სიმაგრის ნანგრევი ერთი კოშკი და გაქვნილი პატარა ეკლესია (მაცხოვრის//ფუს) ისევე დგას დანარჩენი დაინგრა, ნანილიც 30-წან ნაგებობა ფერმის ასაშენებლად დაანგრევიანეს.

დღეის მდგომარეობით უშგულში შემორჩენილი კოშკებისა და სხვა შენობა-ნაგებობების რაოდენობა ასეთია:

- კოშკი - 32
- სახლ-კოშკი - 5
- მაჩუბი - 60
- მაჩი - 7
- ნისქიელი - 3
- ევროპული სახლი - 70

როგორც ზემოთაც აღინიშნა, ადრეულ საუკუნეებში უფრო კი დავით აღმაშენებლისა და თამარის ხანაში მოთარეშე მთიელ მეზობელთა და სხვათა ასალაგმავად აქ უმძლავრესი ბასტიონები - კოშკები, კოშკ-სახლები და ციხე-სიმაგრეებია აგებული, რაც აშკარად ჩანს დღემდე შემორჩენილ საყდრებისა და ხატ-ჯვრების ნარჩენა-მოხატულობებში, ზეპირსიტყვიერ გადმოცემებსა თუ აქ მცხოვრებთა გვარებში (კაკრიაშვილებს ჰქონიათ 7 კოშკი, ამჟამად - 3, ჩარქსელიანებს - 3, ჭელიძეებს - 2, ღვაჩლიანებს - 2, ნიჟარაძეებს ჰქონიათ 7 კოშკი, ამჟამად - 5, დავითუ-ლიანებს ჰქონიათ 3 კოშკი, ამჟამად - 2, ჩარქვიანებს - 2, ასათიანებს - 1, ხაჭვანებს - 2, რატიანებს - 2, ბეშიძეებს - 2, ბერეჟიანებს - 1.

ამჟამად უშგულში მხოლოდ 115 სული ცხოვრობს: მუყემრში - 25, ჩაყაშში - 30, ჩვიბიანიში - 25, ჭიბინიში - 35.

მოსახლეობის ტრადიციული საქმიანობა მესაქონლეობა და მიწათმოქმედებაა. მოჰყავთ კარტოფილი, დანარჩენი მარცვლეული კულტურების თესვა შეწყვიტეს.

დღეისათვის უშგულში პირუტყვის რაოდენობაც ძალზე შემცირებულია:

- ცხენი - 22
- მსხვილფეხა პირუტყვი - 200
- თხა - 100
- ცხვარი - 80
- ლორი - 120
- ქათამი - 130

უშგულის შენობა-ნაგებობათა თავისებურება

უშგულში, კოშკი თითქმის ყოველ ოჯახს ჰქონია. კოშკი სხვადასხვა დანიშნულებისაა საბრძოლო და საცხოვრებელი (ლაზგა მუყევამ). კოშკიანი საცხოვრებელი (ლმურყევამ ქორ), ზღუდიან//გალავნიანი სახლი/საცხოვრებელი (ლძღვიდ ქორ). შენობა-ნაგებობანი გათვალისწინებული იყო დიდ ოჯახებზე. მრავალრიცხოვანი ოჯახი გამომდინარეობდა ობიექტური რეალობიდან. ის ადვილად გადალახავდა ბუნებისა და ცხოვრებისეულ წინააღმდეგობებს იქნებოდა ეს თავდაცვა თუ შრომის პროცესი.

ჩვეულებრივ საცხოვრებლებისა და კოშკების პირის მხარე იყო აღმოსავლეთი (მიწლანად) ხოლო ზურგი დასავლეთი (მიწლავარ).

როგორც ა. ქალდანი აღნიშნავს უშგულში შემორჩენილი უძველესი კოშკური საცხოვრებლების და კოშკების ბოლო სართულებზე მოწყობილია ერთკამერიანი სალოდეები. ზოგ კოშკს ორ-ორი და სამ-სამი კამერიანი სალოდეები აქვს მოწყობილი, მაგალითად - ლენკვერის ციხე, ბიქტარ ჩარქსელიანის კოშკი მუყემრში.

უნიკალური შემთხვევაა სოფ. ჩვიბიანიში, სადაც შეწყვილებული კოშკური საცხოვრებლების პირველი სართული ცილინდრული თალითაა დასრულებული.

უშგულში საკუთრების გამოსახატავად ადამიანის სახელს ან გვარს შა - ფორმანტი დაერთვის მაგ: კაკი-შა (კაკრიაშვილების) მუყევამ, მარშანშა კლთხი, ქალდანშა ლაზგა მუყევამ, ბესია-უშა კლთხი, ბექაიშა კლთხი, ქუჩეშა კლთხი, ოსი-შა ქორ და ა. შ. სადაც - შ კუთვნილების მანარ-მოებელია, - ა კი კრებითობაზე მიუთითებს. პარალელურად გვხვდება - არ ფორმანტი გვარის



მანარმოებლად მაგ: კაკრიაშვილები//კაკიშა//კაკი-არ, მუშუკდანაშა//მუშუკდან-არ, გვხვდება ალ-ქალდან-შა//ქალდარ-ალ და სხვ.

კომპოზიციის მშენებლობა, რომ თოფის გამოგონებამდე უნდა იყოს მომხდარი ან მისი ბენ იმით, რომ ნაგებობის სათოფური ხერხები არაა. მეორე მესამე სართულზე სალონები მონყობილი. ამ ლიობებიდან იკრებიან მტერს მშვილდისრითა და ქვით. ასევე ცეცხლსასროლი იარაღის შემოსვლამდე უნდა იყოს აგებული ჩაქაშში ი.ნიჭარაძის კომპური საცხოვრებელი, ჩარკვიანების შეწყვილებული კომპი სოფ. ჩეხიანიში.

სოფ. მუყემერში კაკრიაშვილების კომპი ადრე შედსართულიანი უნდა ყოფილიყო. აქ კედლებზე სათოფურები არ გვხვდება, მხოლოდ სარკმლებია გაკეთებული (თითო ყოველ სართულზე) მეშვიდე სართულის კედლებზე დიდი ზომის (0,5X9,6 მ) ლიობებია დატოვებული. თოფის ხმა-რეზბაში შემოსვლის შემდეგ კომპი მეორე სართული დაუშენებიათ, რომელიც კლასიკური სეა-ნური საბრძოლო პარაპეტითაა დაგვირგვინებული. პარაპეტში სათოფური ხერხები გაკეთებული (92-30). ზემოდასახლებული კომპი მიჩნეულია XVI საუკუნემდე აშენებულად (მ. ქალდა-ნი, ცენტრალური კავკასიონის მთიელთა კომპური კულტურა 1990, გვ. 123).

გადმოცემებში მითითებულია გზის პირებზე გამწვლელთა დაბეგრის მიზნით კომპიების მშენებლობა: უშგულში ნაკომპართან მდიდარი ოჯახი ცხოვრობდა გზის პირას, იგი იმდენად გაძლიერებულია, რომ გამწვლელთათვის ბაჟი დაუდგია. სოფელი აჯანყებულა და სახლკარი თავ-ზე დაუქცევია. აქ მოყვანილი გადმოცემა სარწმუნო ჩანს, რადგან უშგულის მშენებლობისათვის ხე-ტყეს ცანძვლები ეზიდებოდნენ ნაკ-ზაგარამდე, როგორც ბ. ნიჭარაძე აღნიშნავს, ამის სამა-გიეროს უშგული ყოველ მარობას აძლევდა ერთ ძროხას.

საინტერესოა სახლ-კომპის შიდა აღნერლობა. ამ საქმის მეკვლევარს ა. ქალდას აღნერილი აქვს რამდენიმე სახლ-კომპის შიდა ფსახი. ბექაშია (ნიჭარაძე) საცხოვრებელი კომპი ჩაქაშში სნორკუთხა მოხაზულობისაა (10,4X9,6 მ) სამსართულიანი. ერთადერთი კარი ჩრდილოეთის კედელშია გაკეთებული მიწიდან 1,5 მ. სიმაღლეზე. შესასვლელის წინ კედელს ქვის კიბე და ბაქანი ეკრის. ამავე მხარეს სარკმელია. დასავლეთის კედელში სარკმელი და ნიშია, სამხრეთისაში კი საქონლის ნეხვის გადასაყრელი ხერხი (ლანგელი) და სარკმელი (ლახერა) – ჩრდილო-აღმოსავე-ლეთით კუთხესთან მეორე სართულზე ასასვლელი ხის კიბეა მოწყობილი. აღმოსავლეთისა და სამხრეთის კედლების გასწვრივ ტიხრებით საქონლის სადგომია გამოყოფილი. ტიხრებში საქონ-ლის თავის გამოსაყოფი თვლებია (ლათა) გაკეთებული. მეორე სართულის ორივე მხარეს თითო დიდი ზომის სარკმელია, რომლებიც მოგვიანებით ქვითკირის ნყობით დაუვიწროებიათ. მესამე სართულის ჩრდილოეთის კედელში, კარის გასწვრივ კედლიდან ძალზე გამოწეული (75 სმ) სალო-დეა გაკეთებული. კედლებში თითო დიდი ზომის სარკმელია. პირველი სართულის სიმაღლე 3 მეტრია, მეორის – 4,15 მ, მესამისა კი – 4 მ. ნაგებობის საერთო სიმაღლეა 13 მ.

ასევე განსაკუთრებულია ჩარკვიანების შეწყვილებული კომპური საცხოვრებელი ჩეხიანი-ნიში. ნაგებობა სოფლის სამხრეთის მისადგომებთანაა აშენებული. მისი გაბარიტული ზომები 16X15 მ. შეადგენს. იგი სამსართულიანი. ადრე ნაგებობა ორსართულიანი ყოფილა. გადმოცე-მით კომპურ საცხოვრებელში და-ძმას უცხოვრიათ (ოსი და თხვარი), მეორე-მესამე სართულებს შორის სართულშუა გადახურვა ქვითკირით არის გაკეთებული, ცილინდრული თვალით. პირ-ველ-მეორე სართულებზე გაკეთებული შესასვლელები სნორკუთხა მოხაზულობისაა. ასევე სნორკუთხეანი სარკმლებია გამოყენებული სამსავე სართულზე. ბოლო სართულის კლასი-კური პარაპეტი დეკორატიული დანიშნულებისაა. საფიქრებელია, რომ შენობა ცეცხლსასროლი იარაღის ხმარებაში შემოსვლამდეა აგებული და ნახევარწრიული თაღებით დასრულებული პა-რაპეტი ნაგებობაში თავიდან დეკორის როლს ასრულებდა. მისი ესთეტიკური და დაცვითი ფუნ-ქციების შერწყმა მოგვიანო პერიოდისა უნდა იყოს.

თავისებურია ბიჭტორ ჩარქსელიანის საცხოვრებელი კომპიანი კომპლექსი მუყემერში. კომპლექსი შედგება ორსართულიანი სახლისა და ხუთსართულიანი კომპისაგან. სახლის სარ-თულებშუა გადახურვა და ორქანობიანი სახურავი ხის კოჭებზეა მოწყობილი. ორივე სართულ-ზე თითო ცენტრალური ხის სვეტი დგას. სახურავი ფენილი ფიქალი ფილებითაა გაკეთებული. სახლის გეგმა კვადრატულია (10X10მ) პირველ სართულზე შესასვლელი აღმოსავლეთის კე-დელშია გაკეთებული. ამავე მხარეს სარკმელით სამხრეთის კედელში საქონლის ნეხვის გადა-საყრელი ხერხელია. მეორე სართულის კარი დასავლეთის კედელშია. აღმოსავლეთისა და სამ-ხრეთის კედლებში თითო სარკმელია.



კოშკის გეგმა სწორკუთხეიანი მოხაზულობისაა (5X6 მ) პირველი სართულის (დილეგ) ქვე-რი ხის კოჭებზეა მოწყობილი. მეორე სართულის ქერი ხის კოჭებზეა მოწყობილი, მეორე სართულის ქერი ქვითკირითაა გაკეთებული, რომელიც აყვანილია თხილის წნელებით მოწყობილ ლასტზე. მესამე-მეოთხე სართულებს შუა გადახურვა ქვითკირისაა ხის ფიცარზე, ხოლო მეოთხე-მეხუთე სართულებს შორის კი შეისრული თაღის ფორმისაა შეფიცვრის გარეშე. სახურავი ორქანობიანია, ფიქალის ფილების ფენილით. კოშკის ერთადერთი კარი მეორე სართულის ჩრდილოეთ კედელშია გაკეთებული. იგი სახლისა და კოშკის მეორე სართულებს აკავშირებს ერთმანეთთან. მეორე, მესამე და მეოთხე სართულებზე სამხრეთის კედელში თითო სარკმელია. ბოლო სართულის ოთხივე კედელზე სამ-სამი კომბინირებული სალოდეა, თითოეული მათგანი ქვის ნყობით შეკრულ ოთხი მხრიდან დახურულ ყუთს წარმოადგენს, რომლის მხოლოდ ქვედა მხარეა ღია. სალოდეები კედლების მთელ პერიმეტრს არ მოიცავს.

პირველი სართულის სიმაღლე 1,75 მ. შეადგენს, მეორის – 2,2 მ, მესამის – 3,6 მ, მეოთხის – 5,14 მ ხოლო მეხუთისა კი 2 მ-ს.

თავისებურებით ხასიათდება სპირდონ ღვაწლიანის კომპიანი საცხოვრებელი კომპლექსი მუყემრში. იგი ორსართულიანი სახლის, ექვსსართულიანი კოშკისა და მათი დამაკავშირებელი ნაგებობებისაგან (გუბანდ) შედგება. სახლის გეგმა ოდნავ წაგრძელებული სწორკუთხეიანი მოხაზულობისაა (11X10 მ) მისი სიმაღლე 8.35 მ.

სართულებს შუა გადახურვა ხის კოჭებზეა მოწყობილი. ორქანობიანი სახურავი ფიქალის ფილებისაა. პირველ სართულზე შესასვლელი სამხრეთ აღმოსავლეთის კედელშია, გუბანდის მხრიდან. სამხრეთ-დასავლეთის კედელში სარკმელია, ხოლო ჩრდილო დასავლეთისაში სარკმელი და საქონლის ნეხვის გადასაყრელი ხერელი. ჩრდილო აღმოსავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის კედლების გასწვრივ საქონლის სადგომია ხის ტიხრით გამოყოფილი. ტიხრებში საქონლის შესასვლელი და თავების გამოსაყოფი თაღოვანი თვალებია მოწყობილი. სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში ცხვრის სადგომია გამოყოფილი. ცენტრალურ ნაწილში კერიაა გამართული.

სახლის მეორე სართულზე შესასვლელად ორი კარია გაკეთებული, ერთი გუბანდის მხრიდან, მეორე კი ჩრდილო-აღმოსავლეთის კედელში. ამ უკანასკნელის წინ ხის ბოგირი და დაბრლი პანდუსია მოწყობილი ქვის ნყობით, რათა ხარშებმული მარხილით თივის ატანის შესაძლებლობა იყოს მეორე სართულზე.

კოშკის გეგმა კვადრატულია (5X5 მ) მისი სიმაღლე 17 მ-ს შეადგენს. პირველ-მეორე და მესამე სართულებს შორის სართულშუა გადახურვები ხის კოჭებზეა მოწყობილი. ზედა სართულშუა გადახურვები ქვითკირითაა აყვანილი ხის შეფიცვრაზე. სახურავი ორქანობიანია, იგი ფიქალის ფილების ფენილისაა.

პირველი სართულის დილეგის კედლები ყრუა. მეორე სართულზე შესასვლელი ჩრდილო-დასავლეთის კედელშია. მეოთხე-მეხუთე სართულებზე სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან თითო სარკმელია. ბოლო სართული კლასიკური სევანური საბრძოლო პარაპეტითაა დახურულებული. პირველი სართულის სიმაღლე 2 მ, მეორის – 1,8 მ, მესამის – 2,4 მ, მეოთხის – 3,6 მ, მეხუთის – 3,8 მ, ბოლო მეექვსის კი 2,4 მ.

გუბანდი კაპიტალური კედლით ორ ნაწილადაა გადატვირთული. მისი ერთი ნაწილი სახლისა და კოშკის კედლებს შორის მოქცეული, წაგრძელებული, სწორკუთხეიანი ფორმისაა (5X2 მ.), მეორე ნაწილის ზომა 5,4X2,2 მ-ს შეადგენს. გუბანდი ორსართულიანია, სართულებს შუა გადახურვა ხის კოჭებზეა, შესასვლელის მარცხნივ ცხვრის ფარებია, კარის წინ პოლია, რომლიდანაც მეორე სართელში შედევართ, საიდანაც შესაძლებელია პირველ სართულზე შესვლა. გუბანდის მეორე სართულის ჩრდილო-აღმოსავლეთის კედელში სამი სათოფური ხერელია; ტიხარში კარია, ხოლო სამხრეთ-დასავლეთის კედელში ერთი სათოფურია (ა. ქალდანი, გვ. 107).

კოშკიანი საცხოვრებელი კომპლექსი საქართველოში შესწავლილი აქვს მკვლევარს ა. ქალდანს. მასვე გაანალიზებული აქვს მეცნიერულად.

სევანეთში კოშკიანი საცხოვრებელი კომპლექსი წარმოდგენილია ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული ქვის ორსართულიანი საცხოვრებელი სახლისა (ქორ) და ქვისავე მრავალსართულიანი თავდაცვითი ნაგებობისგან – კოშკი (მურყვამ). ქორ – ძველქართული სახელია (ს. ორბელიანის ლექსიკონში) და შემოინახა სევანურმა. სახელი მურყვამ ი. ჯვახიშვილის ვარაუდით კოშკის ტიპის ნაგებობის ადრინდელი სახელია. ფშავ-ხევსურეთში, თუშეთშიც „პირიშის“ ღვთაებას „მურყვანოსელი“ რქმევია. ჩვენი მოსაზრებით ეს სახელი ნაწარმოები უნდა იყოს



„კუამ“ ძირიდან რაც ნიშნავს ძირს, ბუჩქს, ეკლესიას (ლაკუამ) ასევეა მეგრულში (ოხუამე) (ეკლესია), მუკუამ – მუყუამ – ლამკუამ – ლამყვამი. ვეფხის ტყაოსანში ვარსკვლავთან ქრებულს ჰქვია კომნია – კომი, კომლი (ლექს. გვ. 88). ამრიგად ეს სიტყვა ძირძველი ქართული ჩანს.

საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების ექსპედიციას (ა. ქალდანი) 1982 წელს უშვულში კაკრიაშვილების (ბ. კაკრიაშვილი) კომპიანი საცხოვრებლის აზომვა ჩაუტარებია. საცხოვრებელი სახლის საძირკველი (ხუნ) ზოლოვანია, კომპისა კი ნერტილოვანი. საძირკველზე კედლებია (ჭვად) აყვანილი. წყობაში გამოყენებულია არყის ქვა (გურნა) დიდი ლოდები (მუქობს), ფიქალი ქვა, კლდის ნატეხი ბრტყელი ლოდი (ბაჩ). შემკრავად კირის ხსნარია გამოყენებული. კედლები შელესილია კირის ხსნარით და შეთეთრებული: სახლის პირველ სართულზე კედლის სისქე 90 სმ. შეადგენს, ხოლო მეორეზე – 60 სმ-ია. კომპის კედლის სისქე პირველ სართულზე 1,60 მ. აღწევს, თავში კი 50 სმ-მდე კლებულობს. კედლები აყვანილია ხარაჩოებით.

საცხოვრებელი სახლის პირველი სართულის იატაკი თიხოვანი მიწითაა მოტყეპნილი და ცენტრში კერის ირგვლივ დიდი ფიქალი ქვების წყობაა. სახლის სართულშუა გადახურვა ხის კოჭოვანი კონსტრუქციითაა გადახვეტილი გამოყენებულია სასვენი (მაშუმე) და მზიდი დირეების (დიირ) კონსტრუქციული სისტემა. მზიდ დირებზე ერთმანეთთან მიჯრით წვრილი ძელაკები (აღ/ჭყერ) აწყვია, მათ შორის დარჩენილი ღრიჩოები ხავსითაა (ხავს) ამოვსებული, ზემოდან თიხოვანი მიწაა (ყოყალ) მოტყეპნილი.

სახლი ორქანობიანი სახურავითაა (ლყაარ) გადახურული, სახურავს ქვემოთ აქვს დირეების წყობა (ლექს) სახურავის საფენად ფიქალის (კა) ფილებია გამოყენებული, რაც სახურავის წონას ზრდის.

მაჩუბი და დარბაზი ერთმანეთთან ასასვლელით – ერდოთი (ლოობი) უკავშირდება, რომელიც თივის ჩასაყრელადაც გამოიყენება. თვით დარბაზი საზაფხულო საცხოვრებლად იყო გამოყენებული. ერთ კუთხეში იატაკი ფიქალი ქვით იყო მოპირკეთებული კერის დასადაგმელად.

მაჩუბის დაგეგმარება შემდეგნაირადაა გადაწყვეტილი: შესასვლელი კარის პირდაპირ და სამხრეთის კედლის მხარეს მოწყობილია საქონლის სადგომი (გუალ), რომელიც იწყება ცხენის სადგომით (ლაჩაჟ). და ხარების განყოფილებით (ლაჭან), სიგანე 1,85 მ-ია, აღმოსავლეთის კედლის გასწვრივ ძროხების სადგომია (ლაფურ), შემდგომ გაგრძელებაზე მოზარდი საქონლის სადგომია. გვალს წინ აქვს მაღალი ტიხარი (ლექუნდრი), რომელსაც საქონლის თავის გამოსაყოფები აქვს. ტიხარი მოჩუქურთმებულია. ტიხარის წინ საქონლის საკვების ჩასაყრელი ბაგაა (ლადიარ) საქონლის სადგომის იატაკად ადრე ფიქალი ქვა იყო, ახლა ხის ფიცრებია. სადგომის ჭერი (სპან) კუთხეში გადახურულია და ცხერის სადგომად არის გაკეთებული (ნაშკად), ადრე ადამიანების საძინებლები იყო მოწყობილი. მაჩუბის დასავლეთის კედელთან სახბორე და სალორვა მოწყობილი (ლალუნ), (ლახამ).

მაჩუბის ცენტრში კერაა (ყველფ), ირგვლივ ფიქალი ქვით (კა) იატაკია, ყველფის წინა მხარეს (გარამ) ცეცხლის შესანთებია. უკანა მხარე (ბოჯარ) საკვების შესანახ-გასამზადებელი და იდგა ქალების საჯდომი გრძელი სკამი (ბანდარ), მარცხენა მხარეს მამაკაცების საჯდომი (ლრგომ), რომელიც საწოლის ფუნქციასაც ასრულებდა. წინა მხარეს იდგა ოჯახის საუფროსო სკამი (საკარცხელ). კერიაზე დეკს ფიქალი ქვა (კა) რაზეც ჰურს აცხობდნენ. კერის ზემოთ დიდი ფიქალი ქვაა ჭყრე დაკიდებული (ლნკარა), ძელებზე ჩამოკიდებულია ჯაჭვი (ნაჭა), ისე რომ კერის შუაზე ხედება. კერის უკანა მხარეს კუთხეში იარაღი ჰკიდია (კიმად, ჯაყრუა, კაჟი-ან თეფ, ხანჯარ). კერის უკან – „ბოჯარ“, გვერდით იდგა, „საფუარ“, „ნელარ“, „სეგდა“, „ვოხარ“ და სხვ.

სახლი გადახურული იყო ფიქალი დიდი ქვებით. მათ დასაჭერად სასვენი და მზიდი დირეების გარდა არყის ხის ფოთლოვანი წნელებია გამოყენებული. სახურავის ფიქალი ქვა მზიდი კედლებიდან 40 სმ-მდეა გადმოცილებული, რათა კედლის წვიმის წყალი ააცილოს, ეს ფიქალები გახერხებულია და მიბმულია ძელებზე არყის ხის ღვეტელებით.

სართულშუა გადახურვის და სახურავის ფენილის, აგრეთვე ზამთარში დიდი თოვლის საფარის წონის გასაძლებლად დედაბოძია (ნესგაა სვეტ) გამოყენებული, ზოგ სახლს ერთი სვეტი აქვს ძირიდან სახურავამდე, ზოგს – სართულების მიხედვით. სვეტი ლოდზე დგას და თავზე ხის ქუდი აქვს გაკეთებული. სახლში გამოყენებული დირეების დიამეტრი იცვლება 18-35 სმ ფარგლებში, სვეტებისა კი 25-27 სმ-ია. დირეებზე მრავალრიცხოვანი საკიდი კაეებია (ლარკინა კაე) ჩამაგრებული.



საცხოვრებელი სახლის პირველი სართულის (მაჩუბე) ფართობი 92 მ²-ია. სახლის მეორე სართულის (დარბაზი) ფართობი 95 მ²-ს შეადგენს.

მაჩუბეს კარი აქვს დასავლეთის მხრით (ყოორ), მისი სიგანე 92 სმ-ია, სიმაღლე კარი ერთფრთიანია. მას ზღურბლი (ლაგაავი) გააჩნია, მიხურვის შემდეგ ურდული იკეტება (პურდემი), ურდულის შესასვლელი ხერელი კედელშია გაკეთებული მარჯვენა მხარეს.

დარბაზში შესასვლელი კარი კიბისგარეშე მინიდანევა გაკეთებული და იკეტება ურდულით. მაჩუბის კედლის ჩრდილო მხარე მინაბია. დარბაზის კარის სიგანე 155 მმ. დიდი სიგანე განპირობებულია იმით, რომ აქ ხარეშმებული მარხილით თივა უნდა შეეცნათ. დარბაზის კედლის სამხრეთ მხარეზე კიდევ ერთი კარი, რომელიც კოშკის მესამე სართულზე გადადის, კარი დარბაზის იატაკის დონეს 1,60 მ-ით არის დაიკლებული და მასზე ხის კიბე (ზექი კიჩხ) იყო მიდგმული (საჭიროების შემთხვევაში კიბეს ანევენენ). სახლის სათავსების კასანათებლად რამდენიმე სარკმელია (ლაკერა) დატოვებული, როგორც დარბაზში, ისე მაჩუბში. ღამე მაჩუბი ნათდებოდა შუაცეცხლით და კვარით, რომელიც იდებოდა სპეციალურად გაკეთებულ ჩამოსაკიდჭალში (ლამტვარაალ).

მაჩუბის სამხრეთის კედლის მარცხენა კუთხეში საქონლის პატივის (პანწ) გადასაყრელად ხერელია დატოვებული (ლანგელი/ლასდივარ). ჩრდილოეთის მხარეს არის „მეზირის“ სანა (თალი).

კოშკის სიმაღლე 22 მ. აღწევს და 8 სართულისაგან შედგება, ის გადახურულია ორქანობიანი სახურავით, ისე როგორც საცხოვრებელი სახლი ფიქალი ქვით (კა). სახურავი კედლიდან 40 სმ-ზეა გადმოცილებული, რომ კედლები დაიცვას ნეიმისაგან. კოშკს აქვს 3 კარი და სარკმლები, სამხრეთის მხრით გადაპყურებს ენგურზე ხიდს. მეშვიდე სართული საბრძოლო დანიშნულები-საა, სარკმლები აქვს დასავლეთისა და ჩრდილოეთის მხრიდანაც – ზომით 50-55 სმ. კოშკის სართულებშია გადახურვები მზიდი დირეების სისტემით და ძელებითაა, ზოგ სართულზე ღორღის (ხალი) და კირწყლის (გირწყალ) ნარევია დასხმული. ზოგ თავებს ქვედა მხრიდან საკიდი ხერელები (ლარკინა ჭურუ) აქვს. დირეების დიამეტრებია 13-25 სმ.

კოშკის პირველ, მეორე და მესამე სართულის სათავსებს თითო შესასვლელი კარი აქვს. მეორე სართულის კარის ზღურბლამდე ქვის კიბეა (ზაჩა კიჩხ).

ყოველ სართულს სამი დურო (მდულ) აგვირგვინებს. დუროს თაღქვეშა ნაწილების სიგანე 68-70 სმ-ია. დუროებს შორის სიგანე 75-80 სმ-ია, პარაპეტის კედლებში მშვილდ-ნისრის სათოფური ხერელებია (ლათოფ), რომელთა მეტი ნაწილი სოფელში შემავალ გზას ვაცქერის, რაც იმას ადასტურებს, რომ კომპლექსი სოფლის ამ მხრის მისადგომებს იცავდა.

კოშკს სარდაფის სართულიც აქვს ტყვეს დასამწყვედვად (დილეგი გვემ) მისი ფართობი 5 მ²-ია, მომდევნო სართულებზე სათავსების ფართი მატულობს და ბოლო სართულის ფართი 14 მ²-ს აღწევს. პირველ სართულზე ჩაკირწყლული ყოვილა ქვეერი (კეც).

კოშკის პირველ-მეორე სართულის სათავსები ერთგვარ დერეფანს წარმოადგენდა, რომელიც სახლისა და კოშკის ზედა სართულებს ერთმანეთთან აკავშირებდა. აქ დიდმდვა შემონახული იატაკში ჩაკირწყლული დიდი ზომის გოდორი (ქუფ//კვიდოლ) და ქვეერის ნატხეები (კეც) რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ სურსათ-სანოვავის ნაწილი აქ ინახებოდა. კოშკის მეოთხე-მეექვსე სართულების სათავსები ოჯახის წევრთა სამყოფელად იყო გამოყენებული. საფრთხის დროს მეშვიდე-მერვე სართულს საბრძოლო დანიშნულება უქონია. აქ ინახებოდა საომარი მასალისა და აღჭურვილობის მარაგი. კოშკის მესამე-მერვე სართულები ასასვლელიებითაა ერთმანეთთან დაკავშირებული, მათზე ხის გადასაადგილებელი კიბეები ყოვილა მიდგმული.

ასაკვამ პიროვნებათა ნაამბობით კოშკების მშენებლობისას იყენებდნენ ქვას ქვიშას, კირს, ჭვავის ფქვილს, რძეს, კვერცხს და სწორედ, ამას მიაწერენ მის გამძლეობის საიდუმლოს. კოშკების მშენებლობის დრო არავის ახსოვს რამდენიმე თაობის გადმოცემით.

ზეავის დასასვლელად ზოგან კოშკები მახვილი კუთხით იყო აშენებული, იმის გამო რომ ნაპირის კოშკები დაინგრა უპატრონობით ან დაანგრის დაუდევრობით საბჭოურ იმპერიის პერიოდში 30-იან წლებში 1987 წლის თოლის ზეავმა დაანგრია მუყემრში კაკიამპილებიდან და ქელიძეების სახლები. ხალხი აიყარა და გარდაბანში ჩასახლდა. იმისათვის, რომ ისევ აღდგეს ცხოვრება იმ ადგილებში საჭიროა ზეავსანინალმდეგო ბეტონის ბოძები, ან ხელოვნური ორმოები, მინის გატყიანება, რაც რალაც 50 ათას ლარს ითვალისწინებს. თუ ვინმე გამოჩნდა მზრუნველი სოფელი გადარჩება.



1930-40-იან წლებში უშგულში მასობრივად დაიწყო ახალი ევროპული ორსართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. მანამდე თითო ოროლა ოჯახს ჰქონია აშენებული სახლი (კაკრიაშვილი ბაგრატ, ღვანჭიაშვილი დავით). 1921 წლამდე უშგულში მხოლოდ ერთი ახალი სახლი ყოფილა. 1970 წლისათვის უშგულში 104 კომლი იყო, 85 ახალი სახლით. 1962 წელს აშენდა სასოფლო კლუბ-სამკითხველოსა და კოლმეურნეობის კანტორის შენობა, 1964-ში კი სასოფლო საბჭოს და მალაზიის შენობები.

მთელი სვანეთის მასშტაბით ყველაზე კარგი სახლი 1905 წელს ექიმ გიორგი (სეფე) ნიჭარაძის მამამ პირველმა კვალიფიციურმა მასწავლებელმა ზემო სვანეთში გაბრიელმა ააშენა, რომელსაც ახლაც სეფეს ოთახებად (სეფე ლარდალ) იხსენებენ. ამ შენობაში ყოფილა სვანეთში პირველი საექიმო პუნქტი და შემდეგ საავადმყოფო (ე. გაბლიანი).

მშენებლობის დროს იკვანდენ ერთმანეთის დახმარება „გალდამ“-ნადი. უშგულში დანყებულა ძველი სახლების გადაკეთება ახლად. ესტატე ნიჭარაძეს 1936 წელს სვანური სახლის მეორე საართული (დარბაზ) სამ ოთახად გაუტახრავს, მესამე სართული დაუშენებია და იქაც სამი ოთახი მოუწყვია. დასავლეთით და ჩრდილოეთით აივანი გაუკეთებია. პირველი სართული (მარჯვნივ) ძველებურად დაუტოვებია (სვ. ეთ. შენს. მ. ჩართოლანი 1970 გვ. 44). ერთი სიტყვით, ევროპული სახლი მოდა გამხდარა:

„მოდა გველესაპია, მომსპობია ძველისა,
კომჟ-მარუბი მსხვერპლია ევროპული სახლისა.
მოდის მსხვერპლი გამხდარა ჩოხაცა და კაბაცა,
ტრადიციაც გამქრალა, სოფელიც და დაბაცა“.

3. უშგული, თავისუფალი, უბატონო (უფუსლო) სვანეთის

თავი, სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლი

(ქრისდე თაასვებ – ქრისტეს თავმდებობა იყო პირობის გარანტი)

რომ არა უშგული თავისუფალი, უბატონო სვანეთი, აღბათ არ იქნებოდა. თავისუფლების შესანარჩუნებლად უშგულელებს მრავალი ბრძოლა, უსიამოვნება აქვთ გადატანილი, როგორც ადგილობრივ ქართველ ფეოდალებთან (ბატონებთან), ისე საქართველოს ჩრდილოეთით მოსაზღვრე ხალხებთან (ყაბარდო-ბალყარეთი, ყარაჩაი, ოს-დვალნი და სხვ.).

როგორც ბ. ნიჭარაძე წერს, რომელიმე თავადიშვილს რომ უშგულში მოსვლა სდომებოდა ცხენი სამი კილომეტრის სიშორეზე უნდა დაეტოვებინა სოფლიდან და თვითონ ქვეითად შემოსულიყო. ამით უშგული აგრძნობინებდა ყველას, რომ თანასწორია და არავითარი პრივილეგიები არ აქვს.

შუა საუკუნეებში საზოგადოებრივ ურთიერთობაში ერთგვარი დემოკრატია მოქმედებდა, მაგრამ მაინც ფეოდალურ ჩარჩოებში იყო მოქცეული. ზოგ მკვლევარს ეს გვაროვნულ წყობად მოეჩვენა. მკვლევარ მ. ჩართოლანის აზრით, სახალხო მმართველობა ფეოდალურ ბატონობაზე დაბალი დონე როდია. ამ დროს უშგულელს აქვს – თოფი, ხანჯალი და აქა-იქ ფიშტოცა. დაშნას არ იყენებდნენ რადგან ყოველ კაცს გრძელი და მსხვილი რკინის ბუნიკიანი ჯოხი აქვს, რითაც დაშნისან ადვილად უსწორდება. თოფიანს სარტყელზე ჰკიდია „ვაზნა“, რომელშიც წამალი უყარა და „კისა“ ტყვიების შესანახავად. მხარზე გადაკიდებული აქვს „საპირწამლე“, ქამარზე ჩამოკიდებული აქვს „კეკისი“, „საქონე“ (ლალცომარ). ჩოხის ჯიბეში მასრებში (ქილები) აქვს თოფის წამალი. მასრებს დაცობილი აქვთ ფინთიხები. საჭირო დროს ამოიღებს მასრიან ქილას კბილით ფინთიხს ახდის და პირში ჩაიდებს, წამალს ჩაყრის ლულაში და პირით ფინთიხს მიაცოლებს.

უშგულელაგა თავისუფლებისათვის ბრძოლაში სხვადასხვა დროს მოქალაქე:

1. თვალა და ივანე ჯაფარიძენი (XV ს. რაჭის თავადები)
2. ფუთა დადუშქელიანი (XV ს. ბალსქვემო სვანეთის თავადი)
3. ყვარყვარ დადუშქელიანი (დუდაუშა ბეჩოს შტო XVI ს.)
4. ბუჟან ყიფიანი (XVI ს. ქვემო სვანეთის თავადი)
5. ქავშუხე ქურდიანი (XVI ს. მულახის მახვში)

6. დევთევერ მურზაყული (XVII ს. ბაღყალი თავადი)

7. ქაქაოზ ქაიხოსრო (სავარაუდოდ ერისთავი ან მეფე)

8. ყიფიან ყიფიანი – (აზნაური)

9. სურამ გარდაფხაძე (XIX ს. ჩოლურის თავადი)

10. ექესი მუსულმანი (საჯიარ) ეკლესიის გამაქურდავები, ქუდები „ლამარიაში“ იყო.

ჯაფარიძის მკვლელობასთან დაკავშირებით ჩვენამდე მოღწეულია საბუთი. ამ საბუთს პირველი გვერდი აკლია. მეორე გვერდის დასაწყისში ნათქვამია, რომ... „თქვენი ზიძანები თვალია და ივანე მოგვენივნეს და შეგვეზნეს. მოგვერია ცოდვა, ეშმაკის მანქანებითა შემოგვერივნეს“...

როგორც ტექსტიდან ჩანს სვანებს (უშგულელებს) შემოაკვდათ თვალია და ივანე ჯაფარიძეები. როგორც ცნობილია, ამ საბუთის დედანი დაკარგულია. მკვლელობა მომხდარა 1496 წელს, ხოლო შერიგების საბუთი შედგენილია 1503 წელს იმერეთის მეფის ალექსანდრე II-ის (1484-1510 წწ.) მეფობის დროს. და ოდიშის (სამეგრელოს) მთავრის მამია II-ის დროს (1510-1533 წწ.).

ერთი ცნობით, 1830 წელს უშგულის მღვდელს სიმონ გაბიანს, ფრანგი მეცნიერისათვის მარი ბროსესათვის გადაუცია ხელნაწერი, მეორე ცნობით, მღვდელ ნ. ქუთათელაძეს გაუგზავნა მ. ბროსესათვის. პირი ინახება პეტერბურგში მ. ბროსეს არქივში. ეს ხელნაწერი მ. ბროსეს პარიზში გამოუქვეყნებია 1838 წელს ფრანგულად. 1866 წელს ქართულად გადმოუთარგმნია გ. ფალავანდიშვილს.

საბუთის დედანი არ ჩანს, შემოგვრჩენია მისი პირი გადაწერილი XIX ს-ის 30-იან წლებში, 1838 წლამდე. საბუთის ბოლოში აღნიშნულია „დაიწერა წიგნი ესე ქორონიკონსა რჯ და და ერთსა“, ზოგიერთი წაკითხვით – რკ და ერთსა“, ან „რკ და ერთსა“. სამეცნიერო ლიტერატურაში მოცემულია ამ საბუთის ექესი სხვადასხვა თარიღი (1432, 1433, 1461, 1503, 1490-1503 წწ.).

აღსანიშნავია, რომ ოდიშის მთავრის მამია III-ის დრო არ ემთხვევა ამ თარიღებს (1510-1533 წწ.).

1868 წელს ჟურნალ „ცისკრის“ ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილია წერილი:

„მასალები ქართულის ისტორიისა“

„სისხლი ჯაფარიძის სვანთაგან მიცემული

სისხლი საბუთისა, მიცემულისა დროსა მეფის

ალექსანდრეს და დადიანისა მამიასასა სვანთაგან

რაჭველთ ჯაფარიძეთადმი, რომელსაც სიძველისა

გამო დასაწყისში ნაწილი ქალაქისა აღარა აქვს“.

„საბუთის“ სიტყვით სვანებს მოუკლავთ რაჭველი თავადი ჯაფარიძე (მონღოლთაგანად მიაჩნიათ), მეფე ალექსანდრეს წყენია ეს და თავისუფალი სვანეთი შვიდ წელიწადს ჩაუკეტია უმარილოდ და უზედამოდ. თავისუფალ სვანეთს უთხოვინა ეცერის თავადებისათვის რუჩეგვანისა და დადემქელიანისათვის, რომ მამია დადიანთან ეშუამდგომლათ, რომ მეფე ალექსანდრესთან შეერიგებინათ. მეფეს შერიგებაზე თანხმობა განუცხადებია იმ პირობით, რომ სვანებს ჯაფარიძის სისხლი გადაეხადათ.

გვეუთმი ჩადიან სვანეთის რჩეულები. სადაც მსაჯულად თვით მეფე და შემდეგი კაცები სხდებიან: დადიანი მამია, ფალავანდიშვილი ზვიადი, ჭილაძე ლომკაცი, ერისთავი კახაბერი, ამირეჯიბი რამინ და ფალავანდიშვილი ფალავანდი (ამ საბუთის დამწერი).

ამ საბუთის დედანი დაკარგულია. ტექსტი დაწერილია 1503 წელს და შემდეგი სახისაა:

1503. წიგნი ალექსანდრე მეფისა

სვანთა მიერ ჯაფარიძეთა სისხლის გადახდაზე

მოხვედით: და თქვენი ზიძანები თვალია და ივანე მოგვენივნეს და შეგვეზნეს. მოგვერია ცოდვა, ეშმაკის მანქანებითა შემოგვერივნეს – მერმე დაგუნყეთ მტერობა თქვენ, ჯაფარიძემან სარგის და აღარც გაგუიშვით საჯამაგროდ, აღარც რაქას და ლეჩხუმს სამუშიროდ გამოგუიშვით. შვიდს წელიწადს ასრე ვიყვენით, რომ სრულიად სვანეთის ქვეყანასა საზიარებელს ველარ ვიშოვებდით და არც ვის მარილის გემო გუინახავს. მერმე მიგუჭირდა და აღარა ღონე გუქონდა, შევიყვარენით და ოთხასი საპალნე ცხენი წამოვიტანეთ, თვითოს ცხენსა ოროლი კაცი წამოვჰყვეით.

ჩამოვედით ლეჩხუმს და რაც სავაჭრო გუახლდა გავჰყიდეთ და ვისაქმეთ. აუკიდეთ ღვინო და წამოვედით. თავი მორჭმული გვეგონა, აღარას მოველოდით. თურმე კუჭიძე და ლაშხიშვილი



შემოჩენილი გუყუა. როგორც ჩვენ საეაჭროდ ჩამოვედით, კუჭაიძესა და დაშნიშვილს თქუენთვის კაცი გამოეგზავნა, თქვენ სრულიად რაჭველნი შეგეყარა და ასრე მოსულიყვენითი რეჩტყუიფტ, რომ ჩვენ თქვენი მოსლვა ვერათ საქმით ვერ შევიტყვევით, წინათ თქვენ დაგუხუდიბაქუწაწაწაჭაიძე, ლაშხიშვილი, ინასარიძე და გარეყანიძე მოგვენივნეს, გავიყავით წინა სუანა და დაგვკოცეთ და ამოგუწვიტეთ. რვახასი კაცისაგან ოთხასი მტერი აღარ მოვრჩით. ეს ყუელა კაცი დაგვკოცეთ და ოთხასი ცხენი, ყველას ლუინო ეკიდა, მისის საპალნით ნაგუართუით.

ამას გარეთ სხუა მრავალი მტერობა გუიყავით და ვერსით საჯამაგროდ ვერ გაგეპარენით, ამისი ღონე ვერ დაედევით რომ გზა გუემოუნა. ასი სუანი დეალეთისაკენ გავიპარენით, კახეთს საჯამაგროდა წავედით. მის წასულა ვერ შეგუიტყვევით, და მერმე შინისაკენ რომ შემოვიქცეთ, იმავე დვალეთზედ წამოვედით, – დაგუხუდიბ გლოლას და ჭიორასა შუაზედან და მოგუიჭირეთ კელთა, დაგუძარცუეთ, ასის კაცისაგან ორი მოამბედე გუშუით სხუა ყუელა ტყუედ წაგუასხით, ჩვენს მონავებიანად ონს მიგუასხით, საქონელი საღაროში შეიტანეთ და ჩვენ დარგუილნი, საბრალონი, საღორესა და საბატეში შეგუყარეთ. ნაღდგომევიდალმა ენკენისთუემდის იმაშივე ტყუედ ვიყუენით. ღონე აღარ გუქონდა, დავიკსენით თავი და თუითო კარგი აბჯარი ჩუენისა თავის საკსრად გამოვიღეთ და გარჯილი სული ამით შევირჩინეთ.

სხუა რასდენი ჭირი და მტერობა გარდაგუეკიდა, კაცის ენა როგორ იტყუის ვიყუენით სრულიად ეცერს აქეთ რაც სვანეთი არის თორმეტს წელიწადსა ასრე შეწყუდეულნი, რომ ვერც კახეთით ვერც ვიშოეთ საჯამაგრო გზა, ვერც სამცხისაკენ და ვერც გურიისაკენ, ვერც ვიშოინით. და მერმე შენიყვიარებით სრულიად სუანთ ჩენილები და ვქენთ ვაზრობა. მივედით ეცერს, რუჩაგანასა და დადოშკლიანსა შევეხუენენით და დადიანთან გაგვზავნეთ. შევეხუენენით დადიანს მამიასა და ცხრა ჯორი გაუგზავნეთ. ამისი აჯა ესთხოეთ, რომ მეფეთა-მეფეს პატრონის ალექსანდრესთან აჯა ეთხოვნა.

ღმერთმან გაუმარჯოს პატრონს დადიანსა. ჭყონდიდელი გაგვზავნა და შეხუენოდა ალექსანდრე მეფესა, ეაჯებინა და ეპატიყვიანა პატრონის დადიანისათვის და ასრე ებრძანა მეფეთმეფესა პატრონსა ალექსანდრეს ყუ, ჯაფარიძისთან თავადი რაჭას არა მყავსო; თუ ჯაფარიძის სისხლს გადაიკდიანო, სუანთ გზას მივეცემო და ჯაფარიძეთაც ჩამოგვკნინო, თუ არა და ჯაფარიძის საქმეს არ გადაგწყვეტო, ჯაფარიძენი უბრალოდ დაკოცესო, მწუედ მძლავრნი კაცნი არიანო და სრულიად რაჭველნი და ლეჩხუმელნი დამეკარგვიანო, და თუ ამ ჯაფარიძის საქმეს გარდასწყუეტენო, მოიყენე კარსა და რა რიგადაც სჯობდეს და ემართებოდნენ, ჯაფარიძესაც გარდაუწყუიტონ და შემოვიწყობთო.

ამაში გამოკდა ხანი და მივედით დადიანთან სრულიად ჩენილები. წარმოგუიძლუა თუითან ბატონი დადიანი და გეგუთს მივედით. შეიქნა საქმობა და სანახშირე გუთხოეს ჯაფარიძეთა. დასხდნენ თუითან მეფეთ-მეფე პატრონი ალექსანდრე და დადიანი ბატონი მამია, ფალავანდიშვილი ზვიადი, ჭილაძე ლომკაცი, ერისთავი კახაბერი, ამირეჯიბი რამინ და ფალავანდიშვილი ფალავანდი. ქნეს მოკითხული და სიგელიც მოატანინეს ჯაფარიძეთა. და მეტად უზომოდ დიდი სისხლი და სანახშირე ეწერა. ამაზედ იანგარიშეს. და ასი კაცი მოეკლა ჯაფარიძეთა და სხუა მრავალი ავი დამართებოდა ჯაფარიძეთაგან სუანთა, დაუდევით სიგელი სუანთა და გარდაიკადეს.

და მოვეცემინეთ ლაშხეთს სოფელი და ციხე ხერეას ცხრა კუამლი კაცი, და ერთი მომცრო მონასტერი წმიდის გიორგისა თექუსმეტით ჯუარ-ხატითა, ოთხთავითა სანინასარმეტყუელოითა, სამოციქულოითა, მარხუანიითა, ტიბიკონითა, სტოდელითა.

ამას გარდა მოგვეცით ოსეთის პირად მთიულეთს ხიდურას ოცი გლეხი, ერთი კარგი ციხე, ორი მონასტერი: ერთი დიდი გუმბათიანი მთავარანგელოზთ მონასტერი ორით დიდით ოქროს ხატითა, ოცდათვრამეტითა სხუა დიდი ხატითა, თორმეტით ოქროსი და ვერცხლის კანდლითა, მისით სამონასტრო წიგნებითა – დიდით გულანითა, ოთხთავითა, სამოციქულოთა, სანინასარმეტყუელოითა, მარხუანიითა, მეტაფრასითა, დავითითა, დავითის თარგმანიითა. ოთხთავის თარგმანიითა, ენქეროსნით წინამძღურითა; მეორე წმიდის გიორგის საჯანის დიდი სიონი მონასტერი, ოცდათორმეტი ჯუარ-ხატითა და რაც სამონასტრო წიგნი არის მით სრულიად გათავებული, და საბატონო დეკანოზი; წინამძღურს ოცი კუამლი კაცი და დეკანოზს რვა კუამლი კაცი.

ამას გარეთ – იქივე ხიდურას ერთი აწნაურშიშვილი სოსავიძე მისითა ციხითა, თორმეტი კუამლი კაცითა.



სხუა - მთიულეთის ციხე და სოფელი ბრილი, ოცდაოთხი კუამლი კაცი, ერთი ეკლესია/ თხუთმეტი პატიოსნით ხატითა და მისით წიგნებითა სრულებით შემკობილი.

თევარემოს - თექუსმეტი კუამლი კაცი და ციხე სხუა, და არიშიძე ლომი მისით ცნობილი ორმოცი კუამლით კაცითა.

ზედა-ქალაქსა კარგი საბატიო გუმბათიანი საყდარი ჯუარცმისა საეფისკოპოზო მისით მოთულამარგალიტულით ომფორითა შემკობილი, რაც ეფისკოპოზსა და იმისთანას საყდარს ეკადრების, იმისთანას წიგნებით სრულად ვათავებული ასის კუამლით კაცითა.

და ლებს - ორი აზნაურიშვილი გიგამეილები მისით ციხითა და სამოცდათორმეტი კუამლით კაცითა.

შოდას - წმიდის გიორგის ეკლესია და სოფელი, ოცდახუთი კუამლი კაცი და ციხე. ჩუემოს - ციხე და შუიდი გლეხი.

ჭიორას - ციხე და სოფელი, თექუსმეტი კუამლი გლეხი.

ბუბას - კარგი ეკლესია, ციხე და სოფელი; ეკლესია კარგის ჯუარ-ხატითა, ოცდახუთი გლეხი.

სხუა - ლების შესავალი სოფლები. ჯუმლად - ოთხასი კუამლი კაცი.

სამი საშავარდნე სხუა, ყოელის დღის სანადიროები საჯიკუე, ზოფახითო, კირტიშო, ედენ, გილოინა, რიონის სათავე, სხუა სანადიროები არჩუისა.

ამ მამულს გარეთ - სამასი სამანქანური და ზედალური აბჯარი, სამასი ვერცხლის ჭურჭელი: სურა-თეფში, ჩორღათო და თასი ვერცხლის ტამტი, ნურნუმა, კახთ მეფის ნაპარევი.

ამას გარეთ - სამასი დიდი და სუბუქი ქუაბი, სამასი ჯორი, სამასი კარგი ულაყი.

ამას გარეთ ველარა ამოგივედით, არ შეგუჯერდით, ამისათვის რომ, თქუენი სწორი კაცი სუანეთს არ იყო, და სხუა ველარა ღონე ექენით, სრულიად სუანთა ეცერს აქათ ყუელამან თქუენი ბაჟი დავიდევით, სრულიად მულახელთა და მულახის შესავალთა, ლატარელთა და ლატარის შესავალთა, უშკულელთა და უშკულის შესავალთა.

ანე მოგუიხკსენებია გლოლას ზედათ. ცენას იქით, ოსეთს აქათ, სრულად მთიულეთის თემი, მათით სამართლიანითა მითითა, ბართითა. საყდრებითა, წყლითა, წიქუილითა, სათევზოითა, სანადიროითა, ველითა, სათიბითა, მისითა მომდგომითა მართლით სამართლიანითა საძებრითა და უძებრთა. მისით ყოვლითა გქონდეს მკვიდრად და სამამულოდ თქუენ ჯაფარიძესა სარგისს, აბესალამს და ვამიყს.

ვინც ეს მოგიშლოს და შეგიცუალოს, წყუელიმც არის აქა და მერმესა მას საუკუნესა, ორთავე ცხოვრებათა შიგან. ან თემისაგან ან ბაჟისაგან, სადამდის სუანეთი. იკსენებოდეს, ან ჯაფარიძის გუარი იყოს, ან იკსენებოდეს. ვინც შეგიცუალოს, ან მოგიშლოს, - შემცაიცულების ქრისტიანობის სჯულისაგან რისხავსმცა მამა, ძე და სული წმიდა.

ანე გქონდეს მკვიდრად, სამამულოდ ჭიდროთა ზედათი, და გლოლას ზედათი სუანეთს იქით ოსეთს აქათ, სრულიად მთიულეთი ოთხასი კუამლი აზნაურიშვილიანად, გლეხიანად სრულიად ეცერს აქათ რაც სუანი იყოს, ყუელამან ბაჟი მოგცეს. გიბედნიეროს ღმერთმან, როგორც ნასისხლსა მართებდეს. ვინც ან ამ მთიულეთს დაეცეცლოს, და ან ბაჟსა, ამის პირისა და პასუხის გამცემნი ჩუენ სრულად სუანნი ვიყვენთ.

ამას გარეთ საალაპოდ მოგაჭსენეთ სამასი ნებიერი, ათასი ცხუარი და სამასი ლიტრა სანთელი.

დაიერა წიგნი ესე ქრონიკონსა რუ და ერთსა, ჳელითა ფრიად ცოდვილისა ფალავანდიშვილის ფალავანდისითა; მოწამეცა ვარ ამ საქმობისა.

(სვანეთის წერილობითი ძეგლები, ვ. სილოგავა, I, გვ. 112-116).

ამ საბუთის პირველ ნაკულლ გვერდს გარკვეულ წილად ავსებს ჩვენს მიერ სვანური პოეზიიდან ამონერილი მასალა. აკაკი შანიძეს 1923 წელს უშგულში 40 წლის პართენ ჩარქსელიანისაგან ჩაუწერია „უშგული და ლები“ (სვ. პოეზია, 1939, გვ. 368). ეს მასალა, რომ ცნობილი ყოფილიყო ამ სივლეზე მომუშავე დავით დავითულიანისათვის და სხვებისთვისაც მაშინ უფრო ნათელ ანალიზს გააკეთებდნენ. პართენ ჩარქსელიანის მონათხრობში წერია, რომ რაჭიდან უშგულელი მგზავრები მოდიოდნენ, მათ გზაში დახვდნენ აზნაური ჯაფარიძეები, ლავგანთადაც. უშგულელ მგზავრებს წაართვეს ნაეაჭირი ფართალი, ყანაოზი. ერთ-ერთი უშგულელი ეუბნება ჯაფარიძეებს ეს ცოლ-შვილთან მიმაქეს, ამის გარეშე როგორ წავიდე სახლშიო. ჯაფარიძე გაბრა-



ზებულა და ხელი მოუქნევია სახეში. მაშინ უშგულელიც გაბრაზებული უშიშვლია დიდი დეალებითური დანა და გაუყრია მუცელში ჯაფარიძისათვის და მოუკლავს, უშგულელიც მჭრემდედებით მისულან.

ამის შემდეგ გაკავებულა გზა რაჭასა და უშგულს შორის. მტრობა დაუწყიათ უშგულსათვის, თევრემოს, ლავგანთას, ლებს. ამას მოჰყოლია თევრემოს დაქცევა, რაჭის მთავრის (მეფის) დაჭრა, უშგულელი ჯამათა ჭელიძის მოკვლა და ბევრი ცუდი ამბავი. როგორც მოხრობელი პართენ ჩარქსელიანი აღნიშნავს ჯამათას მკვლელობა ლებელემა ლექსად გააკეთეს, ნაწილს ლექსისა ანერინებს ა. შანიძეს და თან დასძენს – ეს ლექსი დიდია, მაგრამ მე ბოლომდე არ ვიციო, ისე ქალაღლი კია შინ-ო.

მთხრობელი შემდგომ აღწერს სვანების გალაშქრებას ზემო რაჭაზე და დეალებით-ოსეთში. ამ საქმეში ლებელეთა დახმარებაზეც, რომ ლებელემა დააჭირინეს რაჭის „მეფე“ ჯაფარიძე, მან გაშვება ითხოვა დიდ საფასურად და გადაუხდია კიდევ. ლებელეს უშგულელებისათვის სამაგიერო საჩუქარი მოუთხოვიათ. უშგულელებს უკითხავთ ლებელეებისათვის – რა გინდათ საჩუქრადო – ლებელეს მოუგიათ – ჩვენ გვინდა მხოლოდ-და მხოლოდ ადგილი ბართუზიო. უშგულელებს მოუგიათ თუ ამის გარდა სხვა რამე არ გინდათ მთლად ვერ მოცემთო – სახელით უშგულელების იქნება და საძოვრებად მოცემთო. ამის შემდეგ ლებელემა თავებედურად სიარული დაიწყეს ბართუზში, გორარსა და სავითში. ეს ეწყინათ უშგულელებს და მტრობა დაუწყეს ლებელეს. მათი ადგილიდან ართმევდნენ საქონელს, იჭერდნენ კაცებს ამ საქმეში განსაკუთრებით აქტიური ყოფილა ჯამათა ჭელიძე. ერთხელაც, როცა ჯამათა ჭელიძე 40 კაცით წასულა ლებელეთა საქონლის ნასართმევად ლებელემა ის მოკლეს. შემდეგ უშგულელებმა ჯამათას სისხლის ასაღებად ორი კაცი მოკლეს, ორი მოიტაცეს და გაყიდეს სავითში-ო. ჯამათას მოკვლის შემდეგ გავიდა სამოცი წელი, იმ ადგილიდან ისევ დაუწყეს უშგულელებმა ლებელეს საქონლის წართმევა. ლებელემა გარჩევა ითხოვეს. უშგულელებმა უპასუხეს სამართალში მიგვეყვიეთო, სამართლით გავისწორებთო. სამართლისა ლებელეს შეემინდათ და უკან დაბრუნდნენო ბევრი იჩივლეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ-ო. მთავრობამ უშგული გაამართლა-ო.

როგორც ჯაფარიძის სასისხლო სიგელიდანაც ჩანს ეს ამბავი 1496-1503 წლებში მომხდარა. მას შემდგომ რაც მეფე ალექსანდრე ჩარეულა და დიდი გადასახადის შემდეგ შერიგება მომხდარა, მეფეს ჯაფარიძენი, როგორც ჩანს საბაბად გამოუყენებია სვანეთის წინააღმდეგ. შემდგომ საუკუნეებში კიდევ გართულბულა ვითარება უშგულსა და ზემო რაჭას შორის. ამ გართულების მონაწილე რა თქმა უნდა მარტო უშგული არ იქნებოდა, აქ სვანეთის სხვა სოფლებიც მონაწილეობდნენ ალბათ. როგორც აკაკი შანიძის ჩანაწერშია და სხვა ლექს-შაირებში უშგულელებს (სვანებს) ულაშქრიათ დეალებით-ოსეთზე, რაჭის გავლით და წაურთმევიათ საქონელი და სხვა საგანძური, როგორც ზემოთ აღინიშნა ერთ-ერთი ლაშქრობის დროს მოუკლავთ ჯამათა ჭელიძე ეს მომხდარა 1840 წელს 1900 და 1918 წლებში კიდევ წაურთმევიათ ჯოგები ზემო რაჭველებსათვის.

ფუთა დადეშქელიანის მოკვლის შესახებ ბესარიონ ნიჟარაძე წერს. ეცერის დაპყრობის შემდეგ ფუთა დადეშქელიანმა მოინდომა მთელი სვანეთის ხელში ჩაგდება. ძალით რომ ვერაფერი გააწყო მოყვრობას მიჰყო ხელი. სვანეთის რამდენიმე სოფელში რამდენიმე მოსახლე კერძ-კაცად, ნაცნობად გაიხადა, ამით ფუთამ იმას მიაღწია, რომ ყველა სოფელში გზა გაიკვალა, გარდა უშგულისა, რომელმაც იგი ახლო არ გაიკარა. ამით გულმოსულმა ფუთამ დაუწყო უშგულს მტრობა. რამდენიმეჯერ მივიდა მხლებლებით პიროტყვის ნასართმევად, მაგრამ უშგული ყოველთვის წინასწარ შეიტყობდა ხოლმე და ფუთა განბილებული ბრუნდებოდა. მაშინ ფუთამ შეკრიბა დიდი ჯარი და სოფ. მუყმერის ახლოს სადაც საქონლის გასარეკი გზაა იქ დიდ ქვასთან (ტიშიუყ) ჩასაფრდა თოფის სასროლ მანძილზე. სოფელმა ეს შეიტყო. ამ დროს მუყმერში სტუმრად ექვსი დეალებული იყო. ამით შეკრდათ უჩახმახო თოფი. სვანეთში მაშინ თოფი არ იყო და მთელი სოფელი ამ უჩახმახო თოფს სინჯავდა და სთხოვდნენ დეალებლებს აეხსნათ თოფის ხმარება. დეალებლებმა თოფი გასტენეს. თუ ფუთას მოკვლა გინდათ ამით მოკლათო, სოფელი დათანხმდა. რაკი თოფი უჩახმახო იყო, მოკიდებული აბედი დაადგეს იმ ადგილას, სადაც თოფს ჩახმახთან ფალია აქვს. დაუმიზნეს ფუთას, გავარდა თოფი, ფინთიხი ფუთას მხლებელს მოხვდა თითში და მოსჭრა. ფუთას გაუკვირდა რადგან არ იცოდა თოფი რა იყო, მიაცქერდა იმ კოშკს (ახლაც დგას ჩარქსელიანების) საიდანაც თოფი გამოვარდა. ამ დროს კოშკიდან გამოისროლეს მეორედ, ფინთიხი ფუთას პირში მოხვდა და უკანალში გავარდა. აქედანაა საერო სიმღერა უშგულში:

უშგულარ დავარ, უშგულარს მხეცარ
იმ ხაჩმავენდ მანვი ფუთას
ფუთა ბოლან ფინდიხვმ ტყრნას

უშგულელებო დევებო, უშგულელებო მხეცებო!
რას აქნეინებთ მართალ ფუთას!
ფუთა ბოლან ფინთიხთ გადხარ.



II ვარიანტი

უშგულარ გმირალ, უშგულარ მხეცარ
იმ ხაჩმავენდ მახვში ფუთას
მახვში ფუთას ფინდიხვმ ტყრნას.
მახვში ფუთა ჩუ ხოღვარახ
მუმბშვიდ ეშხვი ხოფიშვდახ.

უშგულელებო გმირებო, უშგულელო მხეცებო,
რას უშვებთ მახვში ფუთას,
მახვში ფუთას ფინთიხთ გასხმელს
მახვში ფუთა ქე მოუკლავთ
ამბის მომტანად ერთი გაუშვიათ.

სასიკვდილოდ დაჭრილი ფუთა უკან ნაიყვანეს, კალას ქალამი თავისი შვილი ისლამი შე-
მოხვდა და ჰკითხა – გისისხლო თუ კარგი ალაბი გადაგიხადო. ფუთამ უთხრა შენ მე ვერ მისიხ-
ლებ და ემჯობინება ალაბი გადამიხადო. რამდენიმე ხნის შემდეგ ისლამმა გადაწყვიტა შურისძი-
ება და ჯარით უშგულისაკენ გაემართა. გზაზე თავისუფალი საზოგადოების წინააღმდეგობას
ნააწყდა, შეთხელებული ჯარით უშგულს მიაღწია და სთხოვა უშგულს შერიგება და მამის სის-
ხლი (წორ). უშგული დაეკუბულდა. მიიღო ისლამი სოფლად, მისცა გადაჭრილი საქონელი. დააფი-
ცა ერთგულებაზე და გაუშვა უკან. სოფელს რომ გასცდა შეხვდა დედა-შვილი. ისლამმა ითხოვა
ისინი რამდენიმე წლით და შემდეგ დაგასაჩუქრებთ და ისე გამოგიშვებთო. ისლამმა ბავშვი თვი-
თონ შემოისვა ცხენზე და გაუდგა გზას, უცებ წმინდა ბარბარეს ეკლესიის ახლო ცხენი ძირს
ეცემა და კვდება. შეშინებული ისლამი დაიჩოქებს და ეხევენება წმიდა ბარბარეს ოღონდ მე ცოც-
ხალი გამოიშვი და უშგულისგან არაფერს ნავილებო. ადგა და ყველაფერი დატოვა საქონელიც და
დედა-შვილიც. ამასთან წმიდა ბარბარესა და ლეთისმშობელს დაჰპირდა ყოველ წელს თითო
ხარს, რასაც თავის სიცოცხლეში უტყუარად ასრულებდა.

ეგნატე გაბლიანის ცნობით (წყაროს არ ასახელებს) ფუთა დადემქელიანი მოუკლავთ „ლა-
მარიასთან“, თითქოს ფუთა მიიპატიჟეს მხლებლებით, დასვეს ქვის სკამზე. საყდრის გალავნის
კედლის სარკმლიდან დაუმიზნეს თოფი, სასხლექს თოკი მოაბეს და ყველამ ჩაავლო თოკს ხე-
ლი, უშგულის უფროსმა ნასყიდა ნაგვამაშ (სხვა ვარიანტში ბეგაშ რატიანმა) წინასწარ დათქმის
თანახმად ნითელი ღვინო მოითხოვა. გავარდა თოფი და მოკლა ფუთა, დანარჩენი მხლებლები
დანებთ ამოხოცეს, ერთი შემთხვევით გადაარჩინელი ჭიბანელმა ქალებმა მოკლეს-ო.

აქ, როგორც ჩანს, მიქმელთა მიერ ერთმანეთშია არეული ფუთა დადემქელიანისა (XV ს.)
და მულახის მახვშის ქაეშუბ ქურდიანის მოკლა. როგორც ცნობილია, ბესარიონ ნიჟარაძეს
დანვრილებით აქვს მოყოლილი ქვემო სვანეთის (ლაშხეთის) თავადის ბეჟან ყიფიანისა და უშ-
გულელების ბრძოლა ცანასთან (ნაშალავარე ლაარა). ბეჟანის მოკლა და მისი ცოლის მულახის
მახვშის ქაეშუბ ქურდიანის დის მარეხის დაღუპვა ამ ამბავთან დაკავშირებით, რის გამოც უშ-
გულს გადაეკიდა მულახის მახვში და მოხვენებას არ აძლევდა. ამიტომ სხვანაირად რომ ვერა-
ფერს ვახდენდნ დაპატიჟეს ქაეშუბი და მხლებლებით ამოხოცეს (XVI ს.).

ბ. ნიჟარაძის ცნობით ფუთას მოკლა მოხდა მუყყერის კოშკიდან სოფლის შემოსასვლელ-
ში: ე. გაბლიანის მიერ უშგულის უფროსად ნახსენები ნასყიდა ნაგვამაც ალბათ მონაწილეობდა
ამ, პროცესში. ბ. ნიჟარაძის ჩანაწერები უფრო საფუძვლიანი ჩანს, „ლამარიასთან“ ამჟამადაც
არსებულ ქვის სკამს არ უმიზნებს გალავანში გაკეთებული სარკმელი, იქიდან თოფით სკამზე
მჯდომის მოკლა შეუძლებელია. მეორე – მორწმუნე სოფელი საყდრის ეზოდან თოფს არ გაის-
როდა – მესამე – ცნობილია, რომ ამ დროს სვანეთში კაჟიანი თოფი არ იცოდნენ და თოკს
როგორ მოაბამდნენ.

ფუთას მოკლა თოფით უფრო რეალურია ბ. ნიჟარაძის მონათხრობით, რასაც ადასტუ-
რებს დეკლეთელთა სტუმრობა და თოფის პირველად გამოყენება. ამასვე ადასტურებს ხალხუ-
რი შაირი-სიმღერა „ჩეყვასიო ი რამსაჯვი“, სადაც აღწერილია ფუთას უშგულში მოსვლა და
მოკლა:

„მეფეს ბარგილდ ხოჩურჩხუნე,
ლეჟა ანღრი კალაშ ქალას.
სგობინ ლახხვიდხ შყაჟვა ქარვან –
ქაეხოქაბახ მირთენ ფოყას.

– ალის გუმგუიედ მადმა ხობალ!
ლეთა ანღრი უმგულლეფა –
ბრიგ ლახსუმდა უკეცირხანქა,
უკეცირხანქა უტახხანქა.
უმგულარ დაავარ, უმგულარ კეცარ,
იმ ხაჩემავენედ მახეში ფუთას?!
მახეში ფუთა ფინდიხეშე ტყურნა!
– მახეში ფუთა ჩუხოდაგახარ,
მუმბვიდ ეშხეი გარ ხიფიშვდახ.
(თარგმანითურთ იხილეთ შაირებში)

დადეშქელიანების გვარიდან უმგულს მოუკლავს კიდევ ყვარყვარე დადეშქელიანი (დუდა-
უშა ბეწოს შტო), ასე გვეუბნება ხალხის გადმოცემა და დღემდე უმგულში დარჩენილი ამის შე-
სახებე საერო სიმღერა (ბ. ნიჟარაძე II, გვ. 75).

ყვარყვარის მოკვლასთან დაკავშირებით უმგულში არსებობს ასეთი თქმულება: ამ
დროს უმგულის მახეში ყოფილა ბექა (ბეშგანშა) დავითოულიანი. ყვარყვარს და მისი მხლებლებს
უმგულის საძოვრებიდან – ლახვიდან ცარემის გადასასვლელით გაუტაცნიათ საქონლის ჯოგი.
უმგულის მამაკაცები სამუშაოდ ყოფილან გასული მარტო მახეში და მისი ცოლი ყოფილან სო-
ფელში. მახემისთვის ყოყმანი რომ შეუტყვიო ცოლს უთქვამს – სოფლის ხალხი სამუშაოზეა, გა-
ეკიდე ყვარყვარს, თორემ მე ჩაეიცვამ შენს ტანისამოსს და გავეკიდები. ამაზე მახეში გაბრაზე-
ბულა და გაკიდებია საქონლის გამტაცებლებს და დაენია ცარემის მთაზე და შესძახა გაჩერ-
დით! ყვარყვარი ჯორზე იჯდა მობრუნდა და დაუძახა მახემის: აბა მესროლე შენი წვირიანი ისა-
რი – მახეშიმ უპასუხა – არა ჯერ შენი ოქროს ფინთიხიანი ისარი მესროლეო, ესროლა ყვარ-
ყვარმა, მაგრამ ვერაფერი დააკლო. მაშინ მახეშიმ შესძახა – ახლა როგორც მე დაგიდექი ისე თუ
არ დამიდექი ცოლის ლეჩაქი დაგეხუროსო! ესროლა და ჩამოაგდო ჯორიდან. ყვარყვარის მხლე-
ბელნი გაიქცენ მახეშიმ მთელი საქონელი დააბრუნა და ყვარყვარის ტანისამოსიც წამოიღო,
რომელიც ეკლესიაში ინახებოდა. (ბ. ნიჟარაძე, II, გვ. 78).

მოკლედ გავაცნობთ დადეშქელიანების გენეალოგიას. როგორც ცნობილია, ბალსქვემო
სვანეთში ბატონობდნენ დადეშქელიანები. დადეშქელიანების მიერ შედგენილი სქემით, ამ გვა-
რის ისტორია იწყება XIV საუკუნეში. როცა ყუმიკთა ერთ-ერთმა შამხალმა სვანეთში მოაღწია
და დაეფუძნა დადიშთა გვარი. პირველ დადეშქელიანს დაჩქლანე ერქვა, შემდეგ ფუთა (რომი-
ელიც უმგულში მოკლეს) ფუთას შემდეგ მოჰყვებიან: ისლამბერი, ისლამარ და ხომა ისლამ. ხომა
ისლამს ჰყავდა ოთხი შვილი: ოთარ (აქედან მოდიან ოთარშეერები), სორთმან (სორთმანშეერე-
ბი), დუდა (დუდაშეერები) და ქერიმ (ქერიმშეერები). ოთარის შვილებია: თენგიზ და ლევან;
თენგიზის შვილებია: ოთარ და ჯანსუღ, ხოლო ლევანის – თენგიზ, გელა და ციოყ. თ. დადეშქე-
ლიანის გენეალოგიით მათი ბოლო უფროსები იყვნენ: ციოყ, ისლამ და ქერიმ (გ. გასვიანი, შუა
საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან 1991, გვ. 14).

ჩვენი აზრით სვანეთიდან ჩრდილოეთში გაიხზნული გელოვანია შემობრუნებული, რო-
გორც ცნობილია, XIV-XV სს. სვანეთის მთავრები გელოვანები იყვნენ, ისინი რომელიდაც ძალას
გაუნადგურებია და გაუფანტია. როგორც ხშირად ხდებოდა, ჩრდილოეთ კავკასიაში მუსულმა-
ნური ნესებით გაზრდილს გადმოჰყვა გავლენა მათი, რაც ჩანს სახელებსა და წეს-ჩვეულებებში
(დადეშქ-გელიანი).

როგორ მოკლეს ბეჟან ყიფიანი (XVI ს.). ლაშხეთში დოჩა გაბიანს უთხოვია ფარცველან
ფარცველიანის და, შემდეგ გაუფგდია. ფარცველანს აულია პატარა კვახი თავის ყანის მინა ჩაუყ-
რია, წამოუღია და უმგულის ღვთისმშობლის კარზე ჩამოუყიდა, ძველად ეს იყო ნიშანი საზო-
გადოების შეხვეწნისა, და ამგვარ ხეწნას საზოგადოება ყოველთვის ენმინებოდა. უმგული
თავს იყრის, ფარცველანი სთხოვს ყრილობას დოჩა გაბიანის ძლიერად დასჯას. უმგული პატავს
სცემს ხეწნას და მაშინდელი მახემის ბეგაშ რატიანის წინამძღოლობით მიდის ლაშხეთს დოჩა
გაბიანის დასასჯელად. დოჩას სოფელში ვერ ნახავენ. მაშინ უმგული თავს ესხმის დოჩას სო-
ფელს შგადს და კიდევ ორ მახლობელ სოფელს – ნაცულსა და ლეგებს და ართმევს პირუტყვის.
შგადელები ატყობინებენ ლაშხეთის ბატონს და სთხოვენ დაატყვებინონ უმგულს წართმეული
საქონელი. ბეჟანი თავს უყრის მთელ ლაშხეთს და დაედევნება უმგულელებს და დაენევა სო-



ფელ ცანას. ცანაში მცხოვრებ მოხუც ბრმას გიორგი თოდრუანს, რომ გაუგია ბეჟანა ყიფიანი უშგულს მოსდევსო მშვილდ-ისარი მოუთხოვია და ქალებისათვის უთქვამს მოხერხებულად დაეხმოს და როცა ბეჟანი და მისი ჯარი იმ ადგილას გამოვიდნენ ეთქვათ. მარჯვლად ერგას უსვრია ისარი და ბეჟანის მებაიარაღე მოუკლავს. ამით ბეჟანი კიდევ უფრო გაბრაზებულია და მალე დაენია უშგულს და დაშინება და მუქარა დაუნყო. უშგულის მახვშიმ თავაზიანად უთხრა დაბრუნებულყო უკან უბრძოლველად. მაგრამ ბეჟანს ყური არ უთხოვია. მახვშიმ მიმართა ბეჟანს თუ მაინ არ იშლი ბრძოლას ისროლე შენი ისარიო, ბეჟანს მახვშისათვის უსვრია ისარი, მახვშის ხელი მოუგებებია და დაუჭერია ისარი, მერე ბეგაშმა ესროლა, ბეჟანსაც ისრის დაჭერა მოუწოდებებია, მაგრამ ისარმა სასიკვდილოდ დაჭრა და ჩამოვარდნილა ჯორიდან. მისი ჯარი უკან გაქცეულა, მაგრამ უშგულელებს ერთი გლახა მოამბის მეტი არავის გაუშვიათ. ცოცხალი, სადაც ეს ბრძოლა მომხდარა იწოდება „ნაშაღერე ლარად“ ნაომარი სათიბი.

ბეჟანის დაღუპვა, რომ მის ცოლს შეუტყვია გალავანზე მდგარა და იქიდან გადმოვარდნილა ფეხმძიმე ქალი და დაღუპულა. ეს ქალი მარეხი ყოფილა მულახის მახვშის ქავშუბ ქურდიანის და.

ბეჟან ყიფიანი არის ყანსაჲ ყიფიანის (XV-XVIII) შთამომავალი. ყანსაჲ ყიფიანი სვანურ თქმულება-შაირებში შემორჩენილია, როგორც ლაშქრის წინამძღოლი, რაინდი. მასზეა სიმღერა „ყანსაჲ ყიფიანე“. ქვემო სვანეთში სოფ. დაბიში არის საყდარი. სადაც კედლებზე გამოსახული არიან ყანსაჲი და მისი ოჯახის წევრები. ასევე არის მისი სახელობის წყალსადენი (ყანსაჲი ლაღქენარა) დადიანის მთიდან.

მულახის მახვშის ქავშუბ ქურდიანის მოკვლა (XVI ს.). – როგორც ზემოთ აღინიშნა, ბეჟან ყიფიანს ცოლად ჰყოლია ქავშუბის და მარეხი. ქავშუბს დაუფიცნია, რომ დისა და სიძის სიკვდილს არ შეარჩენდა უშგულს. თავი მოუყრია მულახის საზოგადოებისათვის და უთქვამს: ჩემი და მარიხი უნდა ვისისხლო უშგულელებისაგან და მომეხმარეთ, ანდა მახვშიობას თავი უნდა დაგანებო. საზოგადოებას ჰყვარებია მახვში არ გაუთავისუფლებია და დახმარებას დაჰპირებია. ამის შემდგომ ჩამოვარდნილა სამინელი მტრობა უშგულსა და მულახს შორის. ქავშუბს მოსვენება არ მოუცია უშგულისათვის. ერთ დღეს უშგულის მახვშის ბეგაშს უთქვამს ყრილობისათვის: გაგვიჭირა საქმე ქავშუბმა რამე მოუხერხოთო, გადაუნყვეტიათ ქავშუბის ვითომდა მოპატივება. შესარიგებლად და მოკვლა. ქავშუბი მიწვევაზე დათანხმებულა, მოსახლიდან თითო მძევალი მოუთხოვია, თავის მაგიერ – მახვში ბეგაშის შვილი, უშგულის ყრილობა შენუხებულა იმაზე, რომ ბეგაშის ერთადერთ შვილს ითხოვდნენ მძევლად, მსჯელობდნენ იმაზე თუ როგორ აეცილებინათ მისთვის, ეს რომ მახვშიმ გაიყო ეწყინა და იქვე გამოყვანა თავისი შვილი, კარგი შვილი მყოლია თუ უშგულად ჰღირს და უშგულის მაგიერ ვერ ვიმეტებო. მძევლები როცა ჩავიდნენ მულახში ქავშუბი თავისი მხლებლებით უშგულში ამოვიდა. ქავშუბი და მისი მხლებლები მოიპატივეს „ლამარიას“ ეკლესიის გაღავენის გვერდით, დღესაც არის ქავშუბის ქვის სკამი სადაც დასვენეს, დანარჩენებიც დასვენეს, ისე რომ ყოველ სტუმარს უშგულელი ეჯდა გვერდით. ქავშუბს მახვში ბეგაში მოუხდა გვერდით, შეუდგნენ პურობას, შუა სადილზე მახვში ბეგაშმა დაიძახა: უშგულელებო ახლა კი დროა ნითელი სასამელი მოვაყოლოთო. ამის თქმისთანავე ქავშუბს ბეგაშმა გაუყარა დეალეთური დანა (ლუღლუ გაჩ) გულში. ასეთივე ბედი ეწიათ მის მხლებლებსაც. უშგულელებმა იცოდნენ რომ მულახში მძევლებს დახოცავდნენ, მაგრამ იმდენი ჯავრი სჭირდათ მისი რომ მძევლები გაიმეტეს.

მახვში ბეგაშმა მძევლების დასაბრუნებლად ეს ხერხი იხმარა – გაგზავნა მულახში კაცი და შეუთვალა – ჩვენ მოვკალით ქავშუბი და მის გამო მასთან მყოფნიც. მკვდრები არ დაგვიმარხავს; თუ გაგვიცვლით მკვდრებში მძევლებს ხომ კარგი, თუ არა ამ თქვეწს მკვდრებს დავენამთო. ჩვენს მძევლებს რაც გინდათ ის უყავითო, მათზე ძალიან არ შეგუნხდებითო, რადგან ისინი ზოგი ბუშია, ზოგი ნაყიდი, ზოგიც ტყვედ ნაშოყვანილი ოსეთიდან და სხვა ადგილებიდანო. მოკლულთა პატრონებმა და განსაკუთრებით ქავშუბის ცოლმა მოისურვა თავიანთი მკვდრები მიეღოთ, რომ მინისთვის მიებარებინათ, ამნაირად ყველა მძევალი უშგულისა გაუცვალა მულახში მოკლულებში.

ამის შემდეგ კიდევ უფრო გამწვავებულა ურთიერთობა მულახსა და უშგულს შორის. მულახისათვის შერიგება უთხოვიათ, მაგრამ არ დათანხმებულა. ეს სწყენიათ თავისუფალი სვანეთის სხვა საზოგადოებებსაც. უშგული დახმარებისათვის მიმართავს ლატალს, ხოლო ლატალი მესტიას, გაიმართება ბრძოლა, ამ ბრძოლაში ლატალი და მესტია იმარჯვებენ და მულახს სას-



ტიკად სჯიან ჯიუტობისა და საზოგადო კავშირის დარღვევისათვის და სამუდამოდ აძლევენ ბენ უმგულის მტრობას.

დევეთეგრ მურზაყულულის მოკვლა. ბალყარელ თავადს დევეთეგრ მურზაყულუს გახსნა ნუზრახავს უმგულის რომელიმე ეკლესიის გაძარცვა. თავის თანამოაზრეებთან ერთად უმგულში წამოსულა. დევეთეგრთან ერთად ყოფილა მისი ბიძაც. დევეთეგრს განუზრახავს უმგულის წმ. ბარბარეს გაძარცვა, ხოლო მისი ბიძა და თანმხლებნი კალას წმ. კვირიკეს გასაძარცვავად წასულან. დევეთეგრს და მის ამხანაგებს იმავე ღამეს გაუძარცვათ წმ. ბარბარეს ეკლესია. ნაუღლიათ რამდენიმე ვერცხლის თასი, შარნები (შივიები) და სხვადასხვა ვერცხლის ნივთები და კიდევ წასულან მალყარისაკენ. უმგულმა მიერე დღეს შეიტყო წმ. ბარბარეს ეკლესიის გაქურდვა; მაშინვე გაგზავნა სხვადასხვა მხარეს დევეთეგრ-მაძებარნი. ამ ძებნაში თავს წაადგენ თურმე დევეთეგრის ბიძას და იმის ამხანაგებს, რომელთაც წმ. კვირიკე ვერ გაეჭურდათ. უმგულს ეგონა ამით გაძარცვეს წმ. ბარბარე და შებოჭილი სოფლად მოიყვანეს. ამით აღიარეს, რომ წმ. ბარბარე გაძარცვა დევეთეგრმა და არა ჩვენო. უმგულმა ერთ ტყვეთაგანი მალყარს გაუშვა და შეუთვალა დევეთეგრს, რომ თუ უნაკლოდ არ დააბრუნებ ყველა ნივთს, რომელიც წმ. ბარბარედან წაიღე, შენს ბიძას და ამხანაგებს ყველას დაეხოცავთო. ეს კაცი მისულა მალყარს. მთელს მალყარს სწყენოდა დევეთეგრის მოქმედება, რადგან უმგულსა და მალყარს შორის თავისუფლად მისვლა-მოსვლა იყო. მალყარის ყრილობას დაუძღვინა დევეთეგრისათვის, რომ უნაკლოდ წაეღო უმგულიდან წამოღებული ნივთები და თვითონაც გამოცხადდეს უმგულში. დევეთეგრს სხვა გზა აღარ ჰქონდა ყველა ნივთი წამოიღო უმგულში. ნივთები, რომ დათვალეს ერთი შარნი აკლდა. დევეთეგრს უთხრა ყრილობამ თუ ამ შარნს არ მოიტან აქედან ცოცხალს აღარ გაგიშვებთო. ეს შარნი დევეთეგრს ერთი ქალისთვის მიუცია მალყარში – ქალმა არასგზით არ გამოაჩინა და არ დაუბრუნა დევეთეგრს. მაშინ უმგულმა დევეთეგრ მიიყვანა ლამარისა გალავანთან იქ სადაც ქაშუბი გამოფატრეს და მოკლეს დევეთეგრ მურზაყულოვიც. რამდენიმე წლის შემდეგ შერიგდნენ უმგულელები და მალყარელები და უმგულმა მედიატორების მიერ გამოტანილი განაჩენის საფუძველზე გადაიხადა 100 ხარი. სვანები მალყარს ეძახიან ქაშუკის ქვეყანას. მალყარელებს ზო სავიარს უწოდებენ. ყაბარდოს კი „ქაშაგს“ ეძახიან. ძველ დროში მალყარისა და ყაბარდოს ზოგიერთ თემს უმგული იჯარით აძლევდა საძოვრებს და ეს გრძელდებოდა მე-20 საუკუნის 30-იან წლებამდე (ბ. ნიუარძე).

სახელი „სავირები“ ვერ კიდევ VI ს. იხმარებოდა. „გაიგო თუ არა მეფე გუბაზმა, რომ სპარსელების დიდი ლაშქარი მოდიოდა, მან ალანები და სავირები თავისკენ მოიხზრო (ივ. ჯავახიშვილი, ტ. I, გვ. 290).

სურამ გარდაფხაძის მოკვლა (XIX ს.). ქვემო სვანეთის თავადს (ჩოლური) სურამ გარდაფხაძეს გზად გამოუვლია უმგულზე. მიემართებოდა კალას მხარეს თავის მხლებლებთან ერთად. კალა – უმგულის გზაზე შემოხვდა, შემთხვევითი მარხილით უმგულელი წასყიდო (ბიჭოშა) ჩარქეტიანი. სურამს მოსწონებია წასყიდას ხარები, გაუცია ბრძანება შეეხსნათ უღელი ხარებისათვის და წამოიყვანათ. მის მხლებლებს ეს შეუსრულებიათ. წასყიდას პირვეარი გადაუწერია და ჯგრაგისათვის უთხოვია ხელი გამიმართე (სევ ლაამო) და ნუ გამიშვებ შერცხევილილსო. გადმოუღია მარხილიდან თოფი დაუმიზნებია სურამ გარდაფხაძისათვის და გადმოუგდია ჯვრიდან.

ამ ამბის გამო გამართულა მედიატორობა უმგულსა და გარდაფხაძეებს შორის. უმგულს გადაუხდია მედიატორების მიერ გამოტანილი განაჩენი სისხლი (ნორ) ოჯახზე ერთი ძროხა და შერიგებულან.

უმგული თავისუფალი იყო, ერთგვარი დემოკრატიული წყობის ელემენტებით, ამის გამო უსამართლოდ არავის ებრძოდა, მაგრამ არც უსამართლობას აპატიებდა ვინმეს – ეს, პიროვნება იქნებოდა თუ სოფელი. უმგულს დიდი სათიბ-საძოვრები ჰქონდა, რომელიც იჯარით ჰქონდა გაცემული მოსახლერე რეგიონებზე, თვით ჩრდილო კავკასიელებზეც კი (ბალყარეთი). თუ გადასახადს დაუგვიანებდნენ, ან სრულად არ გადაუხდიდნენ მაშინ სჯიდნენ კიდევ პირობის დამრღვევთ – ჯოგების წართმევით და სხვ. ამის მაგალითები მე-20 საუკუნის 10-იან წლებშიც კი მოხდა (მალყარელებთან, რაჭასთან (1918 წ. ურავიდან 200 ხარი გადმორეკეს), ლეჩხუმთან, ქვემო სვანეთთან.

უმგული როგორც სამართლიანობის დამცველი საზოგადოება ყოველთვის ეხმიანებოდა მეზობელ სოფლების ლხინსა და ჭირს. 1875 წელი ავადასხენებლად დარჩა სოფელ ხალდეს ისტორიაში. რუსმა ჯარისკაცებმა მიწასთან გაასწორეს კოშკები და მაჩუბები. ხალდეს მცხოვრებ-



ნი დამპყრობელს ვაჟკაცურად შეებრძოლნენ და დიდი ზიანიც მიაყენეს, მაგრამ რუსის უღელე ჯართან რას გახდებოდნენ. ცოცხლად დარჩენილ ხალხდმულთა დაპატიმრების შემდეგ მათი ცოლ-შვილი გაიხიზნა მთებში, გაქცეულებზე ნადირობდნენ იმპერიის მგლები, ყველას უკრძალავდნენ მათთვის თავშესაფრის მიცემას, მიუხედავად ამისა უშგულელებმა შეიფარეს ხალხდელი უმწეო ქალები და ბავშვები: კაკრიაშვილებმა შეიფარეს ბადე ვასციანის ცოლ-შვილი და შემდგომ ისინი დამოყვრდნენ კიდეც, ქელიძეებმა (ჰანდრამა) შეიფარეს ჩვილი აბრამ ჯოხაძე და დედამისი და სხვ.

ასევე მკაცრად იცავდნენ უშგულელები სტუმარ-მასპინძლობის წესს. სტუმრებისთვის ნასროლ ტყვიას მკერდს უშვერდა უშგულელი, ამის მაგალითია საუკუნის წინანდელი ამბავი, უშგულელი ნიჟარაძე მულახში გასვენების ქელეხზე ყოფნისას ხანჯლით კახიანების ძაღლს კლავს, ძაღლის პატრონი მას დაჭრის. გარკვეული ხნის შემდეგ კახიანი უშგულში სტუმრობდა კაკრიაშვილებს. ნიჟარაძე კახიანს თოფით მოსაკლავად გამოეკიდა – მასპინძელი დავით კაკრიაშვილი კახიანს წინ გადაეფარა და მოკლეს კიდეც სტუმრის გულისთვის. ამ მკვლელობას ნიჟარაძეებს (თამუშა) და კაკრიაშვილებს შორის 8 კაცი შეენირა (3 კაკრიაშვილი და 5 ნიჟარაძე) მხოლოდ ამის შემდეგ შეირიგეს.

ამასთან ერთად, უშგული დევნილთა თავშესაფარის და სოციალური უთანასწორობისაგან დაზარულთა ქომაგისა და, ასე ვახსენებთ, დამსჯელის როლსაც კისრულობდა.

უშგული თავშესაფრად და შესახვეწრად მისულს ასე იღებდა: მისული საყდართან მიდიოდა თან ჰქონდა (ან ჰყავდა) შესაწირავი, ან მინთი სავსე კვები, რომელსაც საყდრის კართან ჩამოკიდებდა ჩამოკრავდა ზარს, რაც იმის ნიშანი იყო, რომ მასოგადობა უშგულე თავს მოიყრიდა. მოიწვევდნენ ყრილობას და გადანყევტდნენ თუ რა სახის დახმარება უნდა აღმოეჩინათ შემოსულებისათვის, რომელსაც ეძახდნენ – „ლაკირ“-ს (შემოხვეწილი). ასეთი მაგალითები უშგულის ისტორიაში მრავლად არის მაგალითად, თავის დროზე შემოხვეწილები არიან ბეროდან ქელიძე და ჩარქსელიანი (ქალდარაღ), ამასთანაა დაკავშირებული შიირი-სიმღერა „ბარბაღ დოლაში“, ასევე შემოხვეწილები არიან დავითულიანები (ბეშგანაშა) რომლებიც ჩაჭამს გაუსახლებია რაღაც მიზეზით და გარკვეული დროის შემდეგ მუყემერს შემოხვეწებიან (შემოუწირავთ „ცხვი“-ს) (საილინძის ქვაბი). რის შემდეგაც მუყემერს მუყერიგებია ჩაჭამთან.

მე-16 საუკუნეში შემოხვეწებია ლაშხეთიდან ფარცველანი, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. ასევე შეიფარა უშგულმა 1875 წელს რუსის ჯარის მიერ აოხრებული ხალხდეს მოსახლეობის ნაწილი.

ა) უშგულური ისტორიული საბუთები

როგორც ზემოთ აღინიშნა, 1888 წელს გაზეთ „ივერიაში“ ბ. ნიჟარაძემ ვრცელი წერილი გამოაქვეყნა „უშგულის აღწერა“. მასში ჩართულია და პირველად არის დაბეჭდილი ერთი მინაწერი საბუთი: „დანერილი უშგულის, სეტის და ლატალის ხევების ერთობისა“. ბ. ნიჟარაძე წერს: ღრმად მოხუცებულმა უშგულელმა გუა ჩარქსელიანმა (ქუცაშა) მითხრა, რომ ეს ფიცი დანერილი ღვთისმშობლის „გულანის“ ერთ გვერდზეო“. ბ. ნიჟარაძეს ხელნაწერი ადგილზე არ დახვედრია, იგი სხვა სოფელში ყოფილა წაღებული დროებით. მისულა იქ და გადმოწერილია „ხუცუნოდ დაწერილი საბუთის ტექსტი. ამჟამად ხელნაწერი რომელზედაც ეს საბუთია მოთავსებული ინახება კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (H – 1760); იგი ნაწერია ქალაღზე, შეიცავს 365 ფურცელს, თარიღდება XIV-XV ს-ით და წარმოადგენს სადღესასწაულო საკითხავს „საკითხავნი დღესასწაულთანი“, ეს ხელნაწერი ერთადერთი ხელნაწერია, რომელიც გადანერილია და დამზადებულია საზღვარგარეთ ბულგარეთში პეტრინონის (ბაჭკოვის) მონასტერში, ქართული კულტურის მნიშვნელოვან ცენტრში. როდის მოხვდა ეს ხელნაწერი უშგულში უცნობია, მაგრამ ჩანს რომ XVI-XVII სს-ში ის უკვე უშგულშია, რაც მინაწერიდან ჩანს. ასევე უცნობია უშგულიდან მისი წაღების გზები. 1870 წელს რომ ჯერ კიდეც უშგულში ინახება ეს ჩანს მინაწერიდან. საყურადღებოა, რომ ამ საბუთებს ადგილობრივი მოსახლეობა იცნობდა და იყენებდა კიდეც სამართლიანი ურთიერთობის რეგულირებისათვის. ქვემოთ მოგვყავს ამ მინაწერის და სხვა საბუთების ტექსტები:



სახელითა ღმერთისათა, მამისა, ძისა, სულისა ნმიდისათა, ესე ნიგნი დაენერეთ ყოველად ნმიდა ღვთისმშობელი უშკულისა, მთავარმონამე გიორგი სეტისა, მაცხოვარი ლატალისა თავ-სდებობითა, შუამდგომლობითა: უშკული, მესტია, ლატალი ერთმანეთისა ერთგულებისა ზედა. მტრის მტრობისა ზედა, მოყვრისა – მოყვრობისა.

რომელმან სოფელმან ესე ნიგნი შეგვიშალოს კრულიმცა არის ქრისტეს ჯუარისაგან. ნუსხური, ქალაღი, შავი მელანი (1888 „ივერია“ ბ. ნიჟარაძე.)

[XIV ს. დანერილი უშკულისა და კალის ჳევის ერთობისა

ქ. ღმერთისა და დედისა მისისა და ყოველთა მისთა ნმიდათა თავსდებობითა და შუამ-დგომლობითა, და უშკულისა ღვთისმშობლისა თავსდებობითა და შუამდგომლობითა, დაენე-რეთ და მოგაკსენეთ დანერილი ესე საერთო და საუკუნოდ გაუყრელობისა, მტკიცე// და უქცე-ველი ყოვლისა სამიზეზოისა საქმისაგან უმიზეზოი, ჩვენ, უშკულისა ჳევემან ერთობილმან, თქვენ – კალისა ჳევესა ერთობილსა, მას ჟამსა, ოდეს ერთმანეთისა ნდობითა და ნებითა გავაერ-თედ ჩვენი საქმე ამა პირსა ზედა, // რომე დღეს და დღელისთგან ნალმა თქვენისა მტრისა მტერი ვიყოთ და მოყვრისა მოყვარე; და რაიცა თქვენსა საქმესა უჯობდეს გულმართლად მას გიჭირ-დეთ, თქვენიანად და უთქვენოდ; და რასაც პირსა ზედა შედგომილ-ვართ, არ გაგიტეხოთ ჳევემან ჳევესა ჳევეობითა, თუ გაგიტეხოთ, რაიცა ჩვენსა შხერასა უყოთ, იმისა საქმესა არას გერჩოდეთ; თუ ერთმან, ანუ ორმან გაგიტეხოს – ერთობილ ნაუკიდეთ.

ამისა გათავებისა თავსდებად მოგვიკსენებია დედა ღმრთისა უშკულისა, ნმიდაი კვირიკე კალისა; კაცთაგან: ადაი გოშგოთელიანი, ხოჯი ჩარგასიანი, გიორგი დადილიანი დათვაი გელო-ვანი,

მე, ფარსმან // ანბარევიანს დამიწერია და მონამეც ვარ.

– ლაგურკა, მხედრული, ხის ნაჭერზე (ვ. სილოგავა I. გვ. 234. სვ. ისტ. საბუთები)

[XV ს.. დანერილი უშკულის, კალის და კალდეშის ჳევების ერთობისა

ქ. ღმერთისა და ყოველთა ნმიდათა მისთა თავსდებობითა და შუამდგომარეობითა [ნმ. კვირიკე კალისა თავსდებობითა, მთავარმონამე ჩქნისა თავსდებობითა დაგვევით დანერილი ესე: საერთოდ გავაერთედ ჩვენი საქმე ყველა, სამტერო და სამოყვრო, ჩვენ სამთა – კალამ, უშ-გულმან და კალდეშმან: ეგრევე იმისდა შედეგად – ამ სამისა მთისა საქმე.

ლაგურკა, მხედრული, ხის ნაჭერი ოთხკუთხა.

აღმოჩნდა 1972 წელს. (გამოსცა ვ. სილოგავამ 1973 გვ. 222)

4. უშკულის მმართველობა, ადმინისტრაცია, ადათობრივი სამართალი

უშკულის „ღამარია“-ს კედლის წარწერაზე XII საუკუნეში ნახსენებია გიორგი მამასახლი-სი. როგორც ჩანს ამ პერიოდში მამასახლისი იყო სოფლის მმართველი.

1972 წელს კალას კვირიკეს საყდარში აღმოჩნდა წარწერა გათლილ ჯოხზე XIV საუკუნისა, სადაც უშკულის სახელით მეზობელ სოფელ კალასთან მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებას ხელს აწერს არიშ ღვაჩელიანი და მისი შვილი ბეჟან. ჩანს ეს პიროვნება ან მა-მასახლისია ან მახეში. ხელშეკრულების ტექსტი ასეთია:

[XIV ს.. დანერილი არიშ ღვაჩელიანისა კალის ჳევისადმი

ქ. ღმრთისა და დედისა მისისა და ყოველთა ნმიდათა მისთა თავსდებობით და შუამდგომ-ლობითა, და უშკულისა ღმრთისმშობლისა თავსდებობითა და შუამდგომლობითა დაგინერეთ და მოგეც დანერილი ესე, საერთო და სამოკეთო, //მე,, ღვაჩელიანმან არიშ და ჩემმან შვილმან ბე-ჟან, თქვენ, ერთობელსა კალისა ჳევესა, მას ჟამსა, ოდეს მოგვინდა მოკეთეობა და გავაერთეთ ჩვენი საქმე სამტეროი და სამოყვროი ყველაი, ავი და კარგი ყველაი.



და თქვენისა მტერისა მტერი ვიყოთ და მოყვრისა მოყვარე ვიყოთ. და გირჯობდეს-ყე ნაქვექვეოდა ვიჭიროდეთ. არაი დაგაკლოთ რაიცა კაცსა კაცისაგან დაეკლების. არაი გიღმარებოდეთ, არაი გიცრუოთ და შეგურთებიათ ერთკეამლად და ერთმოსახლეთ. და ან, ვითა ესე გავრთებით გაუმართებს – აგრე გაუყრელნი ვიყვნეთ, არ გავიმეტოთ, არაისა კაცისა გულისათვის; ასე ვითა საქმისათვის გაუმართებს აგრე შენაერთი ვარ ავსა და კარგსა ზედა, მისაგებელსა და და ნასაგებელსა ზედა, ყველასა ზედა. სად საურავი გირჯობდეს-ყე-გიორვით, სად შეელა გირჯობდეს-ყე გიმელოთ.

ამისა გათავებისა თავსდებად მოგვიცემია პირველი ღმერთი და უშგულისა ღმრთისმშობელი.

მე, ივანესა გომგოთელიანსა დამიწერია და მონამეცა ვარ ამა დანერილისა. ლაგურკა, მხედრული, ხის ნაჭერზე. აღმოჩნდა 1972 წ. (სილაგავა. I. გვ. 224).

ზემოთ მოცემულ ტექსტში და სხვა საბუთებში დასახელებულია იმ პირების გვარი და სახელები ვინც დაწერა ან თავმდები იყო ამ დაწერილებსა:

- ანბარეიანი ფარსმან – დამწერი და მონმე უშგულისა და კალის ხევეებს შორის დადებულ-ლი გაუყრელობის დაწერილისა.
- გელვანი დათვი – თავმდები უშგულისა და კალისხეველებს შორის დადებული გაუყრე-ლობის დაწერილისა.
- გომგოთელიანი ადაი – თავმდები კალისა და უშგულის ხევეებს შორის დადებული პირო-ბის დაწერილისა.
- დადილიანი გიორგი – თავმდები უშგულისა და კალის ხევეების გაუყრელობის დაწერილი-სა (XIV ს. ლაგ. №5).

არსებობს მასალა მახეშის მმართველობის შესახებ (XVI-XVII სს.). ბ. ნიჟარაძის წერილებში ნახსენებია უშგულის მახეში ბაგაშ რატიანი. ლექსში „მირანგულა“ ნახსენებია – უშგულის მახეში ფანქვესიანი. მახეშის სოფლის//კვეის ყრილობა ირჩევდა დემოკრატიული პრინციპებით.

უშგულელთა მმართველობის უმაღლესი ორგანო იყო ყრილობა. ადრე ალბათ სხვა ფორმე-ბიც იქნებოდა. ყრილობა საგანგებოდ შერჩეულ ადგილებზე ტარდებოდა. ასეთი ადგილებია უშ-გულში: „ლაღზორ“ – მუყემერსა და ჩაჟაშს შორის. სხვადასხვა დროს ამ დანიშნულებით იყენებ-დნენ „სვიფ“-ს, „სუფარ“-ს „ლაღზორააშ“-ს. ყრილობა სოფლის „მახეშის“ ირჩევდა უვადოდ, ამასთან ერთად აფიცებდა ერთგულებასა და უღალატობაზე. სოფელ//სუიფ//სუფარ – საუფ-ლოდან მომდინარეობს.

ბ. ნიჟარაძის ცნობით „მახეში“ იყო უფროსი, სასოფლო ყრილობის თავმჯდომარე და იგი ნააგავს რესპუბლიკის პრეზიდენტს, იმ განსხვავებით, რომ მახეშის ირჩევდნენ უვადოდ და თუ გამოდგებოდა – სიბერმდე. უფარგის კი ფიცხლავ გამოსცვილიდნენ ხოლმე, ყოველ ჟამს, თუნ-დაც ერთ წლამდინაც. მახეშის არჩევამი მონაწილეობის უფლება მქონდა ყველა სრულწლოვანს ქუდოსანსა და მანდილოსანს. მახეში უნდა ყოფილიყო ხანში შესული კაცი, მამაცი, გამოცდილი, პატიოსანი, სოფლის ერთგული. მახეშის კანდიდატი სოფელში წინასწარვე იყო გამოკვეთილი მისი თვისებებიდან გამომდინარე – ყრილობა ოფიციალურად ამტკიცებდა მას.

როგორც ბ. ნიჟარაძე აღნიშნავს „მახეშობა“ – თავისუფალ სვანეთში შეწყდა რუსის მმარ-თველობის შემოღებასთან დაკავშირებით 1869 წელს და შემოღებულ იქნა „მდივანბეგობა“. შემ-დეგ კი „მამასახლისობა“. 1869-74 წლებში მამასახლისობას პირველხანებში არეულობა გამოუწ-ვევია შემდეგ კი შეითვისა ხალხმა ახალი წყობილება. თუმცა უშგულისათვის მამასახლისობა ახალი არაა „როგორც ვიცით უშგულის ღვთისმშობლის საყდარში XII საუკუნის ნარწერაა გი-ორგი მამასახლისისა, ე. ი. მამასახლისობა ადრეული ფორმა ყოფილა მმართველობისა.

სოფლის ყრილობაზე წყდებოდა მნიშვნელოვანი საკითხები სამინაო და საგარეო ურთიერ-ობებში: ომი, თავდაცვა, ლაშქრობა და სხვა. ქვემოთ მოგვყავს მახეშის ფიცის ტექსტი ბ. ნიჟა-რაძის ჩანაწერების გამოყენებით:

მახეშის ფიცი

ბუკს აყვირებს, ზარს ჩამოკრა,
ყრილოლობა... მახეშის არჩევნებია!
მამაკაცი თუ მანდილოსანი
შემოსილან სადღესასწაულოდ.

იარაღასხმულ ჩოხოსანნი

ლალბორ-სვიფთან თავს იყრიან.

– სამახეშო კაცს წინ იხმოვენ,

ერთურთსა თვალით ზომავენ.

– ხალხს გამოეყოფა ორატორი

ხოტბას ასხამს სამახეშისო:

კარგო გიორგი! ჩვენთვის ცნობილია შენი წინაპარი,

ამიერიდან შენც ცნობილი შეიქმნები.

გვარით ჩვეული ხარ ამგვარ პატივს.

დღეს შენ დიდ პატივს გვდებთ.

შენ გზდით ჩვენს უფროსად.

დიდია შენდამი პატივისცემა,

ათასჯერ მეტი უნდა იყოს

ჩვენდამი სიყვარული, ერთგულება.

დღეიდან ჩვენი მამა ხარ,

დღეიდან შენი შვილები ვართ,

შენ იცი და შენმა კაცობამ,

როგორ შეასრულებ-მოვალეობას.

როგორ გაამართლებ ნდობას.

მახეშობას, რომელიც დაგვაღელეთ.

– ჩვენ გვყავდა კარგი მახეშები:

კახაბერ, წინი, ბეჟან, ბექა, ბაგამ.

იყვნენ სვანეთის ხეობის მახეშები,

გამოჩენილნი კაცნი, მამაცნი!

ახალ მახეშისაც დაემსახურებინოს

ისეთივე სახელი, როგორც მათ.

იმ დროს საზოგადოება ბედნიერი ყოფილა.

– შენც შეგნატრებენ თუ ფიცი აღასრულე.

– დაიჩოქა ორატორმა ალაელინა ლოცვა:

„დიდება შენდა, მაღალო ღმერთო,

გვეედრებით და შეივედრე.

– თუ ოდესმე სვანეთის ხევში

ბედნიერი მახეში არჩეულა

მეორედ ჩვენი მახეში გახადე!

„ამენ“ – ერთხმად შესძახეს.

– მახეში მაღლობას მოახსენებს.

დაიწყებს ხმამაღალ ლოცვას:

– დიდება შენდა კაცის გამჩენო ღმერთო!

გეხვენები და შეისმინე კაცის ვედრება:

მისახვედრელს მიმახვედრე,

შეცდომა ამაცილე,

ჭკუა-გონება მომეცი.

კეთილ საქმეში შემეწიე.

ქაჯი და ეშმაკი ამაშორე.

ღირსეულად მამსახურე საზოგადოებას!

ნუ ჩამაგდებ მე და ჩემს ოჯახს სირცხვილში,

მომეც ძალა, რომ სიკვდილამდე პატიოსნად ვიმახეშო!

– ფიცის დღიდან ის შეუდგება საქმეს.

მახეშად არჩევა დაუმსახურებლად შეუძლებელი იყო,

მახეშის არავითარი ჯამაგირი არ ეძლეოდა,

მისი ჯილდო იყო უკვადავი სახელი.

დიდი იყო მახეშის მოვალეობანი.

დიდი იყო მახეშის უფლებანი!



სოფლის შიდა უთანხმოებებს პიროვნებებსა და გვარებს შორის აწესრიგებდნენ „მედიატორები“ (მეცქვილ, მორავ, ლუფხვილ). მედიატორად არჩევა მოციქულების გარეგნულ მოდავე მხარეებზე იყო დამოკიდებული, მათი რიცხვი განისაზღვრებოდა საქმის სირთულესთან დაკავშირებით. საერთოდ მინიმალური – ორი კაცი, მაქსიმალური – თორმეტი „მორავი“ იყო. განსაკუთრებულ მნიშვნელობა დაზარალებულს უფლება ჰქონდა „ლუფხვილების“ არჩევისა ე. ი. დაზარალებული უსახე-ლედდა და მანაშავეს პიროვნებებს ვისი დაფიცებაც უნდოდა. დასახელებული „ლუფხვილები“ (რჩეულები) საკმაოდ მკაცრ განაჩენს უწესებდნენ დამნაშავეს.

განაჩენის გამოცხადებისას სიტყვა ეძლეოდა ერთ-ერთ უფროს „მორავს“; რომელიც დან-ვრილებით აღწერდა საქმის გარჩევის ვითარებას და ასკვნოდა, რომ ჩვენ ასეთი განაჩენი გამო-ვიტანეთ, – საყდრის კარზე ფიცს აალებინებდა დამნაშავეს გადახდაზე, ხოლო დაზარალებულს პატიებაზე და შეუთქვამდნენ შემდეგნაირად: ქრისტეს თავდებობა (ქრისტე თავსედე ლამო) მო-მეცი, ვინც ეს ფიცი მოშალის კრულმც არის მაცხოვრისაგან (იარდვა ალ ლღვერიელ ჟანჯომას ლქათული მაცხეარხანქა), ზოგჯერ ქვას/სამანს ჩაფლავდნენ მიწაში.

როგორც ცნობილია, უშგულში და სვანეთში ისე, როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში იყო შურისძიება, სისხლის აღების წესი „ლიწერი“ ხალხური სახეობა სამართლისა. ასეთი რამ გვხვდება ევროპაში. (ბულგარეთი, კორსიკა, სარდინია...).

მოდავეთა შერიგებისას ფიცი სხვადასხვანაირი იყო: პატარა საქმეზე – ტოლობის ფიცი, ასევე ერთგულების ფიცი და განწმენდის ფიცი.

დამნაშავის დასჯა განსაკუთრებით მკაცრი იყო საყდრის სინმინდებების შეღავებისას გა-ქურდვისას; ასე მაგალითად ბ. ნიჟარაძეს აღწერილი აქვს როგორ დასაჯეს „ლამარია“-ს გამ-ქურდავნი (საყდრი მუტფურე) უშგულელი ძმები რატანები: ისინი სოფელმა გამოიყვანა საყ-დრის სიახლოვეს, საყდრიდანვე გამოტანილი შუბით გამოფატრა ორივე. ასევე მოექცნენ მალ-ყარულ თავად და დეეთეგერ მურხაყულოვს და ექვს თათარს, რომლებიც ცდილან საყდრის გა-ძარცვას, ხალხს დაუხოცავს და იქვე დაუმარხავთ, როგორც ბ. ნიჟარაძე წერს მათი ქუდები საყ-დარში ყოფილა ჩამოკიდებული. ასევე მკაცრად მოექცევიან 1880-იან წლებში „ლამარიას“ გამ-ტყეავეებს: ნიჟარელ ყიფიანს (გოგჩაიშა) და უშგულელ გეგი ჩარქსელიანს, იმ განსხვავებით, რომ მამინდელმა ხელისუფლებამ არ დაუშვა სახალხო გასამართლება და სახელმწიფო კანონით გაასამართლა და ციხეში კატორღა მოუსაჯა 7 წლით. შემდგომ მას არ მისცეს უფლება სო-ფელში დაბრუნებისა და ციხეშივე დარჩენილა.

უშგულური და საერთოდ სვანური ადათობრივი სამართალი დანვრილებით აქვს აღწერი-ლი ბ. ნიჟარაძეს. ასევე სვანური ადათობრივი სამართლის „ჯაფარიძეთა სივლის“ შესახებ სა-ყურადღებო ნაშრომი აქვს უშგულელ იურისტს დავით დავითულიანს (საკანდიდატო დისერტა-ცია).

უშგულური ხალხური ადათობრივი სამართალი გაანალიზებული აქვს თავის წიგნში „სვა-ნური ადათობრივი სამართალი“ – პროფესორ მიხეილ კეკელიას. ამ პიროვნებას მაღლიერებით იგონებენ უშგულელები.

უშგულელ ასაკოვან ადამიანთა გადმოცემით უშგულში მოციქულ-მორვარებად ირჩე-ვდნენ ჭკუითა და გონებით, ღირსებით გამორჩეულ ადამიანებს, ბევრი ასეთი ღირსეული ადამი-ანი ყოფილა გასულ საუკუნეებში/ ჩვენს მეხსიერებაშიც მრავლად იყვნენ ასეთები მაგ.: გიორგი, ბესო, ივანე ნიჟარაძეები, დავით ჩარქსელიანი კოსტა კაკრიაშვილი და სხვ.

სვანეთში რუსული მმართველობის დამყარების შემდგომ იცვლება მმართველობის ფორ-მები, როგორც რეგიონალურ ისე სასოფლო მასშტაბით. 1847 წელს იქმნება მცირე საბოქაულო (ბოქაული მიქელაძე), 1849 წელს უქმდება. 1859 წელს ბეჩოში შეიქმნა ზემო სვანეთის საბოქაუ-ლო (ბოქაული ამირეჯიბი), ხოლო სოფლებში 1969 წელს შემოღებული იქნა მდივანბეგობა, ერთ-ერთი მდივანბეგი ყოფილა ჩოფა ჭელიძე, აგრეთვე ნინი კაკრიაშვილი. 1874 წელს მდივანბეგობა უქმდება და შემოდის მამასახლისობა. ერთ-ერთი მამასახლისი ყოფილა გაბრიელ (გუა) ილარი-ონის ძე ნიჟარაძე, აგრეთვე ნინი ნიჟარაძე, გიორგი ნიჟარაძე.

1917 წელს ბეჩოში მოიწვიეს სრულიად სვანეთის ხევთა ყრილობა, რომელმაც სვანეთის ბოქაულის ხელისუფლება დამხობილად გამოაცხადა. ამ წელს ქვემო სვანეთში ამოწყვიტეს გარდაფხაძეები. დადგა ქაოსისა და უპატრონობის წლები, პარტახტიანი ტიფი და სხვა უბედუ-რებანი.

როგორც ვიცით, სვანეთში საბჭოთა წყობამ მოგვიანებით შემოაღწია. 1921 წ. 25 ნოემბერს საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის წარმომადგენელ ვ. ბახტაძესა და წითელი არმიის



მონინალმდევე სვანეთის წარმომადგენლებს შორის სოფ. კალაში დაიდო შეთანხმება. როგორც
 საც ხელისუფლების მხრიდან ხელს აწერდა ვ. ბახტაძე, ხოლო სვანეთის მოსახლეობის წარმომადგენლებს
 მადგენლობის მხრიდან: ბ. პირველი, ბ. ნიჭარაძე, ი. გულბანი, თ. ნიჭარაძე, კ. ხვისტიანი, ვ. ჩხეიძე, მ. მჭედუ
 შერულება მალე დაირღვა. მათ ქვემო სვანეთში შეტაკება მოუხდათ ნითელარმიელებთან. მომ-
 რაობის მეთაურნი ჩაბარდნენ ხელისუფლებას პატივების გარანტიით. ამ სიაში იყვნენ: ბიძინა
 პირველი, ბიძინა ნიჭარაძე, ილია ფალიანი, ბესარიონ ხერგანი და სხვ. როგორც ტექსტიდან
 ჩანს უშგულის სახელით გამოდიან ბიძინა ნიჭარაძე და თევდორე ნიჭარაძე და სოფელსაც ისინი
 ხელმძღვანელობენ.

1922 წელს სასოფლო საბჭოების არჩევნები ჩატარდა სოფლებში და უშგულშიც. ზემო სვა-
 ნეთის ადმინისტრაციულ ცენტრად დადგინდა მესტია 1924-25 წლებში.

1924 წელს რუსის ჯარი ლატფარიდან მოადგა უშგულს და დაუშინა ზარბაზნები. ზარბაზ-
 ნის ტყვია მოხვდა მუყემრში ჭელიძეების კოშკს (დღესაც ატყვია) და ჩაყაშში ნიჭარაძეების
 სახლ-კოშკს. რაიმე ნგრევა არ გამოუწვევია. სოფლის ყრილობამ მშვიდობიანი გზა არჩია და სა-
 მი კაცი თეთრი ბაიარლით გაავზავნა. ჯართან მოსალაპარაკებლად. მოლაპარაკება შედგა და
 ისინიც მშვიდობიანად შემოსულან სოფელში. ამ დროს სოფლის მღვდელი ყოფილა მიხა გიორ-
 გის ძე ნიჭარაძე.

1924 წელს დაარსდა ზემო სვანეთის პარტიული კომიტეტი (ვანო ბერძენიშვილი) და კომ-
 კავშირული კომიტეტი, 1929 წელს ქვემო სვანეთის დელეგაციამ თბილისში მოითხოვა ზემო
 სვანეთის მაზრასთან შეერთება. კომისიამ ცალკე რაიონი შექმნა. 1933 წლიდან გამოდის გაზე-
 თი „ახალი სვანეთი“.

1924 წლიდან უშგულის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეებად სხვადასხვა დროს მუშაობ-
 დნენ:

კაკრიაშვილი ნიკოლოზი – გამგე, მიხეილ ნიჭარაძე მდივანი, ნიჭარაძე ბესარიონ, ჩარქსე-
 ლიანი პართენ (1924-1929 წწ.). გრიშა ჩარქსელიანი, ესტატე ნიჭარაძე, კოსდა ჩარქსელიანი, აბ-
 რამ ნიჭარაძე, დავით ნიჭარაძე, ვარდენ ღვაჭლიანი, ზაურ ჭელიძე, ოდიშარ რატციანი, ნოდარ
 ნიჭარაძე, 1996 წლიდან შეიქმნა გამგეობები. გამგებელი: ასტერ ჭელიძე.

საბჭოს მდივნებად მუშაობდნენ: ესტატე ნიჭარაძე, ტერენტი ჭელიძე, ლეონტი კაკრიაშვი-
 ლი, ბავრი ჩარქსელიანი, ლოლა ნიჭარაძე.

**5. რელიგიური დღესასწაულები, რიტუალები ადრე და დღეს: ღერბეთ უფალ, ფუს. მაცხვარ, ქრისდე, ბიდა, ლამარია, ჯგრაგ, ბარბალ. ლაუნუმ // საყდარ, ბუასდ (სამყა-
 რო; ამებუასდ (სააქაო), ეჩებუასდ (საექიო), უიბებუასდ (ზესკნელი), ჩუბებუასდ
 (ქვესკნელი); ღწ (დღესასწაული) ლიშირ (ლოცვა), ლამზურაალ (სადღეგრძელო)**

რელიგიურ მრწამსზე მოქმედებს ბუნებრივი მოვლენები, წარსულის ფესვები, იმპერიების
 გავლენა და სხვ. როდის ჩაეყარა საფუძველი ამ რწმენას და როგორ იყო იგი? – როგორც ამბო-
 ბენ „ღმერთმა იცის“. მას შემდეგ რაც ისტორიული საბუთები დაინერა, ან მეხსიერებით, ზეპირ-
 გადმოცემებით თქმულება-ლეგენდებით მოაღწია ჩვენამდე დიდი დრო გავიდა.

როგორც ისტორიიდან ცნობილია, სოფლის მეურნეობის განვითარებაში ტოტემიზმი,
 ცხოველთა გაიდებალბა გადაადის ბუნების თავყანისცემაში. ადამიანს უჩნდება რწმენა, რომ მი-
 სი ბედი, მოსავლის და საქონლის ბედი ზეცაშია – მთვარესთან, მზესთან – დამოკიდებულია
 წვიმაზე, სეტყვაზე, თოვლზე და ა. შ.

ცნობილია, რომ ქრისტიანობას წინ წარმართობა უძლოდა. ამის ანარეკლად თვლიან მთვა-
 რის კულტს. უშგულში დრო იზომებოდა მთვარის მიმოქცევით „უშვი დომდულ მახე“, 3 და 9
 რიცხვებს ბედნიერ რიცხვებად მიიჩნევდნენ, შემდგომ მისი ადგილი დაიკავა წმ. გიორგიმ. ასევე
 მზის ღვთაების სიმბოლოდ, სამსხვერპლოდ მიაჩნდათ ხარი „კან“. მზე მოსავლის ბედის გადამ-
 წვეტი იყო. მენველი საქონლისა და ქალური ხელსაქმის მფარველ ქალღვთაებად მიაჩნდათ
 „ლამარია“. ქალური ნაყოფიერების ღვთაებად ითვლებოდა წარმართული „ბარ-ბარ“, ქრისტიან-
 ნული „ბარბარე“ და სხვ.

უშგულურ ღვთაებათა პანთეონში საპატიო ადგილი უკავია – მებრძოლი ვაჟკაცის (ვაჟია-
 ნობის), მგზავრის, მონადირის ღვთაებას „ჯგვრაგს“ (წმ. გიორგი).



უზენაესი ღვთაების გამოსახატავად უშგულში ჯვარი მიიჩნეოდა. 1930-იან წლებშიც უშგულში სრულდებოდა ორიგინალური რიტუალი, რომელიც გარეგნულად ქრისტიანულად გამოიყურება, მაგრამ არსებითად წარმართულ ღვთაებათა ქორწინების მისტიკის ამჟღავნებას ნაშთია. უშგულში ბზობა დღეს სამ „წმინდანს“ – უფალსა და ორ მაცხოვარს ე. ი. ხალხში უფლის სახელოდებით ცნობილ სოფელ ჟიბიანის ეკლესიის წმინდანს და სოფელ ჩაჟაშისა და სოფელ მუყურის მაცხოვრის სახელოების ეკლესიების წმინდანებს აქორწინებდა. ჩვენითვის ამჟამად საყურადღებოა ის, რომ ქორწინების რიტუალის ობიექტები ამ ეკლესიებიდან გამოტანილი ჯვრებით იყენენ წარმოდგენილი. პირველი ორი ეკლესიიდან გამოტანილი ჯვარი „დედოფლებს“, ხოლო მესამე ეკლესიის ჯვარი „ნეფეს“ განასახიერებდა. სათანადო ეკლესიის მსახურებს (მომზიორის) მიერ თითოეული „დედოფალი“ გამოწყობილი იყო შესაფერის ტანსაცმელში, რომელიც საგანგებოდ ამ დღისთვის ინახებოდა იმავე ეკლესიაში. „დედოფალს“ ეცვა კაბა (კაბ), ზედა ტანი (ჟიბე ტან) წელზე სარტყელი (ლარტყ) ერთყა, თავზე ლაჩაქი ეხურა და შუბლზე ხელსახოცი „ლაკვიან“ შეიონდა შემორკული. რაც ურტყება „ნეფეს“, მას უტანსაცმლოდ სტოვებდნენ (დღეობა ფიქსირებულია ვ. ბარდაველიძის მიერ 1935 წელს ზაფხულში უშგულში (გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები 1953 გვ. 49).

ნ. მარს სვანეთში მოგზაურობის შესახებ 1913 წელს გამოცემულ წიგნში, მოჰყავს ასეთი ეპიზოდი – სვანეთის, კერძოდ უშგულის თემიდან – 1911 წლის აგვისტოს ბოლოსათვის უშგულში წაადრევედა ჩამოუთოვია. უშგულელებს ისლა რჩებოდათ, რომ შემოუსვლელი ქერის ყანები სათიბად მაინც გამოეყენებინათ, დრო საშური იყო და მუშახელიც საკმარისი არ მყოლიათ, მაგრამ კვირაში დაწესებული სამდღიანი უქმის გატყევა არავის უცდია. მსგავსი ჩვეულებები იყო უძველეს კულტურულ ქვეყნებში (H. Mapp, из поездок в Сваннию 1913, ст. 7).

ბ. ნიჟარაძეს აღწერილი აქვს „ქორა მეზირ“ (სახლის ანგელოზი). სახლის ანგელოზი შეიძლება სიმბოლურად იყოს – ხბო, ქათამი, თაგვი, გველი და ა. შ. ის მუდმივად ოჯახში უნდა იყოს. სახლის ანგელოზი როცა ოჯახის რომელიმე წევრს დაენახება ეს უბედურების მომასწავებელია. როგორც ბ. ნიჟარაძე აღნიშნავს რას ეხვეწება „ქორა მეზირს“ პირქვედამზობილი ქალი ეს საიდუმლოდ აქვს შენახული და ამ საიდუმლოს გამხელა ოჯახისთვის საშიშია, რადგან „მეზირს“ ეწყინება. ლოცვის დამთავრების შემდეგ სამ პურთაგან ერთს დანიშნულ კედლის ხერხელში, „პველჩაშ“ შედებდნენ, რომელიც მათი აზრით „მეზირს“ უნდა შეეჭამა, დანარჩენ ორ პურს ქალები შეჭამდნენ შემდეგ ყველიან პურებს „ქუთ“, ჩაანყობს გოდორში „ლალაშ“ აიკიდებს ზურგზე მთავა რომელიმე ეკლესიაში და შეევედრება მამა ღმერთს „ფუსხნა ბუასდიშ“-ს, შემდეგ ქრისტეს „მაცხვარ“ შეეხვეწება, შემდეგ დედა ღვთისას „ლაშარია“-ს და სხვა წმინდანებს. ბრუნდება სახლში და შელოცოდ „ღემზირებს“ ჭამენ კაცებიც და ქალებიც. ეს ლოცვები იციან: აღდგომა დღეს, პეტრე-პავლობას და მარიამობას ყოველ წლობით (ბ. ნიჟარაძე II გვ. 75-76).

საინტერესოა პრომეთეს ქართული ანალოგია ამირანი, რომელიც ჩაჟაშის მაცხოვრის გარე კედელზეა დახატული თავის ძმებთან ერთად. ამირანი უშგულურ მითოლოგიაში ნადირთა მფარველი ანგელოზის „დალის და მონადირე დარჯელანის შვილია. შეიძლება აქედანაც მომდინარეობდეს ქართულ ეპოსში ამირან-დარჯელანისძე (დარჯელანისძე).

ისტორიული წყაროები ქრისტიანობის სვანეთში გავრცელების შესახებ არ აღმოჩენილა. ვარაუდებით ქრისტიანობა სვანეთში გავრცელდა I საუკუნეშივე ანდრია პირველწოდებულის მეშვეობით. მაგრამ როგორც შემდგომ საუკუნეებში ჩანს ეს სარწმუნოება მყარად არ იყო ფეხმოკიდებული მიუღ საქართველოში წმ. ნინოს მოსვლამდე. სვანეთში რომ ქრისტიანული მოძღვრება განსაკუთრებით განმტკიცდა XI-XII საუკუნეებში დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროს ამის დასტურია დავით აღმაშენებლის მხატვრის თეოდორეს მიერ საყდრების მოხატვა უშგულიდან 7 კილომეტრში – იფარაში და ალბათ უშგულშიც. სამწუხაროდ ბევრი რამ განადგურდა, მაგრამ ჩვენამდე შემოგვრჩა მუყურის მაცხოვარი XI საუკუნეში მიორედ მოხატული ჩაჟაშის მაცხოვარი XII საუკუნეში მოხატული და „ლაშარია“. გადმოცემით დანარჩენი საყდრებიც მოხატული ყოფილა, მაგრამ დღეის მდგომარეობით ნაშლილია.

მსახვერპლშენიარის წესი

როგორც აღინიშნა უშგულში 7 საყდარია (უშგულა იშგვიდ საყდარუ ჯამიდ): ორი-მაცხოვრის, უფლის, „ჯგრაგის“, „ლაშარიას“, „ფუსტის“, წმ. „ბარბარეს“. ჩაჟაშის თავზე თამარის ციხე-



სიმაგრესთან ყოფილა ფუსტის საყდარი მუსულმანებს ნაუბილნავთ, ამიტომ გაუქმებულია და სამჭედლოდ გადაუქეთებიათ „ლაშქდურ“.

უშგულში ყოველ გვარს თავის მფარველად ჰყავს ერთი რომელიმე ღვთაება-წმინდანი, რომელსაც წელიწადში ერთხელ მაინც უნდა შეავედროს თავისი თავი. ამასთან ერთად, როგორც ბ. ნიუარაძეც აღნიშნავს, ოჯახი მოვალედ თვლიდა თავს წელიწადში დროების მიხედვით ოთხჯერ ეწირვინებისა პაპებისათვის. შემოდგომის მსხვერპლშენივით უშგულელი სთხოვს ღმერთს, რომ მისი ნაშრომ-ნაამაგარი სალხინოდ მოეხმარებინა (სალხინისგა ლეხმარი). ზამთრის მსხვერპლით უშგულელი სთხოვს ღმერთს, რომ ბედნიერი და უმარცხო ახალი წელი „ზომხა“ მოუვლინოს. გაზაფხულზე ხენა-თესვისას უშგულელი თხოვს, რომ მის ნახნავ-ნათესს (ნაკან-ნალაშ) კარგი ამინდი დაუდგეს. ზაფხულზე, უშგულელი ეხვეწება ღმერთს, რომ მის ამოსულ, მაგრამ ჯერ შემოუსვლელ ყანებს ზიანი არ მიაყენოს სეტყვამ, გვალვამ ან ყინვამ (ჰინდელო).

შესანიირი საკლავის წინასწარ შეთქმა ხდება, რომ ამა და ამ დღეს დაიკვლება და შეიწირება, ამ დღისთვის ოჯახში სინმინდე უნდა იყოს: არ უნდა იყოს მშობიარე, მთვარეული, დედაკაცი წესში მყოფი და არც მათთან ნამყოფი იმ დღეს სახლში არ უნდა შემოვიდეს. შესანიირავ მსხვერპლს პაპი (პაპ) ან თვითონ ხალხის რჩეული წარმოუთქვამენ ლოცვას. საწილით შუბლზე, ორ ბექშუა და კუდუსუნთან ბალანს შეუტრუსავენ, მერე ანთებულ საწილს მიაკრავენ რქაზე. ამ რიტუალის დამთავრების შემდეგ გადასცემს დასაკლავად.

უშგულში სხვადასხვა დროს მღვდლობდნენ: რომანოზ ჩარქასძე//ჩარქსლიანი – ჩარქსელიანი (XVII-XVIII სს), ბათლომე – (XVII-XVIII სს), მამა-შვილი სიმონ და ანდრო გაბიანები (1830-იანი წ.), ილარიონ ნიუარაძე (1860-იანი) გ. ძიმისტარაშვილი (1870-იანი წ.), გეგი ჩარქსელიანი (1883 წ.), გიორგი ნიუარაძე (1880-90-იანი წ.), მიხა ნიუარაძე (1900-1920-იანი წ.), გუა ჩარქსელიანი 1876 წ. მუყემრში) დანარჩენებზე საარქივო ამონაწერები ვისაუბრებთ.

1860 წელს ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე წერს – უშგულში 13 პაპაა (პაპ), ზოგიერთი მათგანი ძალზე ახალგაზრდაა. პაპები ატარებენ იარაღს, რომელიც განსხვავებულია სხვებისაგან, ეკლესიაში როცა შედიან იხსნიან მას. უშგულელი პაპები განსხვავდებიან სხვა სოფლების პაპებისაგან. ისინი უშვებენ წერს, უტოლდებიან ბარელ პაპებს, ზოგი იარაღსაც არ ატარებს. პაპები ყველა კითხულობენ ქართული სამღვდელეობის წიგნებს, მაგრამ შინაარსი არ ესმით; შეუძლიათ გვარი-სახელის დანერა სამოქალაქო ანბანით. აქ ჩვეულებრივ მოკვდავს არ შეუძლია გახდეს პაპი, საფეხურების გავლის გარეშე, მაგრამ მღვდლები თავიანთ შვილებს პირდაპირ აკურთხებენ (ბაქრაძე დ. „სეანეთი“, 1864 წ. გვ. 47).

ა) უშგულურ დღეობათა კალენდარი

როგორც საერთო ქართულ დღეობათა კალენდრისთვის ისე უშგულურისათვის დამახასიათებელია მრავალფეროვნება, არის როგორც რელიგიური, ისე საერო დღეობები, გართობა-თამაშობანი, მასკარადები, რიტუალები, ცეცხლის დანთება, წმინდანთა კულტები, რწმენა-წარმოდგენები ავსულებზე. ამასთან ერთად არის ნარჩენი ფენა წარმართული დღეობებისა.

დღეობები იყოფა წელიწადის დროთა მიხედვით და თამაშ-გართობანიც მასთან არის შეხამებული. რელიგიური დღესასწაულები მსხვერპლშენივასთან არის დაკავშირებული. მსხვერპლშენივისთვის გამოიყენებოდა – ხარი, მოზვერი, ხბო, ძროხა, თხა, ცხვარი.

როგორც ისტორიიდან არის ცნობილი ქრისტიანულ ხალხურ დღესასწაულთა ზამთრის ციკლი იწყებოდა შობა-ახალ წელსთან დაკავშირებით. ცნობილია, რომ ახალი წელი საქართველოში წარმართულ დროში ავგისტოში იწყებოდა. ქრისტიანობის შემდეგ ბიზანტიის გავლენით – სექტემბერში იწყებოდა, მე-9 საუკუნეში – მარტში, X-XI საუკუნეებიდან ფეხს იკიდებს იანვარი. XVIII საუკუნემდე თანაარსებობდა საეკლესიო პირველი იანვარი და საერო პირველი სექტემბერი. XVIII საუკუნიდან რუსეთის იმპერიის გავლენით ახალი წლის დასაწყისად დადგენილი იქნა პირველი იანვარი. ერთმანეთში აირია ძველი და ახალი წელთა აღრიცხვა. უშგულელები დღეობებს აღნიშნავდნენ ძველი სტილით. ზანგრძლივი დღესასწაულებია: ზომხიერ, ლიფანალ, თანფიერ, ხოში თანფიერ (უფლიმთიერ): რიცხვი ძველი სტილით ფრჩხილებშია ყველგან.

საშობაო მარხვა იწყება 28 (15 დეკ) ნემბერს და გრძელდება 25 (7 იანვ.) დეკემბრამდე.



ბარბლამ (ბარბალობა) 17 (4) დეკემბერს. ქრისტიანობის მიღებისათვის ბარბალე სიკვდილით დასაჯა მამამ, დიოსკორემ.

ბარბლამი - უქმე დღე იყო. უშგულში ამ დღეს სადილობის ხანს ყოველ ოჯახში **გამოიღებოდა** დნენ ერთ დიდ შესანიშნავ კვერს, რომელსაც უშბლამი ეწოდებოდა, და მრავლად ჩვეულებრივი სახის ლემზირ-ს. ვიდრე სადილის ჭამას შეუდგებოდნენ, სახლის უფროსი ამ ლემზირ-ებს შესწირავდა და ევედრებოდა მას ოჯახში სიკეთე და ბედნიერება დამიტრიალო.

სალამოს სოფლის ბავშვები ერთად შეიკრიბებოდნენ, დაივლიდნენ სოფელს და ყოველ მოსახლეს გარედან სახლში შესძახებდნენ:

„დადა, ნაუახშობურა“ (ბებიაე, ნაეახშმეეისა).

ამის გაგონებისთანავე დიასახლისები თავ-თავის ოჯახებში ყველიან კვერებს დააცხობდნენ და შინმყოფთ ყველას ჩამოურიგებდნენ. შემინდო („შომინდი“), წარმოსთქვამდა სვანი კვერის შექმნის დროს, რადგან მარხვას სტეხდა.

სოფელ მურყმელის ერთ-ერთი მოსახლე ქუცაშა, გვარად ჩარქსელიანი საიდანაც სვანების მღვდელთმსახურნი (ბაბა-ები) და სახელგანთქმული მონადირეები გამოდიოდნენ, ბარბლამს დიდ ზეიმით გადაიხდიდა ხოლმე. ის დაპატიჟებდა თავის გათხოვილ ქალიშვილებს (პასუში-ებს), ძმისნ-ულებს (ნიბაშინ-ებს) და ყველა ნათესავეს, ნაილებდა ეკლესიაში და იქ მლოცველს (მომზგრ-ს) აკურთხებინებდა ლემზირ-ებსა და ზედამ-ს და შემდეგ სახლში გამართავდა დიდ ჩვეულებასა და მოლხენას.

ბარბლამი-ის სახელით და მის პატივსაცემად დაუქმებული იყო ბარბლამი-ის მომდევნო ორშაბათი დღე, რომელსაც ნაბარბლამი ეწოდებოდა.

(1936 წლის აგვისტოს 20. სოფელი თიბიანი, მთხრობელი 80 წლის ივანე ხაჭვანი).

ბამბლე 24 (11 იანვ) დეკემბერს. წმ. ბარბარეს საყდარში ტარდებოდა ლოცვა და ოჯახებში ლემზირებს ზურგისკენ პაერში აუყრიდნენ ვინც შეიხვედრებდა იმისი იყო. ამ დღეს იციან ხუმრობა „ლიგვენურალ“ (გამურვა). ბამბლუზე წარმოსათქმელი ტექსტი ასეთი იყო:

„ბამბლე ი ქვირჭაბილა, დაკლ მარცხულ გიჯარ გურზ. ჰან კვარი, ფირე ჭაბი, განგალ ქიულდ ზერდათე.

ზაიდიშუე აგეჰანა შეიდებდ (საბედ ჭელიძე-კაკიაშვილი, უშგ. 1975 წ.)

„ბამბლე და ძროხა ნიშა, თხა უმარცხო, ვერძი რქაგრეხილი, ხარი ნიკორა, ზეზუელი ყველის კვერი ზერდაში.

ინმა 22(9) დეკემბერი. ამ დღეს ადამიანის ბედზე დილიდან საღამომდე ჭამა-სმის აღკვეთა იცოდნენ (ლიტმე). ოჯახიდან ერთი წვერი ასრულებდა ამ აკრძალვას. საღამოს სახლის უფროსი მანდილოსანი გამოაცხობდა ლემზირ-ებს და ვახშმის წინ მათ იან-ის სახელზე შესწირავდნენ. ზოგი მოსახლე ამ დღეს საქონლის ლიტმე-საც იხდიდა.

ქღობ - 8-10 დეკემბერი

შობა - 25 დეკემბერი (7 იანვარი) - ვიდრე ლასკარი მოქრისდეშთან შეიკრიბებოდა დილით გათენებამდე ყოველ ოჯახში საიდუმლო ლიმზირის ასრულებდნენ. ხობა ზურაალი ოჯახის ყოველ სულზე გამოაცხობდა პატარა ზომის ყველიან კვერებს, რომლებსაც ალუდაალს უწოდებდნენ (სხვა სოფლებში კვანჭილარე ერქვა), როდესაც კვერები გამოცხვებოდა, სახლის უფროსი შეავედრებდა ქრისდე-ლამარიას და შეწირულ კვერებს ჩამოურიგებდა ლოგინში მწოლიარე ოჯახის წევრებს. დილით, მზის ამოსვლის შემდეგ, მოქრისდეშის ოჯახში დაჰკლავდნენ ვერძს (გიცარ-ს) და ვაცს (ფიკვ-ს). მასთან დილიდანვე შეიკრიბებოდა ლასკარი. გაშლიდნენ სუფრებს, ლასკარის წვერები გარს შემოუსხდებოდნენ უფროს-უმცროსობით და დაიწყებდნენ საერთო სმა-ჭამას, ქეიფსა და მოლხენას. პირველად სუფრაზე „ლაკუამიელს“ იტყობენ: სუფრის უფროსის წინ „მეგნე“ სამ კათხას დადგამდა და მათ ნათავად არყით აავსებდა. ფეხზე წამომდგარი სუფრის უფროსი პირველი კათხით ქრისდე-ლამარიას ადიდებდა, მეორე კათხით მასპინძელს ადღევრძელებდა და მესამეთი იმ პირის სადრეგრძელოს დალევდა, რომლისთვისაც კათხების გადალოცვა სწადდა. ამის შემდეგ დალევდა არაყს და ცარიელ კათხებს უკანასკნელად ნახსენებ პირს გადასცემდა. ახლა ეს პირი წამოდგებოდა ფეხზე, ამავე წესით ჩაატარებდა ლაკუამიელს და შემდეგ მას მესამე პირს გადაულოცავდა; ის კიდევ მეოთხე პირს გადაწოდებდა.



და კათხებს და ასე რიგ-რიგობით შემოვიღიდა ლაჭუაშიელი სუფრებს. ამის შემდეგ სადღესასწაულის დროს სრულდებოდა ე. წ. „ლიჭაჭა“: მერიტიფე (მეგნე) კერიის პირად სვანურ მრგვალ მჭედიდს (ფიჭქ-ს) დადგამდა და ხედ მოათავსებდა წვრილად დაჭრილ ხორცს და ნათავედმანყობდა (ნათ-ს ხუმ) საყვი ორ წყვილ კათხას. ფიჭქთან პირველად ყველაზე უფროსი მამაკაცი მივიღოდა და ის გამოინვევდა თავისთან ყველაზე უფროს მანდილოსანს. ისინი გაჩერდებოდნენ ფეხზე, ან მიწაზე დაგდებულ ტყავზე ნაიჩოქებდნენ ფიჭქის წინ ერთი მეორის პირდაპირ, აილებდნენ ხელში კათხებს და ასე დაილოცებოდნენ – ჯერ მამაკაცი და შემდეგ ქალი:

„დიდაბ ქრისტე ლამარიას,
 ლამარია ბარაქ ლაახო ნიშკვე
 ლარდა-ლაგნას, ნაფორი ლაახო
 ალ ლასკარს, ლასკარისგან მერდა
 მარა, მუშგერის ი მაინძელს,
 ხუაი ლადი-ლადელი შუიდებდ
 ანაპ, ზაიდიში ამ დრელს
 მიე ევხვიანა შვიდებდ,
 სგაე ლამკადად შვიდებდ,
 მაგ თვეთნა ფაყვემ ი თვეთნა ლაჩაქემ“.

დიდება ქრისტეს ლამარიას,
 ლამარია ბარაქა მიეცი ჩვენ
 საცხოვრებელ-სამყოფს, სიმრავლე
 მიეცი ამ ლასკარს, ლასკარში
 მყოფ კაცს, სტუმარს და მასპინძელს,
 მრავალი დღევანდელი დღე მშვიდობით
 მოგვასწარი, გაის ამ დროს მე
 დაგხვედროდეთ მშვიდობით, თქვენ
 მომსვლუდეთ მშვიდობით, ყველა თეთრი
 ქუდითა და თეთრი თავსაფრით.

დალოცვის შემდეგ კათხებს გამოსცილდნენ და ერთად იცეკვებდნენ (ფისუმბიხ), ამ ლიჭაჭის წესს შეასრულებდა ლასკარის ყველა წვერი წყვილ-წყვილად, ქალი და კაცი ერთად, რის შემდეგ გადადიოდნენ თავისუფალ სადღევარტელოებზე. იმღერებდნენ „ლილე-ს“. თუ წლის განმავლობაში ლასკარის რომელიმე წვერს ვაჟიშვილი შეეინებოდა, ის მოქრისდევნის ოჯახში ამ დღეს შეიოტანდა ე. წ. ნადბაგი-ს. ნადბაგი ეწოდებოდა დიდი ზომის ყველიან პურს (ლეკუნჩხ-ს), რომელზედაც დაწყობილი იყო მოხარშული ხორცის „ლაგაფი“ და გარემო სანთლები ენთო. ამ ნადბაგს გადასცემდნენ სუფრის უფროსს, რომელიც ადღევარტელებდა ნადბაგის მომთან ოჯახს და მისი მოტანის მიზნს – ახლად შექნილ ვაჟიშვილს. ლასკარი ამ დღეს გვიანობამდე ქეიფობდა და მხოლოდ ნაშუადღევს გაიკრიფებოდა მთვრალი ხალხი საკუთარ სახლებში.

ქრისდევის მერე დღეს ლალტება ეწოდებოდა, ვინაიდან, ლასკარი მოქრისდევის ოჯახში ბრუნდებოდა და წინა დღიდან მორჩენილი სანოვავით ატარებდა დროს ჭამა-სმა-ქეიფში.

(1936 წ. მთხრობელი – ივანე ხაჭვანი (80 წლის))

ლასკობი – შობიდან დაწყებული სამი დღის განმავლობაში უშგულში სალასკარო დღეობა სრულდებოდა: შობა დღეს მოქრისდევის ოჯახში, გამოაცხობდნენ მრავალ ლემზირს, მოხარშავდნენ ცერცვის შეჭამად (ლედრა ნაყუნს) და გაშლიდნენ სამარხო სუფრას და სვამდნენ არაყს. დროს სმა-ჭამა ქეიფში და სიმღერაში ატარებდნენ. ნავახშმევს მასპინძელს მოჰქონდა სუფრაზე ყველიანი კვერი (ქუთ). ნავახშობურა და ამ დღეს დაკლული ლექრისდევის მოხარშული ხორცი. შობა ღამეს ლასკარი გვიან ღამე დაიშლებოდა და სახლებში მიდიოდნენ.

იარუნეცგა (ორთაშუა) – ქრისდევისა და ზომხა-ს (ახ. წელი) შუა მთელი კვირა. ამ კვირის განმავლობაში ლიზირების გადახდა იცოდნენ. მათ უნდა მოეხსენებინათ და შესანიერი მიქლენათ მთელი სვანეთის და მეზობელი კუთხეების სალოცავებისათვის, მათი ამშვენებლების და ნატ-ჯვრების მომტან-გადმოფენვებელთა სახელზე აცხობდნენ ლემზირებს. ქორა მახვში ლოცვის დროს სალოცავების მოხსენებაში გარკვეულ თანამიმდევრობას იცავდა: პირველად უშგულის წმინდანებს ახსენებდა, შემდეგ კალის, იფარის, მულახის, მესტიის ლენჯერის და ლატალის სალოცავებს, ამათ მიაყოლებდა ქვემო სვანეთის ხატებს, შემდეგ იმ წმინდანებს, რომლებმაც ხატები გადაიხსენეს სანერეთლოდან, რაჭა-ლეჩხუმის (ქართხან), ზესხოდან, მათ, რომ ჩამოათავებდა გადავიდოდა სამეგრელოსა და აფხაზეთის სალოცავებზე, ბოლოს ლამარიას ახსენებდა და უკანასკნელად მოშხამ დილით სამ ლემზირს აილებდა და იმ წმინდანებს ადიდებდა, რომელთა სახელის მოგონება ქორა მახვშიმ ვერ შესძლო.

იარუნეცგას განმავლობაში უშგულელები მართავდნენ აგრეთვე ე. წ. კათხთ-ტაბაგ-ებს და ბაცხ-ს ჩვეულებრივ მიცვალებულთა სულის მოსახსენებლად იხდიდნენ. ბაცხ-ის მომწყობი ოჯახი წინა დღით დაკლავდა ერთ ან ორ-სამ ხარს, ხორცს მოხარშავდა და ულუფებად (ლაგაფებად) დაანანილებდა. ლაგაფი იმდენი უნდა ყოფილიყო, რამდენი კომლიც იყო უშგულში.



ულუფებდა დანაწილებამდე ცალკე გამოყოფდნენ და ოჯახის გათხოვილ ქალიშვილს (ჰასვიმ-ს) უგზავნიდნენ ხარის მარჯვენა ბეჭს, რომელსაც ამიტომ ნანვარ-ი (ძღვენი) ეწოდებოდა. ამასვე დროს ბაცხ-ის გადამხდელის ოჯახში აცხობდნენ საკმაოდ დიდი ზომის თითო კვერს, რომელსაც ლის მოსახლეობის ყოველ სულზე. ამ კვერებს სეფსკვერებს ეძახდნენ. დაცხოზა დღეს დღიოდანვე მიდიოდა ხალხი არყის სასმელად მასპინძელთან. უკანასკნელის ეზოში გამოდგმული იყო არყით დაფი დადი ზომის ხის ქურჭელი – სეგდა, რომელსაც მიჩვეული ჰყავდა არყის გამანაწილებელი (მეგნე). მეგნე არყით სავე კათხებს აწვდიდა ხალხს იმდენჯერ, რამდენჯერაც ისინი მოისურვებდნენ. არყის ამგვარად დაღვევის წესს საყაანი ეწოდებოდა. არყით დაკმაყოფილებულ ხალხს ურიგებდნენ გამზადებულ ხორცსა და პურს – მოსახლეზე თითო ლაგაფ ხორცს და მის ოჯახში შემავალ ყოველ სულზე თითო სეფსკვერ-ს, რომლებიც მათ თავ-თავის სახლებში მიჰქონდათ.

კათხ-ტაბაგ-ს უშგულელი მართავდა ოჯახის კეთილდროებისათვის, განსაკუთრებით მაშინ, როცა მის ოჯახში მძიმე ავადმყოფი მორჩებოდა. კათხ-ტაბაგის გადამხდელი დაპატიჟება ოჯახიდან გათხოვილ ქალიშვილებს (ჰასვიმ-ებს), ძმისწულებს და შვილიშვილებს (ნიბაშინ-ებს) და სხვა ახლო ნათესავებს. ზოგი მოსახლე, თუ მას წინასწარ ჰქონდა შეთქმული, უშგულის მცხოვრებთა კომლზე თითო კაცსაც მონივევდა, მაგრამ უკანასკნელთა მოპატიჟება კათხ-ტაბაგის მეორე დღის სუფრაზე ხდებოდა. ჰასვიმ-ნაბააშინი და სხვა ნათესავები მასპინძელს დილით ეწვეოდნენ, ამ დროს ჰკლავდნენ დუშემეში ნაშყოფ ლაღად ნასუქ ხარს, ვერძსა და ტახს. მიცვალებულთა სულებისათვის და ცოცხალთა საკეთილდღეოდ განკუთვნილი სამსხვერპლო ხარებს უშგულელები დუშემეში გაუშვებდნენ ხოლმე, დუშემეში გაშვება ეწოდებოდა გაზაფხულზე ხენა-თესვის გათავების შემდეგ, სამსხვერპლოდ გამოყოფილი ხარების მთა შხარაზე არეკვას გასასუქებლად. ამ ხარებს გააყოლებდნენ 10-15 კაცს, რომელთაც მუდმეყ-ები ეწოდებოდა. მუდმეყ-ებდა ჩვეულებრივ იყვნენ სიკვდილიანობით დაზარალებულ (ჭირისუფალ) ოჯახთა წევრები. ამ პირებს ატანდნენ თავის შესანიშნავ ხარებს კათხ-ტაბაგ-ის მომწყობი მოსახლეები არა მარტო უშგულიდან, არამედ მულახიდან და მესტიიდანაც. თითო ხარის პატრონობისათვის მთა შხარაზე მუდმეყ-ები იღებდნენ ძველი ღირებულების ექვსაბაზიან სანთელს ან მის საფასურს. შესანიშნავი ხარები შხარაზე ღვინობისთემდე ლაღობდნენ, შემდეგ მათ უშგულში ჩამორეკავდნენ ხოლმე და, იმისდა მიხედვით, თუ როგორი პირობა იყო დადებული, ან პატრონებს მიჰგვირდნენ ან თვით შეინახავდნენ კათხ-ტაბაგ-ის გადახდამდე და ზედამ-ს სალოცავში წაიღებდნენ და იქ შესწირავდნენ. შეწირულ ზედამ-ს იქვე დაღვევდნენ, ხოლო გულ-ღვიძლს სახლში მიზარუნებდნენ და მით შინმყოფთ აზიარებდნენ. ამის შემდეგ მარაზ-ის მარან-ში შექმონდათ ფიქ-ი და მას ქვევრის (კეც-ის) თავთან დადგამდნენ, ფიქ-ზე მოთავსებული იყო ხარის თავი, ლემზირ-ები, ზედამ-ი და ანთებული სანთლები. მის გარშემო გაჩერდებოდნენ ოჯახის წევრები და ახლობლები, ქორა მახეში ხმამალა ილოცებოდა ოჯახის კეთილდღეობისათვის, დასწრენი „ამენ-ს“ იტყოდნენ და შემდეგ შეწირულ საქმელ-სასამელს ეზიარებოდნენ. მეორე დღეს კათხ-ტაბაგის გადამხდელთან იკრიბებოდნენ უშგულის მოსახლეობის წარმომადგენლები, ოჯახიდან თითო კაცი, ყველანი სუფრებს შემოუსხდებოდნენ, მასპინძელი ჩამოარიგებდა სამ კაცზე თითო ლაგაფ ხორცს და თითო საშუალო ზომის „კომეჯს“ (პური); გარდა ამისა სუფრაზე აწყობდნენ ჩვეულებრივ პურებს, მოჰქონდათ არაყი და სტუმრებს გულუხვად უმასპინძლებოდნენ. ზოგი კომლი ბაცხ-სა და კათხ-ტაბაგ-ს შემოდგომაზე ნოემბრის თვემდე (საშიმ-ამდე) ე. წ. ლახორში გადაიხდიდა.

1936 წ. მთხრობელი ივანე ხაჭვანი
ჩაინერა ვერა ბარდაველიძემ

შოშხამ – 31 (13 იანვარი) დეკემბერი. ახალი წლის წინა ღამე. ამ დღეს დილით ყოველი მოსახლე დაკლავდა ერთ კარგს შემოდგომიდან ნასუქ ტახს, რომელსაც ლეზოშიაზი ეწოდებოდა. მის თავსა და ხორცს მეორე დღისთვის ინახავდნენ, ხოლო შიგნულს მაშინვე მოხარბავდნენ იმავე ღამეს შესაქმელად, ღორის შიგნულთან ერთად ვახშისათვის ლემზირ-ებსაც აცხობდნენ.

სალამოს მზის ჩასვლისას ოჯახის რომელიმე მამაკაცი წავიდოდა ტყეში მოიტანდა არყის ხეს-ჭულ-ს, ხავსის ნაკუნს და რიყის ბროლის ქვებს (ქიუარ), ჭულის სახლში შეტანა ნავახშმე-ვამდე არ შეიძლებოდა, მას საახალწლო კვერების გამოცხობის შემდეგ შეიტანდნენ გარკვეული



ნესის დაცვით. საახალწლო კვერების გამოცხობა ნაფხაშმევეს იცოდნენ. ცეცხლს ნელმეორედ შეანთებდნენ და მერბიელ-ი შუდგებოდა ცხობას. ის გამოიღებდა შემოდგომიდან კვლევამდე ხულ საუკეთესო ხორბლის ფევილს, რომელსაც გვიზი ეწოდებოდა, მოხელდა და შერეულად დადი ხომის კერს - ლაჭჭხიარ-ს, და შემდეგ საშუალო ზომისას უშდბაალ-ს გამოაცხობდა. მათ გამოცხობას უნდა დასწრებოდა ყველა, ვისაც სურდა ამ ოჯახში გაეტარებინა მომავალი წლის საოჯახო საიდუმლო დღეობები და ამ დღეობების წეს-ჩვეულებათა შესრულების მონაწილე გამხდარიყო.

როდესაც ლაჭჭხიარი და უშდბაალი გამოცხვებოდა გაეიდოდა გარეთ ორი მამაკაცი, ერთ მათგანს ხელში ნაჯახი უჭირავს, მეორეს კი უშდბაალ-ი და ანთებული კვარი, რომლითაც გზას ანათებდა, ისინი მივიდოდნენ ჭულ-თან, პირველი მათგანი ჭულ-ს მოუქნევდა და გადაჭრიდა ჯერ სიგანეზე რამდენიმე ადგილას და შემდეგ ჭულ-ის თითოეულ ნაწილს სიგრძეზე აპობდა ოთხ-ოთხ ნაწილად. დაპობისას რომ ჭულ-ს ნაფოტი (ნათ) სცივოდა, ამ ნაფოტის მიწაზე დაცემის მიხედვით მკითხაობდნენ: მისი მიწაზე კანით დაცემა, მიწის კარგ მოსაეალს მოასწავებდა, ხოლო როდესაც ნაფოტი გადაჩეხილი გულით მოექცეოდა მიწის პირად, ეს იმას ნიშნავდა, რომ მომავალ წელს ოჯახს წველის ბარაქა ექნებოდა. პირველ სამ ნაფოტს და ჭულ-ის რამდენიმე ნაჭერს შინ შეიტანდნენ, ერთ ნაფოტს საფურაში ჩადებდნენ, მეორეს ბაგაში (ლადიარ-ში) და მესამეს ნერეკე-ის კონის შუაგულში მოაქცევდნენ. ჭულ-ის ნაჭრებს კი შგილ-ზე შედებდნენ გასახმობად.

ამის შემდეგ ამზადებდნენ სამეკვლეო შემოსალოცს, ლაჭჭხიარ-ს, მონწულ კალათაში (ლალააშ-ში) ჩაანყობდნენ ერთ ჯამ გვიზ-ის ფევილს, ლეზომახ-ის თაეს, თომს (წერეკეს), ვერცხლის ფულს (თეთრს-მანეთიანს ან, უფრო ხშირად, აბაზიანს), „ბროლის“ ქვას (ქივ-ს), თხილის კონას, ხავსს და სხვ.

ამავე დროს ირჩევდნენ ქაამე მჭში-ს და მჭში-ს, ანუ ქორა მჭში-ს. გარე მეკვლეს (ქაამე მჭში-ს) კენჭს (ჯილაი-ს) უყრიდნენ: სამ სასურველად მიჩნეული მეზობლისგან ამორჩევდნენ იმას, რომლის სახელზედაც დანიშნული კენჭი ამოვიდოდა. შინა მეკვლე (ქორა ანუ სგაამე მჭში) უშგულელს ორი ჰყავდა - ერთი ამ ლამეს სხვაგან ნავიდოდა დასაძინებლად და მეორე - კი სახლში რჩებოდა და ოჯახს ახალ წელს ყველაზე უნინ ულოცავდა. ორივე ამ მჭში-ს აგრეთვე კენჭის ყრით ირჩევდნენ.

ვიდრე ოჯახი მეორე დღისთვის ცეცხლს შეინახავდა, ე. ი. ვიდრე რამდენიმე კარგად გაღვივებულ ნაკვერჩხალს ღრმად ნაცარში გაახვევდა, - მომავლის გაგების მიზნით, სახლის უფროსი მივიდოდა კერისათან გაღვივებულ ნაკვერჩხლებს და ღველეს ფილაქანზე (კა-ზე) დაპყრიდა, შემდეგ მათ სამ ჯგუფად დაანაწილებდა და შეუსახებდა: ერთ ჯგუფს ხორბლის (კეცენ) სახელზე, მეორე ჯგუფს ქერის (ჭმინ) სახელზე და მესამე ქუბას (მანააშ) სახელზე. ამ ლამეს ღველეს ჯგუფებს ასე დატოვებდნენ, ხოლო მეორე დღეს დილით აკვირდებოდნენ - მომავალ წელს რომელი მარცვლეულის მოსავალია უკეთესი და რომლის უარესი - რომელ ჯგუფსაც თავზე მეტი ფერფლი ექნებოდა მოდგმული, თითქოს მის სახელზე შეთქმული მარცვლეულის მოსავალი უკეთესი იქნებოდა და პირიქით.

შოშხამ ლამეს, და ძილის წინ წვრილად დააპობდნენ ხმელ შუშას (ცახვ) და კვარს და კერის პირად დაალაგებდნენ მეორე დილას ცეცხლის ადვილად ასანთებად.

ჩანერილია ივანე ხაჭვანისაგან 1936 წელს ვერა ბარდაველიძის მიერ.

ზომხა (ახალი წელი) 1 (14) იანვარი. წინა დღით ტყიდან შემოტანილ არყის ხეს (ჭულ) რომელიც გარე კარებთან არის მიყუდებული შემოიტანდნენ, საღამოს დაჭრიდნენ და ნაჭრებს (ნათ) კართან მიაყუდებდნენ. ახალ წელს შემომსვლელი იღებდა შემოჭქონდა და ლოცვით კერიაზე მიაყუდებდა.

ზომხა-ს გათენებამდე ნამოდგებოდა „ქორა მჭში“ (სახლის მეკვლე) უხმოდ ჩაიცვამდა, მივიდოდა კერისათან, ნაცარში შეხვეულ ნაკვერცხლებს გამოქეცავდა და ზედ დაანყობდა წინა დღით მომარაგებულ კვარის ნაჭრებს (ცახვარ), ისე რომ ცეცხლი შეუბერავად გარჩენილიყო. მათი რჩენით, ახალ წელს არ შეიძლებოდა არც შებერვა და არც კვეს-აბებდა ან ასანთის ხმარება. ამის შემდეგ სახლის მეკვლე (ქორა მჭში) ცეცხლზე სანთელს მოუკიდებდა და იქვე სადმე კედელზე გააკრავდა, შოშხამ ლამე სანოვავით გაესებულ „ლალააშ-ს“ ზურგზე ნამოიკიდებდა. ლალააშ-ში



ანყვია ერთი „უშდბალი“, ყველიანი პური, რომელზეც მცხოვრილი გამოსახავს სამ – თითო ცერს, საჩვენებელს და შუა თითს, ამ პურს გადაუბრუნებლად აცხოვდნენ. გარდა ამისა გარდაუდებული იყო კაცის სულზე თითო ყველიანი პური. მეკვლეს ახლავს ოჯახის ბავშვი, რომელიც უკანასკნელს წმიდა წყლის მოსატან ქურჭელს (ობარ-ს). როდესაც მდინარე წყალზე მივლენ აანთებდნენ სანთელს, პურებს გორდორით შეულოცავენ ღმერთს, ახსენებდნენ „ბასილ ძულგამ-ის სახელს, ობარო-ს წყლით აავსებდნენ. ამ დროს წყალთან სხვა ოჯახების მეკვლეებიც იყვნენ, რომლებიც შეხვედრისას ერთი-მეორეს ახალ-წელიწადს ულოცავდნენ. თავის სახლთან რომ მივიდოდა დახურული კართან დაიძახებდა – ყოორ მკარ ბედნიერ“ (კარი ღია ბედნიერო), ამაზე შიგნიდან შეეკითხებოდნენ. „მა ნაბდიერი აჯღვა“? (რა ბედნიერება მოგაქვს?). მეკვლე ჩამთვლიდა. „კუმში ი მარემი ნაფშირი, ნაშეღობი, ზაია მაკად (საქონლისა და ადამიანის გამრავლება, მშვიდობა, წლის მოსავალი). და მესამედ დაძახებენ შემდეგ კარს გააღებდა, როცა კარებში შემოდინ მეკვლე ამბობს – „როგორც ბასილზე ზღვაში კალადა დააბრუნა, წელზედ ნაჯახი გაირჭო, ხალხში შემოვიდა და ყველაფერი საქონელი გაამრავლა, იმის მსგავსად, ახალი წლის წინამძღვარო ღმერთო, კარგი ფეხი შემომატანინე ჩემს ოჯახში“, მეკვლენი ლოცვით კერიას მარჯვნივ შემოუვლიდნენ გარს. ამ დროს მწოლიარე ოჯახის წევრებს „ღიშიაამის“ შეუსრულებდა: თითოეულ მათგანთან მიიტანდა „კარვა“ ფევილს, წერექვ-ს, ვერცხლის მონეტას, ხილეულს და სხვა საახალწლო შემოსალოც მარჯვნივ დაუტრიალებდა და დალოცავდა: დალოცვილი პირი კი საახალწლო შემოსალოცის ნაწილებს ხელს მოავლებდა. ამის შემდეგ ოჯახის წევრები ლოცინებიდან წამოდგებოდნენ და სახლის მეკვლე მის მიერ მოტანილი წმ. წყლით, რომელსაც „ლჯე“ (რძე) ეწოდებოდა, ხელპირს დაბანინებდა. ამ დროს შემოვიდოდა სახლში „ქაამე მჭში“ (გარე მეკვლე), რომელსაც ერთ ხელში თივაჯ ეჭრა მეორეში, „ნათ“ ამ თივას მარჯვენა მხრიდან შემოუტარებდა საქონელს და ხელიდან შეატყებდა, რაც საქონლის ღირსი ამ-ის აღნიშნავდა „ნათ-ს“ კი კერიას მიაცუდებდა. შემდეგ „ლჯე-თი“ ხელ-პირს დაიბანდა და ყველანი ერთად წინასწარ გამზადებულ საახალწლო სუფრას შემოუსხდებოდნენ. დახვებუბაშე შიდა მეკვლე ყველას მოაკინებდა ხელს ჯამზე რომელშიც ძვეს ახალ ამოყვანილი ყველი, ნიშნად გულის სისხეტაკისა და შემდეგ ჭამა-სმას იწყებდნენ. ერთი-მეორეს ულოცავენ რაიმე საქმლით და რა თქმა უნდა სასმელით. ნასაუზუმებს გარეთ გამოდიან. გარეთ გამოსვლისთანავე საყდარს შეხედავდნენ, შემდეგ ერჩიათ იმგვარი კაცის ნახვა, რომელიც განთქმულია სოფელში თავისი კარგი ყოფაქცევით, მშვიდობისმოყვარეობით და სინძინდით. კარგი იყო ბავშვის, მოზარდის ნახვაც. გარეთ შემხვედრი ყველა ერთმანეთს ულოცავს და ერთმანეთს უცვლიან რაიმე ხილს ან ტკბილელს შემდეგი სიტყვებით: „ალა ერ მი ჰალანდ ლააჯომა ამი ჰალან ზაე ჯარ“ (ეს რომ მე ალაღად მოგვე, ისე ალალი წელი გორნებოდეს-ო). გარეთ დაიწყებდნენ სიმღერას, ცეკვა-თამაშს, ამნაირად ატარებენ დროს საღამომდე. ამ დღე დაუბატოებლად სხვის ოჯახში მისვლა წესი არ არის. დიდი და პატარა ყველა ციგაობდა. გარე მეკვლეს ნასვლისას ცხვარს ან ღორს აჩუქებდნენ.

ზომზა საღამოს „ქორა მახვიში“ ფიქქე გადაიდებდა უშდბალ-ს, საზოგადოდ ლაქშიარ-ის ყველა ნაწილს, რომლებიც ლალაამ-ში იყო აქამდე მოთავსებული. ამგვარად განყობილი ფიქქი ხელუხლებლად ინახებოდა დღეობა განცხდაბ-ამდე (6 იანვრამდე). ახალი წლის დღეებში ყველა სტუმრად მოსული ვალდებული იყო შემოსვლისას ხელში დაეკავებინა კარებთან მიყუდებული „ნათ“ და ისე შემოსულიყო სახლში, იქ კი მიაცუდებდა კერიავ.

ზოგიერთ დღეობაში და ზომზა დღესაც ოჯახის მანდილოსნები თავიანთ ოჯახებში ქორალიშირს ატარებდნენ. უფროსი გამოაცხოვდა იმდენ ლამზირ-ს რამდენი ქალის წესში მდგომი ქალიც იყო ოჯახში და ერთ პატარა კვერს „მეზირ-ის“ (ოჯახის ანგელოზი) სახელზე, რომელსაც „ქორა ლეგემი“ ეწოდებოდა. მოიტანდა ამ ლემზირ-ებს იქვე კა-კერიის ფეხთან, მის წინ დაიროქებდა, ქორა ლემზირ-ებს მინაზე ან ფიქქე დაანყობდა, ქორა ლეგემ-ს და სანთელს ხელში დაიჭერდა, წელში მოიხრებოდა, სანთელს და მეზირ-ის კვერს კა-კერ-ას ფეხის ირგვლივ შემოატარებდა სამჯერ და ასე ულოცავდა.

„დიდაბუ აჯკადა ალ ქორა ლამზრს, ეე, ბედნიერ ამსუაღლს ხამურჯვენს, აჯუი მიაამარჯუ ისკვი ღიშირი: კუმამ ჩავათფიშირი, კუმამ ი მარამ მაგ ათნუყვირი“.

დიდება ამ სახლის სალოცავს, ვინმე ბედნიერს გამარჯვებოდეს, ისე მე გამიმართლე, შენი ლოცვა; გამარჯვლე საქონელი და ადამიანი და ყველა დაამშვიდე.



ამის შემდეგ წამოდგებოდა ანთებული სანთლით ქორა ლეგემს- ნაილებდა და მარანის ხვრელში ჩადებდა, ან მარუბ-ის სანა-ში (თარო-ში) ქვას ააფარებდა, რომ არავის დაეხვებოდა. შემდეგ უკან მობრუნდებოდა კვლავ კერიასთან დაიჩოქებდა, თავს მიწის პირად დაამხობდა. ცერქოს მარჯვენა ფეხთან ლემზირებს სამჯერ ნალმა დაატრიალებდა და თან მიწაში შემდეგ ლოცვას ჩასახებდა:

„კერი გამჩენ, გიმი გამჩენ,
ათნუყვიორ მიშგვი ქორ,
ბარაქ ლაახო ლაამგ-ლაყველს,
მიშგვა ჯალაბს ლამლოვა;
ამმარჯვ ისგვი ლიმზირ, მაი
ბედნიერ ამსუალდს ისგვი ლიმზირ
ჩუ ხამურჯვეენს მეერმამდ
მი ამმარჯვ.“

კერის გამჩენო, მიწის გამჩენო,
დაამშვიდე ჩემი სახლი,
ბარაქა მიეცი სანველ-სადღევებს,
მიეცი ჩემს ჯალაბს აყველება;
შემისრულე შენი ლოცვა
რაც ბედნიერ ადამიანს შენი
ლოცვა შესრულებოდეს
მეორედ მე შემისრულე.

ქორა ლამზრის განმავლობაში ოჯახის დანარჩენი მანდილოსნები კერიის გარშემო იდგნენ ფეხზე და თავჩალუნულნი ჩუმად ლოცულობდნენ: ლიმზირ-ის გათავების შემდეგ უფროსი ქალი ფეხზე წამოდგებოდა და ქორა ლემზირებს იქ მყოფ მანდილოსნებს ჩამოურიგებდა. ყველანი ცეცხლის პირად ჩამოსხდებოდნენ და შენანირს შეექცეოდნენ.

კვიმტარ (კვიმატიანი დღეები) 15-16 (2-3) იანვარი. ახალწლის მეორე დღეს, ხალხის აზრით მეტად კვიმატიანი იყო, ამიტომ კუმატს- რკინეულს ხელს არ ჰკიდებდნენ, სამუშაოზე არ გადიოდნენ და ის პირები, რომელთაც ლიშიაშალი გადახდილი ჰქონდათ თავ-თავის სახლებში ისხდნენ მთელი დღის განმავლობაში. ხოლო იმ ოჯახის წევრები, რომლებთანაც ზომხა-ს ქაამე მჭში არ მისულიყო და ლიშიაშალი არ შეესრულებინა, ახალი წლის შემდეგ პირველი სამი-ოთხი დღის განმავლობაში მეზობლებთან დადიოდნენ და იქ ხელს იხსნიდნენ. ლიშიაშალ-ის გადახდამდე არ მუშაობდნენ.

ადგომ (აღდგომა) – 5(18) იანვარი – დიდმარხვის უქმე დღე „ლიფანალ-ის“ მიცვალებულთა სულების სტუმრად მონვევის პირველი დღე.

ლიფანალ – 18-23(5-10) იანვარი – მიცვალებულთა სულების სტუმრად წვევა. მოსაგონარი დღეები (ფან-დღე-ღამე). ამ დღეს საგანგებოდ ასუფთავებენ ყველაფერს, სახსნილოს არ ჭამენ, სადილს არ ჭამენ, ვახშმად აკეთებენ „ჭანტილს“ (კორკოტი). გაანყობენ სუფრას (ფიჩქ). სამარხო საკვებს, არაყს, რამდენიმე ანთებულ სანთელს დაასობენ პურებზე, მთელი ოჯახი უკან დგება სუფრის მომორებით, ოჯახის უფროსი ქუდმობილი (ან ქალი) წინ დგას ითვლის მიცვალებულებს და უთვლის შენდობას, ეხვეწება მათ, რომ ოჯახში კარგი ფეხი შემოიტანონ და მომავალ ამ დრომდე არავინ დაიღუპოს, რისთვისაც მეოჯახენი შეეცდებიან მათ კურთხევა მოუმატონ. როცა ლოცვას დაამთავრებს უფროსი დაიჩოქებს და დაიჩოქებენ სხვებიც, შენდობას უთვლიან მიცვალებულთ. კათხას აიღებენ და ნაუქვევენ რიგ-რიგობით. მეორე დღეს არის – „განცხდაბ“ 6(19) იანვარი, ნათლისღება იესო ქრისტეს წყალკურთხევა „ნიცი ლიჯგარი“. საკლავს კლავენ და იმ დღეებში სახსნილოს აკურთხებენ მიცვალებულ „ღვგგარა ქუნარს“, ასეთი წესით ყოველ სადილ-ვახშამზე ტარდება სუფრის კურთხევა ნათლისღების მომყოფ პირველ ორშაბათამდე, თუ ნათლისღება ორშაბათს ემთხვევა, მაშინ მეორე ორშაბათამდე გრძელდებოდა კურთხევა „ლიფანე“. მიცვალებულის სულებს ზღაპრები მოსწონთ და ამიტომ ყოველ ღამე ზღაპრებს ყვებიან „ლიცგნალი“. კურთხევის ბოლო ღამეს ხდება სულების გასტუმრება „ლისგვეჯინე“ 9(23) იანვარი. მოამზადებენ პატარა სუფრას „ფიჩქ“ სამი სანთლით და მოხარშული ყველის ფაფით „თამ მუჯაბ“ აკურთხებენ სიტყვებით „დო ჯიკლდინე, დო ჯარჩაი“ – არც გიჩქარით, არც გაკავებთ, კარგი ფეხი დატოვეთ, დაიჩოქებენ ყველა, ახსენებენ მიცვალებულთ, მუსგვეჯინე მონებთ მოკიდებს ხელს „ფიჩქს“. წელი ნაბიჯით მიიქვს კარისკენ, ანთებული კვართი წინ მიუძღვიან, რამდენიმე ადგილას დაასვენებს დალოცავს მობარშულ ყველს ირგვლივ აპკურებს და ნელა მობრუნდება უკან.



ლითოდრი (თევდრობა) – შავი ორშაბათიდან დიდმარხვის პირველ შაბათამდე აცხობენ „ბაციკებს“ – ცხოველთა ფიგურებს – ჯიხვი, ხარი, ცხენი და ლოცულობდნენ წმ. ფელქს დორსი.

მეისარაბ (მეისრის დღე) – თვალთა მხედველობის დღე. დაკლავდნენ მამალს ხორციელის კვირის შაბათი, ლიმპარ-ის წინა დღეა.

სიმნიშ (სემონობა 14(1) თებერვალს

ლიმპარი (ლამპრობა) 15(2) თებერვალი. უძრავი დღესასწაული, მიგებება ქრისტესი (მეზურის და ფარისევლის კვირა). ამ დღეს უშგულის ყველა სოფელში სოფლის თავშესაყარ ადგილის მიიტანდა ყველა ოჯახი ერთ-ორ ხეს დაანთებდნენ ცეცხლს. გამოაცხოებდნენ სამ-სამ ლემზირ-ს ცეცხლის წინ დაიწყებდნენ ლოცვას ასეთი სიტყვებით: ჩვენს სოფელს ბედნიერება, კარგი მოსავალი, პირუტყვის გამრავლება, ხალხის გამრავლება, ჯანმრთელობა და სხვ. ლემზირებს ჩამოარიგებდნენ და იწყებოდა მხიარულება სიმღერა-ფერხულები. ცეცხლმოკიდებული ხეები, რომელ მხარესაც ნაიქცეოდა იქით კარგი მოსავალი იქნება-ო. სრულდებოდა სხვადასხვა სიმღერები პირველად ასრულებდნენ „უშგულა მახელვა უარე-ს“ ამ ფერხულში მხოლოდ მამაკაცები მონაწილეობდა. სხვა ფერხულებში და სიმღერებში ქალებიც მონაწილეობდნენ.

ამ დროს სტუმრად მოდიოდნენ სხვა სოფლების მცხოვრებნიც, რომლებსაც მოსახლენი საღამოს ვახშმით უმასპინძლებოდნენ, ოჯახებში ვახშმის შემდეგ ერთ-ერთ ოჯახში იმართებოდა ღამის თევა. მთელი ღამე განუწყვეთლივ ცეკვა-თამაში და სიმღერები იყო.

ხვალმი (ხველების ლოცვის დღე) – უძღვების შაბათი, მამალს კლავენ და ლოცულობენ.

ფივფივა-ი ვაჟანა – შავი ორშაბათი

ლიქვრაში – 18-23(5-10) თებერვალი. უძღვების კვირის წინ სამშაბათს თავდება ლიმპარი

და მომყოლი პარასკევს იწყება მეორე დღესასწაული „ლიქვრაში“ და გრძელდება ხუთ დღეს, უძღვების კვირის ოთხშაბათამდე. ამ დღესასწაულის გაჩენა აღწერილი აქვს ბ. ნიჟარაძეს. – ოდესღაც ბეზოს თემის სოფელ დოლიდან სხვადასხვა გარემოებათა გამო უშგულში დასასახლებლად წამოსულა ორი კაცი გვარად – ქალდანი და ჭელიძე. უშგულელებს მოუთხოვიათ მათთვის, რომ წამოეღოთ დოლის წმ. ბარბარეს ხატი და მაშინ დაასახლებდნენ. ქალდანსა და ჭელიძეს წაუყვანიათ ექვსი უშგულელი მოუპარავთ მაცხოვრის ხატი და უშგულის წმ. ბარბარეს ეკლესიაში დაუსვენებიათ. ამ ხატის მოგზაურობა დოლიდან – უშგულამდე პოეტურად არის გამოხატული ხალხურ სიმღერაში „დიდება ბარბალეს დოლიაში“. სვანეთის ყრილობას წმ. ბარბარეს გულის მოსაგებად დაუნსებია ერთგვარი შეჯიბრი – შერჩევა თუ რომელი სოფელს შეხვდებოდა დღეობა „ლიქვრაში“. „ლიქვრაშის“ ჩატარება შეხვედრით – უშგულს, დოლს და მუჟალს, დღეობაზე შეწყვილდებიან ორი ან სამი ოჯახი მორიგეობით ერთ ნელს ერთი უმასპინძლებს, მეორეს – მეორე. სხვა თემებიდან ნებისმიერს შეეძლო დაუპატიჟებლად მისვლა და მიდიოდნენ კადეც (ბ. ნიჟარაძე I, გვ. 61).

ამ დღეობასთან დაკავშირებით იცოდნენ რიტუალი „ლიტყირავი, რომელიც ჩვენ ჩავინერეთ 1975 ნელს უშგულში 85 წლის საბუდე ჭელიძე-კაკრიაშვილისაგან.

ლიტყირავი

პარი, არი, არი, ცხემი ნახრეკ მუჟალ-მულახს.
 პარი, არი, არი, ზაი მაკად უშგულთე.
 პარი, არი, არი თხარე მყლიპ კაღა ჯგვეთე.
 პარი, არი, არი...

ლაყობა (თარგმანი)

პარი, არი, არი, ფრჩხილის ნაკარი მუჟალ-მულახს
 პარი, არი, არი, წლის მოსავალი უშგულისკენ.
 პარი, არი, არი, მგელი პირდაი კალელთა ჯოგს.
 პარი, არი, არი...

კირულე

კირულე ბ ვო, ვო ლეკურია,
 დედეს ცოდხოლახხეაშინ,
 მამას ლადელ ოთრჯეედ,
 ბოფურემ ლხინ ი ხიად,
 ბაპრემ ბიჭვე ი ბაჭვეა.

კირულე (თარგმანი)

კირულე და ვო, ვო, ლეკურია,
 დედას (ბებიას) ცოდვა მოანანიებინე
 მამას დღევრძელეა,
 ბავშვებს ლხინი და სიკეთე,
 პაპების სკდომა და გასკდომა.

ალაბ (ალეების საღამო) – „ხორციელი ურწყ“ ხორცი იჭმეოდა სულთა შაბათს მე-2 დღეს



ალაბ (ალეების საღამო) „ყველიერი ურწყ“, ერთკვირიანი დაურწყება მოსდევთა ხორციელის დაურწყებას. ყველიერის ორშაბათს საღამოს იციან „ლიჩაჩხიელ“: ჭავჭავაძეებმა შენახულ ჭვავის ჩალის კონებს ცეცხლს მოუკიდებენ და ერთმანეთს ურტყამენ. ხეცში გრძნეულთა ღამედ იტვლებოდა, გურაიში ყვავილბატონის დღედ, ხოლო დასავლეთ საქართველოს ზოგ რეგიონში თეთრი ორშაბათი ეწოდებოდა (ნ. აბაკელია, გვ. 66).

ხარაბ (ხარება) 7 აპ. (25) მარტი, ხარება ყოვლადწმინდისა ღვთისმშობლისა მარიამისა.

ბზობა – აღდგომის წინა კვირა, თევზით ხსნილი იყო, უქმე დღე, ქრისტეს დიდებით შესვლა იერუსალიმში.

თანაფა ცაამ (დიდი ხუთშაბათი) – ლოცულობენ, ქალი რთავს შავ ძაფს და შეაბამს ყველას მაჯაზე და ფეხზე. აღდგომას იხსნიან და ავდებენ.

პრია მიიმ (ენების კვირა) – ბზობიდან აღდგომამდე კვირას ეწოდება, ოთხშაბათს ჭიაკოკონობა იცოდნენ „ლიმპარი“. აღდგომამდე ერთი კვირით ადრე იცოდნენ ჯადოქრობა „ლიგოფინალ“: ტექსტი ჩაეინერე 1975 წელს უმგულში საბედ ქელიძე-კაკრიავილისაგან:

ლიგოფინალ

ბასლიბეჭედმ ლბჭადე მიიმგვი ქორ ი ლირდე, სოლომი მსკადემ ლმსკადე. ფუ, პრიავე ათხარაბ გოფარ გრზნაეილს, ლთირხიშდ ხამა თვეთენ ი მეშხე ვოლიაქ. ჭალი ქვიშასერ ი ჭალი ჩერხასერ მაგუე ახშადახა მიშგვა ქორა უმარჯვს. ლეთიმ ი ლადლი ნეესგა მიშგვა ქორა უმარჯ ჩუ ხარდედ მაგუ ახშადახა ლეზობდ ი ლეთრად, ჭალი ქვიშასერ ი ჭალი ჩერხასერ. ალ ქორა უმარჯვე იემდიარ თანალ ეჩხანჩუე ალურშონელი. – ამჟი ბერეჟდ ი მუქობდუ ათსყანა გუშგუე უმარჯვს მიჩა ნათი ი ხორარუბოლა.

ჯადოქრობა (თარგმანი)

ბასილის ბეჭდით დაბეჭდელი ჩემი სახლი და ყოფა. სოლომის მსკადით (ბეჭდით) მომრგვალებული. ფუ, დაწყველილი იყონ ჯადოქრები, სატანისეულნი, გამორჩეული ხართ, როგორც თეთრი და შავი ცხვარი. მდინარის ქვიშისა და მდინარის კენჭის მეტი ყველაფერი მოგსპობოდეთ ჩემი სახლის მავანს. ღამის და დღის შუა ჩემი სახლის მავანი იყო ყველაფერი მოგსპობოდეთ საქმელად და სასმელად მდინარის ქვიშისა და მდინარის კენჭის ვარდა. ამ სახლის მავანი თორმეტ მთას იქით იხსენიებოდეს. ასე რკინად და ექვად ექცეს ჩემს მავნეს მისი ნათესავი და მოკეთენი.

ვირიალე საფტინ (ურების შაბათი) – იძახოდნენ ვაი ურიას, გარეთ მუგუზალს ყრიდნენ.

თანაფ (თენება-აღდგომას) აღდგომა, მოძრავი დღესასწაულია. ყველა ოჯახი ქრისტეს აღდგომის დღეს გადის საფლავებზე საკურთხით, ახალმიცვალებულთათვის განსაკუთრებული საკურთხი ეწყობა. კვირისთავზე აღინიშნება „ხოშა თანაფ“.

„ხოშა თანაფ (დიდი აღდგომა) – უფლიმიერ იმართებოდა ორშაბათიდან ერთი კვირით

ტარობ (ჭაბუკობა) – აღდგომის მეოთხე დღეს უმგულში იცოდნენ „ტარობის“ ლოცვა. ის ეძღვნება „ტარჭაბიგვს“ უქმობდნენ და საქონლის გამრავლებას შესთხოვდნენ. საღამოს დიდ ხაჭაპურს „ქუთ“-ს გამოაცხობდნენ, ოჯახის უფროსი მამაკაცი და ერთი ბავშვი „მარუბში“ აიტანდა მულოცავდა საქონლის გამრავლებასა და დაცვაზე. იქვე შეჭამდნენ დატოვება არ შეიძლებოდა. „ჭაბუკობა“ იცოდნენ ლეჩხუმშიც. მკვლევარ თ. მიზჩუანის აზრით „ტარუ“ ხეთური ღვთაებაა (გვ. 316). ჩვენს მიერ უმგულში ჩაწერილი „ტარობის“ ლოცვის ტექსტი ასეთია:

ტარ ჭაბიგვ

დიდაბ აჯკად ტარ ჭაბიგვს, ნაფშირი ხორარუბა მიშგუა კუმშს ი მარა. მეჭემ კუმშიმ ჩათფიშირ, ფათვა ნაბლევსერ ი კირი ნაფიცხსერ ქშ ნოსამა ათციკირნა მიშგუა კუმშს (ინფორმატორი ნუცა ნიფარაძე-კაკრიავილი 72 წლის 1980).

„ტარ ჭაბიგვ“ ტარ ჭაბუკი

დიდება შენ ტარ ჭაბუკო, გამრავლება და სიკეთე ჩემს საქონელს და კაცს. პატრონი საქონლის გამრავლე, სქონლის თმის ბუნვის და ფლოქვის ნატეხის მეტი არაფერი დააკლო ჩემს საქონელს.

ლიგერგი ლუფხამ (გიორგის გაზაფხულის) 6 მაის (23 აპრ). ბორბალზე ნამების დღე.



ანლაზ (ამალღება) – ქრისტეს ამალღება აღდგომიდან მე-40 დღეს საფლავებზე გადიდნენ ტაბლათი.

ლიფანა (სულთმოფენობა), ამალღებიდან მეორე კვირას, სულთმინდის გადმოსვლის დღე.

პოლი (ყოველთა წმინდათა კვირიაკე) – აღინიშნება პეტრე-პავლობის მარხვის წინა შაბათ-კვირას. ადრე შხარას მხარეს მცინვარი მონყვეტილა, მას ენგური დააგუბებია დიდი ხნით, როცა მცინვარი და წყალი დაძრულა ნაულეკავს მრავალი სოფელი. ამ უბედურების აღსანიშნავად და ღვთის სალოცავად ხალხს დაუნესებია ეს დღესასწაული. მას უშგულთან ერთად აღნიშნავენ მესტიისა და ლაშხეთის სოფლები. მესტიის საზოგადოებაში აღინიშნება ურთიერთდაპატივებით, ქეიფით, დოლით „ლემის“ გაბერვით. ლაშხეთში მახაშის მალალ მთაზე მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში ადიან სალოცავად უმეტესად შავი მამალი ინირებოდა. ნაწილობრივ სხვა სოფლებზეცაა ვაგრცელებული. ამასვე უკავშირდება „მახიორვა“ აკრძალვა ახალი წლიდან პეტრე-პავლობამდე პირველად რომელი ძროხაც მოიგებდა ხბოს მისი ნანველი პროდუქტი მამაკაცს არ ექმევა, უშობელის ხბო უნდა დაკლულიყო.

პარპალდა (პეტრე-პავლობა) 12 (29 ივნ) ივლისს გადიოდნენ სასაფლაოებზე. პეტრე (სიმონ) და პავლე (სავლე) მოციქულები. პეტრე ჯვარს აცვეს რომში. პავლე წარმართი იყო დევნიდა ქრისტიანებს, ქრისტეს გამოცხადებით იგი მოექცა ქრისტიანად

ლიგურკე (კვირიკობა) 28 (15) ივლისს უშგულის მეზობელ კალაში კვირიკეს მონასტერში იმართება. უშგულელთა დიდი ნაწილი იღებს მონაწილეობას თვით უშგულიც უქმობს ამ დღეს (კვირიკე და დედა მისი ივლიტი მონაგებები იყვნენ მცირე აზიაში).

ლიუსხუარი: ჳწინში გიცრიმ (უსხუობა: ხარით ან ვერძით) აგვისტოს პირველი კვირა დღე თიბვის წინ „ახანახა“ ფუსტის გაღავანში საღმრთო სამთიბლოს იხდიდნენ.

როგორც ცნობილია, დიდი ღმერთის ანუ ფუსნაბუასდის კულტი ერთი მხრივ ხარის და მეორე მხრივ მზის კულტების შერწყმის ნიადაგზე განვითარდა. ქართველთა რელიგიის ისტორიის გვიან ანთროპომორფული ღმერთებისა და უკვე არსებულ ღვთაებათა პანთეონის გვერდით საკმაოდ დიდი ადგილი უჭონდა დათმობილი შინაური ცხოველების კერძოდ ხარის და ვერძის კულტს. ხარი ფუსნა-ს და ვერძი გიცრა-ის სახელწოდებით და საერთოდ ორივეს „უსიხუ“ ეწოდება. ასეთი დღესასწაულები არსებობდა რიგ დღეობებზე.

უშგულში დღესასწაული „ლი-უსხუ-არი“ (უსხუობა) მონაცვლეობითია, ერთ ნელს-ჳწანობა (ხარობა) მეორე ნელს – გიცრა-ობ (ვერძობა). იმ განსხვავებით, რომ ხარს მთელი სოფელი ერთს სწირავს და იქვე კლავს ვერძს კი ყველა ოჯახი სწირავს ცოცხლად ფუსდის „ძღვიდ-ში“, მერე ოჯახებში იკვლება, საღამო ხანს გულ-ღვიძლით, მარჯვენა ბეჭით და ნათავედი არყით მიდიან საყდართან, იმართება რიტუალი. ადგენენ თიბვის დანყების დღეს და სხვა პრობლემურ საკითხებს.

ლიმდვარი (ნადობა) – „ლიუსხვარის“ მომდევნო დღეს მუყემერში წმ. ბარბარეს საყდართან ძროხას კლავენ სალოცავად.

ფერცვალობ (ფერისცვალება) 19(6) აგვისტო, ხილით კურთხება
ლიმარი (მარიაობა) 28 (15) აგვისტო – მიძინება ყოვლადწმიდის მარიამისა სასაფლაოებზე საკურთხი იციან. იკვლება – გოჭი, ხბო, თიკანი ან ბატკანი.

საგიერგი (გიორგობა) 23 (10) ნოემბერი. წმ. გიორგის „ჯგრაგ“ თავის მოკვეთის დღე. საქართველოში მის სახელზე იმდენი საყდარია რამდენი დღეცაა ნელიწადში.

კალენდარული დღეობები წლის გარკვეულ დროს სრულდებოდა და დაკავშირებული იყო სეზონურ სამეურნეო საქმიანობასთან (ხვნა-თესვა, მკა, თიბვა) ასევე ბუნებრივ მოვლენებთან და სოციალურ ყოფასთან (გვალვა, ჟამიანობა, შიმშილი).

უშგულელისათვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო მიწის მოსავალთან დაკავშირებული წესჩვეულებანი. ხვნა-თესვის დაწყებამდე კალოში გააკეთებდნენ მრგვალ წნელს „კირკალო“ და შეულოცავდნენ, ასევე მოათავსებდნენ დიდ ქვას//ასპიდს „ჩერხა“ და იტყოდნენ ლოცვის ტექსტს:

გამულ ბედნიერ//გიმი გამჩენ

გამულ ბედნიერ ჯამზგრის მიჩა მმარუს, ჩუ როქ მიხალ ერე დთხელ ფაკელ მაფრა,



ათვეპური ლამარიას, ხომა ფუსს, მიჩა კალთი ბარაქს ქამანეანი. მიშვეი პილლე ლიცეში ისევედ ლამბარინს, ათხემ როქ ხოჩამდე აჯზგრახ, ზავდეშ ხოჩა გუჟიე აჯპანახ.

თარგმანი – მიწა ბედნიერო//მიწის გამჩენო

მიწა ბედნიერო გლოცვენ მის მუშებს, ვიცი, რომ თხელი თავსაფარი მახურავს. შევევედრები ლამარიას, დიდ ფუსს თავისი კალთა ბარაქას მამჩენებს. ჩემი პირის დასველება თქვენთვის მიმბარებინოს, ახლანდელი წელი კარგად დაგემთავრებინოთ, მომავალი – კარგ გუნებაზე მოგსწრებოდეთ (ინფორმატიური საბედ ქელიძე-კაკიაშვილი).

მკვლევარები სვანურ „გიმ“-ს (მიწა) უკავშირებენ შუშერულ „გი“, და ბერძნულ დედამიწის ქალღმერთ „გეა“-ს (თ. მიზრუანი).

ე. გაბლიანი აღნიშნავს, რომ მცხეთის კერპს მარჯვნივ უჯდა ოქროს კერპი „გაიმი“, მარცხნივ ვერცხლის კერპი „გაცი“, ეს გაცი იყო ღმერთი გამანაყოფიერებელი, ხოლო „გაიმი“ ნაყოფის მიმცემი ანუ მიწის ღმერთი. ეჭვსგარეშეა, რომ სვანური მიწის სახელი „გიმ“ და აგრეთვე ხის სახელი „მე-გამი“ ამ კერპის სახელისაგან არის წარმომდგარი (ე. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი. გვ. 127-128).

მკასა გვანურად ჰქვია „ლითი“, მკასა და მოსავლის ღენვა განიავებას თავისი რიტუალები ჰქონდა. შემოდგომაზე ახალ მოწეულ მოსავლისათვის ღენკერის ქედზე (თამარის ციხესიმაგრესთან) აღინიშნებოდა ბედის-ბარაქა და საქონლის გამოზამთრება. ცოტა ქვემოთ კლდეებთან – „ლილაპი“ – რითაც ახალი მოსავლის შემოსულა აღინიშნებოდა. სანამ ოჯახი ახალი მოსავლის ჭამას დაიწყებდა გამოაცხოზბდნენ „ლეშირებს“ (ყველიანი პური) ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით. ამასთანავე ახალი მოსავლიდან გამოაცხოზბდნენ სამ პურს.

რადგან უშგულში მესაქონლეობა ძირითადი საარსებო წყარო იყო, მასთან დაკავშირებით რწმენა-წარმოდგენები, მაგიური თუ რელიგიური ქმედებანი მრავლად იყო. საქონლის მფარველად თვლიდნენ „სუნდუქ დეცემ“-ს, ცხვისა – „სარაკელს“, ღორისა – „ლაპატრა. ძროხა რომ პირველად ხბოს მოიგებდა იმის გაზრდა არ შეიძლებოდა. ის აუცილებლად უნდა დაკლულიყო.

თავისი რიტუალები ჰქონდა დარ-ავდარს. ძლიერი გვალვის დროს სრულდებოდა ხატის განბანვის წესი. იცოდნენ საერთო შეწირულობებით საკლავის ყიდვა და მსხვერპლშენიწვა, ზოგჯერ ერთი წლით ადრეც ასუქებდნენ მოზვერს რომელსაც სოფლის „უხს“-ს ეძახოდნენ.

შემოდგომის დღესასწაულები

ლიჯგრი (კურთხევა)

მიცვალებულს შემოდგომაზე თუ უსრულდებოდა წელი აღნიშნავდნენ წლისთავს „ლიწზა-ურალ“. წლისთავის გადაწევა არ შეიძლებოდა, შემოწევა დასაშვები იყო თუნდაც თვეობით, ოღონდ შემოდგომას არ უნდა გასცილებოდა. კლავდნენ ხარს ან ძროხას. ამ დღიდან მოიხსნებოდა გლოვა ოჯახში.

ლაგვან//ლიჯგრი (სატირალ-კურთხევა)

როგორც ბ. ნიჟარაძეს აქვს აღწერილი „ლაგვან“, იგივე „ლიჯგრი“ კურთხევა-სატირალი იმართებოდა როგორც მიცვალებულზე ისე ცოცხალ ადამიანზე (ადამიანებზე), რომელიც მოიხურებდა წინასწარ კურთხევას. ამ დღისთვის დიდი მზადება ტარდებოდა – ხარების, ღორების გასუქება, ფქვილის მომარაგება, არყის გამოხდა. უშგულში მცხოვრებ ყველა ოჯახის სულთა რაოდენობის მოიხედვით ნაწილდებოდა ყველა სახის ულუფა. ხოლო მოცემულ ოჯახში იმართებოდა დიდი პურობა. თუ მიცვალებული იყო ტანისამოსს სკამზე დაკიდებდნენ, თუ ცოცხალი იყო თვითონ დაჯდებოდა სკამზე და თუ ჰყავდა ნაშიერი გვერდზე დაიყენებდა და ისე აკურთხებდნენ პაპები „ბაპარ ერთგვარ პანაშვიდს უხდიდნენ „პანშვირ“.

„ყერია“ (ყერ-ანგელოზი)

თუ ოჯახში მძიმედ ავად იყო ვინმე, ოჯახი მთელ სოფელს მოუყრიდა თავს შერჩეულ საყდრის გალავანში „ძღვედ“-ში; ავადმყოფის მატრონი ხალხს სთხოვდა შეხვეწოდნენ ავადმყოფის მორჩენას საყდარს, რომელსაც ოჯახი შეუთქვამდა „ხოლგენი“ ხარს და შემოდგომაზე კლავდა სოფლისათვის. შეწირულ ცხვარს ჰქვია „გვეც“, ე. გაბლიანს მიაჩნია „გაც“-იდან მომდინარედ.

საყდრებს ჰყავდათ გამოყოფილი მზრუნველი, მომვლელი, რომელსაც ეძახდნენ ჰალსვანს; იყვნენ მულზონებიც (ქვემო სვანეთში).



კალსვან – საყდრის მოსამსახურე, უნდა ჩამოთოვოს, გაალოს კარი, როცა პაპი სანირველად მივა, ან ხალხი ფიცის მისაღებად და სალოცავად. ამ მოსახლემ უნდა მისცეს მძიფი ყუველი: სოფელს, რომელსაც შვილი დაეხადებოდა. მას ატარებდნენ 4-5 წლამდე ყელზე. შემდეგ უკან აბარებდნენ. როგორც გამოტანისას, ისე უკან ჩაბარებისას ახალშობილის მამა სამ პურს და პატარა დოქით არაყს მიიტანდა და იქვე შეჭამდნენ და დალევენ საყდრის მოსამსახურესთან (ბ. ნიყარაძე I. გვ. 193).

მულზონები ენოდებათ იმ პირთ ან ოჯახს, რომელთაც საყდარი ებარათ მოსავლელად. ისინივე იღებდნენ საყდრის შენირულობას და იძენდნენ ეკლესიისათვის სანთელს, საკმეველს და სხვ (სვ. პროზა. გვ. 171).

სანიტარსო რიტუალია ოჯახთა შეერთება „ლიიშხვაალ“

ლიიშხვაალ (ოჯახთა შეერთება) ერთდებოდა ორი ოჯახი, ის ოჯახი, რომელიც გადადიოდა მეორე ოჯახში საცხოვრებლად დანიშნულ დღეს, მთელი ახლობლებით მიდიოდა და თან მიჰქონდა: არაყი, ფველი და ყველი, ქუთვარის გამოსაცხოზად და მიჰყავდა ერთი საკლავი ცხვარი ან ხბო, როდესაც ორივე ოჯახი მოამზადებდნენ, საქონლის გულ-ლეიძლს ნათხუმ არაყს და ლემზირებს დაანყობდნენ სუფრაზე. ერთი ქორა მახვში აიღებდა ხელში გულ-ლეიძლს, ხოლო მეორე ქორა მახვში-ნათხუმ ჰპარაყს. ორივენი აღმოსავლეთისაკენ მიბრუნდებოდნენ, ქუდმოხდილი დაიჩოქებოდნენ და დაილოცებოდნენ:

– „ღეერბეთ, სი ლაახემდ გუშგე ლიზგეს, ანმარჯუ უშხვიდ ლორდე, ნომგუაშუ ნაკდუენ, ჯეკრალ, მადილ ჯეკრი“.

ღმერთო, შენ შეენიე ჩვენს სადგომს, გაგვიმარჯვე ერთად ყოფნაში, ნურაფერს დაგვაკლებ, გეხვენები, მადლი, გექნება.

ამის შემდეგ გაიშლებოდა საერთო სუფრა და გაიმართებოდა ღვინო, მეორე დღეს ნაიშხვაალები გადმოიტანდნენ მთელ მოძრავ ქონებას იმის სახლში სადაც ერთად აპირებდნენ ცხოვრებას, და გააერთიანებდნენ მთელ უძრავსა და მოძრავ ქონებას. მიზანი გაერთიანებისა ეკონომიური გაძლიერება იყო, შემდეგ ხშირად იყრებოდნენ და ქონებას შუაზე ყოფდნენ.

6. უშგულელთა რწმენა-წარმოდგენები, ღვინო-თემშულებანი

წარმართული ხასიათის ზოგიერთი საკულტო ძეგლი სვანეთში აღწერილი აქვს მკვლევარ მ. მაკალათიას და გაკეთებული აქვს გარკვეული დასკვნები.

უშგულის ეკლესიებში არსებული სხვადასხვა ფუნქციის მქონე საკულტო დანიშნულების მრავალ ნივთს თავისი არსით დაჰკრავს წარმართული იერი. ყურადღებას იქცევს ეკლესიებში შეწირული ჯიხვის, არჩვის, არხარის და ირმის რქები და საეკლესიო ინვენტარზე მოცემული ჯიხვის გამოსახულებანი. უშგულის წმ. გიორგის ეკლესიაში ინახება ჯიხვისა და არჩვის რქები. სკიერი რომელზედაც სამი ჯიხვია გამოსახული. წარმართულ გადმონაშთს წააგავს ეკლესიის გალავნები. დიდ ლოდზე „ითინი“, ხოლო გალავნის გარეთ, ბორცვზე სამლოცველო ჩაღრმავებული ადგილი მიწაში, რომელიც ქვემოთ არის შემოზღუდული. სანადიროდ მიმავალი უშგულელები „ჯგრაგს“ შესთხოვდნენ გამართლებას, სანაცვლოდ პირდებოდნენ მოკლული ნადირის გულ-ლეიძლს, ბეჭს და თავ-რქას. წმ. გიორგის ერთ-ერთ ფუნქციას მონადირის მფარველობა შეადგენდა. რასაც მხარს უჭერს სამონადირეო ეპოსი, სადაც წმ. გიორგი დალს ებრძვის და სჯის. უშგულელი მონადირეები ჯიხვის რქებს სწირავდნენ „ლამარიასაც“, ფუსდსაც. გარეული ნადირის რქები მიმოფანტულია უშგულის საყდრების თითქმის ყველა სამლოცველოში. აღსანიშნავია, რომ ჯიხვი გამოსახულია ბორჯომის რაიონის სადგერის წმ. გიორგის ეკლესიის გარე კედელზეც.

უშგულის თემის ერთ-ერთი ძირითადი სამლოცველო „ლამარია“ იყო. უშგულის თემი ბუთების მიხედვით ხშირად ღვთისმშობლის//დედა ღვთისა (ლამარია) სახელით გამოდის. გადმოცემით „ლამარია“ ადრე სოფ. მუყემერის დასავლეთით ლატლიშის მთაზე ყოფილა. რომელიც



ზევის დაუნგრევია, ახლაც ლამარიას ნაბრძანები (ნამსგვეჯვარ) ეწოდება. ლეგენდის მიხედვით, ცნობილი მეთოდით, გაუხედნავი მოზერების უღელში შებმით გადაუწყვეტიეს ამჟამინდელ ავგილზე საყდარ-მონასტრის აშენება.

უშგულის „ლამარიასი“ მარიამობა დღეს 28 აგვისტოს იკრიბებოდნენ მთელი უშგულის ქალები. წინასწარ შეგროვილი ფქვილისა და ყველისაგან მამ-ში აცხობდნენ ხაჭაპურებს. აცხობდნენ იმდენს რამდენიც იყო ოჯახში. ამას კალოს „ლემზირებს“ უწოდებდნენ. ერთ „ლემზირს“ ზედმეტად გამოაცხობდნენ, რომელსაც „მაჩის“ ლემზირს უწოდებდნენ. მას სოფლის ბარაქიანობისათვის შეავედრებდა „მერბიელი“ მცხობელი ქალი ბარაქის მომცემ „მეზირს“ სახელზე (ბარაქი მიუშვდი მეზირ) და მინაში საგანგებო ხერელში (კოჭულად) ჩადებდა, კოჭულდი ქვით იყო დახურული ისე, რომ იგი შემუშნივეელი რჩებოდა გარეშე პირთათვის.

მეორე რიტუალი, რომელიც თვით ლამარიას სამლოცველოში სრულდებოდა დღეობა „ჰულიშის“ დროს, შემდეგში მდგომარეობს: მთელი უშგულის ქალები თავს იყრიდნენ ლამარიას, „ლადბაში“ და დადგამდნენ ოთხ კერას პურის გამოსაცხობად, ირჩევდნენ ოთხ ქალს პურის დამმუშავებლად და ოთხს ყველის გუნდების გამკეთებლად. აცხობდნენ „ღვარძილებს“ თითო ოჯახზე ოთხ ცალს. ოთხი ცალი ცხებოდა მინაში შესანახი კერიც (ლემზენი), ჯერ „ღვარძილს“ შეავედრებდნენ მინას (ხეამზირდად გიშს); შემდეგ იჩოქებდნენ პირთა აღმოსავლეთისაკენ, თავით მინას ეხებოდნენ და ისე ლოცულობდნენ. ამის შემდეგ უშგულის ოთხი სოფლიდან თითო ქალი შესანახს (ლემზენი) შეავედრებდნენ ქვევით (ჩუბავ ლამზირ): დაიჩოქებდნენ შესანახ ორმოსთან (ლადბაშის შაქარა კართან) და ლამარიას ევედრებოდნენ მოსავლიანობის გადიდებას (ზაი მაჭადხან). ორმოს ქვევს ახდიდნენ, შესანახს ჩადებდნენ და ქვევს დააფარებდნენ ისევ. წინათ ჩადებული „ლემზენი“ თუ არ იყო გამჭრალი, ეს ცუდი ნიშანი იყო, მაგრამ ეს იშვიათად ხდებოდა. ამ დღეს აგრეთვე სოფლის მცხოვრებნი უგზავნიდნენ „ლემზირებს“, რომელთაც ახლად დაბადებული ან დედისერთა ვაჟი ჰყავდათ, ამ ლემზირებს იმ ბავშვის სახელზე შეავედრებდნენ და მერე შეჭამდნენ.

როგორც ცნობილია, ბუნების მოვლენებს ეძღვნებოდა ლოცვები. ასეთია სეტყვის შელოცვა:

| | |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| „კვარკვალ ბედნიერ! ტვიბუნ-ტვიბ ადერ; სკარხლა მუჟედვ ლაანემდ; ნიშგვე გამჩენ ლაანემდ; ლაანემდ მადლიან, მთაარინგ ზელ ლაანემდ!“... | „კვარკვალ ბედნიერო! ღელე-ღელე იარეო; სეტყვის წინამძლო გვიშველე; გამჩენო გვიშველე; გვიშველ მადლიანო; მთავარ ანგელოზო გვიშველე!“... |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ 1977 წელს გამოაქვეყნა სვანეთის მატერიალური და სულიერი კულტურის მასალები, სადაც მიმოხილულია ეკლესიებში არსებული ნივთები.

უშგულის ეკლესიაში 1160 დასახელების საეკლესიო ნივთია, მათ შორის 127 ხატი და ჯვარი. მთლიანად ზემო სვანეთში აღირიცხა 3385 დასახელების 6851 ერთეული. აქედან 600 ხატი და ჯვარი, 6251 სხვადასხვა ნივთები. ხატებისა და ჯვრების უმრავლესობა განეკუთვნება XI-XIV საუკუნეების ოქრო-ვერცხლის მჭედლობასა და ფერწერული ხელოვნების ძეგლებს. ზემო სვანეთის ეკლესიებში არსებული განძის ოფიციალური აღწერა და მცველისათვის ჩაბარება 1941 წელს მოახდინეს განათლების განყოფილების გამგემ მიხეილ ჩართოლანმა და მუხუუმის დირექტორმა დავით ნიჟარაძემ.

ეკლესიებში ბევრია მორწმუნეთა შენაწირი ნივთები: სამკაულები, ქვები, მონეტები, ისრები, ტყვიები, ნანადირევის რქები, შეწირვა ხდებოდა სხვადასხვა მიზნით მაგ. ისარი და ტყვია შეწირულია ბიჭის დაბადების აღსანიშნავად; ქვა – ოჯახის ბედ-ბარაქის სიუხვისათვის ან ნადირობის სვე-ბედის მოწიჭებისათვის; ტყვია ნადირობასთან დაკავშირებით და სხვ. ქალები სწირავდნენ ქალის სამკაულს: მძივები, გახვრეტილი ქვები და სხვ. ხოლო მამაკაცი სწირავდა იარაღს: მშვილდ-ისარს, ისრის პირს, ხანჯალი, ცული, დანა, ტყვიები და ვაზნები. სქემისა და ფუნქციის მიხედვით დაყოფილი იყო ღვთაებებიც. ასე მაგალითად: ღვთისმშობელს (ლამარია) ძირითადად ქალები სწირავდნენ შესანირს. ხოლო მაცხოვარს (მაცხვარ); წმ. გიორგის (ჯვრავ) მხოლოდ მამაკაცები. მამაკაცების მიერ შეწირულია სანადირო იარაღი, ნადირის რქები და სხვ.



სვანურ ავეჯზე მოცემული ზოგიერთი სიმბოლური გამოსახულებების შინაარსის ახსნისათვის ლ. ბუდუკიძის აზრით განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ მზესა და მთვარეს. მცხრველი მზე და ახალი სავსე მთვარე კარგ, ბედნიერ მნათობებს წარმოადგენს, ხოლო მწველი მზე და მთვარე უკანასკნელ ფაზაში ცუდ, უბედურ მნათობად ითვლებოდა, ხარი სიძლიერისა და ნაყოფიერების სიმბოლოდ ითვლებოდა, იგი დაკავშირებული იყო როგორც ტოტემთან, ისე ასტრალურ კულტთან.

უშგულის მაცხოვრის ეკლესიაში არსებულ სკივრის ფასადზე მოცემულია ხარის რქებისა და ერთმანეთში ჩასმული წრეხაზების გამოსახულება (ასტრალური ნიშანი), რომელიც ხარისა და მზის კავშირზე უნდა მიუთითებდეს. დიდი ღმერთის, ფუსნაბუადის თავყანისცემაც ხარისა და მზის კულტის შერწყმის ნიშანადგება განვითარებული. უშგულის თემში რომელი ღვთაების სახელზეც იყო შეთქმული ხარი ის სახელი ერქმეოდა. სვანურ საგალობელ ლილვს ერთ-ერთ ვარინტში მოიხსენება დიდი ღმერთის სახელზე შეწირული ხარები, რომელთაც ოქროს რქები ჰქონდათ და მიდიან-მთაზე ბურღაობდნენ.

სვანეთის ისტორიულ საბუთებში (X-XVIII სს.) ყველა სოფლიდან ერთი მთავარი საყდარია დასახელებული. მე-19 საუკუნეში რუსი იმპერიალისტები ამ მთავარ საყდრებს შტატის ეკლესიებს ეძახდნენ. უშგულში ასეთი იყო მუყემრის მაცხოვარი, ჩაყაშის მაცხოვარი და „ლამარია“ – უშგულის ღვთისმშობელი, რომლის სახელითაც გამოდიოდა უშგულის ხევი, ხოლო მთლიანად ზემო სვანეთში ასეთი განრიგი იყო:

1. უშგულის – ღვთისმშობელი „ლამარია“
2. კალა – წმ. კვირიკე „ლაგურკა“
3. ჰადიში – მაცხოვარი
4. იფარი – მთავარმონამე „ჯრავ“
5. ნურემი – მაცხოვარი
6. იელი – მაცხოვარი
7. მულახი – მაცხოვარი
8. სეტი – მთავარმონამე
9. ლატალი – მაცხოვარი
10. გული – მთავარანგელოზი „თარინგ ზელ“
11. მეზრის – მთავარანგელოზი
12. ლაბსყალდი – მთავარანგელოზი
13. ქართვანი – მაცხოვარი
14. ფხოტრერი – მთავარანგელოზი
15. სუფი – მთავარმონამე
16. კაშაში – მთავარანგელოზი
17. ვედი – მთავარმონამე
18. ლაშხრაში – მაცხოვარი

უშგულელთა უძველესი რწმენა წარმოადგენენ არქეოლოგიური მასალების შუქზე გაანალიზებული აქეს მკვლევარ შ. ჩართოლანს.

სვანეთში აღმოჩენილი ბრინჯაოს ქანდაკებებიდან ყველაზე ძველია უშგულის მაცხოვრის საყდარში არსებული ცხვრის ორი ქანდაკება. ქანდაკებების ზედა ნაწილი წარმოადგენს ვერძის თავს, ხვეული რქებით, პირი ფრინველის ნისკარტისებური, ტანი რელიეფური ოთხკუთხედავით. ის უნდა იყოს ტოტემური სიმბოლო, ითვლებოდა გვარის, ოჯახის მფარველად. ტოტემით მოხატავდნენ ქურჭელს, ტანსაცმელს და სხვ. მეცნიერთა ვარაუდით ე. წ. „ცხვარჩიტაც“ გვარის ტოტემურ სიმბოლოდ მიიჩნევა. შუა ბრინჯაოს ხანაში.

უშგულში მეოცე საუკუნის მეორე ნახევრამდე არსებობდა გაგარეულებული ხარის ბუღას/კუროს/ვიხსვ (სოფლის უსხი) კულტი, რომელიც განსხვავდებოდა შეწირული ხარისაგან. ის განსაკუთრებული მონივნით სარგებლობდა მოსახლეობაში, როგორც ღვთის ცხოველი, მას ცუდად ვერ მოიხსენიებდნენ, აკრძალული იყო მისთვის ჯოხის მოქნევაც კი. ის თავისუფლად იყო გაშვებული შეეძლო ყანაც გაეთელა. როცა სოფელში გახლებული დარბოდა ცდილობდნენ მორიდებას და მოკრძალება-მოფერებით ეპყრობოდნენ. მეცნიერთა აზრით აქაც ტოტემური წარმოადგენა ჩანს. ტოტემური მიზნით უმეტესად არჩევენ თეთრ ხარს.



არსებული მონაცემებით, უნდა ყოფილიყო ცხენის კულტი, რაც ჩანს ეთნოგრაფიულ ყოფაში. ზოგჯერ მამაკაცის დაკრძალვისას ცხენით წინ წაუძღვებოდნენ პროცესიას და ცხელიდან აკურთხებდნენ „ჩააჟი ლიჯგრი“.

უძველეს რწმენა-წარმოდგენებს უკავშირდება ეკლესიისათვის შეწირულის ფრინველის ქანდაკებები. ამის მაგალითია ვანში აღმოჩენილი ძვ. წ. IV-III საუკუნეებით დათარიღებული მინის ქანდაკება. ამავე დროის ანდა უფრო ძველი შეიძლება იყოს უშგულში არსებული ბრინჯაოს ქანდაკება. ფრინველთა მფარველ კეთილ სულად წარმოდგენილი იყო შემდეგი ღვთაება – „აფსასადი“.

1927 წელს აკად. ვ. თოფურიას უშგულში ჩაუწერია ბეთქილის ლეგენდა. ბეთქილის ტრაგედიის მომწყობია კლდეში მცხოვრები შუნი და არა დალი, შუნი ადრინდელი ვარიანტი უნდა იყოს, შემდეგ მას ცვლის „დალი“.

უშგულის „ლახვის“ დასაწყისში მდებარეობს ტბა „ცხვადირი“. მოსახლეობაში შემონახული გადმოცემის მიხედვით მის ფსკერზე ბინადრობს ოქროს რქიანი თეთრი ხარი, რომელიც მზიან ამინდში, იშვიათ შემთხვევაში ამოდის ტბის ზედაპირზე, გარს შემოუვლის მას და შემდეგ ისევ ფსკერზე ეშვება. ცხვადოური არის იმერეთშიც (ტოპ. 436).

ფოლკლორული შინაარსისაა უშგულში დამონებული ერთ-ერთი დღეობა „ჭაბგობ“-ის რიტუალი, როცა ადიდებენ „ტარ-ჭაბუკს“ ანუ ჭაბიგვს“.

გეომორფული ტოტემიდან ჩანს განვითარებული ქვის კულტი. ქვემ ადრინდანვე მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ადამიანის ცხოვრებაში. მას შემდეგ რაც რკინამ განდევნა ქვის იარაღი ეს მიწერალი ადამიანის სამკაულებისა და სარიტუალო ნივთების სახითაა წარმოდგენილი. ასეთი ნივთები დიდი რაოდენობითაა შეწირული უშგულის ეკლესიაში და ხალხშიც ბევრია, მათი ნაწილი ბუნებაში ნაპოვნი, განსაკუთრებული ფორმისა და ფერის ქვებს წარმოადგენს. მეორე ნაწილი კი წინაზე ქრისტიანული დროის ნახელავია, მათ შორის ჭარბობს მთის ბროლის, ქალცე-დონის, სარდიონის და სხვა მინერალების წმინდა სამკურნალო ქვები, რომელთაც კარგად ეტყობათ ამ მიზნით გამოყენების კვალი.

სენეთში არსებულ საკულტო-სარიტუალო დანიშნულების ქვებიდან საგანგებო ყურადღებას იქცევს უშგულის „მაცხოვრ“-ის საყდარში დაცული თეთრი მარმარილოს მოზრდილი ბირთვი, რასაც ადგილობრივი მცხოვრებლები „ქუთი ყვავს“ ან ნატურის თვალსაც ეძახიან, მას მზის სხივოსნობის, ელვარების სიმბოლოდ აღიქვამდნენ, ეს ბირთვი თავდაპირველად იყო მუყამერის „მაცხოვრის“ კუთვნილება. პროფ. ბარდაველიძეს ასეთი ქვების სარიტუალოდ გამოყენება დადასტურებული აქვს უშგულში „მუხვარწენ“-ის დღეობაში.

სენეთის ქვა და ქვის ნაკეთობები მიწათმოქმედების კულტის სფეროშიც ჩანს შეჭრილი. ა. სტოიანოვს სენეთში დამონებული აქვს ქვის „ხვითო“. რომლის მფლობელსაც სენების რწმენით ბევრი ხორბალი უნდა უქონოდა. მიწათმოქმედებასთან და წველა-დღეებასთან ჩანს დაკავშირებული უშგულის ზემოთ დასახლებული მარმარილოს ბირთვი, რომელიც ვ. ბარდაველიძის აზრით სიმბოლურად მზეს გამოსხატავს.

სენეთში სახლის კერპის აღსანიშნავად იხმარებოდა სახელები: „ბაჩა გვიგე (ქვისგული)“. სარიტუალო მაგიური დანიშნულებისათვის ხმარობდნენ: „ლახვარ“, „მახადანა“, „მაჯე (ნატურის თვალი)“ და „ჭლა თე“ (თხის თვალი), ლააჭა (თევზის ყური), ავგაროზი (დუა) „ტარ//ტარა“ (ტაროსი) „მეზირ“, ცოდა ლახვანა“ (ცოდვის საკითხავი//მოსანანიებელი). გარდა ამისა იხმარებოდა ისეთი სახელებიც რომელიც მეზირის ამა თუ იმ თვისებაზე მიუთითებდა, ასეთია: „ქორა მუზვევ“ (სახლის მჭამელი), „ქორა მერდე“ (სახლში მყოფი), „მამთქვა“ (მიჩვეული), „თვალ//თვალად“ (თვალი, ნატურის თვალი), „გიმი თვალ“ (მინის თვალი).

1968 წელს უშგულში მ. ჩართოლანს ნიუარაძეების ძველ სახლში რომლის კედლებიდა ყოფილა დარჩენილი, გადაუღია მეზირის სალოცავი – ნიში („ვითინი“, „კვალჩაბ), იგი გამოკვეთილი ყოფილა კედელში, რომელიც სახლის სამხრეთ კედლის მაგივრობას ასრულებდა, ვითინის სურათი დაბეჭდილია წიგნში (სევანთი 1977).

ჩხუდანი იდგა მარანში, მას შეავედრებდნენ „ლემზირებს“ შემდეგი სიტყვებით: დიდაბუ აჯჯადა ისგვა ყერს, ლახეშდ ნიშგვე კუმაშს ი მარა (დიდება სახლის ანგელოზს შეენიე ჩვენი სახლის საქონელსა და ადამიანს).



სარიტუალო დანიშნულებით იყენებდნენ უშგულის „ლამარიაში“ თეთრ მარმარილოს ქვას, რომელსაც ხაჭაპურის კოკორს უწოდებდნენ. ვ. ბარდაველიძის აზრით, იგი ოდესმდე მზარს დეტალებს, ბარბარეს სიმბოლოდ უნდა ყოფილიყო მიჩნეული.

ასეთივე დანიშნულებისაა უშგულის მაცხოვრის ეკლესიაში შენირული ეგრეთ წოდებული თხის თვალ (დაჭლათე). ის ბუნებრივად მართლაც თხის თვალს ჰგავს, ხალხის რწმენით მას შეუძლია თხის გამრავლება, ჯანმრთელობა და ნეულადობა.

დიდი რაოდენობითაა მორწმუნეების მიერ საუკუნეების განმავლობაში შენირული სხვა-დასხვა ნივთები, სამკაულები, მძივები ჩაფარასტები (მკერდის სამკაული), კეზარები (ყელსაბამები) საყურეები, ბეჭდები, მედალიონები, ფლარუნები „რუჟენ“ ქინძისთავეები სასაფეთქლე რგოლები, სამაჯურები, ავეგროზები, გახვრეტილი ქვები, „ქვის გული“ საეკიმო-სამკურნალო ქვები და სხვ. ჩაჭაპის მაცხოვრის საყდარში დაცულია კოლხური ცულები გვიანი ბრინჯაოს ხანისა. ბრტყელი ცული, სამგლები, გულსაკიდი და გულსაკიდი ბრინჯაოსი. უშგულში აღმოჩენილი ბრინჯაოს სატყეხი ინახება მესტიის მუზეუმში.

სარიტუალო ნივთები

ჩხუდან – სახლის კერპი

მახადანა – ქონების, მარცვლეულის მომხვეჭი

თვალ – თვალედი, ჯადო

დუა – თილისმა

ბაჩა გვიგე – ქვის გული, ფალოსის სახე

ქუთი ყვავ – ხაჭაპურის გუნდა (მუყყერის მაცხოვარში ყოფილა)

ფლერანილ – ხევისა და ბარაქის მომჭანი

რუჟენ – ბაჭყის აკვანზე ჩამოსაკიდებელი, ახლდა მძივი და სხვ. საყდრიდან გამოტანილი დროებით, შემდეგ უნდა დაებრუნებინათ.

სადღეგრძელოები

სადღეგრძელოები რელიგიური კუთხით იყო შერჩეული – დიდ შეკრებილობაზე ღვინო იცოდნენ თამადის არჩევამდე: ლაჭვამილ (სადიდებელი) უფლისა, მთავარანგელოზების „თარინგულ“, „ჯარაგ (წმ. გიორგის მიცვალებულთა შესანდობარის შემდეგ თამადა „ტოლიბაში“ „მუმზურალი“ ადღეგრძელებდა პირველად იმ საქმეს რისთვისაც იყვნენ შეკრებილი, შემდეგ მშობლებს, და-ძმებს, „ლამაზუბ“ (სამძი), ასვიწი-ნიბაშინ-ს (ასულ-ბადიშები), „ლადიარ//ბაბაშა-ს“ (დედულეთ//ბაბუანთი), სოფელს, სვანეთს და ა. შ. პატარა, მცირე შეკრებილობაზე ერთ სახარება ამბობდნენ: ღერბთ, ანგვლე ზ ი ჯგარაგ, შემდეგ სახარებების მიხედვით – ერთი სახარება შეგვენიოს, ორი და ა. შ. არყის გამოხდის დროს პირველად სოლომს ახსენებდნენ.

სამწუხარო შეკრებილობაზე იტყოდნენ პირველად კაცის გამჩენ და წამყვან ღმერთს, შემდეგ გარდაცვლილის, მისი მშობლების, და-ძმების, ბაბუა-ბებოების, სამშოს, ასულ-ბადაშების, დედულეთის შესანდობრებს და ა.შ. მიცვალებულის დაკრძალვა 3-5 დღის შემდეგ ხდებოდა, დაკრძალვის დღეებია: სამშაბათი, ხუთშაბათი, შაბათი, კვირა. ქალები შავად იმოსებოდნენ, ახლობელი მამაკაცები შუბლზე შავ ლენტს გადაიკრავდნენ და წვერს მოუშვებდნენ ორმოცამდე. გასვენების დღეს მიცვალებულის დატირებას აჯამებდა ერთი გამორჩეული ქალი, რომელიც მთელ სოფლის მიცვალებულებს ჩამოთვლიდა. მამაკაცები გარეთ გასვენებამდე ზარს იგალობებდნენ, გასვენებისას მთელ გზაზე სასაფლაომდე. სასაფლაოსთან მამაკაცები დაიჩოქებდნენ ქუდს მიწაზე დადებდნენ და ასრულებდნენ დატირების რიტუალს (ვაი, ბედს ისგვა, სამჯერ გაიმეორებდნენ). ზოგჯერ ცხენსაც აკურთხებდნენ, თუ ბედნიერი კაცი იყო „კვირისასაც“ იტყოდნენ. ქელებზე ახალგაზრდისა სამ სასმისს სვამდნენ, ასაკოვანის 5-7-ს, სუფრა იყო სამარხო. შესანდობარს ასე ამბობდნენ: შენდება მიჩა ლაქუნს, ქრისტე ცაბაგდუ ზოგად“ (ქრისტეს სუფრის წევრი ყოფილიყოს ზარის ტექსტში შედის გამოთქმა „ივა ი ოო// ივა სამუდამო სასუფეველი გამოთქმაც არის (ივას უ ხარი).

მისტიკური არსებაანი

„ფუ ლალეე ახცხულანა ქაჯ-ჰაშმას“

(ფუ ფრთა დაენვას ქაჯს და ეშმაკს)

ჰაშმა - ეშმა

ქაჯ - ქაჯი

ჰალ - ალი

თანუშია - პატარა ქალი, დევის მსგავსი

გვეფ - ჯადოქარი//გვეფ-დედბერ-ჯადოქარი დედაკაცი (ზღაპრის პერსონაჟი)

არტავაზ - ჯადოქრების უფროსი (არტავაზ ერისთავმა აღაშენა ციხე არტანუჯის V ს. (ვახტანგის ისტ.)

გველიარშაპ - გველუშაპი, რომელსაც მზის გადაყლაპვაც კი შეუძლია.

მათხაფ - ავსული

მუუნულ - ზღაპრული ფრინველი

დეცე ლაჰერა ლიფეტ - ცისკრის გახსნა

დალ - კლდის მითოლოგიური ქალ-ღვთაება

დაავ - ავსული დევი, დიდი ძლიერი. გოგვერ დაავ - (ვირ-ეშმაკი), კეჟერ დაავ (გაბურ-ძგინილი)

ჰაჟე - მაჯლაჯუნა

ჰერია - კუდიანი

მეზირის კულტის ამსახველი მითები

მეზირის კულტის ამსახველი მითები საქართველოს ბევრ კუთხეშია გავრცელებული და მსოფლიოს რიგ ქვეყნებშიც. ფუძის, ოჯახის მფარველ ანგელოზს უშგულში მეზირს უწოდებენ. მეზირი შეიძლება ყოფილიყო ხილული (გველი, ბაყაყი, თავივი...) და უხილავი (ხბო...). მეზირის კულტის მითოლოგიზაცია ძალუმადაა გამოყენებული ქართულ მწერლობაში (შოთა რუსთაველი, აკაკი წერეთელი, კონსტანტინე გამსახურდია, გრიგოლ რობაქიძე, დემნა შენგელაია, ლეო ქიაჩელი და სხვ.).

ფშაგში გველს პატივს სცემდნენ, როგორც სახლში, ისე ხატში, არ გააღიზიანებდნენ, არ მოკლავდნენ. იტყოდნენ - „ფუძისა“-ო. გველის თვალი სვანეთში (თვალ) ხვავისა და ბარაქის მომტანია. ზოგის თქმით გველი თვალს ქუდბედიანი რომ გარდაიცვლებოდა იმას ამოაყოლებდა საფლავიდან. თვალი მრგვალი იყო, ჩიტის კვერცხის ოდენა - ნითელი, ყვითელი, თეთრი, მწვანე, ლურჯი, ეს ფერები კვერცხს ზოლებად ეკეროდა.

უშგულელ ქალთა რწმენით ყოველ ოჯახს თავისი მეზირი ჰყავდა. მეზირი ოჯახს მფარველობდა, სიკეთესა და ბარაქას ანიჭებდა. მეზირის განაწყენება ოჯახისათვის დიდი უბედურების მომტანი იყო. ამიტომ მას პატივით ეპყრობოდნენ. თუ მეზირს ქალი დაინახავდა მაშინ ის მალე მოკვებოდა, როცა მამაკაცი დაინახავდა მეზირს-მაშინ თვით მეზირი კვებოდა, რაც მათი რწმენით ოჯახის განადგურებას ნიშნავდა.

მეზირ-ის ლოცვა, „ლიმზირ-ი აღწერილი აქვს ვერა ბარდაველიძეს 1931 წელს უშგულის საზოგადოების სოფელ ჩაჟაშში 45 წლის მარიამ ნიჟარაძისაგან მიღებული ცნობების მიხედვით. ვ. ბარდაველიძე აღნიშნავს - იმავე 1931 წლის ზაფხულში მარიამის ძმა კოსტა ნიჟარაძე დაწვრილებით მიამბობდა იმის შესახებ, თუ როგორ ესმის ხოლმე მას სანა-ში მეზირ-ის კაკუნი, როცა ის შეწირულ ლემზირებს შეექცეოდა (მის ოჯახს მამალი ჰყავდა მეზირ-ად). 1936 წელს ზაფხულში კოსტა ნიჟარაძე უკვე სამსართულიან ქალაქურ სახლის აგებას ამთავრებს და გატაცებით მიამბობს - სულ მალე ამ სახლში საქართველოს ყოველი კუთხიდან მოაგარაკეები ჩასახლდებიან, რადგან უშგული კარგი სააგარაკო ადგილიაო. ჩემს შეკითხვაზე თუ რა ბედი ეწევა მის მეზირ-ს ახალ ბინაში, ის სიცილით მიმასუხებს - არ ვიცი, რა მოუვა, იმას ხომ სვანური სახლი უყვარს, მე კი ძველ ბინას ვანგრევე, ალბათ, სულ მომშორდებაო (ვ. ბარდაველიძე სვანურ დღეობათა კალენდარი. გვ. 17).

უშგულურ ეპოსში მზე სიმბოლოა ზეციერის და მიწიერის თავისუფლების, უკვდავების. მზე სიმბოლოა მამაკაცის, ქალის. მზე და მთვარე პერსონიფიცირებულია ცოლ-ქმრად, დედ-

მამად, და-ძმად, სინათლისა და სიბნელის სიმბოლოად, რომლებიც ოდითგან ერთმანეთს ებრძვი-
ან.

მზის ღვთაების სიმბოლოად და სამსხვერპლოდ ჩანს „ლილეში“, ხარი. მეცნიერებასა და ხელოვნებას
„ლილე“ წინაქრისტიანული ეპოქის საგალობელია.:

„ხარები გყავდათ შეთქმული,
რქები ედგათ ოქროსი“.

სვანეთში ხარი ტოტემურ ფაზაშივე გადაქცეულა კულტად. ცნობილია, რომ სვანეთში, კერძოდ უშგულში მიცვალებულთა კულტთან დაკავშირებულ „ლოფანლის“ და „ბაამლუს“ სანესო მხატვრობის შესრულებისას პირველ რიგში ხარი იხატებოდა. ეს დაკავშირებული იყო მის ფუნქციასთან (ხვანა, თესვა, თივა, შეშა, მშენებლობა და სხვა.).

როგორც ხარის, ასევე ცხენის კულტიც თვალსაჩინოა. ის გვიანი ბრინჯაოს ხანის დასასრულს და ადრე რკინის ხანის დასაწყისში უნდა ჩასახულიყო. ძველი ნელთა აღრიცხვის პირველი ათასწლეულის შუა ხანას აკუთვნებდნენ ზესხოში ნაპოვნ ბრინჯაოს მხედრის ქანდაკებას. ცხენის კულტთან არის დაკავშირებული მამაკაცის დაკრძალვის დროს ცხენის დაკურთხება „ლიჯგრი“. ასევე ხარის და ცხენის კულტის შემცველია „მარუბის“ გვალზე და მარანზე ამოკვეთილი ხარის და ცხენის ფიგურები. ხარი წინაპლანზე ნიშნავს მხვენელ-მთესველის პრივილეგიას, ცხენი მეომარს და მგზავრს.

აღამიანის ხელი როგორც სიმბოლო

როგორც ცნობილია, საქართველოში ხელი გამოიყენებოდა სხვადასხვა სახის სიმბოლოდ: ხელისუფლების, ხელოსანთა, მაგიური დანიშნულებით და სხვ. სვანეთში მოპოვებულია შუაბრინჯაოს ხანის ხელის გამოსახულებანი საკიდები. ხელის, როგორც სამუშაო საშუალების ასახვა ხელოვნებაში ტრადიციულად არის დამკვიდრებული როგორც ხეზე კვეთილობაზე, ასევე ქვაზე.

ჩვენთვის ამ შემთხვევაში საინტერესოა უშგულში, ჩაჭაში ნიჭარაძეების (ბექაიშა) კოშკზე აღამიანის სიმაღლის ხელის გამოსახულება. ლეგენდა თუ თქმულება ამის შესახებ ასეთია: „ოდესღაც ხელოვანი მამა-შვილი აშენებდნენ კოშკებს. მამა მუყმერში აშენებდა კაკრიაშვილის კოშკს, შვილი კი რამდენიმე ასეული მეტრის დაშორებით – ჩაჭაში ნიჭარაძეების კოშკს.

ჩაჭაში შვილს რამდენიმე მეტრის სიმაღლეზე რომ ამოუყვანია კედელი მუყმერიდან მამას გადმოუძახნია – კოშკის კუთხე გიმორუდებო, მამინ შვილს დაურტყამს ხელი და კუთხე გაუსწორებია.

დღეის მდგომარეობით ორივე კოშკი ამაყად დგას და ცხადად ჩანს რომ ერთნაირი მასალითა და ერთნაირი არქიტექტურული ნახაზითაა აშენებული. სიმაღლითაც ერთმანეთს ედრებიან (29 მ.), ეს კოშკები ერთ-ერთ გამორჩეულ კოშკებად ითვლება.

ჩაჭაშის თავზე თამარის ციხე-სიმაგრის ერთ-ერთ ჩვენამდე მოღწეული კოშკის საძირკველის რიყის დიდი ქვა გახვრეტილია, ამ ქვის გახვრეტა ძნელი გასაკეთებელია მისი სიმაგრის გამო. თქმულებით ეს ადგილი თამარ მეფის ცხენის დასაბმელი იყო.

ხელოსანს უშგულურად ჰქვია ხალვან (ჰალვან) – ხელოვან ამ ტერმინს შესაძლებელია კავშირი ჰქონდეს სიტყვასთან – ხეუისარი (ჰეუისარი): „დაუღვეით დაწერილი ჰეუისარმან ჯაფარაძემან, ინგ. (სვან. საბ. 68)“.

ლეგენდები ცარიელ ადგილას თითქმის არასოდეს ჩნდება, მას საფუძვლად უდევს მომხდარი მოვლენები, ზოგჯერ სახე შეცვლილი. ერთ-ერთი ასეთი ლეგენდაა ენგურის დაგუბების შესახებ, ასეთი დაგუბება მთის ჩამოშლის შედეგად რეალურად შესაძლებელი იყო, და როგორც ჩანს, მომხდარა კიდევ. ამ ადგილს უშგულის დასავლეთით ორ კილომეტრზე დევის ნაშენს (დაავა ლაგამალა) ეძახიან. ლეგენდის მიხედვით აქ ბოროტი ავსული დევი ბინადრობდა, ის მრავალ აღამიანს აუბედურებდა. ერთხელ მან განიზრახა უშგულის წყალში ამოხრჩობა. უზარმაზარი ლოდით ხეობა ჩაქეტა, როცა სოფელს საშიშროება დაემუქრა მაშინ უშგულის ღვთისმშობელმა „ლამარიამ“ კალას წმ. კვირიკესა და ივლიტის“ მოუწონა დასახმარებლად. უშგულის მხრიდან „ლამარიამ“ გაუშვა ოქროსრქიანი ვაცი, ხოლო კალას მხრიდან წმ. კვირიკემ და ივლიტემ“ ოქროსრქიანი ვერძი, ისინი რქებით დაეჯახნენ ჯებირს და გაანგრეს, ამით გადარჩა სო-

ფელი უშგული ამოხრჩობას და და კალა წაღვევას. ხალხმა მადლობა შესწირა „ლაშარიას“ და „კვირიკეს“ (ლაგურკა).

ამ ადგილის დამნახავს ისეთი შთაბეჭდილება ექმნება, თითქოს, მართლაც, რაღაც ძალას ამოუშენებია ხეობა, ხოლო მეორე ძალას გაურღვევია. ამ ადგილს დღესაც დევის ნაშენი ჰქვია და ხალხი აქ ღამე სიარულს ერიდება, მით უმეტეს მარტო კაცი. ამ წიგნის ავტორს პირადად აქვს გამოცდილი თუ რა სახიფათოა აქ მარტოხელა კაცისათვის ღამე სიარული. ეს იქნება გარემო რელიეფით გამოწვეული ხიფათი (ქვის ცვენა, ნადირი), თუ გადმოცემებით შთაგონებული შიში, ერთი ცხადია, აქ ზოგჯერ, მართლაც მოსდევს მგზავრს ღამე რომელიღაც ფრინველი, რომელსაც ხედავ რომ შენს წინ ჯდება, მერე ისევე ქრება და ასე შემდეგ.

ამასთან დაკავშირებით ჩანერილია ასეთი ლეგენდაც:

ლვთისმობლის და მღაჳის ჩხუბი

უშგულის ლამარია (ლვთის მობელსა ჰქვია) მეტისმეტად ლამაზი იყო. ძლიერ მოეწონა მდევს ლამარია და მოინდომა მისი შერთვა, მაგრამ ლამარია არ დათანხმდა და მდევს უარი უთხრა. სიტყვით რომ ვერა გაახერხა რა, მდევმა მოინდომა ძალით დამორჩილება ლამარიასი. ამისათვის აირჩია ერთი ვინრო ადგილი ენგურის ხეობაში ს. კალასა და უშგულს შუა, ამოაშენა ქვითკირით და მით ენგურს მიმდინარეობა შეუნყვიტა; ნყალი იმდენი დაგუბდა, რომ უშგულამდის აინია და სულ დაფარა ვაკე ადგილები. ამაზე ლამარიას გული მოუვიდა და გამოუშვა ვერძი, რომელსაც კალის ლეგურკამ (წმინდა კვირიკემ) თავის ვერძიც მიაშველა. ორივენი დაეჯახნენ ქვითკირს და გაანგრის. ახლაც უჩვენებენ ამ ქვითკირის ნაშენებს სვანები. მეც ვნახე ჩემის თვალით, მაგრამ ახლოს არ მივსულვარ, რადგან ვერ მივუდექი და, შორიდგან რომ შევხედე, მართლა ქვითკირის ნაშენი მეგონა.

ჩაუნერია მასწავლებელ ნიკო ჩიმაკაძეს
1902 წელს თავისუფალ სვანეთში.

ლაგენდა „ლაშარია“-ს აშენებაზე

ოდესღაც ის ადგილი სადაც ახლა უშგულის „ლაშარია“ დგას დაფარული ყოფილა ხშირის გაუღალი ტყით. „ლაშარია“ ყოფილა მუყემრის ქვემოთ „ლატლიში“. დიდთოვლობისას ზვავს დაუნგრევია. გადაუწყვეტით სხვა ადგილას აეშენებინათ, ასეთი გადაწყვეტილება მიუღიათ: შეუბამთ ხატებითა და ოქრო-ვერცხლით დატვირთულ მარხილში გაუხედნავი მოხვრები სადაც ისინი გაჩერდნენ იქ დაინყეს მშენებლობა. მშენებლობა მიანდეს ორ კაცს: დამდანს და სოლმენიანს (სულელიან?). სოლმენიანს ცხრა ვაჟიშვილი ჰყოლია, დამდანს კი ცხრა ჯორი. ეკლესიის ასაშენებელი მასალა „სბონდიკი“ (შირიმი) სხვა ადგილიდან, ცენას ხეობიდან მოჰქონდათ. მუშაობდნენ ეს ორი ხელოსანი ბეჯითად. სოლმენიანს და თავის ვაჟებს ზურგით მოჰქონდათ საშენი მასალა, დამდანს კი ჯორებით. საყდარი მთავრდებოდა, როცა ერთ დღეს დაღლილი სოლმენიანი და მისი ვაჟიშვილები დასასვენებლად ჩამოსხდნენ ლამჯურიში, დაღლილებს ჩაეძინათ. მძინარეებს გამოუარა დამდანმა და სოლმენიანისთვის ფეხის ნამოუკრავს გასალევიებლად. ეს ამბავი სოლმენიანს სწყენია, მაგრამ მაშინ არაფერი შეუძნევია.

საყდრის მშენებლობის დამთავრების აღსანიშნავად მთელი სოფელი შეკრებილა. მაშინ, როცა ცეკვა-თამაშსა და მხიარულებას დასასრული არ უჩანდა უცებ სოლმენიანს დაუყვირია: გაიხედეთ ჯიხვის ჯოგი გამოჩნდაო! მთელ ხალხს იქით მიუხედავს. ამ დროს სოლმენიანმა დრო იხელთა და დამდანს ზურგში დანა ჩაართყა და მოკლა. ხალხი აღშფოთდა, სოლმენიანს ჩაქოლვა მოუნდომეს. სოლმენიანმა თავის დასახსნელად ასეთ ხერხს მიმართა: ჩემი მოკვლით ვერაფერს მოიგებთ, ხოლო თუ ცოცხალს დამტოვებთ ამ საყდარს ირგვლივ ქვის გალავანს აუშენებო. ხალხი შეჩერდა და სოლმენიანის აზრი დასაშვებად ჩათვალა.

სოლმენიანი შესდგომია მშენებლობას, თავდაპირველად სადგომად კოშკი აუშენებია, ხოლო შემდგომ გალავანი და დამხმარე ნაგებობანი.

ლეგენდა ჩანერილია უშგულში 1971 წ.
(ამასთან დაკავშირებით ცნობილია აქვს ე. გაბლიანს გვ. 65).



თმარი მობატყუილეს და უცნობს ხელმწიფის შვილზე გიორგიზე ჯვარი დასწერეს. თალია, გიორგი რუსი ხელმწიფის შვილი იყო, მაგრამ ცუდი ჩვეულება ჰქონდა: არაყს და ღვინოს სვამდა ბლომათ და სიმთვრალის დროს თამარს აწუხებდა. დიდხანს უთმინა გულკეთილმა თამარმა, ბოლოს გიორგი რუსი რომ ზომას გადასცდა, გაავადო თფილისიდგან. ეს გიორგიმ იუკადრისა და საბერძნეთში გავიდა, იქ ბერძნები ააჯანყა ქართველების წინააღმდეგ, მოკრიბა ჯარი დასავლეთ-საქართველოში და უპირებდა მთელ საქართველოს აოხრებას, რასაკვირველია, სვანეთსაც, რადგან სვანეთი მაშინ საქართველოს სამეფოს ეკუთვნოდა. თამარმა აღარ აცალა ბევრი, წინ შეხვდა თავის ჯარით და სულ ამოწყვიტა გიორგის ჯარი. მაშინ გიორგიმ უშველა თავს, გამოიქცა სვანეთისაკენ და ამოვიდა უშკულში (გ ზა კარგად იცოდა, რათხან თამარს ორი საზაფხულო სასახლე ქონდა უშკულში, სადაც გიორგიც მოდიოდა უწინ ზაფხულბობით). უშკულიდგან ოსებში აპირებდა გადასვლას და მერმე რუსეთისაკენ გაქცევას, მაგრამ უმტყუნა ბედმა. უშკულელებმა გაიგეს თუ არა გიორგის გაქცევა, გამოუდგნენ უკან და შუა გზაზე ოსეთსა და უშკულს შუა დაიჭირეს. ჩააბეს ღვლერჭი და ისრე ჩათრიეს თბილისამდის, იქ თამარ მეფეს გადასცეს და უკან დაბრუნდნენ. მას შემდეგ აღარ იციან რა დაემართა გიორგის.

ჩაიწერა მასწავლებელ ნიკო ჩიმაკაძემ
1902 წელს თავისუფალ სვანეთში

ქუთაისის ბაღანვა სვანებისაგან.

ძველ დროში, როცა თავისუფალი სვანეთი განთქმული იყო ომში და მეფეს არ ემორჩილებოდა, სვანები რალაც მიზეზით დემდურნენ იმერეთის მეფეს და გამოუცხადეს ომი. მამასახლისებმა მოუწოდეს რაც მეომარი და ომში გამოსადეგი კაცი იყო და ერთის მამასახლისის წინამძღოლობით გაემგზავრნენ იმერეთისაკენ. ლატფარის მთაზე რომ ავიდნენ, უფროსმა უბრძანა მოეტანა თვითოეულ კაცს თითო ქვა და დაედო ერთ ადგილას, უკან დაბრუნებისას აგრეთვე უნდა მოქცეულიყვნენ და მით გაიგებდნენ, თუ რამდენი ჯარის-კაცი დააკლდათ ომში. სვანებმა გაიარეს ლეჩხუმი, გაყვნენ რიონის ხეობას და თავს დაეცნენ ქუთაისის და ცეცხლი წაუკიდეს. შემდეგ ქვემოთ იმერეთის სოფლებში ბეგარა აიღეს, გამოიარეს ხონი, მათხოჯი და მიადგნენ ცხენის წყალს იმ ადგილას, სადაც ახლა ბომბუას ხიდია. რადგან მაშინ ხიდი არ იყო, ვაზისაგან გააკეთეს ბონდი, რისთვისაც ახლაც ამ ხიდს ჰქვიან ბომბუას ხიდი. გასვლის დროს ხიდმა ველარ გაუძლო, განყდა, ზოგი წყალში ჩაცვივდა და დაიხრჩო, ზოგი კი იქითა ნაპირას დარჩა, წყალში ველარ გამოვიდა და იქვე დასახლდა. ამიტომ არის, რომ ზოგიერთ გვარს ქვემო-იმერეთიგან შესანიერი მოაქვს სვანეთში. რადგან სვანებს ბევრი დააკლდა, იმისათვის დადიანს ჩხუბი ველარ გაუბედეს და უკან დაბრუნდნენ. როცა ლატფარზე ამოვიდნენ, ისევ მოიტანეს თითო ქვა, დაყარეს ერთ ადგილას და შეხედეს, რომ ძლიერ ცოტანი დაბრუნებულან შინ, რამაც ძალიან დაალონა როგორც უფროსი, ისე სხვები. ახლაც არის ორს ადგილას მოგროვილი ქვები; ერთ ადგილს უფრო ბლომათ ყრია, მეორეზე უფრო ნაკლებათ. ეს ხეპირ-გადმოცემა უკეთეს სინამდვილეს მოკლებული არ არის და მეტის-მეტად გადაჭარბებული, ჩემის აზრით უნდა ეკუთვნოდეს მეჩვიდმეტე საუკუნეს.

ჩაიწერა მასწავლებელმა ნიკო ჩიმაკაძემ
1902 წელს თავისუფალ სვანეთში

გეგი და ღათვი

ერთხელ გეგი წასულა ცანას ხეობაში ტყეში ხის მოსაჭრელად, როცა წაქცეულა დიდი ნაძვი (ღუმირ) და შეუსვინია, ამ დროს თავს დასდგომა დათვი, დამდგარა უკანა ფეხებზე, გაულია ხახა და დაუნყია ღრიალი. გეგის დაუნახავს დათვის მტკივანი კბილი, ჩაუყვია ხახაში ხელი და ამოუცლია კბილი. დათვის ერთი დაუღრიალებია, მერე ცოტა ხანს გაჩერებულა, წაუვლია წელსა თათი გეგისათვის და გაუყვანია ხეგში, მიუყვანია ერთ-ერთ ფულუროიან დიდ ხესთან, ასულა ხეზე დათვი, ჩაუყვია თათი ხის ფულუროში, გამოუღია თაფლის ფიჭა, ჩამოუტანია გეგისათ-

ვის მიუცია ხელში და თვითონ წასულა იქიდან. რამდენიმე დღის შემდეგ გეგის წაუყვანია უღელ-
ლი ხარი, წაუტყვევია ხე, გამოუღია ერთი მარხილი თაფლი და წაუღია შინ.

მთხრობელი ანტონ გოგასძე ნიუარაძე 77 წლის 1966 წ. ჩაინერა ნ. კაკიაშვილმა)

გოგა მუვეშვილ ოთარშერმეყ

აშხეყინ ესნარ გოგა მუვეშვილ მახეში ოთარიშმეყ პრი ოთარშერ. აღ გოგა ხოჩა ლეზალ
მარე ლეშმარ. ოთარს ლაკეპურალ ესედა. ანკად ესნარ ფაკან თვი ოხკიდ, აღა, გოგა, გუნ ლეფაზე
ლეშმარ. ხაკედახ, ერე ჩუ იმეჟინ ოთლორეჟნხ. გოგად თვი ესნარ ჟადეკემ ულმაშარჟინ ი
ქადსკურფნალე ი ფაფარ მამ ანგიბ. ერქანლო ოთარ ლახეჟედე ჟსნარ: – ზესყარ ესერ პრიხმამ მი-
ნეშმეყ?

– ადე ესერ, სემი ზესყ ესერ ხარდენახ. ეშხე' ესერ ხეხე-ჭამს ლახნახენახ ნესგა ი
ჩეალღტენლი, მერმე ჟეჟეს აშხეჟელი ი მესმ' ესერ იკვარიულ.

აღა გოგას ანბვი ლაცხაღა ხრეჟა, ადო უშეჟულ ზესყდ გეჟეში ლი.

ამინინდი ესნარ ოთარდ ლუნქროჟე თეჟე ლახეჟეშ გოგას.

ჩანერა სეტი გულედანამ 1924 წ. რომთულ ხერგიანის თქმით (70 წლის).

7. უშეჟული ნეს-ჩეჟულეჟანი

1. საციჟეჟელის მიცემა არ შეიძლებოდა – ორშაბათი, ხუთშაბათი, შაბათი.

ა) სამეზაგროდ რომ მიდიოდნენ

ბ) სანადიროდ რომ მიდიოდნენ

გ) თომეზე რომ მიდიოდნენ

დ) ხბო თიკანი, ბატკანი, რომ დაიბადებოდა

2. ცეცხლის მიცემა არ შეიძლებოდა – ორშაბათი.

3. საქონლის გაყიდვა არ შეიძლება – ორშაბათს.

4. კარზე დაკაკუნება არ შეიძლება, უნდა დაიძახოს

5. კერიასი წყლით ცეცხლის ჩაქრობა არ შეიძლება – გადაშენება იცისო.

6. სახლში სტეენა არ შეიძლება – ეშმაკები იცისო. გაღარიბდებიო.

7. ქეწარმავალი სახელით არ უნდა ახსენო – უნდა თქვა „ურშონ“ უხსენებელი.

8. ფრჩხილის შეჭრა, თმის შეჭრა არ შეიძლება – ორშაბათი.

9. ახალ მთვარეზე (ცინცხალ დოშდულ), ხის მოჭრა და ხვნა-თესვა არ შეიძლება.

10. პური ძირს თუ დაგეჟარდა უნდა აიღო და აკოცო.

11. პირიდან ლუკმის გამოვარდნამ ზარალი იცისო.

12. ახალი მოსავლის ჭამაზე იციან – „ახალ-მახალ ჩიიმი მახალ მი, დაავა ჰად მი, დამუდა
მაბაც მი“ (ახალ-მახალი ყველას ცოდნა მე, დევის-ნატყრა მე, დათვის შეძლება მე).

19. კერვა არ შეიძლება კვირადღეს (მიშლადეღ).

20. ბუს (ლორლოლ) სოფელში შესვლა და დაძახება ცუდია, ვინმე გარდაიცვლებაო.

21. ჩიტის (ფრინველის) მარცხნიდან ძახილი – ჭიკჭიკი ცუდია, მარჯვნიდან კარგი.

22. ძალის ყმულიმა ადამიანის გარდაცვალება იცისო.

23. დედალ ქათამმა თუ დაიყვილა – ომი დაინყებაო.

24. როცა ღორები ჭყივიან – წვიმა მოგაო.

25. როცა ღორი საღორეში ბალახს ეზიდება – ჩამოთოვსო.

26. გაყიდულ საქონელს თმას მოაგლიჯავენ (ლიფანჩორე) ხელი არ გაჰყვესო.

27. ხელის ფრჩხილებზე თეთრი წერტილების გაჩენა – რაიმე ტანისამოსს შეიძენო.

28. სიზმარში კბილის ამოღება – ამოვარდნა – ახლობელი დაიღუპებაო.

29. წყალში ჩავარდნამ – ცრემლი იცისო.

30. ღორის ელენთის ჭამამ – სახეზე ტყირპი იცისო.

31. დაკლული საქონლის ბეჭზე შავი წერტილები ცუდია. სიკვდილი იცის. თეთრი კარგია,
თავზე ძარღვი თუა, მემკვიდრე იცისო.

32. ძალი რომ შენსკენ გაიზომრება კარგია (იგზიველ)
33. პირუტყვის მოახლოებისას შებლაგვლება ცუდია, ბალანი უნდა მოაგლიჯო ფეხქვეშ და ილო და თქვა – შენი ტყავი გამეცვითოსო.
34. სასმელ ტქვაში რაღაცის ჩავარდნამ ბიჭის შეძენა იცისო.
35. მარცხენა ხელისგულის ფხანა შეძენააო, მარჯვენასი გასავალიაო.
36. მარცხენა თვალ-წარბის თამაში ცუდია, მარჯვენასი კარგი.
37. თუ ბეჭი გიფართხალებს ცუდია.
38. ულგაშის ფხანამ – სმა იცისო.
39. ფეხისგულის ფხანამ – გზა იცისო.
40. ცხვირის წვერი აგეფხანოს ჯაერი შეგხვდებაო.
41. საღამოს ბაყაყის ყიყინმა – კარგი ამინდი იცისო.
42. დილით გუგულმა თუ დაგასწრო დაძახება უზომზე – უნდა უთხრა მიჯობნია (ჯანრი).
43. თუ გასლოკინებს, ვილაცა გახსენებსო.
44. უხსენებელის სახლში შესვლა – ცუდის ნიშანიაო.
45. ცეცხლმა თუ ტკარცალი დაიწყო – ჩხუბი იცისო.
46. ბაყაყის მოკვლამ – დედის სიკვდილი იცისო.
47. სიზმარში ცხენზე ჯდომამ – ავადმყოფობა იცისო.
48. ციდან ვარსკვლავის სახლზე დაცემამ გარდაცვალება იცისო.
49. სიზმარში მოცვის ქამამ – ავადმყოფობა იცისო.
50. კატა თუ პირს იბანს და ყურებზე თათს ჩამოსივამს – გამოიდარებსო.
51. შენობის სახურავზე ყინულის გრძელი ლოლუების დაკიდებამ დიდი თოვლი იცისო.
52. გაზაფხულზე პირველ ტქვა-ქუხილზე ამბობენ – არხუნა-მარხუნა, მიშგვა შიყე მაზიგ კაა ლარს (არხუნა-მარხუნა, ჩემი ზურგის ტკივილი კალელებსო).
53. სამგზავროდ და სანადიროდ ისე უნდა ნახვიდე რომ არაინ დაგინახოს.
54. სამგზავროდ წასვლისას კარებთან მუგუზალს აგდებდნენ და იმაზე უნდა გადაებიჯებინათ.
55. პარასკევი შუა დღის შემდეგ, შაბათი, კვირა უქმე დღეები იყო, ორშაბათს ახალ საქმეს არ დაიწყებდნენ, არც სამგზავროდ წავიდოდნენ.
56. 22 მარტს (ბუნიობა) „გიმი ზურვანდობ“, იცოდნენ საქონლის „ლიჭყნავაალი“, პირველად საბალახოდ გაყვანა.

8. საქორნილო წას-ჩვეულებანი

უშგულში შეუღლება წყვილებისა შედგებოდა შემდეგი ქმედებებისაგან; დანიშნა (ლიყდა-ნი), კაცის გაგზავნა კარზე დაძახებით ზოგჯერ თოფის გასროლით. შემდეგ მოცოქულებით საქმის გარიგება, ნიშნობის ჩატარება სასიძო მძახლებით მიდის გოგოს ოჯახში მიაქვს ნიშნობის ბეჭედი და სხვა ატრიბუტები. დანიშნულად ყოფნა სამ წლამდე გრძელდებოდა, შემდეგ ქორნილი ტარდებოდა. სასიძოს მხლებელი რამდენიმე ადამიანი ცხენებით მოდიოდა საპატარძლოს ოჯახში თორმეტი საათის შემდეგ, მთელი ღამე საპატარძლოს ოჯახში ქეიფობდნენ, თამადა საპატარძლოს ახლობელი უნდა ყოფილიყო. გამთენიისას გამოდიოდნენ საპატარძლოს ოჯახიდან და სასიძოს ოჯახში შემოდდიოდნენ მეჯვარეების (მგდდი) თანხლებით, კერიას მარჯვნივ შემო-უვლიდნენ ლოცვით და სხდებოდნენ საქორნილო სუფრასთან თამადა სასიძოს ახლობელი იყო. იქვე ტარდებოდა საჩუქრობა. ე.ი. საქორნილო „თამაში“ სამი ნაწილისაგან შედგებოდა, ნინასა-ქორნილო, საქორნილო და ქორნილის შემდგომი.

ადრე ქორნილის თანმხლები იყო „ნაჭვლაშის“ (ურვადი) გადახდა. ურვადს პირუტყვის სახით იხდიდნენ- უღელი ხარი, მინა ან სხვ. ურვადის გადახდის შეუძლებლობა ყოფილა ზოგჯერ მიზეზი მოტაცებით ქორნილებისა. მოტაცების მიზეზი იყო ზოგჯერ მშობლების წინააღმდეგობა. მოტაცებულს ქალის ოჯახისათვის ჯარიმა უნდა გადაეხადა. მოტაცებულის უკან წაყვანა დიდ სირცხვილად ითვლებოდა. ქალის მიერ ვაჟის დაწუნება ან პირიქით შურისძიების სბაბი ხდებოდა.

საქორნილო რიტუალს ზოგჯერ წინ უძლოდა გაცნობის სხვადასხვა ფორმები, რომელიც ხან შეუღლებით, ხან მეგობრობით მთავრდებოდა, ასეთი იყო: ლინთურალ//ლიცინრალ(გამოც-



ნაურება), ცენი რ შეყვარებული იყო დაახლოებით იგივე ფორმით, რაც იყო ხევსურული ქალ-ფა-
 ყობა, ფშაური წაწლობა, იმერული დობილ-ძმობილობა.

როგორც წესი, ქორნილს ახლდა სიმღერები და სადღეგრძელოები. ეს პროცესი დადგინდა
 აქვს ბ. ნიუარაძეს. სადღეგრძელოები სამ-ოთხ კათხამდე ვალდებულებითს შეადგენდა და პაექ-
 რობა-ფიცსავით იყო ორივე მხრიდან. ღმერთსა და ანგელოზ-წმინდანებზე ითქმის არა სადღეგ-
 რძელო, არამედ ლაჰვამიალ სადიდებელი (დიდაბ), მიცვალებულზე შესანდობარი (შენდება),
 რომელიც წინ უძღვის საქორნილო სადღეგრძელოებს:

ქორნილის სადღეგრძელო

ქორნილია და ისმევა სადღეგრძელო პირველი,
 მერიქიფემ ჩამოარივა სასმისები მეორედ,
 მესამე კათხაზე ფეხზე დგება ერთი მაყართაგანი,
 სასძლოს ახლობელი და სიტყვა-პასუხისა მცოდნე.
 ფიცის სადღეგრძელოს ეტყვის ოჯახის უფროსს:
 „მხიარულო, კარგო ბეჟა!
 ღმერთმა ინებოს ბედნიერი იყოს ეს ღამე.
 ჩვენი მექორნილენი უბედნიერესნი იყონ.
 „კარგო ბეჟა! შემოგითვალეს სასძლოს დედ-მამამ:
 დღეიდან ჩვენი ქალიშვილი ჩავვიბარებია თქვენთვის .
 კარგი გამოდგება იგი, კარგიც თქვენი იქნება,
 გლახა და იგიც თქვენ უნდა გყავდეთ;
 დღეიდან თქვენია ჩვენი ქალიშვილი;
 კარში გამოაგდებთ მას ფანჯრიდან დაგიბრუნებთ,
 ფანჯარაში – და კარიდან დაგიბრუნებთ.
 - ამაღამ მოყვანილ სარძლოს და ქალის მანდილს
 გავედრებენ სარძლოს დედ-მამა და ჩვენც,
 თქვენს, ვაჟკაცთა უღვაშს და ნაშუსს.
 თქვენ იცით, როგორ უპატრონებთ გამოუცდელ რძალს.
 ამას გარდა – დიდებულო ფუსნა-აბუხადიშ, ღმერთო!
 მიაინჭე რძალს ბედნიერება, გამრავლება, ვაჟიშვილებით.
 ასიათასამდე გამრავლე ამისი ძე და მომავალი.
 „ამინ“ ... მაყრონი შესძახებს ერთხმად.

- ფიცი სიძის ახლობლის მხრიდან:
- კარგო კაკი! სიძის დედ-მამამ მოგახსენეს:
 ისე ქმნას ღმერთმა, რომ შევიძლოთ თქვენი მოყვრობა.
 კარგთაგანი ხართ და თქვენი ქალიშვილიც კარგი იქნება.
 ნეტავი ჩვენ გავხდეთ ღირსი თქვენი მოყვრობისა.
 თორემ თქვენი გვარიდან ყოველთვის ნაქები ქალები გამოსულა.
 ახლანდელი ჩვენი სასძლოც ასეთი იქნება.
 რაც შეგვეძლება შესაფერისად შევინახავთ ჩვენს რძალს.
 როგორც შეპყვრის კარგი თემიდან გამოსულ ქალს.
 მართალია, ისეთი პირობები იქნება ვერ ჰქონდეს, როგორც მამის ოჯახში,
 მაგრამ დავიკლებთ და ამას არაფერს დავაკლებთ,
 კარით ნავცივა, ფანჯრით მოვაბრუნებთ,
 ფანჯრით – და კარით მოვიბრუნებთ...
- დიდებულო ღმერთო!
- თუ ოდესმე ჩვენ ორ თემში

ბედნიერი და გამარჯვებული ყოფილა ვინმე
 მეორედ ამათი დაქორწინება გააბედნიერე!
 გამრავლე ასიათასამდე, ქაჯ-ეშმა ააშორე,
 შენი ანგელოზი დაუყენე მარჯვნივ მცველად.
 მზე და მთვარესავით შეაბერე ერთმანეთს!

„ამინ“! შესძახებს მაყრიონი და გამოსცლის კათხებს.
ამ სადღეგრძელოს შემდეგ რძალს შეუძლია
მზიარულებაში მონანილეობა მიიღოს.

ქორნილი მღეროდენ ღვთის სადიდებელ სიმღერებს - „ლაგუშედა“ (შეგვენიოს), სახუმარო „ბუბა-ქაქუჩელა“-ს, „მგ ზავრულს“ და სხვ.

ლაგუშედა

ლაგუშედა ვოი!
დიდაბი, დიდაბო,
ისგვეო ლირდესო,
თვენთნეო გიცარიო
მიჩაო ლელგენიო,
ვოი, დიდაბი დიდაბიო
ლაგუშედაო, ლაგუშედაო!

ბუბა ქაქუჩელა

ბუბა, ბუბა ქაქუჩელა
ბუბა ქაქუჩელა,
ბუბას პარყილ ხაკუჩელა
ბუბა ქაქუჩელა,
ემხვი კათხულდს ჩუ ლაითურე,
ბუბა ქაქუჩელა,
აჯა გუფი ხოჩა ხერა
ბუბა ქაქუჩელა,
ბუბას გიგა ხაკუჩელა
ბუბა ქაქუჩელა,
მანძელიშ ნაშდობიშ
ბუბა ქაქუჩელა,
ქრისდესულო ჩოთმაზურად
ბუბა ქაქუჩელა,
ამეჩუნაშ მერდე მარე
ბუბა ქაქუჩელა.

პატარძლის ოჯახიდან როცა მიდიან მღვავრულს

ღერბეთ ხოჩა გზავრობს გვაჩო,
ხოჩა გუფი ამხავ ლიკედს,
დელი, დელი დელი, დელა,
დელი, ოდელა – ოდელა ოო,
ოდელა, დელა, დელაოო.

ღმერთი კარგ მგ ზავრობას გვიზამს
კარგ ხასიათზე აქეთ მოსვლას.
დელი, დელი, დელი, დელა
დელი ოდელა – ოდელა ოო.
ოდელა, დელა, დელაოო.

ჯვრისწერის დროს „ბაპეზი“ სკამზე დასვამდნენ საქმროსა და საცოლეს, ნემსით ერთმანეთს კალთებს გადაუბამდნენ, გვირგვინად ხის წნელი იყო ხის ჯვრით.

9. სამონადირეო ეპოსი

უმგულელთა ერთ-ერთი ძირითადი საარსებო წყარო თავიდანვე იქნებოდა ნადირობა. თოვლიან მთებთან, მკაცრ კლიმატთან ჭიდილში ნადირობა უმნიშვნელოვანესი იქნებოდა. ამიტომ ჩამოყალიბებულია სამონადირეო სიმღერების მთელი კულტი – სიმღერა- ბალადები, ფერხულეები. ჰყავდათ მონადირე ვაჟკაცის მფარველი წმინდანი ღვთაება წმიდა გიორგი (ჯგრაგ), და ნადირთმფარველი ქალღმერთი „დალი“, რომელიც ადგენდა ნადირობის წესებს და მწყემსავდა



ჯიხვთა არევს. დალი სილამაზის სიმბოლოც იყო, გოგოებს სათამაშოდ უკეთებდნენ „დალი“ (დედოფალს).

სამონადირეო ეპოსის ცნობილი გმირებია სვანურ ლეგენდა თქმულებებში დარღვევან ბეთქან, გიერგილი, ქლა, ამათგან დარღველანი ამირანის მამადაა მიჩნეული. მას იგი ეყოლა ნადირთმფარველი ქალღმერთის „დალი“-საგან. ამიტომ იყო ის გოლიათური ძალის. დარღველანი, ეპოსის ცნობილი გმირი „დალის“ რისხვით იღუპება. დაღუპვის ერთ-ერთი მიზეზი ტრადიციის, ტაბუს დარღვევაა. დალის ნაჩუქარი ნიშანი მონადირეს ცოლის სასთუმალქვეშ დარჩა. ტაბუს მიხედვით მონადირეს არ ჰქონდა უფლება სანადიროდ წასულიყო ქალურ წესში მდგარ ოჯახიდან:

„ცოდვა ჩემი ჩემს ცოლს ჰქონდეს, უწმიდური გამიშვა სანადიროდ“.

რელიგიური მსოფლმხედველობის მიხედვით სანადიროდ წასვლის წინ კაცს არ ჰქონდა უფლება სქესობრივი ურთიერთობისა, არც ქალურ წესში მდგარი ოჯახიდან გასვლა, ერთი კვირის განმავლობაში მათ არ უნდა გაკარებოდა ახლოს. თუ ეს ტაბუ დაირღვეოდა ხალხის რწმენით, მონადირეს კარგი არაფერი შეეძებოდა.

ამ კუთხით საინტერესოა სვანური პოეტური ნაწარმოები „ავთანდილ გადინადირა“, ავთანდილი სანადიროდ წასვლის წინ ამხანაგებს დაპატივებს, რძალი თინათინი საგზალს უშზადღებს, თინათინმა ავთანდილი უწმინდურად გაუშვა და ამიტომ დაიღუპა კიდევ. ე.ი. ტაბუს დამრღვევი ისევეა.

მონადირეს ნანადირევის რქები საყდარში უნდა მიეტანა, ამდენად ნადირობის პროცესი გამჭვირვალე იყო, ნანადირევის რაოდენობა განსაზღვრული იყო და ამ წესს ხატის რიღით არავინ არღვევდა. ზოგი მკვლევარი ამ წესში წარმართულ ნაკვალევს ხედავს.

სანადიროდ წასვლის წინ უშგულელები მთვარეს არჩვენდნენ. ბედნიერ მთვარის დღეებად მიაჩნდათ – დოშდმ (ორშაბათი) თახხაშ (სამშ) ცაშ (ხუთ), ვობიშ (პარასკევი) და ჯმამ (ოთხშაბათი) კვიმატინი დღეები იყო. ცინცხალ მთვარეზე არაფერს დაიწყებდნენ.

უშგულელები ადრე ხშირად ნადირობდნენ, როგორც ცენტრალური კავკასიონის მარად ყინულოვან ფერდობებზე, ისე სვანეთ-რაჭა-ლეჩხუმის მიმდებარე ქედებზე. ჯიხვის, არჩვის თუ დათვის ნანადირევით თავს აფარებდნენ მღვიმეებსა თუ გამოქვაბულებში. უშგულელ მონადირეებზე მრავალი თქმულება, ლეგენდა-გადმოცემები არსებობს.

უშგულელთა სანადირო-საჯიხვე ადგილები იყო შხარაზე: ლათხვარიარ ენგურის ხეობაში, ცხენისწყლის სათავეში ყორინდში (ყორ-კარს ჰქვია), ცურუნგალას მარცხნივ მოყავისფერ კლდეებში ერთი ადგილი კარივით ჩანს, ამ ადგილს დალა ყორს (დალის კარი) ეძახიან. გადმოცემით ამ კარებიდან უთვალთვალებდა „დალი“ ნადირს.

შემოდგომაზე, როცა ჩამოთოვდა უშგულელებმა იცოდნენ ჯიხვზე კოლექტიური ნადირობა შხარას ფერდობებზე: „ლათხვარიარში“ და „ნამყვამში“. სანადიროდ ეშზადებოდნენ ერთი კვირით ადრე. ამზადებდნენ „თხილმარს“ თოვლის გასაკვალად. სანადიროდ წამსვლელნი ზოგი „მუჯრას“ (მუხი) დაიკავენდა. თოფი ცნობილ მონადირეებს ჰქონდათ, მონადირეები განლაგდებოდნენ მათთვის წინამძღოლთა მიერ მითითებულ ადგილზე, ზოგი მარეკის როლს ასრულებდა.

მონადირეები „ნამრტავს“ ეძახიან ჯიხვს ან არჩვს, რომელიც მთელ ზაფხულს მარტოდ-მარტო ცხოვრობენ, ვოგში არ ერევიან. „ნამრტავი“ ყოველთვის მსუქნად იყო. სიტყვა ნანარმოებია მარტო-დან თავში ნა-ს დართვით.

1885 წელს ბ. ნიჟარაძე ერთ-ერთ თანამგზავრზე უშგულელ გეგი ჩარკვიანზე (დაბადებულია 1952წ.) წერს, რომ 34 წლის მონადირეს მოკლული ჰყავს 204 ჯიხვი, 230 არჩვი, 22 დათვი, 8 მელა, როჭო-შურთხი ფრინველი, რომელსაც უშგულელები მახეებით იჭერდნენ უთვალავი.

1885 წელს უშგულელ მონადირეებს მოუკლავთ 24 ჯიხვი. აქვე დავსძენ, რომ თოვის შემოსვლამდე (XVI) უშგულში მშვილდისრით „კიმად//ცხულას კემად“ ნადირობდნენ, არჩვზე მოწული მახეებითაც, ხოლო როჭოზე და შურთხზე მახეებით ნადირობა ჩვენს დროსაც გრძელდებოდა.

მგელს უშგულელები, თხარე//გალო (მგელი) წმ. გიორგის ძაღლს „ჯგერგი ჟელ//წავარ“-ს ეძახოდნენ, მის მოკვლას ერიდებოდნენ, განსაკუთრებით მონადირეები. (აღილეურში – „თღიღზე“ მგელი. ინგუშურში თხგ ზ. სანადიროდ წასვლისას ასრულებდნენ ლოცვას. ბ. ნიჟარაძეს ჩანერილი აქვს: ლოცვის ტექსტი:

სვანთა აზრით ნადირობა მემკვიდრეობითია,
ნადირთმფარველნი ბატონნი არიან:
თაფი-და-თაფი მამა ღმერთი და წმ. გიორგი,
შემდეგ „დალი“ „აფსასდი, სვიმ ბერ მოძღვარი და ელი –
წმ. გიორგის ნებაა ნანადირევის მიცემა,
წმინდა გიორგის თანაშემწედ ითვლება დალი კლდისა,
იგი ბედნიერ მონადირეს კიდევ დაენახვება.
და ეს მონადირისთვის ბედნიერებაა.
მონადირემ კი ეს საიდუმლოდ უნდა შეინახოს,
წინააღმდეგ შემთხვევაში კლდეზე გადაჩეხავს,
დაღს ნადირი ჩაბარებული აქვს წმ. გიორგისაგან,
რომლი ნადირიც უყვარს მას არავის მოაკლევინებს,
დაღს ხანდახან მონადირე შეუყვარდება და წვება მასთან,
ასეთი მონადირე იყო დარჯელანი.
რომლისგანაც დაღს ამირანი შეეძინა.
დაღზე ნაკლები უფლებები აქვს აფსაასდს,
ამასთან ის ფრინველთა პატრონად ითვლება.
სვიმ-ბერ-მოძღვარს და ეღს მცირე უფლებები აქვთ.
მონადირეს ევალება სრულიად განემოროს მრუშობას.
არ გაეკაროს მელოგინე და მენსტრუალურ ქალებს.
მათ არც ნანადირევის ხორცი ეჭმევათ,
ნანადირევის ხორცს და ძვალს არ უნდა მიეკაროს
ღორი, ცხვარი, ქათამი
ნანადირევის ძვლები სახლში უნდა შეინახოს,
თუ ბერი დავროვდა წყალში უნდა გადაყაროს,
ჯიხვ-არჩვის რქები ეკლესიებში შექქონდათ.
ნანადირევის თაფ-კისერი, ტყავი მონადირისაა,
ხორცს ყველანი თანაბრად იყოფენ.
ნანადირევი სოფელში ღამით უნდა
შემოიტანონ, რომ თვალი არ ეცეს.
ნანადირევის ტამის შემდეგ ყველანი ხელს იბანენ,
მოხარშულ ხორცს თავს წმინდა პურს დაადებენ,
დაანთებენ წმინდა სანთელს, მონადირე ასწევს
დაიჩოქებს და მოჰყვება შემდეგ ლოცვას:

მონადირის ლოცვა

დიდება და მაღლი ღმერთს,
დამბადებელო ფუსნ-აბუასდიშ!
მონადირე და ნანადირევი
ყველა შენი გაჩენილია.
რა დროსაც მოგმართო
ჯვარი გადამწერე,
მაღლი და სახელი შენ!
ქრისტე მაცხოვარო, დიდება შენდა!
ჩემს მანყევარს შენი მახათი,
მე, და ჩემს თოფ-ავეჯს
ჯვარი გადაგწერე!
მწყალობელიო ჯვარაგ
დიდება შენ და!
აღამიანის მწყალობელი ბრძანდები,
დღედღადამ მარჯვნივ შედექი.
ქაჯ-ეშმაკი მაშორე!

მეთხვარი ღიმირი

დიდება ი მაღლი ღმერთს!
ხომა ფუსნ-ბუასდიშ!
მეთხვარი ნათხვარე
მაგ ისგვი გაჩენილი.
შომგვაა ჯაშვემინა
სტაარინ მაყრ.
მაღლი ჟახე სი.
ქრისტე მაცხოვარ დიდება სი,
მიშგვა მჭთა ისგვი მახათ,
მი ი მიშგვა თვეფ-ჰავეჯს სტაარეინ ნაყრ.
მაშედ ჯგერაგ
დიდება სი!
მაარემი მაშედ ხი,
ლაღელ იღვეთ ლარსგვანხან ემიიგნ,
ქაჯი ჰაშმა ამაყჩ!

ჩემს მწყალობელს ღმერთს დიდება!
როდესაც შეგეხვეწი შემობრალე,
„დალს კლდისას“ დიდება!
„აბსასდს“ კლდისას დიდება!
„სკიმ-ბერ“ მოძღვარს დიდება!
გარეულის თავმსდგომი შენა ხარ.
რომ მოვიდე შენს ადგილში
ყოველთვის მშვიდობით გამომიშვი.
დიდი ნუ გედიდება,
პატარა ნუ გეპატარავება!
შემოდგომით, ნადირობის დასასრულს
შინ მშვიდობით დაგვაბრუნე
მე და ჩემი ამხანაგები.
თუ რამ იკადრებოდე მიიღე ლოცვა,
თუ არადა იმისთვისაც ნუ დამემდურები!
შენი საბრალი და სანყალი ვარ.
კარგი სვე მომეცი, წყალობა მიმატე.
შინ და გარეთ მიიღე ჩემი ვედრება
ნუ დამაკლებ შენს წყალობას
და ნუ შემითქულებ.
ასემც მაღლი გექნება:
ქრისტეს ლასდილისა დიდებაა,
მთავარანგელოზს ცანისა დიდება,
მაცხვარს ვეშემარისა დიდება,
მახცვარს კარეტისა დიდება,
ჯგრაგს ზასხვისას დიდება,
წმ. ბარბარეს ლექვერარუშისას დიდება,
ჯგრაგს ლაზრამის დიდება,
მთავარანგელოზს სულიერისას დიდება,
ლემთქეშის ანგელოზებს დიდება,
შყაბან-ჭოროხის წმინდანებს დიდება,
ლემჩხაფის წმინდანებს დიდება,
ნეშკრა-ლანრექვილის წმინდანებს დიდება.
ელ ცხოველს დიდება.
- მაშინ, როცა შეგეხვეწი
შენი დანიშნული ჯიხვი მომეც.
დარი და ავდარი ჩემის ნებისად მინყალობე,
ჯიხვის და არჩვის მწყემსს დიდება!

ბ. ნიჭარაძე

მიშგვა მაშედ ლეერბათ დიდაბ!
შომვა ლაჯკგრა ლაამემუდ,
დალს კოჯამ დიდაბ!
აბსასდს კოჯამ დიდაბ!
სკიმ-ბერ მოძღვარს დიდაბ!
გარევილი მღრე სი ხი,
ერ ინკვედნი ისგვა ტყვეფთე
ჩიგარ შვიდებდ ამუფშვად.
-ქლუდ ნომ ჯაშა,
- ხოხრა ნომ ჯაპრანანა,
მუჟღევერ ლათხვარია ჰოკერ
ქორთე შვიდებდ ამტს!
მი ი მიშგვი აფხნეგარ.
ათიკდ ნიშგვეხან ლიშზირ,
მოდე ი ჩუნომ ნენდრავ,
ისგვი საბრალ, ი სანყალ ხშვიმდ,
ხოხა ბედ ლამო, წყალობ ემიქმ,
ქორს ი ქაამ ათსიმიჩ მიშგვი ლიკურაალ.
ნომ მაკედუნე ისგვა ყრს,
ი ნოოსა ლამსისგა.
აჯალ დიდაბუ ჯარ:
ქრისტე ლასდილიშ დიდაბ,
თარინგ ზელ ცანნიშ დიდაბ,
მაცხვარ ვეშემარიშ დიდაბ,
მახცვაარ კარეტიშ დიდაბ,
ჯგრაგ ზასხვიშ დიდაბ,
ბარბალ ლექვერარიშ დიდაბ,
ჯგრაგს ლაზრამიშ დიდაბ,
თარინგ ზელ ქუნღმგანემიშ დიდაბ,
ლემთქეში ანგლეზარს დიდაბ,
შყაბ-ჭოროხი წმინდანარს დიდაბ,
ლემჩხაფას წმინდანარს დიდაბ,
ნეშკრა-ლანრექვიალე წმინდანს დიდაბ,
ელ ცხოველს დიდაბ,
- შომვა ლაჯკუური
ისგვი ლანშან კვიცრა ლამო,
დარ ი ავდარ მიშგვა ნაბშ მაყრ,
(კვირცრაში იერსკნი მულდელს დიდაბ!)

ნ. კაკრიაშვილი

უშგულელი მონადირის ხშირი თანხმლები და ერთგული მეგობარი იყო ძაღლი. მათ ძაღ-
ლებისთვისაც თავისებური სახელები აქვთ შერქმეული, მაგრამ არა ადამიანისა:

ჟედ - ძაღლი სქესის განურჩევლად

ხვირ - ხვადი

ჯუ//ჯუა - ძუ

ფაკენა - ლეკვი სქესის განურჩევლად

საყლა - ქოფაკი

ღვამლა (ყორანა) შავი ძაღლის სახელი

ფარი - ნაცრისფერის სახ.

ღურბელ - ღრუბლისფერი

ყურშა - ფერს არ ჰქონდა მნიშვნელობა.

ბასარა - „-----“

ქუჩერ - „-----“

ყაფრა - ჭრელი
ჯარაგუ - „-----“
რუგენა - „-----“
ბეგი - „-----“
პირშა - „-----“
ჯეკ - პატარა ფინია
თოლია - თეთრი

გარეკილ ნადირ „პირმატყოველ“ (გარეული ცხოველები)

დაშვედ - დათვი
ბელ - ბელი
თხარე//გალო - მგელი
მალ-მელა
კვენ-კვერნა
ფუცხვერ-ფოცხვერი
მანჩე - მანჯი
რაჭე - კურდღელი
მანშიდა//ურშონ - დედოფალა
ციყე - ციყვი
შდუგ - თაგვი
მუშ - თხუნელა
კეიცრა - ჯიხვი
ლვაშ - ხარჯიხვი
კან - კვიცრა - ხარჯიხვი
ერსკან - არჩვი

ნაპრ (ფრინველი)

ნაპოლ- ჩიტი
მინზო - ჩიტი მოშაო
მკნილ - ბოლოქანქარა
შდავალ - მერცხალი
ჭყუგ - პატარა ჩიტი
სკეინზ - სკეინჩა
მეელიდ - ტოროლა
მუყურტუნა - ნაცრისფერი ჩიტი
შყაჟე - მწყერი
ჩხგრიშტ - ჩხართვი
მუსირ - როჭო
შაშე - შაშვი
კოჯა ქათალ - შურთხი
კაეიჩ - კოდალა
მაყვრიინტი - წერო
ჭვეერ - ყვაფი
ცხაკე//შაურდენ - შევარდენი
ლვამალ - ყორანი
ვერბ - ორბი
მუუნულ - ზღაპრული ფრინველი
შინაური ფრინველები
ქათალ - ქათამი

წინილ - წინილა
დადგ - დედალი
ყვერ - მამალი
ვარია - ვარია
ბატ - ბატი

მხარები

ბუზულ - ბუზი
ლათუ - თაფლის ბუზი
ნამთვირ - კრაზანა
ბზიკ - ბზიკი
კულუნ - კოლო
მაროლ - პატარა ბუზი ღრუბელა
ღარზ - ბუზანკალი
ზესყ - რწყილი
მუშკ - ქიანჭველა
მგტ - მატლი
მყანსგვ - ლოკოკინა
მენლა - კალია
პარპოლდ - პეპელა
ოფოფა - ოფოფი
მფანილ - პეპელა
ტიშ - ტილი
თიკ - წილი
მულულ - ხოჭო
ლგზ - ღორტავი

მეაზვილ - ქვენარმავალი

ამდაკ - ხვლიკი
ჰიჯვ/ურშონ - გველი, უხსენებელი
შიხლულდ - გველი უვნებელი
აფხვ - ბაყაყი
მუჰ - თხუნელა
შდუგ - თაგვი
მარშიდა/ურშონ - დედოფალა უხსენებელი
მუყანსგვ - ლოკოკინა.

10. სწავლა-განათლება უშგულში

ისე, როგორც არავინ იცის ზუსტად როდის დაიწყო ცხოვრება უშგულში, არც ის იცის ვინ-მემ თუ რა სახის სწავლა-განათლების კერები იყო, მაგრამ ერთი რამ ცხადია, გაუნათლებელი და უცოდინარი ადამიანები უშგულის საყდრებსა და სახლ-კოშკებს ნამდვილად ვერ ამენებდა, ვერც საყდრებს მოხატავდნენ, ვერც წარწერებს გააკეთებდნენ და ვერც ცხოვრების დიქტატორულ თუ დემოკრატიულ წესებს შექმნიდნენ. ფაქტია, რომ არსებობდა რელიგიური და ხალხური პროფესიული განათლებისა და აღზრდის ფორმები. ჩვენამდე არ არის მოღწეული ბევრი რელიგიური თუ საერო სახის დოკუმენტი, რომელნიც იქმნობდა საუკუნეების განმავლობაში. ზოგი დრო-ჟამის მსხვერპლი გახდა. ზოგი სარწმუნოებრივი ბრძოლისა, ზოგიც გაიტაცეს თუ მოიპარეს და რაც იმ დროს გადაურჩა რუსულმა მმართველობამ, თვითმკვრობელურმა რეჟიმმა გაა-



ნადგურა ბოლო 200 წლის განმავლობაში. და მაინც უშგულელთა მტკიცე ნებისყოფითა და ბრძოლისუნარიანობით გადარჩა საკმაოდ მდიდარი საეკლესიო ხატ-ჯვარი, რომლის წიგნდგენაშია 100-ს სცილდება. ამასთან მრავალი რელიგიური თუ საერო ნივთი, რომელთა ნიშნულ-ნარჩენებიანია და ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნის ისტორიისა და განათლების შესახებ.

ეკლესიებში რომ წიგნები ჰქონდათ ამის დასადასტურებლად არის შემორჩენილი მაგ. XI საუკუნით დათარიღებული სანიგნე კარადა უშგულის ლამარიაში. ასევე სვანურ საბუთებში ჩანს, რომ XIV-XVIII სს. მოღვაწეობდნენ მდივან-მწიგნობრები: მიხეილ დეუდარიანი (კალა-უშგული XIVს), ფარსმან დობორჯვანი, იულდანი (კალა-უშგული).

რუსი დამპყრობნი საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მოშველებით ყველაფერს აკეთებდნენ, რომ სვანეთი რომლის დამორჩილებაც მათ ყველაზე გვიან შეძლეს, გაეძარცვათ ეროვნულ-ისტორიული განძისაგან. ამისთვის ყველა ხერხს იყენებდნენ ფულით მოსყიდვას, ძალას და სხვ. ამასთან ცდილობდნენ, რომ ეს კუთხე წარმოეჩინათ პირველყოფილ, გაუნათლებელ და არაქართულადაც. სამუხაროდ, მათ ზოგიერთი ქართველნიც კი აიყოლიეს და სვანური ანბანიც კი შექმნეს. რაც ქართველ პროგრესულ ძალთა მიერ სათავეშივე იქნა ჩაკლული.

რუსების საქართველოში გაბატონების დროს 1840-იან წლებში სვანეთი და რა თქმა უნდა მათ შორის უშგულიც მთლიანად მიიწვია დანარჩენ საქართველოს. თუ არ გავითვალისწინებთ ცალკეულ ბარის ქართველ პატრიოტთა გამორულ-ეროვნულ მოქმედებას. ასეთი პატრიოტი და განმანათლებელი იყო იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი (გერასიმე ქიქოძე). ის მიხვდა მთის გასაჭირს და სამჯერ იმოგზაურა სვანეთის რთულ გზებზე, ზოგჯერ ცხენის კუდზე გამობმულმა, ავიდა უშგულამდე, პირველად იმოგზაურა 1866 წელს, 1874 წელს და შემდგომ წამოიყვანა იქიდან ბესარიონ (გუა) გაბრიელ (ზაურბეგ) გიორგი ნიჭარაძეები. 1876 წელს ჩარიცხა ქუთაისის სასულიერო სემინარიაში, ქრისტიანობის გამაგრებელ საზოგადოებას სტიპენდია დაანიშნინა.

ოთხწლიანი სწავლის შემდეგ ეპისკოპოსის დამხარებით ბესარიონმა თბილისში განაგრძო სწავლა სასულიერო გიმნაზიაში, გაბრიელმა კი ყუბანში სამასწავლებლო სასწავლებელში, ხოლო გიორგი დაუბრუნდა მშობლიურ უშგულს და მღვდლად ეკურთხა.

ბესარიონი დაახლოებით ხუთ წელს სწავლობდა და შემდეგ დიდი ქართველი მოღვაწის ილია ჭავჭავაძის რჩევით სვანეთში წამოვიდა. „ბესარიონ თუ საქართველო ოდნავ მაინც გიყვარს სვანეთში უნდა ნახვიდე და იქიდან ამოგვიდექი უღელში. და ბესარიონმაც ბრწყინაღედ შეასრულა დიდი მოძღვრის დარიგება – თხოვნა. ის მუშაობას იწყებს სვანეთის საბოქაულოში. ზემო სვანეთში. სდაც ხუთი წელი იმსახურა. შემდგომ ინიშნება ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში აღმზრდელ-მედავოვად და ამ დროს მეუღლედ შეირთავს აზნაურის ქალს – ნორაკიძეს. 1891 წელს ახალგაზრდა ცოლ-ქმარი სვანეთში მიდიან. ბესარიონი მასწავლებლობას იწყებს იფარში. ერთი წლის შემდეგ მღვდლად აკურთხა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგორმა. 1893 წელს ის გადადის მესტიაში. მთელი ამ ხნის განმავლობაში და შემდგომაც ის ეწეოდა სამწერლო მოღვაწეობას, სხვადასხვა სახის წერილებს უგზავნიდა მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებს, რედაქციებს დასაბუჭდად და ისინიც ათავსებდნენ მის წერილებსა და პუბლიკაციებს პრესის ფურცლებზე. ამასთან ერთად ბესარიონი მასპინძლობას უწევდა სვანეთში ჩამოსულ ქართველ თუ უცხოელ მეცნიერ-მკვლევარებს და თვითონაც მათთან ერთად მოგზაურობდა სამხრეთ და ჩრდილო კავკასიაში, ფეხით შემოუკლავა თითქმის მთელი კავკასია, რაც თავის წერილებში აღწერა და ძვირფასი მასალა დაუტოვა შემდგომ თაობებს.

ბესარიონ ნიჭარაძის აღმოჩენილია ცნობილი „ჰაიდისის ოთხთავი“ 1895 წელს, ხოლო 1904 წელს გამოაქვეყნა მისი აღწერილობა და სხვა მრავალი ხელნაწერი თუ წარწერა. მან განადგურებას და უცხოელთა ხელში მოხვედრას გადაარჩინა მრავალი წერილობითი ძეგლი თუ საყურადღებო ნივთი. მისი დახმარებით შეუძენიათ ლენჯერში, გათხოვილი ქალის ტანისამოსი, რომელიც დაცულია პეტერბურგის ეთნოგრაფიულ მუზეუმში (კოლექცია, № 498-2).

მიუხედავად იმისა, რომ ბესარიონი უშგულელი იყო მას უშგულში მასწავლებლად არ უშუშავია და არც ეძღა არა, რომ ბესარიონი უშგულელი ჩანს გარემოება არ იძლეოდა ამის საშუალებას, მაგრამ მისი ურთიერთობა მშობლიურ სოფელთან მაინც საგანმანათლებლო გავლენას ახდენდა, ამასთან მან სასწავლებლად წაიყვანა თავისი ძმისშვილი ივანე ნიჭარაძე, რომელსაც საყურადღებო მუშაობა აქვს ჩატარებული, როგორც ლექსიკოგრაფიაში – 1910 წელს გამოუცია სვა-

ნურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, ასევე უმოღვანია პედაგოგიურ სფეროში 1918-21 წლებში ყოფილა ცაგერის უმაღლესი დაწესებულებითი სკოლის ინსპექტორ-დირექტორი (ქუთაისის არქივის მასალები).

ბესარიონი კარგი შვილების აღმზრდელიცაა (რაფიელ, ბიძინა, ციციხო). მათ შორის რაფიელი (კუკური) გერმანიაში სწავლობდა სავეტერინარო საქმეს, მისი სტუდენტობის მეგობრები იყვნენ: აკაკი შანიძე, კონსტანტინე გამსახურდია და სხვა ბევრი გამოჩენილი მოღვაწე-მეცნიერი. მაშინ, როცა მან უცხოეთში მიღებული განათლების რეალიზაცია დაიწყო თბილისში 30-იან წლებში მას და მის გერმანულ მეუღლეს ხალხის მოლაპარაკების იარაღიყთ ციმბირში ამოუკერეს თავი, სადაც მუდღე დაეღუპა, თვითონ კი დაბრუნდა 20 წლის შემდეგ 1957 წელს ნანაძების და გაუბედურებული. ერთი ეპიზოდი მისი ნაამბობიდან: „ჩამოვედი თბილისში, ჩემს სახლში ალბათ სხვას შეასახლებდნენ, არ ვიცოდი სად წავსულიყავი, გავედი რუსთაველზე, მოულოდნელად შემომხვდა მამაკაცი და თვალი-თვალს მოხვდა, მან გაიარა, უცებ შემობრუნდა და ისევ შემომხვდა, კარგად რომ დამაკვირდა აფორიაქდა, გაოცებული მეუბნება – რაფო შენ ხარ? გადამეხვია და მეუბნება – პირველი კაცი შენ ხარ ვისთანაც ბოდის ვინდო, რომ როცა დაგაპატიმრეს ვერ გინახულე და ვალიც ვერ დაგიბრუნეო, რადგან რომ მოვსულიყავი მეც დამაპატიმრებდნენო. ეს კაცი იყო კონია გამსახურდია. ნამოყვანა სახლში, ცოტა ხანში პველოვის ქუჩაზე ერთოთახიან ბინაში შემასახლა.“

ძვირფასო მკითხველო! ეს კაცი ისევ ჩადგა ადამიანთა სასიკეთო სამსახურში, ფუტკარით მოუსვენარი, ზოგს გერმანული ენის გაკვეთილებს უტარებდა, ზოგს თავის უცხოეთში სწავლის ამბებს უყვებოდა და ზოგსაც ცხოვრებისეულ გამოცდილებას უზიარებდა. ამასთან, მამის ბესარიონის პრესაში დაბეჭდილ წერილებს მოუყარა თავი და ორ ტომად გამოაცემინა. გული იფურა მათში და ბარში სიარულით და 1967 წელს ვალმოხდელი არცთუ ისე ასაკოვანი (67წ.) მიებარა თბილისში საბურთალოს სასაფლაოს მიწას (უმემკვიდრედ).

სევანური ადათობრივი სამართლის გამოჩენილმა მკვლევარმა პროფესორ მიხეილ კეკელიამ ბესარიონ ნიჟარაძეს - „სევანეთის სულხან-საბა უწოდა“.

პირველი მასწავლებელი ადგილობრივი მოსახლეობიდან იყო გაბრიელ ნიჟარაძე (ქუჩეში). 1873 წელს უფროს ძმას გვიგის გორვაშის უღელტეხილზე გაუცილებია 13 წლის ყმანელი ზაურ-ბეგ (შემდეგომში გაბრიელი), მას სამი წლის განმავლობაში წერა-კითხვა შეუსწავლია იფარის თემის „ფეხის მონასტერში ბერ თეოფანე კორძაიასთან. ცხრა დღის განმავლობაში უმოგზაურია მას ქუთაისამდე, დიდი წვალებითა და გაჭირვებით ჩაულწევია ქუთაისში. მას უკითხია გაბრიელ ეპისკოპოსი და მისულა არქიელის გორაზე. გაბრიელ ეპისკოპოსის განკარგულებით ის ჩაურიცხავთ სასულიერო სასწავლებელში მოუნათლავთ და დაურქმევიათ ზაურბეგის ნაცვლად გაბრიელი. ეპისკოპოსმავე დაანიშნინა მისთვის გადიდებული სტიპენდია. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ეპისკოპოსმა აძინა შუამდგომლობა ყუბანის სამასწავლებლო სემინარიის წინაშე გაბრიელ ნიჟარაძის ჩარიცხვის შესახებ, რაც დაკმაყოფილდა, 1879 წელს გაბრიელმა ეს სემინარია დაამთავრა. ყუბანში ის სწავლობდა, როგორც კავკასიაში ქრისტიანობის აღდგენის საზოგადოების სტიპენდიანტი და შესაბამისად გაბრიელი სამუშაოდ უნდა გაეგზავნათ ამავე საზოგადოების სევანეთის სკოლაში, მაგრამ ამ დროს იქ არავითარი სკოლა არ არსებობდა. ამიტომ ის გაიგზავნა 1879 წელს სოხუმის განყოფილების ოქუშის სკოლაში მასწავლებლად. შემდეგ სოხუმის მთიელთა სკოლაში მასწავლებლობდა. სადაც ნაიყვანა სასწავლებლად ახლობელი ივანე თედორეს ძე ნიჟარაძე, შემდეგომში ცნობილი ლინგვისტი, ივანე ჯავახიშვილის პეტერბურგის სტუდენტობის მეგობარი (1900-1904წ.წ.).

1891 წელს მისი მეცადინეობით გაიხსნა სევანეთში სკოლები: მესტიის, მულახისა და იფარის თემებში. გაბრიელი ხანგრძლივად მუშაობდა მულახში მუჟალის სკოლაში და მესტიაში. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს მას მშობლიურ სოფელ უშგულში არ უმუშავია მასწავლებლად, როგორც ჩანს ამისი რაღაც მიზეზები იყო.

გაბრიელ ნიჟარაძე მასპინძლობდა და მეგზურობას უწევდა უცხოელებს. 1886 წელს ის ახლდა ინგლისელ დუგლას ფრეშვილდს და ცნობილ იტალიელ ფოტოგრაფს ვიტორიო სელას. ფრეშვილდმა ორი წიგნი გამოაქვეყნა, რომელიც მაღლობის წერილით 1899 წელს გაბრიელისთვის გამოუგზავნია.

გაბრიელ ნიჟარაძეს უთანამშროლია გაზეთებში: „Тифлисский листок“, „Кавказ“, „Новое обозрение“, სადაც იგი წერდა სევანეთის პრობლემებზე.



გაბრიელს ოთხი შვილი ჰყავდა. ლუბა და ვერა სემინარიის მოსწავლეები 1918 წელს გარდაიცვალნენ „ისპანკის“ დაავადებით. ორი ვაჟი – გიორგი და პიმენი, ორივე ექიმები იყვნენ გელა ორგანიზაციის წევრები, როგორც პირველმა ადგილობრივმა ექიმმა გაბრიელის მიერ აშენებული სახლურ კაფეში, კეთა საავადმყოფოდ და იქ მკურნალობდა პაციენტებს. გაბრიელი გარდაიცვალა 1913 წელს 53 წლის ასაკში. დაკრძალულია მესტიაში.

გაბრიელმა წაიყვანა სასწავლებლად ნათესავი ივანე თედორეს ძე, რომელმაც 1903 წელს ივანე ჯავახიშვილთან ერთად დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი, მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექტორად. არის ძველი ბერძნული ენის სახელმძღვანელოს ავტორი.

ფრიად საინტერესოა ივანე ნიჟარაძისა და დიდი ქართველი ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვილის მიმონერა: 1902 წლის 22 ივნისს ივ. ჯავახიშვილი წერილს უგზავნის მის მეგობარს ივანე ნიჟარაძეს. ეს წერილი მაღალი მეგობრობის დადასტურებაა. ის ამხნეებს მეგობარს, რომ სადიპლომო გამოცდის ჩაბარებაში სიძნელეს დაძლევა და „მე და ნიკო მარიც მალე ჩამოვალთ სინას მთიდან და რაიმეს გავანწყობთ. თან ურჩევს, რომ ამ ზამთარ დარჩეს პეტერბურგში, რომ მეცადინეობის საშუალება უქონდეს, ვინაიდან თუ გიმნაზიის მასწავლებლად იმუშავებს გაუჭირდება გამოცდისთვის მზადება. ასევე ურჩევს უარი თქვას ხაზინადრობა და საღამოების გამართვის კომისიის წევრობაზე, რადგან მეცადინეობისთვის დრო არ ექნება (ს. ჯორბეაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივ. ჯავახიშვილისა, თბ. 1984, გვ. 66).

1903 წლის 4 თებერვალს ივ. ჯავახიშვილი პეტერბურგიდან ივანე ნიჟარაძეს სწერს „ჩემო ძვირფასო ვანო“, მცხენია, როცა ვკითხულობ შენს წერილს და თარიღს ვუკვირდები. შენ უეჭვლია იმედოვნად დაინწყობი და გგონია, რომ პასუხს არ მიიღებ ჩემგან. დამნაშავე ვარ, ბოდიშის მოხდა ჩვენში, როგორც გასოვის, აკრძალული გვაქვს, მაგრამ ბოდიშობითაც ვერ ვიმართლებდი თავს... – ეხლა ჩემო ძვირფასო ვანო – სვანეთის შესწავლა ორმხრივ შეგიძლია: ეთნოგრაფიულად და ენათმეცნიერების მხრივ. შენ იცი მეგრული, სვანური, ქართული; ამიტომ ადვილად შეგეძლო ქართული ენაილოკავების მეცნიერულად შედარებითი შესწავლა დაგეწყოს დიდი ნაკლია ჩვენთვის. აქამომდინის შესწავლილი არ გვაქვს საზოგადო ბერათმეცნიერება, სიტყვათა აგებულება და სხვა. ვიდრე ამწაირად გამოკვლევები არ იქნება და შესწავლილი ენაილოკავები, ქართველი ერის უძველეს საზოგადოებრივ წყობილებაზე გამოკვლევის დადარა ძნელია. შეიძლება აგრეთვე ეთნოგრაფიის მხრივ დააკვირდე სვანეთის ცხოვრებას და შეადარა დანარჩენ საქართველოს ტომთა მოდგმის ყოფა-წყობილებას, აგრეთვე, იმ ცნობებს, რომელნიც სტრაბონს აქვს სვანეთსა, ქართლსა და კოლხიდას შესახებ. მომწერე რომელ კითხვას აირჩევ და მასალებს დაუყოვნებლივ შეგატყობინებ.

ველი შენს წერილს.

იმედია მე არ მომბაძავ!

გაკოცებ მრავალჯერ, მარად შენი მეგობარი ვანო ჯავახიშვილი!

1905 წლის 13 სექტემბერს ივ. ნიჟარაძე თბილისიდან სწერდა ივ. ჯავახიშვილს - „საყვარელო ძმაო ვანო! როგორ უნდა გამოვთქვა ჩემი სიხარული! რა სიტყვებით უნდა აღვწერო ჩემი აღტაცება?! ვინა შენ ცოლს ირთავ! წუთო? ღმერთო... შენ, რომელიც ცოლობის შესახებ სულ სხვა აზრისა იყავი, ვერც კი ჩამოხვედ საქართველოში და უკვე ცოლის შერთვა დააპირე! რა მოხბა მაგისთანა? ან რათ დაიფიცე შენი მოსიყვარულე მეგობრები და არ შეატყობინე ეს ფრიად სასიხარულო და სასიამოვნო ამბავი? მიკვირს, რადგან არ ველოდი, რომ ცოლს ირთავ, მიხარია ძალიან, მიხარია, რადგან კარგ ქალიშვილს ირთავ და კარგ ახალ ცხოვრებას შეუდექი.

შესამე სემინარიელი გიორგი ნიჟარაძე ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ დაუბრუნდა უშგულს და მღვდლად ეკურთხა. გიორგიმ შვილს მიხას თბილისში მიაღწინა განათლება, სემინარიამი კობა ჯულაშვილთან (სტალინი) ერთად უსწავლია ერთ-ერთი პირველი მასწავლებელი ყოფილა უშგულში, განათლებული კაცი იყო მღვდლად ეკურთხა და კარგახანს მუშაობდა უშგულში. რუსების შემოსვლის, შემოსევის დროს 1924 წელს უშგულს ზარბაზნები დაუშინეს ლატფარიდან. რამდენიმე კოშკს მოახვედრეს მუყემრში – ჭელიძების, ჩაუაში – ნიჟარაძეების და სხვ. კოშკებს ვერაფერი დააკლო, მაგრამ ამწევი. სოფელს ყრილობა მოუწევიათ თუ რა ექნათ. ხალხს უთქვამს, ამ ჯარს კი ამოწყვეტთ, მაგრამ შემდგომში ჩვენც ისე გვიზამენ, როგორც მეზობელ ხალხს უქნეს, ააფეთქეს და მიწასთან გაასწორეს. და გადაწყვეტიათ მშვიდობიანი მოლაპარაკებისთვის გაეგზავნათ სამი კაცი ლატფარის მთაზე.

ამის შემდგომ შემოსულან სოფელში. მიხა ნიჟარაძესაც წვერი გაუპარსავს, მღვდლს ანატოლს გაუხედა. ეს იყო ბოლო მღვდელი თუმცა არაოფიციალურად მან მერეც განაგრძო მღვდლობა. მიხამ და მის მიუღწეველ კარგ შვილებს გაზარდეს და მიაღებინეს განათლება: გერმანულ ალექსანდრე, შურა, აკაკი, გალინა, ეკატერინე ნიჟარაძეები, რომელთაც ღირსეულად გამოიზინეს თავი სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობით.

1872 წ. 3. უსლარის მოგონილი ასოებით „ლუშნუ ანბანი“ ფარში გაიხსნა სკოლა. დაინიშნა მასწავლებელიც. როდესაც ფარელებმა თარგმანი გაიკონეს „მუ გუშგუე, ხედა ხი დეცარუი“ (მამაო ჩვენ რამელი ხარ ცათა შინა) და ნუგეშინის მცემელო სვანურად ნუ გეშინანად თარგმნილი, უმჯობესად დაინახეს შვილები სამწყემსოში გაეშვათ ვიდრე ღვთის გამოზა ესწავლებინათ „ლუშნუ ანბანის წყალობით“. შემდეგ მესტიისაში სცადეს სკოლის გახსნა არც იქ გამოუყვანიათ.

რევოლუციამდე მთელ სვანეთში 10 უმაღლესი განათლების ადამიანი იყო, აქედან 7 უშგულელია (ბესარიონ სივოშის ძე გაბრიელ სიმონის ძე, ივანე ივანეს ძე, ივანე თედორესძე, გიორგი (სეფ) გაბრიელის ძე პიმენ გაბრიელის ძე, ტარასი გიორგის ძე ნიჟარაძეები.)

1924-1925 წწ. ყველა სოფელში გაიხსნა ორკლასიანი სკოლა, კოჯორის ახალშენში სასწავლებლად გაიგზავნა 100 ახალგაზრდა.

1930-იან წლებში უშგულში გაიხსნა პირველი დაწყებითი სასწავლებელი მოგვიანებით გადაკეთდა 7 წლიან სასწავლებლად. მასწავლებლად მუშაობდა პავლე ღვარჯიანი.

1932 წელს ზემო სვანეთში ლენჯერში გაიხსნა პედაგოგიური ტექნიკუმი. ის დაწყებითი სკოლის მასწავლებლებს ამზადებდა. ჩაირიცხა 30 მოსწავლე. 1935 წლამდე ზემო სვანეთში საშუალო სკოლა არ ყოფილა.

1943 წელს ამენდა სკოლის კაპიტალური შენობა ინჟინერი იყო ილია ფალიანი. ამ სკოლაში იყო ჯერ შვიდნობი, შემდეგ რვანობი, 1958 წელს გადაკეთდა საშუალო სკოლად (დირექტორი ა. ხაჭვანი). 1964 წელს გადაკეთდა ისევ 8-წლიანად. ხოლო 1965 წელს ისევ საშუალო სკოლად გადაკეთდა. 1976 წელს სკოლის შენობა მდინარე ენგურის მხრიდან „ნანულდიდან“ ზვავმა დაანგრია. იმავე წელსვე აღდგენილი იქნა (დირექტორი ნ. კაკრიაშვილი). 1979 წელს სკოლის შენობა დაინვა და ფაქტიურად კაპიტალური შენობა ამჟამადაც არა აქვთ.

სხვადასხვა სდროს სკოლის დირექტორებად მუშაობდნენ ლეონტი ნიჟარაძე, კარლო აბულაძე, ბესო გამყრელიძე, რაფელ ჯოხაძე, მიხნარ ხაბუღიანი, სალარეფ გასვიანი, ჯობე ჩარქსელიანი, ანდრო ხაჭვანი, იროდი ნიჟარაძე, ვიგარ ხემსაძე, კაკო თედორაძე, დავით ზურაბიანი, ტარიელ ჩარქსელიანი, კარლო ჭელიძე, ნაპო კაკრიაშვილი, ნუგზარ ნიჟარაძე, ემზარ ხაჭვანი, ცირა ხაჭვანი, ბორის ჩარქსელიანი, ოდიშარ რატიაანი, ნონა რატიაანი.

დამსახურებული პედაგოგები არიან: უკლება ჩარქსელიანი – ნიჟარაძე, ლიზა ხარძიანი-ღვარჯიანი, ლოლა ონიანი – ჩარქსელიანი, ერასტი ხაჭვანი, თეო ნიჟარაძე – რატიაანი, ბორის ჩარქსელიანი, ძაბული ჩოფლიანი – ჭელიძე, ვალია ზურაბიანი, ოდიშარ რატიაანი, ზაურ ნიჟარაძე, ნაირა ღვარჯიანი და სხვ.

ბესარიონის, გაბრიელისა და გიორგის გავლენით უშგულში მიდრეკილება ყოფილა სწავლა-განათლებისადმი – აი, რას წერს 1904 წელს გაზეთი ცნობის ფურცელი: „სვანი ისე მოწადინებულია სწავლას, რომ თავის ქონების ნახევარს მოცემთ, ოღონდ კი შვილი სადმე მიაღებინეთ. უშგულის სზოგადობაში ერთ-ერთმა ქალმა მარიამ კაკრიაშვილმა ერთ შემოსულ მოხელეს დაუწოქა და თან ერთი ხარცი უძღვნა, ოღონდ ჩემი შვილი რომელიმე სასწავლებელში მიაღებინო. მოხელემ რასაკვირვლია, უარი უთხრა.“

1932 წელს თბილისის უნივერსიტეტი იურისტის დიპლომით დაამთავრა ეფრემ გუასძე ნიჟარაძემ, რომელიც მუშაობდა ზემო – ქვემო სვანეთში მოსამართლედ. შემდგომ ქუთაისში იურისტად და იქვეა დაკრძალული. ამავე წელს ეკონომიკურ ფაკულტეტის მე-2 კურსი დახურა ლეონტი გიორგის ძე ნიჟარაძემ.

1930-40-იან წლებში რუსეთში უმაღლესი საინჟინრო განათლება მიიღო არაბ პართენის ძე ჩარქსელიანმა. ცნობიერი ინჟინერ-მშენებელი იყო, დაკრძალულია სამარაში (კუბიშევი). ამავე წლებში უმაღლესი გეოლოგიური განათლება მიიღო პორფირე კოსტას ძე ნიჟარაძემ, რომელიც დიდხანს მუშაობდა თბილისში გეოლოგიის სამმართველოში. 40-იანი წლების დასასრულს უმაღლესი აგრონომიული განათლება თბილისში მიიღო პავლე სპირიდონის ძე ღვარჯიანმა მანამდე მუშაობდა უშგულში მასწავლებლად, მუშაობდა ზემო და ქვემო სვანეთში მინ. განყოფილების გამგედ. შემდგომ თბილისშია სამეცნიერო სამუშაოზე, დაკრძალულია უშგულში.



1940-იანი წლების დასასრულსა და 50-იანი წლების დასაწყისში თბილისის უნივერსიტეტში უმაღლესი იურიდიული განათლება მიიღო იროდი ანტონის ძე ნიჭარაძემ, მანამდე მას დაემატა თავრებელი შქონდა ზემო სვანეთის პედაგოგიური ტექნიკუმი და რამდენიმე წელს (1946-49) მუშაობდა უშგულში პედაგოგად. 1956 წლიდან მუშაობდა თბილისში უფროს გამომძიებლად, სამმართველოში, სმინისტროში მთავარ გამომძიებლად პოდაპოლოვის ჩინით, შემდეგ მუშაობს ადვოკატურაში. მასთან ერთად იურიდიული დაამთავრა დავით ანტონის ძე დავითულთანმა, მუშაობდა მოსამართლედ ლენტეხის და კასპის რაიონებში, შემდეგ სამეცნიერო სამუშაოზე. 50-იან წლებშივე უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი დაამთავრე ჯობე ბულათის ძე ჩარქსელიანმა, მუშაობდა უშგულის მ-წლიანი სკ. დირექტორად. კოლმეურნების თავმჯდომარედ, ლენტეხის რაიკომში. შემდეგომ თბილისში და აქვეა დაკრძალული დიდიმის სასაფლაოზე.

1950-იან წლებში ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრეს ანდრო და ერასტი ხაჭავაძემა, ბორის და იროდი ნიჭარაძეებმა, მოგვიანებით, ტარიელ ჩარქსელიანმა, რომლებიც მუშაობდნენ სკოლების დირექტორებად და სხვა სამსახურში.

1950-იანი წლების დასასრულს უმაღლესი აგრონომიული განათლება მიიღეს ბენია და ანზორ ჩარქსელიანებმა. ბენია მუშაობდა აგრონომად უშგულში. ლენტეხის ალკე პირველ მდივანად, საქ. ალკე ცეკას ინსტრუქტორად, საქ. სახალხო კონტროლის ინსტრუქტორად. ანზორი მუშაობდა სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის პარტკომად. საქართველოს კპ ცკ-ის ინსტრუქტორად, ბაღდადის (მაიაკოვსკი) რაიკომის მდივანად. მიწამომოწყობის ინსტიტუტის დირექტორად. იყო პარლამენტარი. 1950-იან წლებში უმაღლესი აგრონომიული განათლება მიიღო ბილარ კაკრიაშვილმა, მუშაობდა უშგულის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, გარდაბანში აგრონომად. მანამდე პედაგოგად მუშაობდა ცანაში დამთავრებული შქონდა პედაგოგიური ტექნიკუმიც ლანჯურში. დასაფლავებულია სოფ. ლილოში.

1960-იან წლებში უმაღლესი განათლება მიიღეს: ანზორ რატიანმა (ექიმი), კარლო ჭელიძე (ისტორია), დავით ჩარქვიანი (აგრონომი) აკაკი ჩარქვიანი (ინჟინერი), გურამ ნიჭარაძე (ტექნოლოგი), აკაკი ჩარქსელიანი (ზოოტექნიკი), ჟორა ნიჭარაძე (ზოოტექნიკი), ტარიელ ნიჭარაძე (ზოოტექნიკი), ერმილე ღვაწლიანი (აგრონომი), ნაპო კაკრიაშვილი (ფილოლოგი), ციური ჩარქსელიანი (ზოოტექნიკოსი), ზაურ ვალოდია ნიჭარაძეები, არონ ღვაწლიანი (ფიზკუ.) ბაჯა ჩარქსელიანი (ბიოლოგი), ენვერ ნიჭარაძე (ფილოლოგი), გოგია ნიჭარაძე (მექანიკოსი), ლუტუ ჭელიძე (გეოლოგი), სოზარ კაკრიაშვილი (აგრონომი), ლეილა ნიჭარაძე (აგრონომი) ფრიდონ ნიჭარაძე (მხატვარი), ნუგზარ და თეიმურაზ ნიჭარაძეები, ვიტალი ღვაწლიანი (ტექნიკური), როლანდი ნიჭარაძე (ისტორია), ლენა ნიჭარაძე (ფილოლოგი), ემზარ ნიჭარაძე (ქიმი), ივერი ნიჭარაძე (აგრონომი), კოტე ნიჭარაძე (ტექნიკური), ნოდარ ნიჭარაძე (ისტ.) ელდარ ხაჭვანი (აგრონომი), ემზარ ხაჭვანი (ფიზკულტ.), ცირა ხაჭვანი (გეოგრაფი), კოლია ნიჭარაძე (სასოფ.), მადლენა ნიჭარაძე (ეკონომისტი), თამაზ ნიჭარაძე (იურისტი), სოსო ნიჭარაძე (ინჟინერი), ვახტანგ ღვაწლიანი (ინჟინერი), ლაურა ღვაწლიანი (მათემატიკოსი), ეთერ ჭელიძე (ეკონომისტი), რამაზ ჩარქვიანი (ინჟინერი), ენვერ კაკრიაშვილი (ეკონომისტი), ლალი კაკრიაშვილი (ეკონომისტი), ნაირა ღვაწლიანი (ფილოლოგი), ილია ხაჭვანი (ზოოტექ.), მადლენ ხაჭვანი (ფილოლოგი), ლუარა ნიჭარაძე (დანყ. ვან), დინარა ნიჭარაძე (ფილოლოგი), თამილა ნიჭარაძე (ფილოლოგი), დათო რატიანი (ინჟინერი), ნონა რატიანი (ჟურნალისტი), ირმა ჩარქსელიანი (მათემატიკ.), ჯიშერ ჩარქსელიანი (ინჟინერი), გულნაზი ჭელიძე (მათემატიკ.), თენგიზ ჩარქვიანი (ექიმი), ვასო რატიანი (ისტორია), მაია ნიჭარაძე (ეკონ.), მანანა ნიჭარაძე (ექიმი), გენო კაკრიაშვილი (იურისტი), ოთარ კაკრიაშვილი (იურისტი), მილენ ნიჭარაძე (იურისტი), ლელა კაკრიაშვილი (ეკონომისტი), მალხაზ კაკრიაშვილი (ეკონომისტი), რაული ნიჭარაძე (ისტორია), ჯიმი ნიჭარაძე (ინჟინერი) და სხვ.

„მადლობა მშობლებს გაჩენისათვის, ორჯერ მადლობა მასწავლებლებს აღზრდისათვის!“

**დანყებითი კლასების პედაგოგებს!
უკლება ჩარქსელიან-ნიჭარაძეს!
ლიზა ხარძიან-ღვაწლიანს!
ლოლა ონიან-ჩარქსელიანს!
(პედაგოგობის 50 წლისთავი)**

პირველ მანდილოსანს –
უკლება ჩარქსელიანს!
თაობათა აღმზრდელს –
მრვალშვილიანს!
ლიზა მასნაველებელს –
აღმზრდელს მადლიანს!
დედის კალთასავით –
თბილ ადამიანს!
უშგულელთა რძალს –
ლოლა ონიანს!
მკაცრ პედაგოგს –
და სამართლიანს!
თქვენ დაგვაუფლეთ –
წერას და კითხვას!
მთელი უშგული –
გიხდით მაღლობას.
მადლიერ უშგულელთა სახელით
ნაპო კაკრიაშვილი (ყოფილი მოსწავლე)
2008 წლის 20 ნოემბერი

უშგულის ახალგაზრდობის აღწერის საქმეში ადგილობრივ პედაგოგებთან ერთად დიდი წვლილი აქვთ შეტანილი ჩასულ პედაგოგებს. კონსტანტინე გუჯეჯიანს, ნაზიკო სალინაძეს, რომელიც შემდგომში უშგულელების რძალი გახდა (გივი ჩარქსელიანი), შალვა ნემსინვერიძე, კლარა უკლება, რომელიც იქვე დაქორწინდა, ასევე ჩასულ პედაგოგ ნოდარ შკუბულიანზე, ჟორა ზურებიანი, ქიჭიკო გუჯეჯიანი, ზურაბ გულბიანი, კაკო თედორაძე, გიგლა ნემსაძე, ნოდარ გეგენავა, ჟორა ციკოლია, გიორგი გიორგაძე, იაშა ცირეკიძე, ჟორა ავალიანი, ნელი ჩაჩავა, ანეტა გომთელიანი, გიორგი ხვისტიანი, თამილა დევიძე, მედეა ბურდული, გულიკო გამტკიცულაშვილი, ციცო ჭანტურია უშგულელთა რძალი (როლანდ ნიჟარაძე), ზაირა სანაკოვა, ჯემალ გრემელაშვილი, ნინო ზავრაშვილი, სვეტლანა წერეთიანი, ეალერი კვანჭიანი და სხვ.

ლიტერატურულ ასპარეზზე თავი გამოიჩინა ფილოლოგმა ენვერ ეფრემის ძე ნიჟარაძემ, რომელიც არის პოეტური კრებულების ავტორი. იყო მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, ზ. გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს იყო ვიცე-პრემიერი, ამჟამად პოლიტიკურ ემიგრაციაშია საზღვარგარეთ, გერმანიაში თავისი ოჯახით. ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ლენა ლეონტის ასული ნიჟარაძე, მუშაობს უნივერსიტეტში, გამოსცა ბესარიონ ნიჟარაძის სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, რომელიც შედგენილია 1886 წელს. საყურადღებო ნიგანი გამოსცა ლუარა დამის ასული ნიჟარაძემ 1987 წლის სტიქიის შედეგად სვანთა ბარად ჩასახლებაზე „კოშკმა კოშკს გადაუშახა“, ნიგანი-ალბომი მიხეილ ხერიანზე გამოსცა ეთერ პიმენის ასულ ქედიძემ. მხატვრულ და დოკუმენტურ სურათების გადაღებას იწყებს ახალგაზრდა რეჟისორი მარიამ ხაჭვანი.

ა) მხატვრობის სპანური (უშგულური) სკოლა

უშგულის შვიდი ეკლესიიდან სამმა (ლამარია, ორი მაცხოვარი) თავისი კედლებისა და გუმბათის მოხატულობით ჩვენამდე მოაღწია. როგორც ცნობილია, სვანეთის საყდრები მოხატულია როგორც ცენტრალურ სამეფო ხელისუფლებიდან ჩასულ ისე ადგილობრივი მხატვრების მიერ. როგორც ცნობილია, საუკუნეთა განმავლობაში საყდრები ზიანდებოდა, ინგრეოდა მიწისძვრით, ომიანობით, უამინდობით, ნადგურდებოდა მოხატულობანიც. მიუხედავად ყოველივე ამისა ჩვენამდე მოღწეულია საინტერესო ფრესკები თუ სარიტუალო – საერო ისტორიული ნიმუშები. განსაკუთრებით აღსანიშნავია XI-XII საუკუნეების მეფეების მხატვართა ნამუშევრები (დავით აღმაშენებლის მხატვარი თეოდორე). ცნობილი მეცნიერები გიორგი ჩუბინაშვილი, ვახ-



ტანგ ბერიძე, შალვა ამირანაშვილი და მათი მოწაფეები აღიარებენ რომ „სვანური მხატვრული სკოლა ორიგინალურია“.

უშგულის შეიძივე ეკლესია, როგორც ამას მე-19 საუკუნის აღწერები გვიჩვენებენ, უშგულის ყოფილი დიდი რაოდენობით ჭედური და ფერწერული ხატ-ჯვრებით. განსაკუთრებით საინტერესო იყო მუსმერის მაცხოვრის მოხატულობა (აშირ ყირ მაცხვარ). ეს მოხატულობა რუსული იმპერიის კომუნისტური რეჟიმის დროს სულ რაღაც 40-50 წლის წინ მოუფლდებლობის გამო ჩამოირეცხა და განადგურდა გუმბათის მოხატულობა მთლიანად და ნაწილობრივ კედლებისაც, არადა ეს საყდარი მოხატული ყოფილა მთლიანად ასი ანგელოზით (აშირ ყირ), წმინდანით, მათ შორის რესტავრაციის შედეგად კარის მარჯვენა მხარეს კედელზე გამოიკვეთა თამარ მეფისა და მისი მამის გიორგი III-ის პორტრეტები.

აი რას წერენ 40 წლის წინ ამ საყდრის მოხატულობის შესახებ ნ. ალადაშვილი და ნ. ვოლსკაია - ხალხური შემოქმედების მარტივი პრიმიტიული ხერხებით სახეთა ემოციურობისა და მწუხარების აღბეჭდვა, ასეთია კედლის მხატვრობის ისეთი ძეგლი, როგორცაა უშგულის სოფ. მურყმელის მაცხოვრის ეკლესიის მხატვრობა (XII ს.). ის ყურადღებას იპყრობს გამოსახულებათა უშუალო პრიმიტიული გამომხატულობით (ძეგლის მეგობარი №22, 1970, გვ. 9. ნათელა ალადაშვილი, ნელი ვოლსკაია).

საინტერესოა ჩააფაშის მაცხოვრის შიდა გუმბათ-კედლების მოხატულობა. ამასთან ერთად საინტერესოა გარეკედელზე ფრესკები ხალხური ეპოსის გმირთა- გმირის - ამირან-დარეჯანისა და მისი თანამებრძოლების დევთან ბრძოლის საგმირო ბატალიაზე.

ეს ფრესკები XI-XII საუკუნეებით თარიღდება და აქ წარმოდგენილი გმირებიც იმდროინდელი აღჭურვილობით არიან: ზურ-მუზარადი, ჯაჭვის პერანგი, ჯვრიანი ფარები და მახვილები. გარე კედლის მხატვრობა მთელ სვანეთში სულ რამდენიმეა (ლატალი, ლენჯერი). ასევე საინტერესოა „ლაშარისა“ (დედა ღვთისა) გუმბათ-კედლების მოხატულობა (XI-XII ს.).

ამჟამად მოქმედი ფერმწერი მხატვარია სამხატვრო აკადემია დამთავრებული ფრიდონ ნიჭარაძე, რომელსაც საინტერესოა ფერწერული (პეიზაჟი, კომპოზიცია, პორტრეტი, აბსტრაქცია) ნახატები აქვს შესრულებული (ზოგჯერ ფილოსოფიური წარმოსახვით), აქვს აგრეთვე, ფანქრით შესრულებული პორტრეტებიც. მისი ნახატები გაყიდულია სხვადასხვა პიროვნებებზე. მას არ მოუწყვია გამოფენა ან სხვა რაიმე სახის პრეზენტაცია. მხატვარი ამჟამადაც უშგულში ცხოვრობს, არის მუზეუმის მეცნიერ მუშაკი, თავისებურად უყურებს წარსულს და მომავალს, მწლად საკონტაქტოა და აქვს თავისი ცნობიერი სამყარო.

ბ) კულტურული მომსახურება, მოსახლეობის სამოსი და ნათესაური ურთიერთობანი

სოფლის კულტურული მასობრივი მომსახურების ობიექტები, როგორც ცნობილია, ძირითადად საბჭოურ წყობილებით შემდგომ იხსნება. უშგულის ახალგაზრდობის და საერთოდ მშრომელი მასების კულტურული ცენტრი სასოფლო კლუბი ადრე სკოლის შენობაში იყო, შემდგომ სხვადასხვა დროს დაქირავებულ შენობებში. 1962 წელს აშენდა კაპიტალური შენობა კოლმურწეობისავით, სადაც კლუბს დიდი ფართი გამოეყო. კლუბის გამგე იყო გამოცდილი მუშაკი პაპა ჩარქსელიანი - რატიანი, რომელიც დიდხანს ემსახურებოდა სოფელში ჩასატარებელ კულტურულ-მასობრივი ინიციატივებს, შემდგომ ცილაა ზურაბიანი.

სოფლის ახალგაზრდობის წინაიერი განვითარების საქმეში დიდი წვლილი აქვს შეტანილი ბიბლიოთეკას, როელსაც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა აქტიური ქალბატონი ფაქიზონ ნიჭარაძე - ლვაჩლიანი, ბიბლიოთეკა სხვადასხვა დაქირავებულ შენობებში იყო განთავსებული, ცალკე შენობა არ აშენებულა.

მისაღება, ღაფვიღობა, მიმართვა, მიღოცვა

- აქაანი - მისაღება
- ხოჩა ძინარ! - კარგი დილა!
- ხოჩა ლადელ! - კარგი დღე!
- ხოჩა ნაბოზ! - კარგი საღამო!

ხოჩა ლეეთ! – კარგი ღამე!
 მიშვი ღადელ სი! – შენ გენაცვალე!
 შვიდებდ ისგვი თხვიმ! – მშვიდობით შენი თავი!
 აჯალ შვიდებდ ლოგვეკვდ! – კიდევაც მშვიდობით მოგვიხვედი!
 ხოჩა გუუჟი ისგვი თხვიმ! – კარგ ხასითზე შენი თავი!
 შვიდბავ ჯაარ! – მშვიდობა გქონდეს!
 ხოჩა გზაავრობ! – კეთილი, კარგი მგზაავრობა!
 ხოჩა ლიტხაალ! – კარგი, კეთილი დაბრუნება!
 ხოჩა ზაი ლიცაადალ! – კარგი ახალი წელი!
 ზაი ყერი მუცაადი, ხოჩა ზასუ ჯიცაადი! – წლის ანგელოსს კარგი წელი შეცვალოს!
 ალა მი შალანდ ლაჯოდა აჯჟი შალან ზავ ჯაარ! – ეს რომ ალაღად მოგცე ისე ალალი წელი
 გქონდეს!

ტანისამოსი

(ლერექვე)

კაბ – კაბა

ბულზა – ბლოზა

ივკა – იუბკა

ფატან – პერანგი

ჰინე – საყელო

ჰვინეჟ – სახელური

ლალოობა – შესაკრავი

ლარტყ – ქამარი

ჯიბ – ჯიბე

არშვილ – ქვედა საცვალი

ლაცაადარ – საცვლები

წინდაარალ – წინდები

ბერ – წინდა/ხელთათმანი

ზითჴარ – პაჭიჭი

სამუხლ – სამუხლე

ჩაფულ – ფეხსაცმელი

კაარზ//ლალოობაარ – შესაკრავი თასმა

ტუფი ჩაფულ – ტყავის ფეხსაცმელი

ჯაბირ – ხარის ტავის ფეხსაცმელი

წერექვე – თომი

წულვა – მესტ-წულვა მესტი

უოსარ – ჩოხა

ხაზრალ – ქილები

კაბ ი უოსარ – კაბა და ჩოხა

უოსრი კალთა – ჩოხის კალთა

ფაყე – ქუდი

სიირმა – ზონარი

ბამლყ – ყაბალახი

ლაჩაქ – ლეჩაქი

ჴერი – თავსაფრის კუთხე

კეეშ – ცხვრის ტყავის მოსაცმელი, ჟილეტი

ჴვირქვე – ჴურქი

შალბარ – შალვარი

შინელ – შინელი

ტელეგრეკა – ტელეგრეკა



მამაკაცი იხურავდა ქუდს და ყაბალახს. ქუდი იყო სამი ფერის : ნაცრისფერი, შავი, თეთრი, იხმარებოდა ბოხოხიც. ყაბალახს ბეჭებზე გადაიდებდნენ და საჭიროებისას თავზე მორიგეობა
დნენ. ქუდის ზონარები ჯვარს გამოსახავდნენ:

ნაცრისფერი – ყოველდღიური სახმარი იყო,
შავი – სამგლოვიარო, სამძიმარ საქმეზე,
თეთრი – გამოსასვლელი, სამხიარულო განწყობის.

ქუდის დახურვის ფორმაც იყო განსაზღვრული. ადრინდელი, ზამთრის ქუდი მოცულობით უფრო დიდი იყო, ყურებს ფარავდა. ყოველდღიური ნაცრისფერი ქუდი მამაკაცს ეხურა ოდნავ გვერდზე გადახრილი, შუბლს ფარავდა განწყობის, ხასიათის შესაბამისად. შავი ქუდი შესაბამისად გამოხატავდა მწუხარებას, დახურვაც შუბლის დაფარვას ითვალისწინებდა. თეთრი ქუდი გამოსასვლელი, სამხიარულო, შებლის გამოჩენასაც ითვალისწინებდა.

ტანზე ეცვათ ჩოხა – ახალუხი – ნაცრისფერი ყოველდღიური. შავი სამძიმარი, სამგლოვიარო, თეთრი – სამხიარულო, გამოსასვლელი. შალისვე შარვლის ფერის შეხამებით და მესტ-პაჭი-ჭები ქალამნით.

დედაკაცი იხურავდა ლუჩაქს, ლეჩაქი იხურებოდა ყელზე შემოკვრით (ლეგაყვი). იხმარებოდა კასინკა, თავშალი (ლამაზ ქალს ეძახდნენ ლფკველს), იხმარებოდა კაბა, იუბკა, პაჭიჭები, წინდები (ბერ-ტოტიბერ) და ქალამანი. ასაკოვანი ქალი ორ თავსაფარს ატარებდა – ერთს შეიკრავდა, ან ჩამოუშვებდა, მეორეს შუბლზე გამოიკრავდა.

ნათესაური ურთიერთობების ამსახველი სახელეები

- (ნათი //ასაბია)
- ამსაუაღლ – ადამიანი
- მაარე – კაცი
- ღვაჟმაარე – მამაკაცი
- მახელვაჟ – ვაჟკაცი
- ზურაალ – ქალი
- ზურაალ მაარე – დედაკაცი
- სიმაქ – ახალგაზრდა ქალი
- არშხალ – განშტოება
- ნაშეიერ – ნაშიერი
- დი//დედე//ნანა – დედა
- ლადიარ – დედულეთი
- დედე – ბებია
- ხოშადედე – დიდი ბებია
- დადა – ბებია, დიდედა
- დადააშა – ბებიანთი
- მუ/მამა – მამა
- ლა-მუ-ხუბ- მამის საძმო
- ლა-მუ-ვარ – ქალისთვის მამისიანნი
- ბაბა – ბაბუა
- ხოშა ბაბა – დიდი ბაბუა
- ბაბააშა – ბაბუანთი
- მუხვებე – ძმა ძმისთვის
- დაჩვირ – და ძმისთვის
- უდილ – და დისთვის
- გეზალ – შვილი
- გუა//ჭყინტ//ბაჯუულ – ვაჟი, ბიჭი, მამრი
- დივო – გოგო მდედრი
- დინა – გასათხოვარი გოგო, ქალი
- ჭაშ – ქმარი
- იეხვ – ცოლი
- ჭყინტ – ბიჭი

ჭაბიგვ – ჭაბუკი
ჩიიყე – სიძე
თელღრა – რძალი
წვილ – პატარძალი
მეყაარვა – შილი
მეჭმულ – ქვისლი
სამუნ – ცოლისძმა
დიმთილ – ქალისთვის დედამთილი
მიმთილ – მამაკაცისთვის სიმამრი
დივითრა – დედინაცვალი
ბუბა – ბიძა (მამის ან დედის ძმა)
გიგა – მამიდა, დეიდა, ბიცოლა
გიგა – საერთოდ უფროსი ქალი
ბუბა – საერთოდ უფროსი მამაკაცი

11. სოფლის მეურნეობა

„სოფელმა ბევრი რამე ისეთი იცის, ბევრს ისეთს გამოგაცდევინებს და გასწავლის, რასაც წიგნში და გაზეთში ვერ ამოიკითხავ და ვერც ტელევიზორში ნახავ“

უშგულის სოფლის მეურნეობას განსაზღვრავდა მკაცრი გეოგრაფიული გარემო, კლიმატი, რელიეფი, ხანგრძლივი ზამთარი (8 თვე) და ხანმოკლე ზაფხული (4 თვე). ყველაფერი ის, რაც დამახასიათებელია ალბური ზონის დასახლებისათვის. უშგულის სოფლის მეურნეობის წამყვან დარგებს მესაქონელობა და მიწათმოქმედება წარმოადგენდა.

უშგულის სათიბ-საძოვრები, ტყეები, ყანები განიყოფებოდა: სასოფლო, საყდრის, ლამზუბის//თემის, საოჯახო და პიროვნების საკუთრებად. ხანნავი მიწები საყდრისა და საოჯახო საკუთრებაში იმყოფებოდა, ხოლო საძოვრები, როგორც სათემო, ისე სასოფლო კუთვნილებას შეადგენდა, ყველაფერს ამას სოფელი (ხევი) განაგებდა.

უშგულში ითესებოდა პური (კვეცენ), ქერი (ჭუმინ), ჭვავი (მანააშ), კარტოფილი, ცერცივი (ღედერი). ეს კულტურები ყანაში ითესებოდა მონაცვლეობით ერთ წელს ქერი, მეორე – კარტოფილი და ა.შ.

მინის ნაყოფიერების ამალღების მთავარი საშუალება იყო ნაკელი, რომელსაც აგროვებდნენ და ზამთარში გაჰქონდათ ყანაში და აყრიდნენ სკვერებად, ხვნის წინ კი გაშლიდნენ. ხანგრძლივი ზამთრისა და დიდთოვლობის დროს საჭირო ხდებოდა გამაგრებულ თოვლზე (მაჯარ) მინის მოყრა (ლიდვსე), რომ მზეს თოვლი უფრო მალე დაედნო. ხვნა-თესვა უშგულში მაისში იწყებოდა, კარტოფილს ივნისშიც კი თესავდნენ. მოსავლის აღების დროა სექტემბრის (მკახ) თვე. სამუშაო იარაღებს ადგილზე ამზადებდნენ, ადრე ძირითადად ხისგან, შემდგომში რკინაცვადებოდა: კავი (ლანვიშ), ფოცხი (ლაჭადირ), უღვა (უღელი), ჯამბარა (წამაშ), ტაბიკი (ლასმანდ), აბუური (თხუშ), ფინალი (ბირნალ), ხის ურო (ლაყვაბარ//წირ), თოხი (ბერგ), კავის წვერი (მკრა), კავის ნაწილები – ბერ, ლაცივი.

მარცვლეულ კულტურებს ნამგლით (ნაშდაქ) მკიდნენ და ძნებად (ლუნჩვერ) კრავდნენ და იქვე ყანაში ზვინებდნენ (ახ) დგამდნენ, სადაც გამოხმებოდა და შემდგომ შემოდგომაზე სექტემბერში შემოჰქონდათ კალოებში და ლენავდნენ, ზოგჯერ თოვლში გაყინულ კალოზეც. ქერს და ჭვავს ხარებისა და ცხენების ირგვლივ ტარებით, პურს კი კვერით ლენავდნენ შემდგომ ანიავებდნენ (ლიბაბე), გასუფთავებულ მარცვალს (ითქ) გამოაშრობდნენ მზეზე (ლაღვვრა) ან კერიასთან და შემდგომ მიჰქონდათ ნისქვილში დასაფქვავად. ადრე უშგულში 15-მდე ნისქვილი ყოფილა, ამჟამად 3-ლაა დარჩენილი. კარტოფილს აიღებდნენ და ნაწილს სათესლეს იქვე ყანაში ინახავდნენ თხრილში, ნაწილი შემოჰქონდათ სახლში და მარანში ხოლო ახალ სახლებში პალატში (სარდაფში) ინახავდნენ, ბოლო ხანს მომეტებულს ქუთაისისა და ზუგდიდის ბაზარზე ყიდიან.



მებაღეობა და მევენახეობა უმჯობესი არ იყო სიმაღლის გამო. სამაგიეროდ სოფლის მეურნეობის მთავარ დარგს წარმოადგენდა მესაქონლეობა. ამას ხელს უწყობდა ალპური ნაძვრების სიუხვე უმჯობესი თათიბ-საძვრები 20 კვ.კმ-ზეა გაშლილი. უმჯობესი, როგორც ალპური ნაძვირები, ტყის დიდ მასივებს არ შეიცავს, ძირითადად არის არყის ხის მასივები, არის ფიჭვი და იშვიათად ნაძვი და სხვა ჯიშის ხემცენარეები. სოფლის შემოგარენში კარგად არის განვითარებული მაღალი ბალახეული, რომელიც გამოიყენება ცხოველთა საკვებად და არის ადამიანთა საკვებიც – ლეციონი: დუცი (ღებ), დიყა (ჩინვლა), ბურეა (ბურღვი), მჟაუნა (ჰარდლი), ქნა, დაჭლა სკელ, ჰარსგლი, ყუა და სხვ.

როგორც აღინიშნა, უმჯობესს დიდი ფართობი ჰქონდა სათიბ-საძვრად, რის გამოც ჩრდილო კავკასიელებზე (მაღყარი) იჯარით აქირავებდნენ საძვრებს. ზესხო და ზაგარო ბალყარლებზე ჰქონდათ გაქირავებული ცხვრის საძვრად. ეს გრძელდებოდა 1920 წლამდე. ამ საბალახო ვადასახად „ხაზას“ ეძახდნენ, ეს რამდენიმე ცხვარი იყო. შხარის მხარეს სადაც მჟაუნე წყლებია პირუტყვი გასასაუქმლად მოჰყავდათ სვანეთის სხვადასხვა სოფლებიდან, სამწყემსურს უმჯობესი იღებდა თითო პირუტყვზე შვიდი აბაზიდან ორ მანეთამდე (ბ. ნიჭარაძე II, გვ. 10). 1884 წელს ლეჩხუმელი გელოვანები ედავებოდნენ უმჯობესს ზესხოს ტერიტორიას, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ.

უმჯობესებს ძალიან უყვართ მაღალი ტანისა და რქიანი ხარი რუხი ფერისა. უმჯობესის მენველი ძროხა განთქმულია მთელ სვანეთში, ხარ-ძროხის ტყავებს ზოგს ჰყვინდა ლილაშსა და ონში ფართოლზე, ზოგს ქალამნად იკერავენ. თხის დაზღული ტყავისაგან საზამთრო ქურქებს იკერავენ. თხისა და ცხვრის ტყავისაგან აკეთებდნენ გუდრას (ხალთს) და ქურქს (ქვირქ//ქმ). მატყლისგან ამზადებდნენ ქუდებს, ნაბადს ლოგინისთვის და ჩასაცმელად (კული). ნაცრის ნანურს (ჰარამ) და ლორის ქონს სათანადო პროპორციების დაცვით ერთმანეთში ურევდნენ, ადულებდნენ, ჩაასხამდნენ კალაპოტში და საპონიც მზად იყო (ლინვრინე).

მინის ზომები: „წორ“, ნალჯომ – ერთი ქვევა. „ნაცვრიერ“ „ნალჯომ“ უდრის ორნახევარ ქვევას. კარგი სახნავი, სათიბები და ტყეებიც ნალჯომით და ცხვადიშით იზომებოდა.

საწყაოები იყო: ლეღელიაქ (ცხვრის საღირალი) – 1/2 ფუთი. ჩაბაანად – 1/6 ლეღელიაქ, „ლახნისგ“ = 1/2 „ჩაბაანად“, „ლაყვლა“ ან კვიდოოლ – 8 ფუთი, „კარვა“ ან ნაჩფულ=ჩაბაანად, „ლალა“ = 1 ფუთი.

სასმელების საწყაოები: „ლერქვაშ“, „ლახნისგ“ = 50 კ. ჩაფლამ 4 კ. „დორა“, „სტამან“. ფულის ანგარიში: ჩაფლამ – 20 კ. ლერქვაშ – 1 მ. აცსიმ – 6 მ., ფურემ – 10 მ. ტყემიშ – 24 მ. უმჯობესებს 1888 წლისათვის ჰყავთ 165 საულლე ხარი, 209 მენველი ძროხა, 52 ცხენი. შემღებულ ოჯახს ჰყავს 10-12 ძროხა, ამდენივე ხარი, 2-3 ცხენი, 30 თხა-ცხვარი და 15-20 ღორ, ფრინველი უმნიშვნელოდ. აქ ჯოგები არ იციან მკაცრი ზამთრის გამო, ზაფხულში უმჯობესის საბალახოები ათასობით პირუტყვს ყოფინ.

1886 წლის აღწერით სახნავ-სათიბი უმჯობესი ასე ყოფილა განანილებული: სულ მინა 592, სახნავი 298, სხვა მინა – 264 დესტინა. 1906 წლისათვის უმჯობესის საყდრებს გააჩნდა სახნავ-სათესი მიწები და ტყე 4,4 დესტინა. 1910 წლის მდგომარეობით სახნავი მიწის ფართობი 77 დესტინა, კომლი – 84, მოსახლეობა 635, ერთ მოსახლეზე მცხოვრებთა რიცხვი 7. ერთ კომლზე მინა 0.52 დესტინა, ერთ სულზე 0.12 დესტინა.

1899 წელს სახელმწიფო გადასახად ასეთი იყო უმჯობესი: დაბეგრული იყო 73 კომლი. სახაზინო გადასახადი საკომლო მინაზე 73 მან., საერობო გადასახადი საკომლო 25 მან. სამომრიგებლო საზოგადოებრივი გადასახადი 102 მან. (ა. ჩარკვიანი. I, 1967, გვ. 121).

1935 წლისთვის ზემო სვანეთში შეიქმნა 2068 ინდივიდუალური გლეხური მეურნეობა. მათ შორის უმჯობესი – 94.623 მცხოვრებით 71,7 ჰექტარზე. 1931 წელს უმჯობესი შეიქმნა სპეციალიზებული მესაქონლეობის ამხანაგობა. 1936 წელს ეს ამხანაგობები დაიშალა, დაიწყო საკომლმეურნეო არტელების შემქნა. მოსახლეობას არტელში გააერთიანებინეს გამწვევი ძალა- ხარები და მენველი თითო ძროხა კომლზე.

უმჯობესის ერთ-ერთ საკულმეურნეო ფერმის მშენებლობას შეენირა ჩაფაშის თავზე თამარ მეფის ციხე სიმაგრის ორი კოშკი. სამშენებლო ქვის გულისთვის დაინგრა ეს ისტორიული შენობები. უმჯობესის კომეურნეობის ფერმები საზამთროდ აშენდა ლასდილში, ორი ფერმის შენობა და საცხოვრებელი სახლი. საზაფხულო ლანქვერში. ფერმაში ჰყავდათ 200-მდე მენველი ძროხა, ასევე კომლმეურნეობის ფერმის საკუთრებად გააფორმეს მოსახლეობის გამწვევი ძალა ხარები.

მოსახლეობას უმძიმეს ტვირთად აწევბოდა ლსდილში ფერმისთვის თივის დამზადება, ზოგ ოჯახს 25 ტონამდე ეწერა გეგმა, ამ გეგმის შეუსრულებლობა რაიკომისგან სასტიკი სანქციებით ისჯებოდა. სანამ გეგმას არ შეასრულებდნენ მანამ ოჯახს ერთ გრამ თივას შინ არ უშვებდნენ. სწორედ ამ მოქმედებამ იქონია დიდი როლი ახალგაზრდობის სოფლიდან ქალაქში გამოქცევაში.

გარდა საქონლისა კოლმეურნეობის საკუთრებაში იყო სოფლის საუკეთესო სახნავი ადგილები. ასევე აიძულებდნენ მოსავალი ჯერ კოლმეურნეობის კუთვნილ ყანებში აელოთ, მოსავალი დაებინავებინათ საკოლმეურნეო კალოებში, შემდეგ კი საწყობებში. ამ საწყობებიდან რაღაც ნაწილს მოსახლეობას უნაწილებდნენ ან ლებებოდა. რაღაც ნაწილი კი ნიაგდებოდა მესაწყობის, ბრიგადირის, ბულალტრის და თავმჯდომარის სასარგებლოდ. ერთი სიტყვით არც მესაქონლეობიდან და არც მემინდვრეობიდან სოფელს რაიმე დიდი შვება არ უგრძენია.

როგორც ყოველ საქმეში ამ საკოლმეურნეო საქმეშიც იყო რაღაც დადებითი. მოსახლეობაში თანასწორობისა და ზომიერი მოხმარების წესების დანერგვა. ამ პერიოდში შემოიტანილი იქნა რკინის გუთნები (თავმჯდომარე ჯობე ჩარქსელიანი), რამაც შეცვალა მამა-პაპური კავით ხენა. ასევე შემოიტანეს და ერთხანს იყენებდნენ სალენ მანქანას, „ტრიერი“. ჩრდილო კავკასიიდან გადმოყვანილი იქნა ჯიშის ხარები (კოლმეურნეობის თავმჯდომარე პავლე ღვარჯიანი). კეთდებოდა სასოფლო გზები და ხიდები.

სხვადასხვა დროს კოლმეურნეობის ფერმის გამგეებად მუშაობდნენ

1. ნიჟარაძე გრიშა,
2. ჩაქსელიანი ონისიმე
3. ნიჟარაძე ონისიმე
4. კაკრიაშვილი მიხეილ (1955-56)
5. ნიჟარაძე გიორგი
6. ჩარქვიანი მუშნი
7. ჩარქსელიანი აკაკი.

კოლმეურნეობის თავმჯდომარეებად მუშაობდნენ:

ნიჟარაძე ლეონტი

ღვარჯიანი პავლე

ჩარქსელიანი ჯობე

ხაჭვანი ანდრო

კაკრიაშვილი ბესარიონ (ბილარ)

ჭელიძე შურა

ღვარჯიანი ვარდენ

1969 წელს კოლმეურნეობის ბაზაზე შეიქმნა საბჭოთა მეურნეობა, რომელმაც საკოლმეურნეო ხალხის ქონების დატაცება განიავების კიდე უფრო ახალი მეთოდები დაამკვიდრა. ამ საქმეში განსაკუთრებით წვლილი მიუძღვით რაიონის ცენტრიდან მესტიიდან მოვლენილ მუშაკებს (ე. ჯაფარიძე), დირექტორებად მუშაობდნენ:

ჯაფარიძე ელგუჯა

ჩარქსელიანი აკაკი

ჯაფარიძე ვერგენ

ნიჟარაძე გურამ

ჩარქვიანი დავით

ჩეგინი გურამ

ფანგანი გულადი

ხაჭვანი ელდარ

ნიჟარაძე თეიმურაზ

1987 წლის ზვავების შემდეგ დაიშალა მეურნეობის ფერმები, საქონელი განიავდა თეთრი თუ შავი გზებით. უშვლიდან ბარად ჩამოსახლებულ მოსახლეობას კოლმეურნეობაში ძალით გაერთიანებული ხარებიც არ გამოატანეს. დღეის მდგომარეობით ლსდილში და ლანქორში ფერმის შენობების ნაკვალევიც კი არსად ჩანს ისე ალუგვითა პირისაგან მიწისა, ხოლო შიგ უშვულში კოლმეურნეობა-მეურნეობის კანტორის შენობა სხვადასხვა დანიშნულებითა გამოყენებული.

სპე - მარხილი
 საეჭიშხ - მარხილის ფეხი
 უსბერ - მარხილის ლარტყა
 უღვა - უღელი
 ფაკენა მარხილის ლეკვი
 ლანთხა - პატარა ღვლეჭი
 ნირხ - ღვლეჭი
 მარკილ - მარხილის ტოტები
